

K 18 513  
4

ქართულ  
ხელნაწერთა აღწერილობა

ათონური კოლექცია

I

„მეცნიერება“

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი

# ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა

ათონური კოლექცია

ნაკვეთი I

შეადგინეს და დასაბუქდად მოამზადეს:

ლ. ასობაძემ, რ. გვარამიამ, ნ. გოგუაძემ, ა. ღვალამ, ა. დოლაძიძემ, ა. კვახაძემ,  
ბ. კიკნაძემ, ბ. ნინუამ, ც. შურციკიძემ, ლ. შათირიშვილამ, ა. შანიძემ, ნ. ჩხიკვაძემ.

სწიგ-2000  
შემოწმებულია



თბილისი  
„მეცნიერება“

1986

საქართველოს  
სსრ მეცნიერებათა  
აკადემია

091(=99962.1)

ქახუციანი ხელნაწილები



81.2GP  
კ 279

ათონის კოლეჯის ქართული ხელნაწერებისადმი ყოველთვის დიდი იყო მეცნიერთა ინტერესი, რადგან ეს კოლეჯიცაა შეიცავს ადრეულ (X—XII სს.), მნიშვნელოვან ხელნაწერებს, რომელთა შესწავლისა და პუბლიკაციის გარეშე შეუძლებელია სრული წარმოდგენა შევიქმნათ X—XII სს. ქართული მწერლობის განვითარების გზებზე, აგრეთვე ქართული მეცნიერებისა და ლიტერატურის ისეთი დიდი წარმომადგენლების მოღვაწეობაზე, როგორებიც ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელებია.

1982 წელს ხელნაწერთა ინსტიტუტმა მიიღო ათონის კოლეჯის 73 ხელნაწერის მიკროფირი და შეუდგა მათ შესწავლასა და აღწერას ფოტოპირების მიხედვით.

წინამდებარე ნაკვეთი შეიცავს 18 ხელნაწერის აღწერილობას, რომლებიც თემატური პრინციპითაა შერჩეული. ისინი სპეციალური შესწავლის საგნად იქცნენ ამა თუ იმ ძეგლის გამოცემასთან დაკავშირებით. აღწერილობას ახლავს საძიებლები.

წიგნი დიდ სარგებლობას მოუტანს პუბლიცისტარული დარგის სპეციალისტთა ფართო წრეებს.

რედაქტორი ელ. მეტრეველი

რეცენზენტები: ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი მ. რაფაეა  
შ. თინათინი

K 18.513  
4

ს. ქ. სსრ. კ. მარქსის  
სახ. ახ. რესპუბ.  
გ. გლიცოთეკა

დ 4603010201 123—86  
M 607(06)—86

© გამომცემლობა „მეცნიერება“, 1986

## შ ე ს ა ვ ა ლ ი

ქართული საზოგადოების ინტერესი ყოველთვის დიდი იყო საზღვარგარეთის ქართული კულტურის კერებისა და იქ დაცული ძეგლების მიმართ. ჯერ კიდევ XVIII საუკუნის 50-იან წლებში ტიმოთე გაბაშვილი, თავისი დროის თვალსაჩინო მეცნიერი, მწერალი და დიპლომატი, გაემგზავრა ათონსა და პალესტინაში ქართულ სიძველეთა მოსახილავად, მოსაძიებლად და შესასწავლად. თავის სამოგზაურო მემუარებში („მიმოსლვა“) იქ ნანახ ქართულ სიძველეებზე ტიმოთე დიდი მღელვარებითა და გულისტკივილით წერს: „წარვედ იერუსალიმად და მთაწმიდად... და ვიხილენით და აღმოვიკითხენით ჭირმრავლობით ნაღვაწი მამათა ჩუენთა ქართველთანი და ფრიად განკვირვებულ ვიყავ მათთვის, რამეთუ იგავადცა არა მსმენოდეს ესენი, რაოდენიცა მე აქა მათთვის აღვწერენ. და აქა მოსრულნი ქართველნი ვინმე რასათჳს ამათჳს არა გამოეძიებდა! და აღვსწერენით, რაოდენნი შევიტყვენით იერუსალიმისათჳს და მთაწმიდისა“<sup>1</sup>.

ყველგან, სადაც კი ჩავიდოდა ტიმოთე, იგი უთუოდ ეძებდა ქართულ წერილობით ძეგლებსაც: მონასტერ-ეკლესიათა საამშენებლო წარწერებს, კედლის მხატვრობის წარწერებს, სულთა მატიანეებს, შეწირულების წიგნებს, დოკუმენტებსა და ხელნაწერებს. ერთ-ერთი უძველესი ცნობა ათონის ქართველთა მონასტრის ქართულ ხელნაწერთა კოლექციის შესახებაც ტიმოთეს „მიმოსვლამ“ შემოგვინახა: „წიგნის საცავსა მონასტრისასა არს ძველი ქართული წიგნი მრავალი: „თარგმანი დაბადებისა“<sup>2</sup>, კვალად საშვებელი „სამოთხე“<sup>3</sup>, ღრმად თქმული და შეუენიერად სოფრონის მიერ იერუსალიმელისა, და სხვანნი მოძღურისა ამა იოანეს ბრძნისა თქმული, რომელიცა თორნიკ-ყოფილსა იოანე მონაზონსა ქართველსა და ძმასა მისსა ვარაზუხაჩეს აღუწერინებიათ, სხვა წიგნი „უმილია“ და სხვანი მრავალნი წიგნნი იპოებიან მუნ“<sup>4</sup>.

აქვე ახსენებს ავტორი ათონის ქართველთა სავანეში მოღვაწე მწიგნობრებსა და მხატვრებს: „შემდგომად იოანესა და ძისა მისისა ეფთვიმისა და გიორგი მთაწმიდელთა, ცხოვრებულან მუნ ღირსნი კაცნი: გიორგი ოლთისელი — წინამძღვარი, იოანე ნინოწმიდელი, იოანე რეხვაჲს ძე, საბა თუხარელი, კლიმი მეუღაბნოე, ბასილი ულუმბელი და უღირსი მღდელი იაკობ მხატვარი — ქართველნი“<sup>5</sup>.

<sup>1</sup> ტ. გაბაშვილი, მიმოსლვა, ელ. მეტრეველის გამოცემა, თბ., 1956, გვ. 4.

<sup>2</sup> იგულისხმება თეოფილე ხუცესმონაზონის მიერ შესრულებული „თარგმანი დაბადებისა“, ხელნაწერი Ath 29.

<sup>3</sup> იგულისხმება ხელნაწერი Ath. 9, რომელიც შეიცავს „სამოთხის“ ტექსტსაც. ხელნაწერის მომგებელნი არიან იოანე თორნიკ-ყოფილი და ძმა მისი იოანე ვარაზუხაჩე.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 21—22.

<sup>5</sup> ტიმოთეს მიერ ჩამოთვლილი მოღვაწენი მოხსენებული არიან ქართველთა მონასტრის ხელნაწერთა ანდერძებში (ამ ცნობების ერთ-ერთი მთავარი წყაროა Ath 29), მაგრამ ყველა დასახელებული პირი როდია ათონის მოღვაწე, როგორც ამას წერს ტიმოთე.

ამ დროიდან მოყოლებული არაერთი ქართველი ეწვია ათონის ქართველთა სავანეს და დაგვიტოვა თავისი ნანახის აღწერილობანი, მაგრამ მათ ჩანაწერებში მეტად მწირი ცნობებია ათონის ქართული ხელნაწერების შესახებ.

ინტერესი ათონის ქართველთა სავანის ისტორიისადმი და იქ დაცული ხელნაწერებისადმი საგრძნობლად გაიზარდა XIX საუკუნიდან. საჭირო იყო ამ ხელნაწერების აღნუსხვა და კატალოგის შედგენა საქართველოში წარმოსაგზავნად, რათა შესაძლებელი გამხდარიყო მათი შესწავლა.

ათონის ქართულ ხელნაწერთა პირველი ნუსხა-კატალოგი შეადგინა 1836 წ. სოლომონ II-ის სულიერმა მოძღვარმა და ტრაპიზონში მისმა მსლებელმა ილარიონ ხუცესმა. სოლომონ მეორის ტრაპიზონში გარდაცვალების შემდეგ (1815 წ.) ილარიონი გაემგზავრა ათონს და დამკვიდრდა ქართველთა სავანეში. სადაც ბენედიქტესთან ერთად დიდი სამსახური გაუწია მონასტერს<sup>6</sup>. ა. ცაგარლის აზრით, კატალოგი ილარიონს შეუდგენია ცნობილი ბიბლიოფილის დავით დადიანისა და ქართველი სამღვდელოების თხოვნით<sup>7</sup>.

ილარიონის კატალოგმა, მიუხედავად სქემატურობისა, თავისი მისია შეასრულა. მან ქართული კულტურითა და მწერლობით დაინტერესებულ XIX საუკუნის მოღვაწეებსა და მეცნიერებს შეუქმნა წარმოდგენა ამ ფასდაუდებელ სავანძურზე, რამაც აუცილებელი გახდა ათონის ხელნაწერთა უფრო ღრმად შესწავლა. გარდა ამისა, ილარიონის კატალოგით ჩვენ დღეს ვეცნობით 1836 წლისათვის ამ კოლექციაში შემავალ ხელნაწერთა რაობასა და რაოდენობას, რაც მათი შემდგომი ბედის გათვალისწინების საშუალებასაც იძლევა.

1849 წელს, გარკვეული მეცნიერული მიზნით, ათონზე გაემგზავრა პლატონ იოსელიანი. პლატონ იოსელიანის არქივში, რომელიც ინახება კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში, დაცულია ამ მოგზაურობასთან დაკავშირებული სამი დოკუმენტი:

1. პლატონ იოსელიანის მოხსენებითი ბარათი კავკასიის მეფის ნაცვლის მ. ვორონცოვის სახელზე, სადაც ის წარმოაჩენს ათონის მნიშვნელობას ქართული მწერლობისა და კულტურის ისტორიისათვის, ასაბუთებს ათონის სავანძურის შესწავლის აუცილებლობას და სთხოვს მ. ვორონცოვს, აღმოუჩინოს მას დახმარება ათონზე გამგზავრების საქმეში.

2. მის მიერვე შედგენილი ათონის 39 ხელნაწერის მოკლე აღწერილობა (63/2, S—3061). ავტოგრაფი. ზოგი უფრო მნიშვნელოვანი ხელნაწერი აღწერილია ვრცლად, ანდერძ-მინაწერებით. აღწერილობის ბოლოს ის წერს, რომ მას ქართველთა მონასტერში დახვედრია მხოლოდ 85 ხელნაწერი, ბევრი ადრე დაკარგულა. ამავ საქმეში ჩადებულია ამჟამად ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული A 584 ხელნაწერის ვრცელი ანდერძი, რომელიც ერთვის გიორგი მცირის (ხუცესმონაზვნის) გადაწერილ „სამოციქულოს“. ეს ანდერძი, დღეს კარგად ცნობილია სამეცნიერო ლიტერატურაში. როგორც ჩანს, იგი პლატონ იოსელიანისათვის ვიდაცას მიუწოდებია, როგორც ათონის მოღვაწეთა შესახებ მეტად მნიშვნელოვანი ისტორიული ცნობების შემცველი.

<sup>6</sup> ვრცლად ამის შესახ. იხ. Сведения о памятниках груз. письменности, вып., I. 1886, С. П.-бур, с. XV.

<sup>7</sup> იქვე გვ. XVIII, კატალოგი ფრანგულად თარგმნა მ. ბროსემ, ხოლო გამოაქვეყნა ვ. ლანგუამ: Inventaire détaillé des manuscrits géorgiens du monastère d'Ivèron, au mont Athos, rédigé en 1836 par père Hilarion, confesseur de Solomon II, dernier roi d'Imèrèth, à la demande de l'archim. Seraphin et traduit du géorgien par M. Brosset. Journal Asiatique. 1867. t. IX. p. 337.

3. „Из путешествия на Афон“. დღიურის სახით დაწერილი ეს ჩანაწერები გვაწვდიან ცნობებს ათონის ქართველთა მონასტრის საგანძურზე: ხატებზე, ნაგებობებზე, განსაკუთრებული ღირებულების მქონე ხელნაწერებზე, ისტორიულ ცნობებს ათონის ისტორიიდან, ლეგენდებს, ცნობებს ათონის მოღვაწეთა შესახებ (სულ 50 ნაწერი გვერძი)<sup>8</sup>.

სამივე ეს დოკუმენტი, და. ალბათ, კიდევ სხვა მასალაც, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია (ყოველ შემთხვევაში ჯერ მიკვლეული არ არის) საფუძვლად უნდა დასდებოდნა მონოგრაფიას ათონის ქართველთა მონასტრის შესახებ, რომლის დაწერაც პლ. იოსელიანს განზრახული ჰქონია, მაგრამ არ განუხორციელებია. ამის შესახებ ის ამცნობდა მკითხველს 1852 წელს დაბეჭდილ ტ. გაბაშვილის „მოხილვის“ წინასიტყვაობაში: „სრულთა ძიებათა და ყოველადსა გამოკვლევით ათონის მთის ქართულთა მონასტრის აღწერასა, შემზადებულად რუსულსა ენაზედ, ვიმედებულემ მალე დაბეჭდო“<sup>9</sup>.

ათონზე მოპოვებული ცნობების ერთი ნაწილი პლ. იოსელიანმა შეიტანა მის მიერ გამოცემული „მოხილვის“ წინასიტყვაობასა და კომენტარებში. ზოგი მეტად მნიშვნელოვანი მასალა დღემდე მიუკვლეველია და ერთად ერთი ცნობა მის შესახებ პლ. იოსელიანს ეკუთვნის: „დიდსა ეკლესიასა ათონისასა“<sup>10</sup> ეპკოვე ბერძულად აღწერილი ძუელნი სინოდოიკნი ანუ დიპტიხნი, რომელნიც ექუს წევნად არიან შეკრულნი. მათ შინა მოიკსენებიან ძუელნი ქართველნი სახელნი ნამათა და დედათა, რომელთაცა მოკსენება უთხოვიათ ლოცვათა შინა. ამა წიგნთა ნაწილნაწილად წარიკითხუნ დღივ ყოველ ჩამოლოცვსა ჟამსა, შემდგომად მცირისა სერობისა მწუხრად. — ამისთვის ვრცლად ვიტყვ ჩემსა ხელნაწერში“<sup>11</sup>. ასევე საინტერესოა პლ. იოსელიანის ცნობები მონასტრის სატრაპეზოა და სამეურნეო ნაგებობათა აშენების ისტორიიდან. რაც შეეხება სატრაპეზო პალატს, ის პლ. იოსელიანის ათონზე ყოფნის დროს (1849 წ.) „სიძველის გამო დააქციეს“<sup>12</sup>.

XIX საუკუნის 70-იან წლებიდან პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ფაკულტეტის მეცნიერ-ორიენტალისტთა წრეში, სადაც არაერთი სახელოვანი ქართველი მეცნიერი მოღვაწეობდა (ალ. ცაგარელი, ნ. მარი, ივ. ჯანაშიანი და სხვ.), მკაფიოდ გამოიკვთა სამეცნიერო ინტერესები ნაკლებად შესწავლილი ქრისტიანული აღმოსავლეთისა და, კერძოდ, ქართული წერილობითი ძეგლებისადმი.

უკვე 1873 წელს ა. ცაგარელი თავისი ცნობილი ნაშრომის („О грамматической литературе грузинского языка“) წინასიტყვაობაში წერდა: „Кроме цели чисто грамматической, принимая предлагаемую работу, я имел в виду и другую — историко-литературную. Разработка истории грузинской литературы находится в настоящее время в таком состоянии, что сделать сколько нибудь наукообразный очерк грузинской литературы пока почти невозможно, так как значительная часть не разработана критически“<sup>13</sup>. ამ დროიდან ა. ცაგარელმა მძნად დაისახა შეესწავლა ქართული ხელნაწერების კოლექციები, დაცუ-

<sup>8</sup> ამ მასალის გამოქვეყნება განზრახულია ახლო მომავალში.

<sup>9</sup> ტ. გაბაშვილი, მოხილვა, პლ. იოსელიანის გამოცემა. 1852, გვ. 29.

<sup>10</sup> იგულისხმება ათონის ქართველთა ლავრის დმრთისმშობლის მიძინების ეკლესია.

<sup>11</sup> მოხილვა, გვ. 46, სქ. 24.

<sup>12</sup> იქვე.

<sup>13</sup> А. Цагарели, О грамматической литературе грузинского языка, СПб., 1873 г., с. XI.

ლი ადგილობრივ თუ საზღვარგარეთის სამონასტრო ცენტრებში, დიდ წიგნთ-საცავებში, თუ კერძო პირებთან, და შეედგინა მათი პირველადი კატალოგები. ამ მიზნით მან რამდენჯერმე იმოგზაურა სამეგრელოში (1876—78 წწ.), საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, შეადგინა დადიანისეულ ხელნაწერთა კოლექციისა და ეკლესია-მონასტრებში დაცული ხელნაწერების კატალოგები თუ სიები. 1880 წელს ის გაეცნო იოანე ბაგრატიონის ხელნაწერთა მდიდარ კოლექციას, რომელიც შეიძინა პეტერბურგის საიმპერატორო საჯარო ბიბლიოთეკამ. 1882 წელს ალ. ცაგარელი გაეცნო პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერების მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი, კოლექციას, რომელსაც მარი ბროსემ ჩაუყარა საფუძველი. 1883 წელს ალ. ცაგარელს საშუალება მიეცა გამგზავრებულიყო ქართული სიძველეებისა და ხელნაწერების შესასწავლად სინა-იერუსალიმსა და ათონზე<sup>14</sup>.

ამ მივლინების დროს მოპოვებული მასალები და სინის, იერუსალიმის და ათონის ხელნაწერთა კოლექციების კატალოგები მან გამოაქვეყნა 1886—89 წწ. ყველაზე ადრე — ათონის ქართველთა მონასტრის ხელნაწერთა კატალოგი<sup>15</sup>. ამრიგად, თუ მანამდე საზღვარგარეთის ქართულ კულტურულ კერებში დაცული ქართული ხელნაწერების შესახებ ცნობები კანტიკუნტად გვხვდებოდა ქართველ მოგზაურთა მემუარებში, ცალკეული ხელნაწერების ანდერძ-მინაწერებში ან მონასტრებში მოღვაწე ბერების მიერ შედგენილ მოკლე სიებში, ა. ცაგარელის „Сведения“-თა სამი ნაკვეთის გამოსვლის შემდეგ უკვე შესაძლებელი გახდა ამ კერების მდიდარ ხელნაწერ მემკვიდრეობაზე ზოგადი წარმოდგენის შექმნა. ამან კი, ბუნებრივია, გამოიწვია მათი გაღრმავებული მეცნიერული შესწავლისა და, პირველ რიგში, მათი მეცნიერული აღწერილობის შედგენის საჭიროება.

1898 წელს რუსეთის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიამ მოაწყო სამეცნიერო ექსპედიცია ათონის მთაზე ქრისტიანულ სიძველეთა შესწავლის მიზნით. ექსპედიციას ხელმძღვანელობდა ნ. კონდაკოვი, რომელმაც ნ. მარიც მიიწვია ექსპედიციის წევრად. ამ მიწვევის შესახებ ნ. მარი წერდა: „Приглашение со стороны проф. Кондакова отвечало давно лелейной мною мысли ознакомиться непосредственно с небольшим, но в высшей степени ценным собранием грузинских рукописей в Иверском монастыре на Афоне.“<sup>16</sup>

აქვე გვაცნობს ნ. მარი იმ კონკრეტულ პრობლემას, რომლისთვისაც ის ვარაუდობდა მასალის მოძიებას ათონზე: „Ознакомление с грузинскими рукописями Ивера меня интересовало с точки зрения вопроса о литературном общении грузин, армян и сирийцев“<sup>17</sup>.

ჩვენ აქ ვერ შევეჩებით იმას, თუ რა სახისა და მნიშვნელობის მასალა მოიპოვა ათონზე მარმა თავისი საკვლევი თემისათვის, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ

<sup>14</sup> Сведения о памятниках грузинской письменности А. А. Цагарели. вып., 1886 г., с. II-III. Памятники грузинской старины в Святой Земле и на Синае: ППС., т. IV, вып. I. СПб., 1888.

<sup>15</sup> Сведения, I, გვ. 69—96. აქვე გამოაქვეყნა ა. ცაგარელმა ილარიონ ბერის მიერ 1836 წელს შედგენილი ათონის ხელნაწერთა ნუსხა (იხ. დამატება, გვ. 1—16) და მის მიერ ათონის ერთი უძველესი ხელნაწერის მიხედვით მომზადებული ტექსტი „ქება ქებათა, თქმული სოლომონისი“ (იქვე, დამატება, გვ. 18—56).

<sup>16</sup> Н. Марр, Из поездки на Афон. Ж. М. Н. П. 1899, с. I.

<sup>17</sup> იქვე, გვ. 1.

ათონის ხელნაწერებზე მუშაობის პროცესში ნ. მარს ალ. ცაგარლის აღწერილობა ჰქონდა გზამკვლევად, რომლის არაერთი შეცდომის გასწორებაც მოუხდა მას გზადაგზა. იგი წერდა: „Номера каталога, составленного проф. Цагарели, оказались в несоответствии с номерами самих рукописей, и интересовавшие меня памятники пришлось разыскивать, при чем нужно было перебрать и пересмотреть все рукописи—около ста. При этом беглом осмотре рукописей выяснилось, что каталог проф. Цагарели, бесспорно полезный для составления общего представления об Иверской коллекции грузинских рукописей, не полон и не совсем совершенен в частности“<sup>18</sup>.

მიუხედავად ხანმოკლე მივლინებისა, ნ. მარმა ბევრის გაკეთება მოასწორო ათონზე. მოამზადა სანიმუშო ვრცელი მეცნიერული აღწერილობა X—XI სს. ხუთი ხელნაწერისა<sup>19</sup>, ტექსტების საინტერესო ნიმუშებისა და მნიშვნელოვანი ანდერძ-მინაწერების გამოქვეყნებით. აღწერილობას ერთვის „დამატების“ სახით მარსეული გასწორებანი ა. ცაგარლის აღწერილობისა (დამატება I, გვ. 79—85) და აგრეთვე მოკლე ცნობები ზოგიერთ ხელნაწერზე, რომელიც ა. ცაგარლის აღწერილობებში შეტანილი არ აღმოჩნდა (დამატება II, გვ. 85—87). ამასთანავე ნ. მარმა გადმოიღო მისთვის განსაკუთრებით საინტერესო ტექსტები მათი გამოქვეყნების მიზნით<sup>20</sup>.

ათონის ქართველთა მონასტერში ნ. მარის მუშაობის შედეგად უთუოდ დიდად წაიწია წინ ათონის ქართული ხელნაწერების შესწავლამ. უკეთ გამოჩნდა ათონის კულტურული კერის მნიშვნელობა ქართული მწერლობის განვითარების ისტორიისათვის, მაგრამ ამ კოლექციის მოწესრიგება, მთელი კოლექციის სრული აღწერილობის შედგენა მაინც ვერ მოხერხდა. ამის საჭიროება კი დიდი იყო. ამას სხვებზე უკეთ ისევ ნ. მარი ხედავდა. 1902 წელს ნ. მარი და ივ. ჯავახიშვილი გაემგზავრნენ სინასა და იერუსალიმში ქართული ხელნაწერების გასაცნობად და შესასწავლად. მეცნიერებს ამჯერად მუშაობისათვის მეტი დრო ჰქონდათ. განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდა ნ. მარისა და ივ. ჯავახიშვილის ერთობლივი მუშაობა სინის მთაზე (იერუსალიმში ნ. მარი მარტო გაემგზავრა). მათ გაინაწილეს სინური ხელნაწერები და შეადგინეს ამ კოლექციის პირველი სრული მეცნიერული აღწერილობა<sup>21</sup>.

სინაზე ჩატარებული მუშაობის შედეგებით მეცნიერები კმაყოფილნი დარჩნენ, მაგრამ ამასთანავე მათთვის ნათელი გახდა ისიც, რომ მუშაობის პროცესში წამოჭრილი დიდი კულტურულ-ლიტერატურული საკითხების გადაჭრა

<sup>18</sup> იქვე, გვ. 2.

<sup>19</sup> Н. Марр, Агиографические материалы по грузинским рукописям Ивера, ч. I. Описание пяти пергаментных рукописей, СПб., 1900 г.

<sup>20</sup> Иосиф Аримафейский, Сказание о построении первой церкви в городе Лиде. Грузинский текст по рукописям X-XI вв. исследовал, издал и перевел Н. Марр, т. II. გამოცემის ძირითად ხელნაწერად გამოცენებულა 977 წელს ათონის ხელნაწერი № 9 (Ц 69); ნ. მარმა საგანგებოდ შესწავლა აგიოგრაფიული ტექსტების შემცველი X საუკ. უნიკალური კრებულაც—ათონი № 8 (Ц 67). ამ კრებულიდან, რომელიც 62 საკითხავს შეიცავს, გამოაქვეყნა 8 ტექსტი დრანგული თარგმანით და გამოკვლევით: Patrologia Orientalis, t. XIX, f. 5. p. 653—74. ამავე კრებულთან (ათონი 8) 1902 წელს ათონზე ყოფნისას ალ. ხახანაშვილმა გადმოაღებინა რამდენიმე სვინაქსარული აგიოგრაფიული ტექსტი და 1910 წელს გამოაქვეყნა: Материалы по грузинской агиологии по рукописям X века, с предисловием издал А. Хаканов. Труды по востоковедению, издаваемые Лазаревским Институтом Восточных языков. вып. XXXI. М.

<sup>21</sup> აღწერილობა გამოქვეყნდა მათი გარდაცვალების შემდეგ.



იერუსალიმისა და ათონის ქართული ხელნაწერების აღწერისა და შესწავლის გარეშე ვერ მოხერხდებოდა: „Мы поехали на Синай и в Иерусалим за сырым материалом. Но материалов, захватывающего интереса, оказалось такое обилие, что они подчинили нас себе и в свою очередь сами поставили перед нами ряд новых животрепещущих вопросов по истории христианства в древней Грузии и Армении и по культурному взаимодействию названных сосенок не только между собой, но также с прочими народами передней Азии, преимущественно христианскими. Разрешение этих вопросов облегчилось бы в значительной степени, если бы удалось описать рукописи Иерусалима и Афона с такой полнотой, как теперь описано синайское собрание. На это предприятие я смотрю, как на ближайшую задачу“<sup>22</sup>.

თითქმის 85 წლის წინ დაწერილი ეს სიტყვები დღესაც აქტუალურად ედერს. ქართული ხელნაწერების შესწავლის პიონერებმა (ა. ცაგარელმა, ნ. მარმა და ივ. ჯავახიშვილმა) ნათლად დაინახეს, რომ ქართული მწერლობისა და კულტურის ისტორიის ძირითადი პრობლემების შესწავლისათვის აუცილებელი იყო ძველქართული ხელნაწერების (ადგილობრივი და საზღვარგარეთის კოლექციების) ერთობლივად აღწერა და მათი მთლიანობაში შესწავლა. ამიტომ იყო, რომ საზღვარგარეთის ქართული ხელნაწერების აღწერისა და შესწავლის პარალელურად წამოიწყო მუშაობა ადგილობრივი კოლექციების აღწერილობათა შედგენისა და გამოქვეყნებისათვის (ა. ცაგარელი, თ. ურდანიანი, ე. თაყაიშვილი და სხვ.)<sup>23</sup>. დიდი მასშტაბით ეს სამუშაო გაიშალა საბჭოთა საქართველოში — ჯერ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში, ხოლო შემდეგ ამ განყოფილების ბაზაზე შექმნილ კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში. ამ დიდ სამუშაოსაც საფუძველი ივ. ჯავახიშვილმა ჩაუყარა, მან 1939 წელს შეადგინა ხელნაწერთა აღწერილობის პირველი ინსტრუქცია<sup>24</sup>, რომელიც დაედო საფუძველად, როგორც საქართველოს სახ. მუზეუმის, ისე კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებულ ხელნაწერთა აღწერილობებს.

ნ. მარისა და ი. ჯავახიშვილის შემდეგ საზღვარგარეთის ქართულ ხელნაწერთა კოლექციების აღწერის საქმე განაგრძო ცნობილმა ბიზანტინისტიკმა და ქართველოლოგმა რ. ბლეიკმა. მან გამოაქვეყნა აღწერილობა ჯერ ათონის ქართული ხელნაწერებისა<sup>25</sup>, ხოლო შემდეგ იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქო ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა კოლექციისა<sup>26</sup>. რ. ბლეიკის აღ-

<sup>22</sup> აღწერილობა გამოქვეყნდა მთა გარდაცვალების შემდეგ: Н. Марр, Описание грузинских рукописей Синайского монастыря. И.-Л. 1940, ივ. ჯავახიშვილი, სინის შთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1947.

<sup>23</sup> Н. Марр, Предварительный отчет о работах на Синае, веденных в сотрудничестве с И. А. Джавахишвили, и в Иерусалиме, в поездку 1902 г. (апрель—ноябрь), с. 51. (ცალკე ამონაბეჭდი).

<sup>24</sup> ვრცლად ამის შესახებ იხ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1960, გვ. 19—22.

<sup>25</sup> იხ. საქართველოს სახ. მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (H კოლექცია), აკად. ს. ჯანაშიას საერთო რედაქციით. ტ. I, 1946, გვ. 1.

<sup>26</sup> Blake, R., Catalogue des manuscrits géorgiens de la Bibliothèque de la Laure d'Iviron au Mont Athos, Revue de l'Orient chrétien, 3 Série, t. VIII—IX (1931—34).

<sup>27</sup> Blake, R., Catalogue des manuscrits géorgiens de la Bibliothèque patriarcale grecque à Jerusalem, O. C. 1922—23, № 3—4.

წერილობებში გასწორებულია ა. ცაგარლის აღწერილობათა შეცდომები, ვათვალისწინებულა ნ. მარის ნაშრომებში შეტანილი ცნობები ამ ფონდების ხელნაწერებზე და მისივე შენიშვნები ა. ცაგარლის კატალოგზე. რ. ბლეიკის აღწერილობები, შესრულებული ჩინებული ბიზანტინისტიკისა და ამავე დროს ქართველოლოგის მიერ, ბევრად უფრო სრულია წინა აღწერილობებთან შედარებით, მიუხედავად იმისა, რომ რ. ბლეიკის სამუშაო დრო ათონსა და იერუსალიმში ძალზე შეზღუდული იყო. რ. ბლეიკის აღწერილობები დღემდე ღიდ სამსახურს უწევს მეცნიერებს.

სინასა და იერუსალიმში დაცული მრავალენოვანი ხელნაწერი კოლექციების შესასწავლად და გადასაღებად 1950 წელს იუნესკოს ინიციატივით გაიგზავნა მეცნიერთა მეტად კომპენტენტური კომისია. აღმოსავლური, და მათ შორის, ქართული ხელნაწერების გადაღებას კურატორობდა პროფ. ჟ. ვარიტი. მიკროფირების ეს უმდიდრესი ფონდი გადაეცა ვაშინგტონის კონგრესის ბიბლიოთეკას. ამ დროიდან სინა-იერუსალიმის მრავალენოვანი ხელნაწერების მიკროფირები ხელმისაწვდომი გახდა ყველა მეცნიერისათვის. 1956 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფუნდამენტურმა ბიბლიოთეკამ კონგრესის ბიბლიოთეკისაგან შეიძინა სინასა და იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა მიკროფირები. მიკროფირების შესწავლას დაეწაფნენ ჩვენი და უცხოეთის ქართველოლოგები. მოკლე დროში გამოიცა არაერთი უძველესი და უმნიშვნელოვანესი ძეგლი ამ კოლექციებიდან. გადაწყდა არაერთი მანამდე გადაუწყვეტელი პრობლემა ქართული მწერლობის ისტორიისა.

1956 წელს ჟ. ვარიტმა გამოაქვეყნა 36 სინური ხელნაწერის სანიმუშო კატალოგი<sup>27</sup>. ამ კატალოგის გამოცემის, ძირითადად კი ჟ. ვარიტის, ა. შანიძის, ილ. აბულაძის და სხვათა მიერ ცალკეული სინური ხელნაწერების შესწავლისა და გამოქვეყნების შემდეგ აშკარა გახდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ კოლექციების მეცნიერულ დამუშავებას და უმნიშვნელოვანეს ხელნაწერთა მონოგრაფიულ შესწავლასა და პუბლიკაციებს ძველი ქართული მწერლობის ისტორიის მთელი რიგი საკითხების შემდგომი კვლევისათვის. ამასთანავე აშკარა გახდა ისიც, თუ რა მწირი ინფორმაცია გააჩნდათ ქართველოლოგებს ათონის ხელნაწერებზე (სინა-იერუსალიმის ხელნაწერთა კოლექციებთან შედარებით) და რამდენად საჭირო იყო და აუცილებელი ათონის ქართულ ხელნაწერთა კოლექციის მიკროფირების მოპოვება.

1982 წელს განხორციელდა ქართველ მეცნიერთა დიდი ხნის ოცნება. ჩვენი რესპუბლიკის მესვეურთა მხარდაჭერით და ხელშეწყობით მოეწყო ექსპედიცია ათონზე. ექსპედიციის წევრებმა კინორეჟისორმა გ. პატარაიამ და სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერ თანამშრომელმა ა. მიქაბეძემ საქართველოში ჩამოიტანეს ათონის ქართველთა მონასტრის ქართულ ხელნაწერთა თითქმის მთელი კოლექციის მიკროფირები. ამ დროიდან ქართველ მკვლევართა განკარგულებაში აღმოჩნდა კიდევ ერთი ადრეული და მეტად მნიშვნელოვანი ქართული სამწერლობო კერის ლიტერატურული პროდუქცია, რომელიც, სხვა მნიშვნელოვან ხელნაწერებთან ერთად, შეიცავს ამ ლიტერატურული სკოლის ფუძემდებლებისა და თვალსაჩინო მოღვაწეების — ეფთვიმე და გიორგი მთაწმიდელების ავტოგრაფებს და უძველეს ნუსხებს.

<sup>27</sup> G. Garitte, Catalogue des manuscrits géorgiens littéraires du Mont Sinai, Louvain, 1959.



დლიდან მიკროფირების მიღებისა დაიწყო ათონის ხელნაწერთა ინტენ-სიური შესწავლა ჰუმანიტარული დარგების სპეციალისტთა მიერ. აქტიურად ჩაება ამ საქმეში კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის სამეც-ნიერო კოლექტივით. პირველი რიგის გადაუდებელ საქმედ იქნა მიჩნეული ამ კოლექციის სრული აღწერილობის შედგენა. ამ საქმეს აადვილებდა ის, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობის ზოგიერთი ხელნაწერის პირი ინსტი-ტუტის თანამშრომლებს უკვე ხელთ ჰქონდათ და ამზადებდნენ კიდევ გამო-საცემად, ამიტომ გადაწყდა, ათონის ქართული ხელნაწერების აღწერილობის I ნაკვეთში შესულიყო ძირითადად ის ხელნაწერები, რომელთა მეცნიერული შესწავლაც უკვე დაწყებული იყო. ასე გამოიყო ათონის კოლექციიდან სხვა-დასხვა დარგის 18 ხელნაწერი, რომელიც ინსტიტუტის 11 თანამშრომელმა აღწერა. ესენია:

I. მეტაფრასული საკითხავების კრებულები

№ 2. დეკემბრის თვის მეტაფრასი, XII—XIII ს. არ ჩანს გადაწერის ადგილი (აღმწერელი მ. კვაჭაძე).

№ 20. სექტემბრის თვის მეტაფრასი. თარგმანი თეოფილე ხუცესმონაზო-ნისა, დაწერილი მისივე ხელით 1081 წელს კონსტანტინეპოლის ტრიანდაფლი-ვის მონასტერში. ახლავს მნიშვნელოვანი ისტორიულ-ლიტერატურული ცნო-ბების შემცველი ანდერძი (აღმწერელი ნ. გოგუაძე).

№№ 36—37. ნოემბრის თვის მეტაფრასი, თეოფილეს თარგმნილი, დაწე-რილი XI ს. 80-იან წლებში, საფიქრებელია კონსტანტინეპოლში (აღმწერელი ლ. ახობაძე).

II. პატერიკული მასალის შემცველი კრებულები

№ 12. ასკეტიკური კრებული, ანბანური პატერიკის ერთ-ერთი უძველესი, წინა ათონური რედაქციის შემცველი, რომელსაც პარალელები ეძებნება სი-ნურ ხელნაწერებში. გადაწერის ადგილი არ ჩანს. ათონზე გადაწერილი არ უნდა იყოს. X—XI სს. (აღმწერელი მ. დვალი).

№ 17. კრებული. შეიცავს ძირითადად ეფთვიმე მთაწმინდელის მიერ თარ-გმნილ ჰაგიოგრაფიულ ტექსტებს, იოანე ოქროპირის „მარგალიტს“ და ადრე-ული (წინათონური პერიოდის), ორიგინალური შედგენილობის თემატურ პატერიკს, რომელშიც ჩართულია ეფთვიმეს თარგმნილი თემატური პატერი-კიდან ოთხი აპოთეგმა. პატერიკულ მასალას პარალელები ეძებნება სინურ ხელნაწერებშიც. გადაწერილია ათონზე XI ს. (აღმწერელი მ. დვალი).

III. აგიოგრაფიული კრებულები

№ 3. გიორგი ალექსანდრიელის „ცხოვრება იოანე ოქროპირისა“. გადა-წერილია 979—80-იან წლებში ოშკში იოანე თორნიკესა და იოანე ვარაზეაჩეს ბრძანებით (აღმწერელი რ. გვარამია).

№ 72. გიორგი მცირის „გიორგი მთაწმიდლის ცხოვრების“ ერთ-ერთი ძველი, XIII ს. ნუსხა. გადაწერილი შეიძლება იყოს ათონზეც და საკვირველი მთის რომელიმე ქართულ მონასტერში (აღმწერელი ლ. შათირიშვილი)

IV. აგიოგრაფიული-ასკეტიკური კრებულები

№ 40. შეიცავს დოსითეოსის „ცხოვრებას“ და „სწავლანს“, აგრეთვე სხვა აგიოგრაფიულ ტექსტებსა და წმ. მამათა სიტყვებს. X—XI სს. გადაწერილი უნდა იყოს ათონზე. დოსითეოსის „ცხოვრებისა“ და „სწავლანის“ მთარგმნელია ეფთვიმე მთაწმიდელი (აღმწერელი მ. დვალი).

№ 41. იმეორებს ძირითადად № 40 ხელნაწერს (აღმწერელი მ. დვალი).

## V. ჰომილექტიკური კრებულები

№ 32. კრებულის ძირითადი ნაწილი უკავია ეფთვიმის თარგმნილ ბასილი დიდის „სწავლანს“. „დაიწერა მთასა წმიდასა ათონას, ... მონასტერსა წმიდისა იოვანე მახარებლისასა“ 977 წელს. ახლავს ვრცელი ანდერძი, სადაც მოხსენებული არიან იოვანე ქართველი (ეფთვიმის მამა), იოანე თორნიკე-ყოფილი და მათი თანამოღვაწენი: არსენი, თეოდორე და გიორგი, პირველი წევრები ათონის ქართული სამონასტრო ცენტრისა (აღმწერელი ც. ქურციკიძე).

№ 21. მაკარის „სწავლანი“ და „ებისტოლენი“. „სწავლანი“ თარგმნილია ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ. გადაწერილია 1030 წელს „წმიდისა ოლიმპოს საბერძნეთისასა, ქუაბსა, საყოფელსა ქართველთასა, ეკლესიასა წმიდისა ღმრთისმშობლისასა“ გრიგოლის მამობას (აღმწერელი გ. ნინუა).

№ 6. კრებული შეიცავს ფსევდო იოანე ოქროპირის ჰომილიებს. XIII ს. კრებული ძალზე დაზიანებულია. აღწერილობაში პირველად არის გატანილი კრებულის შედგენილობა (შდრ. რ. ბლეიკის და ა. ცაგარლის აღწერილობებს). ერთ-ერთ ჰომილიას ახლავს „შეისწავენი“, რომელიც ეხება ართრონის გამოყენებას ბერძნულ და ქართულ ენებში. გვიანდელ (XVI ს.) ნუსხაში ეს „შეისწავენი“ შესულია დამოუკიდებელ ნაწარმოებად სათაურით — „სიტყუაჲ ართრონისათჳს“ (აღმწერელი მ. შანიძე).

## VI. ნარევი კრებულები

№ 9. „სამოთხის“ სახელით ცნობილი ასკეტკურ-ჰომილექტიკური კრებუ-ლი, გადაწერილი ოშკში 977 წელს. ერთვის მომგებელთა იოანე-თორნიკესა და მისი ძმის იოანე ვარაზვაჩეს ანდერძი, რომელიც შეიცავს ცნობებს ჩორდვანელების დიდი ოჯახის გენეალოგიის შესახებ. მომგებლის ანდერძი დაწერილია უფრო გვიან — 979—980 წლებში მიქაელ მოდრეკილის დისწულის დავითის ხელით (აღმწერელი ნ. ჩხიკვაძე).

№ 79. ნარევი კრებული, შედგენილი, საფიქრებელია, როგორც სასწავ-ლო წიგნი ათონის ქართველთა მონასტრის საკრებულოსათვის. კრებული შედგება ორი ნაწილისაგან: I ნაწილი წარმოადგენს გადანაწერს კრებულიდან, რომელიც შეიცავდა, ძირითადად, ეფთვიმეს თარგმანებს, დაწერილს 991 წელს ეფთვიმეს მიერვე. ეს კრებული ვინმე იოანეს 1041—42 წლებში, გიორგი მთაწმიდლის დეკანოზობის დროს და მისივე ზედამხედველობით და რედაქცი-ით გადაუწერია. ამ ნაწილს ერთვის ეფთვიმესეული ანდერძი (991 წლის ავტოგრაფიდან) და გადამწერის, იოანეს, ანდერძი. II ნაწილი გადაწერილია რამდენიმე გადამწერის მიერ. ბოლონაკლულია (დაკარგული უნდა იყოს ამ ნაწილის ანდერძიც). ეს ხელნაწერი, ეტყობა, მოფიქრებულია გიორგი მთაწმიდლის მიერ როგორც ეფთვიმე მთაწმიდლის თარგმანებისა და ორიგინალური თხზულებების კრებული, რომლის მასალა სასწავლო მიზნებს ემსახურება. II ნაწილი წარმოადგენს შევსებას I ნაწილისა. მომზადებულია ხელნაწერი ათონის ქართველთა მონასტრის სკრიპტორიუმში, რომლის მუშაობას ამ დროისათვის წარმართავდა გიორგი მთაწმიდელი. კრებულში სხვა მასალასთან ერთად შესულია ილარიონ ქართველის ცხოვრების მოკლე რედაქცია და აქამდე უცნობი ეფთვიმის თარგმნილი რამდენიმე აგიოგრაფიული თხზულება. წინამდებარე აღწერილობას ერთვის ეფთვიმეს დაწერილი — „წიგნი, რომელი მამამან ეფთვმე მიუწერა მთაწმიდით თეოდორე ხუცესსა მრეკალსა პასუხად“ (აღმწერელი მ. დოლაჟიძე).

VII ლიტურგიკული კრებულები

№ 30. გიორგი მთაწმიდლის თარგმნილი სვინაქსარი. XI საუკუნის ცნობილ სვინაქსარებს შორის ერთად ერთი თარიღიანი (1071 წლის), გადაწერილია ორი გადამწერის მიერ ათონის ქართველთა მონასტრის სკრიპტორიუმში. მეორე გადამწერია — ევსტრათი დეკანოზი. მომგებელი — გიორგი ოლთისარი (აღმწერელი მ. დოლაქიძე).

№ 85. „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“. XI ს. ხელნაწერი, გადაწერილი ორი გადამწერის — იოანესა და გიორგის მიერ. „ძლისპირნი“ II რედაქციისაა, აქვს ნევემები, ახლავს ჰიმნოგრაფიული ტერმინების შემცველი მინაწერები. აღწერილობაში პირველად არის წარმოდგენილი კრებულის შედგენილობა და მისი მიმართება გამოუქვეყნებელ და გამოქვეყნებულ ძლისპირთა ტექსტებთან. (აღმწერელი გ. კიკნაძე).

№ 86. „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“. XIV—XV სს. შეიცავს საციკრო ძლისპირებსა და ორ ლტყავსას ძლისპირებს.

ამრიგად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ათონის ხელნაწერთა აღწერილობის პირველ ნაკვეთში შევიდა სხვადასხვა შინაარსის 18 ხელნაწერი. ხელნაწერთა რიგითი ნომრები აღწერილობაში მითითებულია რ. ბლეიკის კატალოგის მიხედვით, იქვე კავებში მითითებულია ნომერი ცაგარლისეული კატალოგის მიხედვითაც.

I ნაკვეთში შესული ხელნაწერების უმრავლესობა X—XI საუკუნეებისაა. ამათგან X საუკუნის 3 ხელნაწერი ზუსტად თარიღდება: № 9, გადაწერილი ოშკში 977 წელს, № 3 — გადაწერილი ოშკში 979—80 წლებში, № 32 — გადაწერილი ათონზე იოანე მახარებლის მონასტერში 977 წელს. პირველი ორი ხელნაწერის მომგებელი არიან იოანე თორნიკ-ყოფილი სვინველოზი და მისი ძმა იოანე ვარაზვაჩე, მესამის — იოანე იბერი (ეფთვიმეს მამა) და იოანე თორნიკ-ყოფილი.

„ნაკვეთის“ ოთხი ხელნაწერი თარიღდება X—XI საუკუნეებით: №№ 12, 40, 41, 85, ხოლო № 17 თარიღდება XI საუკუნით.

XI საუკუნის ხელნაწერთა შორის რამდენიმე თარიღიანია: № 21, გადაწერილია ულუმბოს მთაზე 1030 წელს, № 30, გადაწერილია 1071 წელს ათონზე, № 20, გადაწერილია 1081 წელს, შეიცავს თეოფილეს მიერ თარგმნილ სექტემბრის მეტაფრასულ კრებულს, რომელიც მისივე ხელითაა დაწერილი კონსტანტინეპოლის ტრიანდაფლივის მონასტერში; ასევე თეოფილეს თარგმნილია და მისივე ხელითაა დაწერილი ნოემბრის თვის მეტაფრასული საკითხავების შემცველი ორი ხელნაწერი: №№ 36 და 37.

ნაკვეთის 4 ხელნაწერი XI საუკუნის შემდეგდროინდელია: № 6 (XIII ს.), № 2 (XII—XIII ს.), № 72 (XIII ს.), № 86 (XIV—XV ს.).

ამრიგად, ეს ნაკვეთი მნიშვნელოვანია, როგორც აღწერილ ხელნაწერთა სიძველით, ისე მასალის მრავალფეროვნებით. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ნაკვეთში თავი მოიყარეს, ათონის გარდა, სხვადასხვა სკრიპტორიუმებში გადაწერილმა ხელნაწერებმაც (ოშკის ლავრა, ულუმბოს ქართველთა მონასტერი, კონსტანტინეპოლის ტრიანდაფლივის მონასტერი). განსაკუთრებით საინტერესოა X ს. 80-იან წლებში, ჯერ კიდევ ქართველთა ლავრის აშენებამდე, იოანე-თორნიკესა და იოანე ვარაზვაჩეს ბრძანებით ოშკში გადაწერილი ხელნაწერები, რომლებიც გაიგზავნა ოშკიდან ათონზე ადგილობრივი ბიბლიოთეკის შევსების მიზნით.

\*  
\*   \*  
\*

ფოტოების მიხედვით ხელნაწერის აღწერილობის შედგენას ყოველთვის თან ახლავს სირთულეები. შეუძლებელია ფოტოებით ხელნაწერების კოდი-კოლოგიური შესწავლა, ასევე ხელნაწერის სრული ტექნიკური აღწერილობის შედგენა. ამიტომ აღმწერლები ამისათვის სარგებლობდნენ რ. ბლეიკის ათონის ხელნაწერთა აღწერილობით.

მიუხედავად დიდი სურვილისა, რომ აღწერილობები შედგენილი ყოფილიყო სავსებით ერთნაირი წესით და თვალთახედვით, აღმწერელთა დიდი რაოდენობის გამო ამის განხორციელება სრულად ვერ მოხერხდა.

ათონის ქართულ ხელნაწერთა მიკროები და შესაბამისად ფოტოები არ გამოირჩევა მაღალი ხარისხით, რაც აგრეთვე ართულებდა აღმწერელთა მუშაობას, განსაკუთრებით დაზიანებული ხელნაწერების აღწერის დროს. ყოველივე ამის გამო წინამდებარე ნაკვეთი არ შეიძლება დაზღვეული იყოს შეცდომებისაგან, რისთვისაც ავტორთა კოლექტივი წინასწარ იხდის ბოდიშს.

კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ადრე გამოქვეყნებულ აღწერილობათა ტომებისაგან განსხვავებით, პირველად ამ ნაკვეთს ვურთავთ ხელნაწერთა ფოტო-ნიმუშებს შერჩევით<sup>28</sup>. მოსალოდნელი ყველა ხარვეზის მიუხედავად, ჩვენ იმედი გვაქვს, რომ დაინტერესებული მკითხველი ათონის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის I ნაკვეთში ამ მნიშვნელოვანი კოლექციის შესახებ მრავალ საინტერესო დაკვირვებასა და ცნობას იპოვის.

ელ. მეტრეველი.

<sup>28</sup> ფოტოები დაბეჭდა კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფოტოფიქსაციის ლაბორატორიაში ნ. მღებროვმა.

შემოკლებათა სია

1. ილ. აბულაძე, სწავლანი — მამათა სწავლანი, X—XI საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა ილ. აბულაძემ ა. შანიძის რედაქციით, თბილისი, 1955.
2. ილ. აბულაძე, ლიმონარი — იოანე მოსხი, ლიმონარი, ტექსტი გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ილ. აბულაძემ, თბილისი, 1960.
3. დ. ბაქრაძე, ისტორია — დ. ბაქრაძე, ისტორია საქართველოსი, ტფილისი, 1889.
4. პ. ინგოროყვა, თხზულებანი III — პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, III, თბილისი, 1966.
5. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V — კ. კეკელიძე, ეტიუდები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, V, თბილისი, 1957.
6. კ. კეკელიძე, კიმენი — კ. კეკელიძე, ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, კიმენი, ნაწ. I—II, თბილისი, 1918, 1946.
7. კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტ. — კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია ექვს ტომად, ტ. I, თბილისი, 1960.
8. ივ. ლოლაშვილი, სიახლენი — ივ. ლოლაშვილი, ათონის ქართულ ხელნაწერთა სიახლენი, თბილისი, 1982.
9. ნემეძის. — ნემეზიტბული ძლისპირნი, ხელნაწერი 603, გამოსცა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო გ. კიკნაძემ, თბილისი, 1982.
10. თ. ყორღანია, ქრონიკები — ქრონიკები და მასალა საქართველოს ისტორიისა და შწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ყორღანიას მიერ, I, ნაწ. II, ტფილისი, 1892.
11. ძლის. და ღმრთისმშ. — ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი, ორი ძველი რედაქცია X—XI სს. ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ელ. მეტრეველმა, თბილისი, 1971.
12. Ал. Дмитриевский, Описание—Ал. Дмитриевский, Описание литургических рукописей, хранящихся в библиотеках православного Востока, т. I, ч. I. Памятники патриарших уставов и ктиторские монастырские типиконы, Киев, 1895.
13. Н. Марр, Материалы—Н. Марр, Агиографические материалы по грузинским рукописям Ивера, ч. I, СПб, 1900.
14. А. Цагарели, Сведения—А. Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности, вып. I, СПб, 1886.
15. Act. ss.—Acta Sanctorum... collegit I. Bollandus cet., a tomo I Ianuarii (Antverpae, 1643) ad tomum IV Novambris (Bruxellis, 1925)—cf.
16. Aldama, Repertorium—Aldama, Repertorium pseudo-chrysostomicum (Documents, études et repertoires publiés par l'Institut de recherche et d'Histoire des Textes), Paris, 1965.
17. L. Allatii De scriptis—L. Allatii De Symeonis Metaphrestae scriptis diatriba, Paris, 1964.
18. Assemani — J. S. et St. Ev. Assemani, Sancti Patris Nostri Ephraem Syri opera omnia qua extant Grace, Syriace, Latine, in sex tomos distributa, Gr. I-III, Rome, 1732, 1743, 1746.
19. BHG—Bibliotheca Hagiographica Graeca. I-III, troisième édition par F. Halkin, I-III, Bruxelles, 1957.
20. R. Blake, Catalogue—R. P. Blake, Catalogue des manuscrits géorgiens de la Laure d'Iviron au Mont Athos, Paris, 1932—1934.

21. CPG—Clavis Patrum Graecorum, II, ab Athanasio Chrysostomum, cura et studio Mavritii Geerard, corpus Chrustianorum, Brepols-Turnhout, 1974.
22. Delehay e, Synopsis — H. Delehay e, Synopsis Metaphrastica, Bibliotheca Ha-giographica Graeca, 1909.
23. Doro thée de Gaza —Doro thée de Gaza. D'eu vres spirituelles, Introduction, texte Grec, Traduction et notes par Dom L. Regnault et Dom I. de Preville, moines de Solesmes, Sources Chretiennes, № 92, Paris, 1963.
24. A. Ehrard, Überlieferung—A, Ehrard, Überlieferung und Bestand der hagiogra-phischen und homiletischen Literatur der griechischen Kirche, Texte und Untersu-chungen, Leipzig, 1939.
25. G. Garitte, Catalogue—G. Garitte, Catalogue des manuscrits géorgiens littéraire du Mont Sinaï, Louvain, 1956.
26. Hanckii De byzantinarum —Hanskii De byzantinarum rerum scriptoribus, Lipsiae, 1977.
27. IPG—Initia Patrum Graecorum, I—II, Ch. Baur, Studi et testi, 180—181, Acta del Vaticano, 1955.
28. Makarios /Symeon, Reden—Makarios/ Symeon, Reden und Briefe, Die Sammlung I des Vaticanus Gr. 694 (B), Herausgegeben von Heinz Berthold, I, Berlin, 1973.
29. PG—Patrologia Graeca, ed. J. P. Migne, Paris, 1851.
30. PL—Patrologia Latina, ed. J. P. Migne, Paris, 1851.
31. Savile—Savile, (H.), Τοῦ ἐν ἀγίοις πατρὸς ἡμῶν Ἰωάννου τοῦ Χρυσοστόμου τῶν εὐρισκο-μένων τόμος (ἀ—ή)—Δι ἐπιτελείας καὶ ἀναλωμάτων Ἑβραίων τοῦ Σαβελίου ἐκ πα-λαιῶν ἀντιγραφῶν ἐκδοθεὶς, Etonae, 1612—1613.
32. Spetsieris—I. Spetsieris, Τοῦ ὁσίου πατρὸς ἡμῶν Ἰσαὰκ ἐπισκόπου Νινεὸς τοῦ σύρου τὰ ἐυρεθέντα ἀσκητικὰ atc., Athènes, 1895.



მეტაფრასული კრებული (დეკემბერი). XII—XIII

253 ფ.; 365×265 (ფურცლის ზომები), 305×198 (ტექსტის ზომები), დაწერილია ორ სვეტად, 38 სტრიქონი; ნუსხური, საკითხავების დასაწყისები სინგურით; მოვარდისფრო აღმოსავლური ქაღალდი, მუქი ფერის მელანი, ხეზე გადაკრული მოშავო ტყავის ყდა, ხელნაწერი 1900 წელს არის შეკრული მონაზონ მაკარის მიერ (A 1141, № 6 — ილია ფანცულაის კატალოგი). 1r-ს წინ უძღვის მხედრული შესრულებული სარჩევი. კრებული თავ-ბოლონაკლებია.

ხელნაწერს აქვს როგორც ფურცლობრივი პაგინაცია, რომელიც შესრულებულია მისი გვერდების დაკარგვისა თუ აღრევის შემდეგ, ისე რვეულებრივი სათვალავი.

თითოეულ რვეულში შემავალ ფურცელთა რაოდენობა სხვადასხვაა. ა რვეულს აკლია 4 ფურცელი, აქამად შემორჩენილია მისი მხოლოდ 7 ფურცელი (1r—7v), ე. ი. თავის დროზე ყოფილა 11 ფურცელი. ბ რვეულიც თერთმეტ-ფურცლიანია (8r—18v). გ რვეული იწყება 19r-ზე, დასასრულის აღმნიშვნელი არ ჩანს. არ ჩანს აგრეთვე დ რვეულის დასაწყისის მიმანიშნებელი. ე რვეული იწყება 34r-ზე, შემდეგ რვეულებრივი სათვალავი წყდება 147v-მდე, რომელზეც, როგორც ჩანს, მთავრდება კ თუ კა რვეული. კგ, კდ და კე რვეულები (156r—163v; 164r—169v; 170r—176v) რვა-რვა ფურცლიანია. კვ რვეული (177r—185v) ცხრაფურცლიანია. 201v-ზე მთავრდება კჟ რვეული (კჟ და კწ რვეულები ერთად თხუთმეტფურცლიანია) კთ რვეული (202r—210v) ცხრა-ფურცლიანია, ლ რვეული (211r—218v) რვაფურცლიანია, ლა რვეული (219r—227v) ცხრაფურცლიანია, ლბ რვეული (228r—235v) რვაფურცლიანია. ლგ რვეული იწყება 236r-ზე. ალბათ ლდ რვეულს უნდა მოსდევდეს ლდ რვეული, რომლის დასაწყისისა და დასასრულის მიმანიშნებელი არ ჩანს.

ხელნაწერში რამდენიმე ადგილას ფურცლები შეცდომითაა აკინძული (როგორც ჩანს, დანომკრამდე), რის გამოც ფ. 16 მოთავსებულია 15v-ს შემდეგ. ტექსტის მიხედვით კი იგი 14v-ს უნდა მოსდევდეს; ფურცელი, რომელიც მოთავსებულია 87v-ს შემდეგ, უნდა მოსდევდეს 93v-ს.

ხელნაწერი ნაკლებია არა მარტო თავსა და ბოლოში, არამედ — შუაშიც; აკლია 34v-სა და 35r-ს შორის 1 ფ.; 86v-სა და 87r-ს შორის — 1 ფ.; 90v-სა და 100r-ს შორის — 5 ფ.; 101v-სა და 102r-ს შორის — 2 ფ.; 107v-სა და 108r-ს შორის — 8 ფ.; 134v-სა და 135r-ს შორის — 1 ფ.; 140v-სა და 141r-ს შორის — 1 ფ.

ზოგან ხელნაწერში პაგინაციის დროს ერთი და იგივე ციფრი ორჯერ მეთორდება (ფ. 78, ფ. 150).

კრებულში ზოგჯერ არის ნახტომი პაგინაციაში (თუმცა ხელნაწერს ფურცლები არ აკლია, ხან, პირიქით, არის დაუნომბრავი ფურცლები (39v-სა და 40r-ს შორის).

ბოლო სამ ფურცელზე (251, 252, 253) მსჯელობა ძნელია, რადგან ისინი მიკროფირზე არ არის აღბეჭდილი (თუმცა 250r-ს ჩამოხეული კიდიდან ჩანს მომდევნო ფურცლის, 251r-ს, ნაწილი).

ხელნაწერში რამდენიმე ადგილას მელანია გადასული (3r, 3v, 21r), ერთი ფურცლის (58v) მარჯვენა კიდე ჩამოხეულია.

110v-ზე, მეორე სვეტის ბოლოს, ცარიელი ადგილია, მაგრამ ტექსტი გრძელდება 111r-ზე.

1. [დევკნებერსა დ. წამებაჲ წმიდისა და დიდისა მოწამისა ბარბარასი]. — „...უყო უხილაობაჲ მისი. ხოლო მეორემან მეორე იუდა ქმნითა თ[თ] იგი უჩუწნა ქუაბი, რომელსა შინა [და]მალულ იყო წმიდაჲ, რომლისა მცნობელმან წმიდამან სწყევა მწყემსსა, ვითარცა ელისემან ყრმებთა...“

დასასრული: „...განაბნია ნაცარი საცსენებელი მათი საცსენებელად ამისად და სადიდებელად ქრისტეს, ჭეშმარიტისა ღმრთისა ჩუენისად, რომლისა თანამამსა ყოვლად წმიდითურთ სულითა დიდებამ... ამინ“ (1r—4v).

შენიშვნები: 1. ტექსტი თავნაკულია (დაახლოებით 4 ფ. აკლია). 1r-ზე, ზემო ამაზე, სხვა ხელით ნუსხურადეე მოგვიანებით მიწერილია: „დეკემბრის დ. წმიდისა დიდის მოწამის ბარბარასი“.

2. თარგმანი მეტაფრასული რედაქციისაა. იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები V, გვ. 165.

3. თხზულება მოთავსებულია აგრეთვე A 128 (252r—260v), A 333 (91r—112r), A 878 (110r—128v) ხელნაწერებში.

4. თარგმანი უნდა ეკუთვნოდეს იოანე პეტრიწს. A878 ხელნაწერის 109v-ზე, ტექსტის ბოლოს, იმავე ხელით სინგურით წერია შემდეგი: „ეს მეტრკვრის წამება და ვარვარისა პეტრიწის თქმულია. ამისთვის ორივე ერთად დავსწერე, თუმცა წრფელათეს ძნელსამენელ ჩანს, გარნა სიტყუათა მოსურ[რ]ნითათეს დიდად ტბილია და მეცნიერთაგან ღრმად სასურველ ენამზეობა პეტრიწისა“.

5. ბერძნულად ეს რედაქცია არ დაიძებნა. „თხზულება თავში არ უდგება არც სვიმეონის და არც სხვა ბერძნულ-ლათინურ-ასურულ რედაქციას, მხოლოდ II ნაწილში ემჩნევა კავშირი სვიმეონთან“ (ე. კეკელიძე, კიმენი, I, გვ. XXI V).

6. „ბარბარას წამების“ სხვა რედაქციაც არსებობს. დევკმბრის თვის ბერძნული კრებულების განხილვის საფუძველზე იგი სვიმეონ მეტაფრასტის სახელთანაა დაკავშირებული (L. Allatii, De scriptis..., P. G., 116, p. 125; M. Hanckii, De byzantinarum..., P. G., 116, p. 298; H. Delehaye, Synopsis..., p. 284; A. Ehrhard, Überlieferung..., III, 1; p. 20. ბერძნული ტექსტი გამოცემულია. იხ. BHG, 216; P. G., 116, p. p. 301—316.

7. ქართული თარგმანი მოთავსებულია K 5-სა (6r—1v) და H 1347 (133r—137v) ხელნაწერებში. ამ რედაქციის მთარგმნელად ე. კეკელიძეს იოანე პეტრიწი მიაჩნია. იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 164.

2. [დევკნებერსა ე] „ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა საბამასი. მ. გ. — არარაჲ არს ესოდენ შეუსწორებელ აღმძრველ ყოფად სულისა, გულის-თქუმად სათნოებისა, ვითარცხორებაჲ კაცთა სათნოთაჲ...“

დასასრული: „...და მაშინდა მიეცა მათ მყუდროებაჲ აღუმრღუგველი და მშუდობაჲ ყოვლად შეუძრველი მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა... ამინ“ (4r—51r).

შენიშვნები: 1. თხზულება მეტაფრასული რედაქციისაა. იხ. I. Delehaye, Synopsis..., p. 284; A. Ehrhard, Überlieferung..., III, 1; p. 40; კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 204.

2. ტექსტი შესულია აგრეთვე A 217 (1v), (სამწუხაროდ, მხოლოდ დასასრული), K 5-სა (22r—87r) და K 34 (149v—154v) ხელნაწერებში.

3. მთარგმნელად მიიჩნევენ ეთრემ მიცრეს ან თეოფილე ხუცესმონაზონს. იხ. კ. კეკელიძე, კიმენი, II, გვ. 118, სქ. 3.

2. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა

საქ. სსრ კ. მარქსის  
სახ. სახ რ. ბ.  
გ. ბლინთეაძე

118.511

4. ბერძნული რედაქციის შესახებ იხ. BHG, 1609; Kl. Koikylides, *Bios και πολιτεία του θείου πατρὸς ἡμῶν Σάββα Βεβλιωθήκη τῆς „Néa Σάα“* (Hierosolymis, 1905), 1—96.—Ехс. Gedeon, *Βυζαντινὸν ἱστοριολόγιον* 244—271.

3. [დეკენბერსა ვ] „ცხოვრება და მოქალაქობა ღირსისა მამისა ჩუენისა ნიკოლოზს მთავარეპისკოპოსისა მურასლუკისისა. მ. გ. — ბრძენი რამე სავმარი არს მხატვართა კელი და ძნელ ვიდრემე მათ მიერ მისამგავსებულად ჭეშმარიტება...“

დასასრული: „... რომელმან მხოლოდა პატივითა ბოლო დააკუმთე ბოროტად მსახური მპყრობელობამ და კეთილად განჰვადე საზღვართაგან და ბრწყინვალეთა თანამღვობათა უკმოუწოდე ქრისტეანეთა და პირველსა პატივსა ანაცვალე მეორე ქრისტეს იესუს მიერ... ამინ“ (51r—62r).

შენიშვნები: 1. ტექსტი ნაკლულია (54v-სა და 55r-ს შორის აკლია 1 ფ.).

2. თხზულება მეტაფრასული რედაქციისა. იხ. L. Allatii, *De scriptis...*, P. G., 116, p. 127; A. Ehrhard, *Überlieferung...*, III, 1; p. 14; H. Delehay, *Synopsis...*, p. 284; კ. კეკელიძე, *ეტიუდები*, V, გვ. 200.

3. ტექსტი დაკლულია სხვა ხელნაწერებშიც: A 217 (1v—31v), K 5-სა (87r—107v) და H 1347 (138r—154r).

4. მთარგმნელი არსენ იყალთოელი უნდა იყოს. იხ. A 217 (1v) ხელნაწერის მინაწერი, რომელიც, მართალია, ცუდად იკითხება, მაგრამ მიიწვინებს ჩანს კვლი შემდეგი სიტყვების: „არსენის თარგმნილი...“

5. ქართული თარგმანის შესაბამისი ბერძნული რედაქციის შესახებ იხ. BHG, 1349; P. G., 116, p. 317—356.

6. ა) 53r-ზე არის მინაწერი აშიაზე: „შუმნიერი“, რომელიც ეხება შემდეგ წინადადებას: „რამეთუ სხელთა ტრფილი სავმართა მიმართცა ტრფილ არს აქა წილმხუდართა მეორედობისათა“. ასეთივე მინაწერი შესაბამის ადგილას არის H 1347 ხელნაწერის 140r-ზე.

ბ) 54v-ზე, აშიაზე, მინაწერია: „შუ[ე]ნიერი“, რომელიც ეხება შემდეგ წინადადებას: „უღანბოებამ ვიდრემე დედა დაყუდებისა, ხოლო დაყუდებამ საღმრთოთა წულოლ მოგონებათა და ხედვითა უსაკუთრესითა შემაერთებელ ღმრთისა თანა“.

გ) 54v-ზე არის შემდეგი მინაწერი: „ნავისა კერძოთა სახელნი არიან ესე“, რომელიც ეხება ტექსტში ბერძნულიდან უთარგმნელად და იმავე ბრუნვის ფორმით გადმოტანილ სიტყვებს (ისტუ, პიდალიონი, კალიდია). ასეთივე მინაწერი არის A 217 ხელნაწერის 10r-სა და H 1347 ხელნაწერის 142r-ზე.

4 [დეკენბერსა ზ] „წმიდისა მამისა ჩუენისა ამბროსისის თუს, მედიოლანელ ეპისკოპოსისა. მ. გ. — უალენტანოს, შემდგომად იობიანოს მიცვალებისა, მიითულა სკობრთა მეფობისა და ძმა თუსი, უალენტი, მოიყვანა პეონიათ...“

დასასრული: „...ესრეთ მშვდობით განისუქნა და დაიდვა მედიოლანელთა ეკლესიისა და საკსენებულად ჭეშმარიტად დაუტევა ცხოვრება თუსი და სათნობანი, რომლისა ღირს-გუყვენ უფალმან ჩუენცა მიბაძვებად და მისთა მათ მისაგებლთა და გვრკვნთა მიმთხუცვად მაღლითა... იესუ ქრისტესითა... ამინ“ (62r—68v).

შენიშვნები: 1. თხზულება მეტაფრასული რედაქციისა. იხ. L. Allatii, *De scriptis...*, P. G., 116, p. 126; I. Delehay, *Synopsis...*, p. 284; A. Ehrhard, *Überlieferung...*, III, 2; p. 194; კ. კეკელიძე, *ეტიუდები*, V, გვ. 160.

2. ტექსტი დატულია აგრეთვე სხვა ხელნაწერებშიც: A 217 (31v—46v), K 5 (107v—118r).

3. თხზულების მთარგმნელია თეოფილე ხუცესმონაზონი. A 217 ხელნაწერის 31v-ზე არის მინაწერი: „თეოფილეს თარგმნილი“. ასეთივე მინაწერი არის A 1065 ხელნაწერში (ფ. 1).

4. 65v-ზე არის შემდეგი მინაწერი: „ნუთუ არა სართული ჳამს, თეოფილე“, რომელიც ეხება ტექსტში შემდეგს: „ანუ რომლითა ფერჯითა დასტკებნო სართული იგი მისი წმიდა...“

5. „ცხოვრების“ ბერძნული რედაქციის შესახებ იხ. BHG, 68; P. G., 116; p. p. 861—882.

6. ქართულ ენაზე ამავე ბერძნული რედაქციის მეორე თარგმანიც არსებობს, რომელსაც მიაკუთვნებენ ეფრემ მცირეს. ტექსტი დატულია A 90 (56r—63r) ხელნაწერში. იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 154 (შენიშვნა 1); 155.

5. [დეკნბერსა G] „ცხოვრება და მოქალაქობაა წმიდისა მამისა ჩუენისა პატარისი. მ. გ. — არღა მრავალთა ეგვპტე, გარნა ოდეს შვას, დიდსა შობს...“

დასასრული: „...ხოლო მოღუაწენი იგი და სამღდლონი ჳორცინი მისნი ველთა მიერ ღირსთა შეიმჯრნეს და მიითულანა წმიდამან წინამორბედისა ეკლესიამან, რომელსაცა მრავალნი წარჳზავნიდეს და აღიდებდეს მამასა და ძესა და წმიდასა სულსა... რომელსა შუწნის ყოველივე დიდება... ამინ“ (68v—71v).

შენიშვნები. 1. რ. ბლეის ამ ხელნაწერის აღწერისას გამოჩენია „პატარის ცხოვრება“ (იხ. R. Blake, Catalogue..., p. 305).

2. თხზულების დასაწყისი გაუმართავია. შღრ. „არა მრავალთა შობს ეგვპტე, გარნა ოდეს შვას, დიდსა შობს...“ (K 5, 118r).

3. თხზულება მეტაფრასული რედაქციისაა. იხ. L. Allatii, De scriptis..., P. G., 116, p. 127; I. Delehay, Synopsis..., p. 284; A. Ehrhard, Überlieferung..., III, 2; p. 195; კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 201.

4. ტექსტი დატულია აგრეთვე K 5 (118r—123r) ხელნაწერში.

5. თხზულების მთარგმნელია თეოფილე ხუცესმონაზონი. იხ. მინაწერი K 5 ხელნაწერში (123r). „შეისწავეთ: რამეთუ სიჳაბუკესაცა ვიძულე თარგმანდლოცვა-ყავთ თეოფილეს თუს. თარგმნილი თეოფილესი“.

6. ბერძნული რედაქციის შესახებ იხ. BHG, 1424, P.G., 116, p.p. 357—368.

7. ამავე ბერძნული რედაქციის მეორე თარგმანიც არსებობს, რომელიც დატულია A 90 (63r—67v) ხელნაწერში (იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 201—202).

8. კ. კეკელიძე A 90 ხელნაწერში მოთავსებული ძეგლის მთარგმნელად ვარაუდობს ეფრემ მცირეს (იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 154 (შენიშვნა 1); 155).

9. S 3637 ხელნაწერს ბოლოში (156v) ახლავს მინაწერები, რომლებშიც მოცემულია ცნობები, ამოღებული ერთი ჩვენთვის უცნობი აგიოგრაფიული კრებულისა, სადაც თითოეულ საკითხავთან მიითებულია მთარგმნელი. „პატარის ცხოვრების“ დასასრულს წერია შემდეგი: „ლოცვა-ყავთ ცოდვილისა და ეთის თუს“. ამავე ხელნაწერში შესულ რამდენიმე ტექსტთან მთარგმნელად დაეით ტბელია ნახსენები, როგორც ჩანს, ეს დაეითიც არის ტბელი.

ჩვენთვის ცნობილი არ არის არც ეს ხელნაწერი და არც თარგმანის ტექსტი და ძნელია მსჯელობა „პატარის ცხოვრების“ სხვა თარგმანებთან მის მიმართებაზე მხოლოდ მინაწერში მოყვანილი დასაწყისით.

6. [დეკნბერსა ი] „წამებაა წმიდათა და დიდებულთა მოწამეთა მინაგრმოვენი და ევლრაფოასი. მ. გ. — შემდგომად მაცხოვრისა ჩუე-

ნისა ქრისტეს ქუეყანად მოსლვისა მრავალთა სხუათა შეჰმართეს ლუაწლთა მათ წამებისათა...“

წყდებოა: „...ამას ზედა შეიმოსა სიმკნე ეპისკოპოსმან და განიზრახა, ვითარმედ კმა არს...“ (71v—85v).

შენიშვნები: 1. თხზულება მეტაფრასული რედაქციისაა. იხ. L. Allatii, De scriptis..., P. G., 116, p. 126; M. Hanckii, De byzantinorum..., P. G., 116, p. 298; I. Delehaye, Synopsis..., p. 284; A. Ehrhard, Überlieferung..., III, 2; p. 194; კ. კველიძე, ეტიუდები, V, გვ. 196.

2. ტექსტი ბოლონაყლულია (85v-სა და 86r-ს შორის აკლია 1 ფურცელი).

3. თარგმანი შესულია სხვა ხელნაწერებშიც: K 5 (141r—169r), A 128 (281v—305v).

4. თხზულების ბერძნული რედაქციის შესახებ იხ. BHG, 1271; P.G., 116, p.p. 368—416.

5. ამავე ბერძნული რედაქციის სხვა თარგმანი შესულია A 90 (67v—87v) ხელნაწერში. მთარგმნელად მიიჩნევენ ეფრემ მცირეს. იხ. კ. კველიძე, ეტიუდები, V, გვ. 154.

7. [დეკნებერსა ია. ცხოვრება და დანიელ მესუეტისაჲ]. —

„...და პირველით თმითგანვე მონაზონთა თანა დაიწესა...“

დასასრული: „...ხოლო ბაძვამ მისდა ქონებულთა კეთილთაჲ ჩუენცა თანაზიარ ყოფად განმზადებულ მყოფს მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა... ამინ“ (86r—102v).

შენიშვნები: 1. რ. ბლეკს ამ ხელნაწერის აღწერისას გამორჩენია „დანიელ მესუეტის ცხოვრება“ (იხ. R. Blake, Catalogue..., p. 305—306).

2. თხზულება მეტაფრასული რედაქციისაა. იხ. L. Allatii, De scriptis..., P. G., 116, p. 128; M. Hanckii, De byzantinorum..., P. G., 116, p. 298. I. Delehaye, Synopsis..., p. 284; A. Ehrhard, Überlieferung..., III, 2; p. 194; კ. კველიძე, ეტიუდები, V, გვ. 167.

3. ტექსტი ნაყლულია. „ცხოვრებას“ დასაწყისში აკლია დაახლოებით 3 ფურცელი (85v-სა და 86r-ს შორის), ხოლო შემდეგ (101v-სა და 102r-ს შორის) — დაახლოებით 2 ფურცელი.

4. K 5 ხელნაწერიდან (169r) მოგვეყავს სრული ტექსტის დასაწყისი: „ვიითარივი ქველთა შორის რაჟამს ვინმე ბრძოლათა და ლუაწლთა და ძღვეათათს წარმოიტყოდის...“.

5. „ცხოვრება“ შესულია აგრეთვე K 5 (169r—206v) ხელნაწერში.

6. მთარგმნელი ცნობილი არ არის.

7. თხზულების ბერძნული რედაქციის შესახებ იხ. BHG, 490; P.G., 116, p.p. 969—1037.

8. [დეკნებერსა იბ] „ცხოვრება და მოქალაქობაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა სპირიტონისი. მ. გ. — დიდი სარგებელი არს სულისა ცხოვრებაჲ ახოვანთა და ღმრთისმოყუარეთა კაცთაჲ...“

დასასრული: „...ხოლო გუჰყავნ ჩუენ რასმე კერძოსა მიბაძვებად მრსთა მათ სათნოებათა, რამეთუ ყოვლისავე თქუმად კნინდა და უღონო არს და შეუძლებელ, რაათა ჩუენცა ზიარ ვიქმნნეთ მისთვის განმზადებულთა მათ კეთილთა, მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა... ამინ“ (102v—114v).

შენიშვნები: 1. თხზულება მეტაფრასული რედაქციისაა. იხ. L. Allatii, De scriptis..., P. G., 116, p. 126; M. Hanckii, De byzantinorum..., P. G., 116, p. 297. I. Delehaye, Synopsis..., p. 285, A. Ehrhard, Überlieferung..., III, p. 16; კ. კველიძე, ეტიუდები, V, გვ. 154; 206.

2. ტექსტი შესულია აგრეთვე K 5 (207r—236v) ხელნაწერში.

3. 113r-ზე, ძირითადი ტექსტის გვერდით, გადამწერისავე ხელით მიწერილია, როგორც ჩანს, თხზულების წერისას გამორჩენილი ნაწყვეტი, რომელიც შინაარსობრივად აგრძელებს ძირითად ტექსტს (ის, რაც გვერდითაა მიწერილი, კვადრატულ ფრჩხილებშია მოთავსებული): „უწუოდეთ, შეგობარნო ჩემო, უწყოდეთ, რამეთუ აღრე განვალ ვორცთავან“.

4. მთარგმნელი ცნობილი არ არის.

5. თხზულების ბერძნული რედაქციის შესახებ იხ. BHG, 1648; P.G., 116, p.p. 417—468.

5. ამავე ბერძნული რედაქციის მეორე თარგმანი იხ. A 90-სა (168r—188r) და Sin. 91 (272v—296v) ხელნაწერებში.

6. A 90-სა და Sin. 91 ხელნაწერებში მოთავსებული ტექსტის მთარგმნელია ეფრემ მცირე (იხ. A 90, 168r).

9. [დევენბერსა იგ] „წამებამა წმიდათა და კეთილად მძლეთა მოწამეთა ქრისტესთა: ევსტრატისი, ავქსენტისი, ეფტეენისი, ორესტისი და მარდარისი. მ. გ.—მეფობასა დიოკლიტიანესსა და მაქსიმიანესსა, რომელნი მეფობდეს ყოველსა ზედა სამეფოსა ბერძენთასა, სავსე იყო ყოველი საბრძანებელი მათი საცთურითა კერამისახურებისა წარწყმედისათა...“

დასასრული: „...ხოლო ეპისკოპოსმან სევასტიისამან ფარულად აღილო გუამი წმიდისა ევსტრატისი და წმიდისა ორესტისი და ყოველი ბრძანებული წმიდისა მის მოწამისა მიერ აღასრულა სადიდებელად დიდისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა... ამინ“ (114r—126r).

შენიშვნები: 1. თხზულება მეტაფრასული რედაქციისა. იხ. L. Allatii, De scriptis..., P. G., 116, p. 123; M. Hanckii, De byzantinorum..., P. G., 116, p. 296; I. Delehaye, Synopsis..., p. 285; A. Ehrhard, Überlieferung..., III, 1; p. 20; კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 170.

2. ტექსტი შესულია აგრეთვე K 5 (236v—256v), H 1347 (159v—173r)-სა და A 128 (306r—323v) ხელნაწერებში.

3. Ath. 2-სა და K 5 ხელნაწერებში შესული ტექსტი, კ. კეკელიძის აზრით, დასაწყისში ძველ, კიმენურ, ტექსტს მისდევს, ხოლო ბოლოში — მეტაფრასულს. იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, VIII, გვ. 133 (სქოლიო 3).

4. ცალკე უნდა გამოიყოს Ath. 17-ში (140r—169v) დაცული საკითხავი, რომელიც ამავე რედაქციისაა, ოღონდ Ath. 2, K 5, H 1347, A 128 ხელნაწერებში შემავალ ტექსტთან შედარებით მასში დასაწყისია განსხვავებული და იგი P.G.-ს 116-ე ტომში დაბეჭდილი ბერძნული მეტაფრასული ტექსტის მსგავსია.

5. 114v-ზე, სათაურის შემდეგ, ტექსტისავე ხელით მიწერილია: „თარგმნელი ევთვიმისი“. ასეთივე შენიშვნა იხ. A 128 ხელნაწერში (306r).

6. კ. კეკელიძეს ეჭვითმეს თარგმნილად მაინია ის თხზულებაც, რომელიც შესულია A 95 (538r—558v) და Sin. 11-ში (34v—65r). იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 170.

7. ჩვენი აზრით, გასარკვევია, რომელია ეჭვითმეს თარგმნილი ტექსტი, ის, რომელიც ბერძნულ ენაზე ცნობილია მეტაფრასტის სახელით, თუ ის, რომელიც დაცულია A 95-სა და Sin. 11 ხელნაწერებში.

8. კ. კეკელიძეს ამ ტექსტთან დაკავშირებით მოითხოვული აქვს აგრეთვე A 1104 (114—126) ხელნაწერი, მაგრამ ამ კრებულში ეს საკითხავი არ დასტურდება.

9. 114v-ზე არის მოზრდილი მინაწერი, რომელიც არ იკითხება.

10. 126r-ზე, ტექსტის შუაში, წერია: „აქა ზე აღდგენ ყოველნი“. ასეთივე ჩანართი ამავე ადგილას სინგურით არის A 128 ხელნაწერშიც (323r). როგორც ჩანს, ეს სიტყვები მსმენელთა გასაგონადაა თქმული ღვთისმსახურების დროს.

11. ამ „ცხოვრების“ ბერძნული რედაქციის შესახებ იხ. BHG, 646; P.G., 116, p.p. 468—506.

10. [დეკენბერსა იღ] „წამებაჲა წმიდათა და დიდებულთა მოწამეთა ქრისტესთაჲ თვრსო, ლევკი, კალინიკე, ფილიმონ და აპოლონისი. მ. გ. — უფალი ჩუენი იესუ ქრისტე ეზიარა რაჲ ჯორცთა სიტყუსაებრ დიდისა მის მოციქულისა პავლესსა...“

დასასრული: „...შეკრებოდა ყოველი ერი, განშუშნებულნი ლამპრებითა და შემეკობილნი ვერგვნებითა, და საღმრთოათა გალობითა გალობდეს და ეგრეთ ბრწყინვალედ და დიდად შუშნიერად ადგილსა მას დასხნეს და თითოეული მდიდრად მოისთულებდა მათ მიერ ნაყოფთა საკვრველებისათა სადიდებლად მამისა და ძისა და წმიდისა სულისა... ამინ“ (126v—141r).

შენიშვნები: 1. თხზულება მეტაფრასული რედაქციისა. იხ. L. Allatii, De scriptis..., P. G., 116, p. 128. I. Delehaye, Synopsis..., p. 285. A. Ehrhard, Überlieferung..., III, 2; p. 179; კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 154, სქ. I.

2. ტექსტი შესულია სხვა ხელნაწერებშიც: K 5 (256v—286v), A 90-სა (87v—108r) და Sin. 91-ში (297r—322v).

3. „წამების“ მთარგმნელად მიჩნეულია ეფრემ მცირე. იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 154.

4. ბერძნული რედაქციის შესახებ იხ. BHG, 1845; P.G., 116, p.p. 969—1037.

11. [დეკენბერსა იე] „წამებაჲა წმიდისა მღვდელმოწამისა ელევთერისი. მ. გ. — „ჯაბანი ან დიანოს ოდესმე ჰრომეს მეფობდა, ეშმაკთა და კერპთა გულსმოდგინედ ჰმსახურებდა...“

დასასრული: „...დაჰმარხეს ღმრთისმოყუარებით ქრისტეანეთად, სიმდიდრედ წარუპარველად სულთა უკეთურთა საქმე საოტებელი და ყოველთავე სენთა საკურნებელი სადიდებლად მამისა და ძისა და წმიდისა სულისა... ამინ“ (141r—146r).

შენიშვნები: 1. თხზულება მეტაფრასული რედაქციისა. იხ. L. Allatii, De scriptis..., P. G., 116, p. 123; M. Hanckii, De byzantinarum..., P. G., 116, p. 300; I. Delehaye, Synopsis..., p. 285; A. Ehrhard, Überlieferung..., III, 2; p. 179; კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 171.

2. თარგმანი ეკუთვნის თეოფილე ხუცესმონაზონს. იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 153.

3. ტექსტი შესულია აგრეთვე K 5 (286v—295v) ხელნაწერში.

4. ბერძნული რედაქციის შესახებ იხ. BHG, 571; P.G., 115, p.p. 128—141.

5. ამავე ბერძნული თხზულების მეორე თარგმანს, რომელიც დაცულია A 90-სა (108v—116r) და H 1347 (427v—433r) ხელნაწერებში, ეფრემ მცირის ცნობით, ეკუთვნის დავით ტბელს. იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 155; 171.

6. S 3637 ხელნაწერის მინაწერის მიხედვითაც 156v „ელევთერის წამება“ უთარგმნია დავით ტბელს, მაგრამ არ ჩანს, თუ, კერძოდ, რომელ თარგმანს გულისხმობს მინაწერის ავტორი. იხ. S ფონდის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, V, გვ. 108.

7. დავით ტბელის სახელით ცნობილ ტექსტში, უ. ცინდელიანის აზრით, გამოყოფა ის ფენა, რომელიც თეოფილესეულ თარგმანშია დაცული.

12. „დეკენბერსა იზ. მოსაკვსენებელი დიდისა წინასწარმეტყუელისა დანიელიისი და მის თანა წმიდათა სამთა ყრმათა: ანანიი, აზარიი და მისაელიისი. მ. გ. — აწ ნაბუქოდონოსორ, მეფემან ასურთამან, იჭრულალიმი ბრძოლითა გამოიღო...“

დასასრული: „...სამთა მათ თანა მეგობართა და წინასწარმეტყუელთა ყრმათა მარადის მყოფ არს და არცა ჩუენგან განშორებულ არს შეწევნითა და კელის აპყრობითა სადიდებელად მამისა და ძისა და წმიდისა სულისა... ამინ“ (146v—156v).

**შენიშვნები:** 1. თხზულება მეტაფრასული რედაქციისა. იხ. L. Allatii, De scriptis..., P. G., 116, p. 123; M. Hanckii, De byzantinarum..., P. G., 116, p. 297; I. Delehay, Synopsis..., p. 285; A. Ehrhard, Überlieferung..., III, 2; p. 179; კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 167.

2. თარგმანი შესულია აგრეთვე K 5-სა (296r—313r) და A 128 (324r—337v) ხელნაწერებში.

3. მთარგმნელი ცნობილი არ არის.

4. სათაურის გასწვრივ წერია: „დეკენბერსა იზ“.

5. ბერძნული რედაქციის შესახებ იხ. BHG, 485. P.G., 116, p.p. 372—404.

13. [დეკენბერსა ით] „ღუაწლი წმიდისა და დიდებულისა დიდისა ქრისტეს მოწამისა ვონიფანტე ჰრომისაჲ. მ. გ. — დაღაცათუ სხუათა ქრისტეს მოწამეთა ღუაწლი მრავალსა და დიდსა სარგებელსა შეუქმს მოსწრაფეთა...“

დასასრული: „...იგინი კეთილითა შეცვალებითა შეიცვალნეს, ვნებათა ჯორციელთა კაცობრივ ჰმონეს და ვნებანი ქრისტესთუს უაღრეს კაცთა დაითმინნეს და უბატითა ზედა ვნებათა ახოვნად განძლიერდეს სადიდებელად მამისა და ძისა და წმიდისა სულისა... ამინ“ (156r—162r).

**შენიშვნები:** 1. თხზულება მეტაფრასული რედაქციისა: იხ. L. Allatii, De scriptis..., P. G., 116, p. 125. H. Delehay, Synopsis..., p. 285; A. Ehrhard, Überlieferung..., III, 2; p. 179; კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 173.

2. ტექსტი შესულია აგრეთვე K 5 (327v—336v) ხელნაწერში.

3. მთარგმნელია თეოფილე ხუცესმონაზონი. იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 153; 173.

4. ბერძნული რედაქციის შესახებ იხ. BHG, 281; P.G., 115, p.p. 241—257.

14. დეკენბერსა იზ. „წამება წმიდისა მოწამისა სევასტიანე და მოყუასთა მისთა: ზოის, ტრანკულინო, ნიკასტრატო, კლავდიო, კასტოროს, ტიურტიო, კასტულო, მარკელინუ და მარკოქსი. მ. გ. — მრავალნი და თითო სახეთა ჟამთა აღდგეს ბრძოლად ქრისტესა და მისთა მსახურთა...“

დასასრული: „...ხოლო ოდეს ცხორებისაგან განვიდა და ამიერ მიცვალა, ყოველივე მონაგები თუსი ანდერძად ქრისტეანეთა მიანიჭა სადიდებელად მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესა... რომლისა მადლსა... არსმცა ჩუენ ყოველთა ზედა მოფენად... ამინ“ (162v—168v).

**შენიშვნები:** 1. თხზულება მეტაფრასული რედაქციისა. იხ. L. Allatii, De scriptis..., P. G., 116, p. 127; H. Delehay, Synopsis..., p. 285; კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 205.

2. ტექსტი შესულია აგრეთვე K 5 (313r—327v) ხელნაწერში.

3. მთარგმნელი ცნობილი არ არის.

4. ბერძნული რედაქციის შესახებ იხ. BHG, 1620. P.G., 116, p.p. 791—816.

15. [დეკენბერსა კ] „წამება წმიდისა იგნატი ღმერთშემოსილისაჲ. მ. გ. — აწლა ტრაიანეს ჰრომთა მეფობისა, სკიპტრისა მიძღვებლობასა ეპისკოპოს ანტიოქელთა ეკლესიისა იგნატი იყო...“



დასასრული: „...ესრეთ არა ზოლო ცხორებაჲ, არამედ და აღსასრულიცა იგნატისი მომატყუებელ კეთილთა იქმნა ქრისტესმიერისა სარწმუნოებისა, ნუგეშინისაცემელ ტკივილთა საღმრთოთა, შეურაცხსაყოფელ წუთ ჟამისა ამის ცხორებისა, განმაკრძალებელ მიგნებულთაგან და მოღუაწებაჲ ცხორებისა განწმედლისა მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა... ამინ“ (168v—174r).

**შენიშვნები:** 1. თხზულება მეტაფრასული რედაქციისაა. იხ. L. Allatii, De scriptis..., P. G., 116, p. 123; M. Hanckii, De byzantinorum..., P. G., 116, p. 297; H. Delehaye, Synopsis..., p. 285; A. Ehrhard, Überlieferung..., III, 1. p. 156; კ. კეკელიძე, ებრულება, V, გვ. 168.

2. ტექსტი შესულია აგრეთვე K 5 (336v—346v) ხელნაწერში.

3. მთარგმნელი ცნობილი არ არის.

4. ბერძნული რედაქციის შესახებ იხ. BHG, 815; P.G., 114, p.p. 610—652.

16. „დეკენბერსა კა. წამებაჲ წმიდისა მოწამისა იულიანესი, რომელი იწამა ნიკომიდის. მ. გ. — და კარგსა მასცა და ქალაქთა შორის რჩეულსა ნიკომიდისა მაქსიმიანოს მთავრობდა უსჯულოა...“

დასასრული: „...ხოლო მეფობდა მაშინ უსჯულოთა ზედა მაქსიმიანოს და ჩუენ, მორწმუნეთა, ზედა მეუფებდა და მეუფებს მარადის არსი იგი მამაჲ, ძე და სული წმიდაჲ... ამინ“ (174v—177v).

**შენიშვნები:** 1. თხზულება მეტაფრასული რედაქციისაა. იხ. L. Allatii, De scriptis..., P. G., 116, p. 125; I. Delehaye, Synopsis..., p. 285; A. Ehrhard, Überlieferung..., III, 1. p. 16; კ. კეკელიძე, ებრულება, V, გვ. 185.

2. ტექსტი შესულია აგრეთვე K 5 (346v—354v) ხელნაწერში.

3. მთარგმნელი ცნობილი არ არის.

4. ბერძნული ტექსტის შესახებ იხ. BHG, 963; P.G., 114, p. p. 1437—1452.

17. [დეკენბერსა კვ] „წამებაჲ წმიდისა და დიდებულისა დიდისა მოწამისა ანასტასიაჲსი... მ. გ. — ანასტასია, სიკეთე იგი დედათაჲ, აღმოსცენდა დიდებულსა ჰრომს შინა...“

დასასრული: „...აღმოიხუნა და მიითუალნა ნაწილნი და დიდად შუენიერსა ტაძარსა, შესამსავსსა მისსა, დასხნა საუნჯედ კეთილთა წყაროდ საკურველებათა, სიმრთელედ სულისად, საკურნებელად ჯორცთა, სადიდებელად მამისა და ძისა და სულისა წმიდისა... ამინ“ (177v—190r).

**შენიშვნები:** 1. თხზულება მეტაფრასული რედაქციისაა. იხ. L. Allatii, De scriptis..., P. G., 116, p. 123; I. Delehaye, Synopsis..., p. 285; A. Ehrhard, Überlieferung..., III, 1; p. 15; კ. კეკელიძე, ებრულება, V, გვ. 161.

2. ტექსტი შესულია აგრეთვე K 5 (355r—373r) ხელნაწერში.

3. მთარგმნელი ცნობილი არ არის.

4. ბერძნული ტექსტის შესახებ იხ. BHG, 82; P.G., 116, p.p. 573—609.

18. [დეკენბერსა კვ] „წამებაჲ წმიდათა და ყოვლად დიდებულთათა ქრისტეს მოწამეთაჲ, რომელნი კრიტეს იწამეს. მ. გ. — და სხუაჲ უკუშ სხუასა რასმე მეტყუებელდინ და მიუთხოვბდინ განთქუმულისა მის კრიტისა ჰამბავთა...“

დასასრული: „...რომელთა ოხითა და ვედრებითა ღირსმცა ვართ ყოველნი ქრისტეანენი მართლმადიდებელნი მათ თანავე კეთილთა მათ, მათთვის განმზადებულთა, მადლითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა... ამინ“ (190r—192v).

**შენიშვნები:** 1. თხზულება მეტაფრასული რედაქციისაა. იხ. L. Allatii, *De scriptis...*, P. G., 116, p. 123; I. Delehaye, *Synopsis...*, p. 285; A. Ehrhard, *Überlieferung...*, III, 1; p. 5; კ. კეკელიძე, *ეტიუდები*, V, გვ. 150; 225.

2. ტექსტი შესულია აგრეთვე K 5 (391v—395r), K 6 (5v—9v), A 90 (122v—126r)-სა და Ier. 50 (163r—167r) ხელნაწერებში.

3. თარგმანი ეკუთვნის დავით ტბელს. იხ. კ. კეკელიძე, *ეტიუდები*, V, გვ. 150; 198; 225; კიშენი, I, გვ. XVIII; S 3637 (156v) ხელნაწერის მინაწერი.

4. A 188 ხელნაწერი (121v—124v) მოთავსებულია „ათთა კრიტელთა წამების“ ტექსტი, რომლის ძალიან დიდი ნაწილი სიტყვა-სიტყვით ემთხვევა (ეს დამთხვევები აბზაცებადაა გაფანტული მიუღს საკითხავში) Ath. 2-ში, K 5-ში, K 6-ში, A 90-სა და Ier. 50-ში შესულ თარგმანსა და P.G.-ს 116-ე ტომში მოთავსებულ ბერძნულ ტექსტს. საკითხავს ის ადგილები, რომლებიც ზემოთ დასახელებულ ხელნაწერებში შემავალ ტექსტს არ ემთხვევა, არ არის დადგენილი, რა რედაქციისაა და ვინ არის მთარგმნელი.

5. ბერძნული რედაქციის შესახებ იხ. BHG, 1197; P.G., 116, p.p.565—573.

19. [დევკენბერსა კდ] „ცხორებაა და მოქალაქობაა და ღუაწლი წმიდისა ღირსმოწამისა ქრისტესისა ევგენიასისი და მშობელთა მისთაა. მ. გ. — კომოდისსა უკუე, შემდგომად მარკოზ მამისა მისისა, პრომელბერისა სკიპტრისა მქონებლობასა და მეშვდედ წლად მთავრობისად აღმავლობასა ფილიპე, ვინმე საჩინოთავანი კაცი, ეპარხოზად ეგვპტისად წარიდგინა...“

დასასრული: „...არამედ დაუსრულებელისა სიხარულისაცა ზიარჰყოფენ, რომლისაა გუყავენ ჩუენცა ყოველთა ღირსყოფამ მადლითა და კაცთ-მოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა... ამინ“ (192v—206v).

**შენიშვნები:** 1. თხზულება მეტაფრასული რედაქციისაა. იხ. L. Allatii, *De scriptis...*, P. G., 116, p. 35; I. Delehaye, *Synopsis...*, p. 286; A. Ehrhard, *Überlieferung...*, III, 1; p. 35; კ. კეკელიძე, *ეტიუდები*, V, გვ. 169.

2. ტექსტი შესულია აგრეთვე K 5 (395r—412r) და K 6 (5v—9v) ხელნაწერებში.

3. თარგმანი ეკუთვნის არსენ იყალითელს. იხ. K 5 (395r) ხელნაწერის მინაწერი, სადაც ტექსტისავე ხელით სათაურთან წერია: „არსენის თარგმნილი“.

4. 193r-ზე არის შემდეგი მინაწერი: „ცან უკუე, ვითარმედ ევგენიასი კეთილ ნათესავად ითარგმანების ელლადელთა ჳმისავან ქართველთა ენად“.

5. ბერძნული ტექსტის შესახებ იხ. BHG, 608; P.G., 116, p.p. 610—652.

20. [დევკენბერსა კზ] „ცხორებაა და მოქალაქობაა ღირსისა მამისა ჩუენისა თეოდორე პირდაწერილისაა და თეოფანე, ძმისა მისისაა. მ. გ. — ქრისტეს ღუაწლის დამდებელთა წმიდათავანნი რომელნიმე კერპთმსახურთა ზე მოღუაწე იქმნეს...“

დასასრული: „...და აწ არს იგი მუნ ყოველთა მიმავალთათჳს სიმრთელედ სულთა, სიმრთელედ ჳორცთა და განმდევნელად ვნებათა საღიდებელად მამისა და ძისა და ყოვლად წმიდისა სულისა... ამინ“ (206r—214v).

**შენიშვნები:** 1. თხზულება მეტაფრასული რედაქციისაა. იხ. L. Allatii, *De scriptis...*, P. G., 116, p. 25; I. Delehaye, *Synopsis...*, p. 286; A. Ehrhard, *Überlieferung...*, III, 1; p. 25; კ. კეკელიძე, *ეტიუდები*, V, გვ. 176.

2. ტექსტი მხოლოდ ათონურ ნუსხაშია დაცული.

3. მთარგმნელი ცნობილი არ არის.

4. 209r-ზე, აშიაზე, მინაწერი არ იკითხება.

5. ბერძნული რედაქციის შესახებ იხ. BHG, 1746; P.G., 116, p.p. 653—684.

21. [დევკენბერსა კც] „წამებაა წმიდისა მოწამისა ინდი და დომნასისი და სიმრავლისა მისითა ბევრთადასა, რომელნი ნიკომიდიას

დაიწუნეს. მ. გ. — აწლა მაქსიმოიანეს მეორესა წელსა ბერძენთა ზედა მეფობისა, აღმავლობასა და უღმრთოებისა ზამთრისა მწარედ განძუნებასა და მოქადულობასა და ეგრეთცა ყუაოდავე ქრისტეანობა...“

დასასრული: „...ამათ შეეძინა საკრველიცა დღეცა კერი, ზინონ დიდებული და თეოფილე... სამნი ქალწულნი — აღაპის ვიტყუ და თეოფილას და დომნას... სადიდებლად ქრისტესა, ჭეშმარიტისა ღმრთისა ჩუენისა, რომელსა შუშნის ყოველივე დიდებდა... ამინ“ (214v—228v).

შენიშვნები: 1. თხზულება მეტაფრასული რედაქციისა. იხ. L. Allatii, De Scriptis..., P. G., 116, p. 123; M. Hanckii, De byzantinarum..., P. G., 116, p. 295; I. Delehay, Synopsis..., p. 286; A. Ehrhard, Überlieferung..., III, 2; p. 180; კ. კეველიძე, ეტიუდები, V, გვ. 182.

2. თარგმანი დაცულია სხვა ხელნაწერებშიც: K 5 (516r—534r), K 6 (32r—56v), A 90-სა (126r—142v) და Sin. 91-ში (152r—170v).

3. თარგმანი ეკუთვნის ექვთიმე ათონელს. იხ. კეველიძე, ეტიუდები, V, გვ. 182.

4. A 168 ხელნაწერში (134r—145v) მოთავსებულია „წამებამ წმიდისა მოწამისა ინი და დომნასი და სიმრავლისა მის ორთა ბერძენთა“, რომლის ძალიან დიდი ნაწილი სიტყვა-სიტყვით ემთხვევა (ეს აბზაცები „ათთა კრიტელთა წამების“ მსგავსად გაფანტულია მთელს საკითხავში) K 5, K 6, A 90-სა და Sin. 91-ში შესულ თარგმანს და P.G.-ს 116-ე ტომში მოთავსებულ ბერძნულ ტექსტს. საკითხავის ის ადგილები, რომლებიც ზემოთ აღნიშნულ ხელნაწერებში შესულ ტექსტს არ ემთხვევა, არ არის დადგენილი, რა რედაქციისა და ვინ არის მთარგმნელი.

5. ბერძნული რედაქციის შესახებ იხ. BHG, 823; P.G., 116, p.p. 1037—1081.

22. [დეკენბერსა კთ] „ცხოვრება და მოქალაქობაა წმიდისა მამისა ჩუენისა მარკელე არქიმანდრიტისა დაუძინებელთა მონასტრისა. მ. გ. — მრავალგზის განვიზრახვედ გონებასა შინა ჩემსა და ვიტყოდე, თუ რამისათვის ბევრეულთა მათ აღმწერელთა და გამომეტყუელთა რომელთამე აღწერნეს ბრძოლანი და წყობანი ჰომთანი...“

დასასრული: „...ხოლო წმიდანი იგი და პატროსანნი კორცნი მისნი კელითა ღირსთადათა წარიგრაგნეს და შეიწყნარნა იგინი დიდმან ეკლესიამან, რომელი-იგი მას საფუძველითგან აღეშენა, ნამდვლვე წმიდასა მონასტერსა შინა წარმოეჩინა სადიდებლად მამისა და ძისა და წმიდისა სულისა... ამინ“ (228v—242r).

შენიშვნები: 1. თხზულება მეტაფრასული რედაქციისა. იხ. L. Allatii, De scriptis..., P. G., 116, p. 124; I. Delehay, Synopsis..., p. 286; A. Ehrhard, Überlieferung..., III, 2; p. 181; კ. კეველიძე, ეტიუდები, V, გვ. 192.

2. თარგმანი დაცულია სხვა ხელნაწერებშიც: K 5 (538v—558r), K 6-სა (56v—83r) და A 188-ში (145v—159v).

3. 233r-დან „მარკელეს ცხოვრების“ საკითხავში ჩართული სსწაულები დაყოფილია თავებად და დანომრილია ა-დან კგ-მდე.

4. მთარგმნელი ცნობილი არ არის.

5. A 188 ხელნაწერში (145v—159v) მოთავსებულია „მარკელეს ცხოვრების“ ტექსტი, რომლის დიდი ნაწილი სიტყვა-სიტყვით ემთხვევა (და ეს დამთხვევები გაფანტულია მთელს საკითხავში) Ath. 2-ში, K 5-სა და K 6-ში შესულ თარგმანს და P.G.-ს 116-ე ტომში მოთავსებულ ბერძნულ ტექსტს. ის ადგილები, რომლებიც ზემოთ აღნიშნულ ხელნაწერებში შესულ ტექსტს არ ემთხვევა, არ არის დადგენილი, რა რედაქციისა და ვინ არის მთარგმნელი.

6. ბერძნული რედაქციის შესახებ იხ. BHG, 1028; P.G., 116, p.p. 705—745.

23. [დეკენბერსა ლა] „ცხოვრება და მოქალაქობაა ღირსისა მელანია რომისა. — იყო სამე და ესეცა საქმე საკუთარ დიდისა მის...“

დასასრული: „...დაჰვლეს აღმოსავალით ნანდკლვე ღირსი იგი ზეცა-თაჲ... სადიდებელად მამისა და ძისა და წმიდისა სულისა... ამინ“ (242v—253v).

შენიშვნები: 1. თხზულება მეტაფრასული რედაქციისაა. იხ. L. Allatii, De scriptis..., P. G., 116, p. 125; M. Hanckii, De byzantinarum..., P. G., 116, 297; I. Delehay, Synopsis..., p. 286; A. Ehrhard, Überlieferung..., III, 1; p. 5; კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 196.

2. ტექსტი შესულია აგრეთვე K 5 (558r—576v), K 6-სა (83r—94v) და A 90 (142v—159r) ხელნაწერებში.

3. მთარგმნელად სავარაუდოდ ასახელებენ ეფრემ მცირეს. იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 154, 196.

4. 246r-ზე, აწიზე, მიწერილია: „დეკენბერსა იზ“.

5. ბერძნული რედაქციის შესახებ იხ. BHG, 1242; P.G., 116, p.p. 753—793.

როგორც უკვე ითქვა (იხ. ტექნიკური აღწერილობა), ხელნაწერს წინ უძღვის მხედრულით შესრულებული სარჩევი:

1. ცხოვრება და მოქალაქობაი წმინდისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა საბაისი 4;

2. ცხოვრება და მოქალაქობაი ღირსისა მამისა ჩვენისა ნიკოლაოზ მთავარესპისკოპოსისა მკრასლუკისა 51;

3. წმინდისა მამისა ჩუენისა ამბროსისთვის, მედიოლანელ ეპისკოპოსისა 62;

4. ცხოვრება და მოქალაქეობაი წმინდისა მამისა ჩვენისა პატაპისი 68;

5. წამება წმინდათა და დიდებულთა მოწამეთა მინა, ერმოგენი და გვლრაფოსი 71;

6. ცხოვრება და მოქალაქეობაი წმინდისა მამისა ჩვენისა სპირიდონისი 102;

7. წამებაი წმინდათა და კეთილად მძლეთა მოწამეთა ქრისტესთა ევსტრატისი, ავქსენტისი, ევგენისი, ორესტისი და მარდარისი 114;

8. წამებაი წმინდათა და დიდებულთა მოწამეთა ქრისტესთა თვირსო, ლეკვი, კალინიკე, ფილიმონ და აპოლონისი 126;

9. წამებაი წმინდისა მღვდელმოწამისა ელეფთერისი 141;

10. მოსახსენებელი დიდისა წინასწარმეტყველისა დანიელისი და მის თანა წმიდათა სამთა ყრმათა — ანანია, აზარია და მისაელისი 141;

11. ღვაწლი წმინდისა და დიდებულისა დიდისა ქრისტეს მოწამისა ვონიფანტე რომისი 156;

12. წამებაი წმინდისა მოწამისა სევასტიანე და მოყვასთა მისთა — ზოის ტრანკვილინო, ნიკოსტრატო, კლავდიუ, კასტოროს, ტიურტიო, კასტულო, მარკელინუ და მარკოსი 162;

13. წამება წმინდისა იგნატი ღმერთშემოსილისი 168;

14. წამება წმინდისა მოწამისა იულიანისი, რომელი იწამა ნიკომიდიას 174;

15. წამება წმინდისა და დიდებულისა დიდისა მოწამისა ანასტასიასი 177;

16. წამება წმინდათა და ყოვლად დიდებულთა ათთა ქრისტეს მოწამეთა, რომელნი კრიტეს იწამნეს 190;

17. ცხოვრება და მოქალაქობაი და ღვაწლი წმიდისა ღირსმოწამისა ქრისტესისა ევგენისი და მშობელთა მისთა 192;

18. ცხოვრება და მოქალაქობაი ღირსისა მამისა ჩვენისა თეოდორე პირდაწერილისი და თეოფანე, ძმისა მისისი 206;

19. წამება წმინდისა მოწამისა ინდი და დომნისი და სიმრავლისა მის ორთა ბევრთაისა, რომელნი ნიკომიდიას დაწუნეს 214;

20. ცხოვრება და მოქალაქობაი წმიდისა მამისა ჩვენისა მარკელლე არქიმანდრიტისა დაუძინებელთა მონასტრისი 228;

21. ცხოვრება და მოქალაქობაი ღირსისა მეღანია რომისაი 242.

**შენიშვნა:** სარჩევში გამოტოვებულია „ბარბარას წამება“, რომელიც უნდა უძღვოდეს „საბას ცხოვრებას“, და „დანიელ მესვეტის ცხოვრება“, რომელიც უნდა მოსდევდეს „მინას, ერმოგენისა და ევლრაფოს წამებას“.

3 (52)

**გიორგი ალექსანდრიელი, ცხოვრება იოვანე ოქროპირისა.  
კოზმან მექუტუკლე, აღმოყვანებისათჳს ნაწილთა იოვანე  
ოქროპირისათა. 979—980.**

141 ფ.; 36×24,7; ეტრატე; ყავისფერი ტვიფრული ტყავგადაკრული ხის ყდა ორი საკვებით (R. Blake, Catalogue); საშუალო ზომის ოდნავ დახრილი ნუსხური. 131r-ზე თხზულების სათაური მსხვილი ასოებით და ირიბული სტრიქონებითაა ჩაწერილი. ანდერძი ტექსტის ხელით, ოღონდ უფრო წვრილი და სტილიზებული ასოებით (მოხაზულობის ზედა და ქვედა ხაზებია დაგრძელებული). საზედაო ასოები და პირველი თავის სათაური (2v) მთავრულით, დანარჩენი სათაურების ჩასაწერად თავისუფალი ადგილებია დატოვებული (38r, 77v, 112r). ორ შემთხვევაში (77v, 112r) საზედაო ასოც არ არის ჩაწერილი. ზოგჯერ საზედაო ასოს შემდეგი ასოც, უმეტესად „ა“, შედარებით მსხვილად წერია. ტექსტი ნაწერია ორ სვეტად, თითო სვეტში 25 სტრიქონია; აქვს ქართული რვეულბრძოვი აღრიცხვა; შეიცავს იმ რვეულს; გადამწერი: იოვანე ჩირაი (141r); ადგილი: ოშკის ლავრა (141r); [979—980 წწ.].

1. [გიორგი ალექსანდრიელი]. „ცხოვრება წმიდისა[ა] და ნეტარისა და მოძღურისა ყოვლისა სოფლისა და ვარსკულავისა მის განთიადისაჲ მამისა ჩუენისა იოვანე ოქროპირისაჲ, კოსტანტინეპოვლელ მამამთავრისა. — თავი. დაწყებაჲ ცხოვრებისაჲ: ესე იოვანე ბრძენი, საკუირველი, რჩეული და პატიოსანი იყო ანტიოქიადთ ქალაქით, რომელ არს ასურეთისაჲ...“

დასასრული: „და აღიდებდა ღმერთსა და აკურთხევდა, რომელმან აღიდნის მადიდებელნი მისნი დიდებითა წარუვალითა, რომელსა შუენის დიდებამ და პატივი და თაყუანის-ცემამ... ამენ“ (1r—131r).

**შენიშვნები:** 1. უძღვის შესავალი — „ყოველთა მთხრობელთა ძეგლისა შჯულისათა თქუეს, რომელი იყო უწინარეს მათსა, ზოგთაჲმ სმენითა და ზოგთაჲმ ხილვითა...“ 1r—2r.

2. ძეგლთან დაკავშირებით იხ. CPG, 7979. ქართული ტექსტი გამოცემულია: „იოვანე ოქროპირის ცხოვრების“ ძველი ქართული თარგმანი და მისი თავისებურებანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო რ. გვარამიამ, თბ., 1986. შრომაში ხელნაწერი Ath. 3 აღნიშნულია B ლიტერით. ძირითად ნუსხად გამოყენებულია 968 წ. ხელნაწერი H 2124. იხ. აგრეთვე ილ. აბულაძე, ქართული წიგნები იოანე ოქროპირის ცხოვრებისა და მისი გამოძახილი ძველ ქართულ მწერლობაში, შრომები, III, თბ., 1982, გვ. 16—31. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 23, 129. მისივე, ქართ. ლიტ. ისტ., I, გვ. 521.

2. „თქუმული კოზმან მექუტუკლისაჲ. აღმოყვანებისათჳს ნაწილთა წმიდისა იოვანე ოქროპირისათა კომანით ქალაქად სამეუფოდ კოსტანტინოპოლედ. გ. უ. — შ კრებულნო, ქრისტეს მოყუარენო და სიწმიდისა მოსურნენო, გასმიანდა სიმდიდრენი იგი ღმრთისანი, კეთილად გულსკმა-ყვენით, რომელსა-იგი ქვანიცა ღლადებენ...“

დასასრული: „იგი სწავლათა შენთა ეძიებდეს, რომელთა მიერ ქუეყანით ზეცად ამალღდების და ღმრთისა თანა დამტკიცების, რომლისაჲ არს სიმტკიცე, ძალი და დიდებამ მამისა და ძისა და წმიდისა სულისა... ამენ“ (131r—141r).

**შენიშვნები:** 1. ძეგლიან დაკავშირებით იხ. CPG, 8145. იხ. აგრეთვე კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 92.

2. ხელნაწერს აკლია ერთი ფურცელი 117v-სა და 118r-ს შორის და ორი ფურცელი 125v-სა და 126r-ს შორის.

3. 141r-ზე მარჯვენა სვეტის თავში ტექსტის დასასრული და ანდერძის დასაწყისი წერილადაა ნაწერი (ანდერძი იწყება იმავე სტრიქონზე, რომელზედაც ტექსტი მთავრდება). ანდერძის მეორე ნაწილში კი ასოთა მოხაზულობა თანდათან შევითრად გამოხატულ სტილიზებულ ფორმებს იღებს. ვადაშვარი, როგორც ჩანს, საგანგებოდ ეცადა ანდერძის განსხვავებული ხელით დაწერას.

4. ანდერძის ჩვენებათა მიხედვით ხელნაწერი თარიღდება 979—980 წლებით. კერძოდ, ამის საფუძველს იძლევა იოანე-თორნიკეს მოხსენიება სეინგლოზის ტიტულით, რომელიც მან 979 წ. ბარდა სკლიაროსის აჯანყების დამარცხების შემდეგ მიიღო, იხ: Actes d'Iviron, I, des origines au milieu du XI<sup>e</sup> siècle, édition diplomatique par Jacques Lefort, Nicolas Oikonomidès, Denise Papanchryssanthou avec la collaboration d'Hélène Métréveli, Paris, 1985, p. 8 et n. 1, 23 et n. 5.

5. 1915 წ. ხელნაწერი ათონზე გადაუწერია ილია ბანძელს. მის მიერ შესრულებული პირი ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში A 1144 ნომრით.

6. ხელნაწერი აღწერა ლა: A. Цагарели, Сведения, № 52, с. 83; R. Blake, Catalogue, № 3, p. 21—22.

**ანდერძი:** (ვადაშვარისა) „დიდებამ შენდა, სამებაო, რომელმან ღირს-მყავ ვლახაჲი ესე აღსრულებად საქმისა ამის კეთილისა, რომლისათესაა წადიერ ვიყავი მსახურებისათეს ღმრთიუ-დიდებულთა უფალთა და წმიდათა მამათას: პირველად იოვანე-თორნიკე სინგლოზისათეს და ვარახვაჩე-იოვანესთეს და შვილთა მათთეს ერთობით, აღიდგინნ ღმერთმან და შეიწყალენ წმიდაჲ ოქროპირი, რომლისა მსგავსნი არიან.“

და აღწერე წმიდაჲ ესე წიგნი — ცხოვრებამა წმიდისა იოვანე ოქროპირისაჲ და ნაწილთა უკმოყვანებამა. რომელი კინისა ბუნებასა ჩემსა შეეძლო, არა დამიკლია და გავასრულე ნებითა ღმრთისაჲდა და მადლითა წმსა ოქროპირისაჲთა. ღმერთმან უბედნიერენ თორნიკე სინგლოზისა და წმიდასა ოქროპირსა თანა-დაუსაყდრენ, იოვანე-თორნიკეს და იოვანე-ვარახვაჩეს და შვილთა მათთა ერთავე ცხოვრებათა მეოხეყავ, წმიდაო ოქროპირო.

დაიწერა წმიდაჲ ესე წიგნი ლავრასა შინა დიდებულსა ოშკს, საყოფელსა წმსა და დიდებულსა ნათლისმცემელისასა, წინამძღურობა[ს]ა წმიდისა მამისა საბაასისა, ღმერთმან აღიდგენ და ცოდვანი შეუბღვენ, კელითა ჩემ ვლახაჲისა, საწყალობელისა იოვანე ჩირაქსითა. ღმერთმან დაგაყდროს. ვინ იკითხვიდეთ. ქსენებულმცა ვარ წმიდათა ლოცვათა თქუენტთა, რათა თქუენტცა უფალმან მადლი მოგანიკოს, ამენ. ხოლო რომელი სიუცბით დამეკლოს, ღმერთმან დაგაყდროს. შენდობა ყავთ, რათა ღმერთმან თქუენტცა შეგინდოს. კურთხევაჲი მამისაჲ მწერალსა ზედა, წყალობაჲი ძისაჲ მკითხველსა ზედა, მადლი სულისა წმიდისაჲ მსმენელთა ზედა, ამენ“ (141r-v).

**მინაწერები:** 1. (ტექსტის ხელით, ნუსხური) „ქრისტე, აღიდე თორნიკე პატრიკი“ (26r).

2. (იმავე ხელით, შერეული ნუსხური და მთავრული ასოებით): „ქ<sup>მ</sup>, აღ<sup>ნი</sup> (აღიდე — რ. გ.) პატრიკი“ (35r).

3. (მხედრული): „უფალო იესო ქრისტე, შეიწყალე ილარიონ ბერი ცოდელი“ (1r).

4. (ილია ბანძელის, ნუსხური): „მღვდელ-მთხოზონი ილიამ გადმოეწერე ესე წიგნი უნაკლულად ჩუიე“ (14r).

5. 141r-ზე ბერძნულად წერია: „იოანე ოქროპირის ცხოვრება“. ხელნაწერს კიდევ ჰქონია მინაწერები, რომელთა მიკროფირი არ ჩანს. ილია ბანძელს სხვა მინაწერებიც აქვს გადმოწერილი, რომელთაგან ზოგს თავის კომენტარებს ურთავს, იხ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (A კოლექცია), ტ. IV, შეადგინა ქრ. შარაშიძემ, თბ., 1954, № 1144, გვ. 199.

შენიშვნა: ტექსტისა და ანდერძის ხელთან დაკავშირებით იხ. ტაბულა 1.

6(85)

ჰომილტიკური კრებული [XII—XIII]

170 ფ.; აღმოსავლური ქალაღი; ხეზე გადაკრული შავი ტყავის ყდა; შემორჩენილია შესაკრავების ნაშთები; 37x25,5 სმ. [XII—XIII]; ძალზე დაზიანებული, თავნაკული, რვეულბრივი სათვალავის მიხედვით, დაკარგულია ა—ი% რვეულები. დასაწყისში არის 9 ფურცელი, ძალზე დაფლეთილი, რომელთაგან ერთ-ერთი იმ რვეულის ბოლო ფურცელია; ხელნაწერში შეტანილ თხზულებებს აქვთ რიგითი ნომრები, რომლებიც აგრეთვე მოწმობს, რომ ხელნაწერი თავნაკულია: ამჟამად შემორჩენილია მასში თავდაპირველად იმ—ლგ ნომრებით შეტანილი თხზულებები; ხელნაწერის დაზიანება გამოწვეულია კოროზიული მელნის მიერ: მელანს გაუფუჭებია დარჩენილი ტექსტის დიდი ნაწილიც; მრავალი ფურცელი სულ დაშლილია და ნაფლეთებდა ქცეული; ზოგან ფურცელზე ნაწილები ამოცენილია და დაკარგული; განსაკუთრებით დაზიანებულია ფურცლის გარეთა ნაწილები — კიდის მხარეს ნაწერი სვეტები (რომელთაგან ზოგიერთი სულ ჩაშლილია) და სვეტების დასაწყისი და ბოლო სტრიქონები; შემორჩენილი ნაწილი ძნელი საკითხავია, რადგან მელანი გასულია ფურცლის მეორე მხარეს; რვეულბში მ—ნ ფურცელია, სათვალავი აღნიშნულია ტექსტის ხელით. მიკროფირის პირველი კადრია ერთი გვერდი, რომელიც შესაძლოა ყდის საცავი ფურცელი იყოს; მასზე ჩანს ხელნაწერის ნომერი (№ 85) ა. ცაგარლის ხელით. მიკროფირის პირველი კადრია ერთი გვერდი, რომელიც შესაძლოა ყდის მინაწერები; ტექსტი ნაწერი ორ სვეტად გამართული მქედრო ნუსხური ხელით; ხელნაწერში გვხვდება საზელო მთავრული ასოები დეკორის გარეშე; ყოველი ახალი თხზულება იწყება ახალ სვეტზე; სათაურს წინ მიუძღვის თავსამკალი — სწორკუთხოვანი ჩარჩო ყვავილოვან-ფოთლოვანი სტილიზებული ორნამენტით (ფერები შავ-თეთრ მიკროფილზე არ ირჩევა); ყოველ სათაურთან არის რიგითი ნომრის აღნიშვნელი ასოები. მის მიხედვით ჩანს, რომ ხელნაწერში შეტანილი პირველი 16 თხზულება დაკარგულია; სასვენ ნიშნებად გამოყენებულია წერტილი, ორწერტილი, სამწერტილი, ექვსწერტილი. გვხვდება მახვილის ნიშანი — პატარა დახრილი ხაზი; ტექსტში არის ბიბლიურ ციტატათა მიმათითებელი ნიშნებიც (სვეტების დასწვრივ); მარგინალური შენიშვნები („შეისწავებები“) ტექსტის ხელით: 43r, 44r, 92r, 101v, 109r, 114r, 122r, 133r, 145r, 156v, 166v, შემგაზმეველის ანდერძი 170r; მინაწერები — 85v, 112v, 169v.

1. ი%. მისივე წმიდისა მამისა ჩუენისა იოანე კონსტანტინუპოლელ მთავარეპისკოპოსისა სიტყუად სამარტელისათვს და რომელი ითარგმანების შეს... 10v—16r.

შენიშვნები: 1. სათაურის მომდევნო ტექსტი არ იკითხება, მთელი სვეტი ჩაშლილია. შდრ. PG 59, 535. მომდევნო სვეტების ტექსტი შეესაბამება ზემოთ დასახელებულ ბერძნულს. თხზულების ავტორობა სადავოა, ზოგიერთი წყარო ავტორად მიიჩნევს სვეცერიაანე გაბალონელს. CPG, № 4581. Aldama, Repertorium, 457.

2. ამ თხზულების წინ მოთავსებულ 9 ფრაგმენტულ ფურცელზე (1—9) შემორჩენილი ტექსტის მონაკვეთების რაობის დადგენა არ ხერხდება.

2. ი.შ. მისივე... იო ან ე ო ქ რ ო პ ი რ ი ს ა ... სიტყუაჲ შუროსათეს კეთილმსახურებისა და შობითგან ბრმისათეს. მ. გ. — წყაროდ ნათლისაჲ სიტყუაჲ ღმრთისაჲ... 16v—26v.

შენიშვნა: შდრ. PG 59, 543. თხზულების ავტორობა სადავოა. ზოგიერთის აზრით, ეკუთვნის სევერიაანე გაბალონელს: CPG № 4582. Aldama, Repertorium № 413:

3. ი.თ. მისივე ... იო ან ე ო ქ რ ო პ ი რ ი ს ა... სიტყუსა მისთვის, ვითარმედ „ქრისტე აღმოსავალი აღმოსავალთაჲ“ და ვითარმედ „ადვიდა“ და „შთადვიდა“ და სულისათეს წმიდისა, ვითარმედ „ყოველისა მპყრობელ არს“ მ. გ. — გუშინ ჩუენ, მ ქრისტეს მოყუარენო, წინაჲსწარმეტყუელთა და მახარებელთა შემოსრულთა კმათა მხოლოდშობილისა ღმრთისმეტყუელეზაჲ განგებრწყინვეს... 26v—41v.

შენიშვნა: მომდევნო თხზულება ჩართულია ამ ნაწარმოების ტექსტში, როგორც მისი კომენტარი.

4. [სიტყუაჲ ართრონთათეს]. შეისწავე, რამეთუ ვინაითგან ართრონთა ძლით უმეტრად და ბნელად საგონებელ არს ენასა ჩუენსა ზედა ლექსი თარგმანებული, რომელსა წმიდათა შორის იო ან ე ო ქ რ ო პ ი რ ი მწვალებელთაგან მიღებულად წინა-აღსაღვამელად ჩუენ მართლმადიდებელთა მომართად იტყვს ლექსსა მას იოანე მახარებელის მიერ თქმულსა ძისათეს. და ბერძულსა ენასა შინა ვიდრემე ნათლად ძეს ლექსი იგი, ხოლო გარდამოითარგმანოს რაჲ, დაბნელებების უართრონობისათეს ენისა ჩუენისა... 32r—37v.

შენიშვნა: ნაწარმოები დაწერილია, როგორც კომენტარი წინამდებელი ჰომილის ტექსტის ერთ-ერთი ადგილის განსამარტავად. მისი ტექსტი ნაწერია ცალ სვეტად ოქროპირისეული თხზულების პარალელურად. შინაარსით იგი წარმოადგენს გრამატიკულ ტრაქტატს ბერძნული ართრონის ფორმათა შესახებ. თხზულებაში არის აგრეთვე ქართული და ბერძნული ენების შედარება ართრონთა ქონება-არქონების თვალსაზრისით. „სიტყუაჲ ართრონთათეს“ საინტერესოა, როგორც ქართული გრამატიკული ლიტერატურის უძველესი ცნობილი ნიმუში. ნაწარმოებს ხელნაწერში სათაური არა აქვს. სათაური ნაჩვენებია S 312 (1541 წ.) ხელნაწერის მიხედვით, სადაც „სიტყუაჲ ართრონთათეს“ ცალკე ნაწარმოებად არის შეტანილი (ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა... S კოლექციისა, ტ. I, თბ., 1959, გვ. 373. აღწერილობაში გამოქვეყნებულია ტექსტის დასაწყისი — ხელნაწერის 19 სტრიქონი, ისიც არასრული სახით: ხელნაწერში დამოწმებულ ბერძნულ ართრონთა ყველა ფორმა არ არის ნაჩვენები. S 312 ხელნაწერში ტექსტი შერყენილია, ართრონები გადმოცემულია შეცდომებით, არეულად; ბევრი მთავანი გადაშწერს გამორჩენია). თხზულებას შესახებ იხ. M. Шанидзе, Вопросы языка и грамматики в древнегрузинских рукописях. Тезисы конференции по истории письменности и книги. Ереван, 1977, с. 114; M. Shanidze, An Old Georgian grammatical treatise in a Collection of Homilies attributed to John Chrysostom. Bedi Kartlisa, Revue de Kartvélogie, v. XLII, Paris, 1984. p.56.

5. კ. მისივე... იო ან ე ო ქ რ ო პ ი რ ი ს ა... წმიდის აკაკისთვის და მწყემსისა და ცხოვრისა და კრეტსაბმელისათეს და სალხინებელისა. მ. გ. — კუალად მარტულთა ჯსენებაჲ, კუალად კეთილმოსავთა დღესასწაული... 42r—49v.

შენიშვნა: შდრ. PG 52,827. თხზულების ავტორად მიჩნეულია სევერიანე გაბალონელი (CPG № 4189; Aldama, Repertorium, № 382).



6. კ<sup>ა</sup>, მისივე იოანე ოქროპირისა... უმლიად წმიდისა და ერთ-არსისა სამებისათს. მ. გ. — ძუნად წმიდისა და თანაარსისა და განუყოფელისა სამებისა ენათა აღმღესელნი... 50r—58v.

შენიშვნა: შდრ. PG 48, 1087. თხზულების ავტორი შეიძლება იყოს სევერიიანე გაბალონელი (CPG № 4507, Aldama, Repertorium, № 295).

7. კ<sup>ბ</sup>. მისივე... იოანე ოქროპირისა... უმლიად სარწმუნოებისათს. მ. გ. — სამკურნალოსა მიმსგავსებულ არს ეკლესიით მოძღუარი... 58v—63v.

შენიშვნა: შდრ. PG 60, 767. მიჩნეულია სევერიიანე გაბალონელის თხზულებად (CPG № 4206).

8. კ<sup>გ</sup>. მისივე... იოანე ოქროპირისა... იგავისა მისთვის ბევრეულთა ტალანტთა თანამდებისა [მ. 18,24—34] და ასისა დრაპკნის მიმგდელისა და ვითარმედ ყოვლისა ცოდვისა ძურის კსენებად უძურეს არს მ. გ. — ვითარცა გრძელისა მგზავრობისაგან უკმოქცეული თქუენდა მიმართ...

შენიშვნა: შდრ. PG 51,17. ზოგიერთის აზრით თხზულების ავტორობა საეპქოა (CPG № 4368).

9. კ<sup>დ</sup>. მისივე ... იოანე ოქროპირისა... სიტყუსა მისთვის, ვითარმედ: რომლითა კელმწიფებითა ამას იქმთ? [მ. 21,23]. მ. გ. — დასაბამ მაცხოვარებისა კაცთამსა არს შიში ღმრთისა... 75r—89v.

შენიშვნა: შდრ. PG 56,411 მიჩნეულია სევერიიანე გაბალონელის ნაწარმოებად (CPG № 4193).

10. კ<sup>ე</sup>. მისივე ... იოანე ოქროპირისა... სიტყუსა მისთვის ლუკას სახარებისა, მეტყუელისა: ნაშობნო იქედნეთანო, ვინ გიჩუენა თქუენ სივლტოლად გულგებადისაგან რისხვისა [ლ. 3,7] და მეერგასისათს. მ. გ. — ლამპარი კეთილმსახურებისა და ქადაგებად ღმრთისმსახურებისა არს განათლებად... 90r—105v.

შენიშვნა: შდრ. PG 64, 1365; მითითებულია თხზულების დასაწყისი; ბერძნული ტექსტი გამოცემული არ არის. მიჩნეულია სევერიიანე გაბალონელის ნაწარმოებად.

11. კ<sup>ვ</sup>. მისივე... იოანე ოქროპირისა... შესხმად წმიდათა მოწამეთა. მ. გ. — მოწამეთა ვიდრემე კრებად შემტკიცების ჩუენდა... 105v—112r.

შენიშვნა: შდრ. PG 64, 1367; მითითებულია თხზულების დასაწყისი, ტექსტი გამოცემული არ არის.

12. კ<sup>ზ</sup>. მისივე ... იოანე ოქროპირისა ... სიტყუად მშუდობისათს მ. გ. — ანგელონი ზეცათა ხორომსა შემამტკიცებელნი ახარებდეს მწყემსთა... 112v—117v.

შენიშვნა: შდრ. A. Παπαδοπουλο-Κεραμευ, 'Ανάλεκτα Ἱεροσολομικῆς σταχυολογίας, I. Πετροπ., 1891, 15. ავტორად მიჩნეულია სევერიიანე გაბალონელი.

13. კ<sup>შ</sup>. მისივე... იოანე ოქროპირისა... სამოციქულომსათს სიტყუსა, ვითარმედ: თავს-გედვა თუმცა ჩემისა მცირელი რამე უგუნურებისა [12 კორ. 11, 11]. მ. გ. — ყოველთა ვიდრემდე ვკუყუარობ წმიდათა, ხოლო უფრომსლა ნეტარსა პავლეს... 117v—125r.

შენიშვნა: შდრ. PG 51,301; ავტორობის შესახებ ერთიანი აზრი არ არის (I PG, I, S. 73; II, S. 285; Aldama, Repertorium, № 392; CPG, №4384).

14. კთ. მისივე ... იო ან ე ო ქ რ ო პ ი რ ი ს ა ს ი ტ ყ ვ ა მ ის თ ვ ს, ვ ი თ ა რ -  
მ ე დ: კ მ ა არ ს შ ე ნ დ ა მ ა დ ლ ი ჩ ე მ ი, რ ა მ ე თ უ ძ ა ლ ი ჩ ე მ ი უ ძ ლ უ რ ე ბ ა ს ა შ ი ნ ა ს რ უ ლ  
ე ქ მ ნ ე ბ ის [2 კ ო რ. 12,9]. მ. გ. — ო დ ე ს ყ ო ვ ლ ა დ შ ე წ ყ ო ბ ი ლ ს ა ა მ ა ს ს ო ფ ლ ის ა  
და ს ა ბ ა მ ა ს ა ა ლ ა მ შ ა დ ე ბ ლ ა ღ მ ე რ თ ი... 125r—135v.

შენიშვნა: შდრ. PG 59,507. ცნობილია, როგორც ფსევდოქრიზოსტომისე-  
ული (IPG, II—S. 188); ზოგიერთის აზრით, ეკუთვნის სევერიანე გაბა-  
ლონელს (Aldama, Repertorium, № 346, CPG, № 4576).

15. ლ<sup>ა</sup>. მისივე... იო ან ე ო ქ რ ო პ ი რ ი ს ა... ს ი ტ ყ უ ა უ ძ ლ ე ბ ის ა თ ვ ს  
[ძისა] და ხისა ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა და ავაზაკისათვის. მ. გ. —  
პირველად ჩუენდა, ძმანო, დიდმან და ღმრთივ-შუენიერმან მაცხოვრისა გამო-  
ჩინებამან... 136r—145r.

შენიშვნა: შდრ. PG 59,627. თხზულებს ავტორად ნეარაუდევია სევე-  
რიანე გაბალონელი (Aldama, Repertorium, № 446, CPG № 4200).

16. ლ<sup>ა</sup>. მისივე ... იო ან ე ო ქ რ ო პ ი რ ი ს ა ... ლ უ კ ა მ ს თ ა ვ ს ა ს ა ხ ა რ ე -  
ბ ა ს ა შ ი ნ ა წ ე რ ი ლ ის ა დ რ ა ქ მ ის ა თ ვ ს და ს ი ტ ყ ვ ა მ ის თ ვ ს, ვ ი თ ა რ მ ე დ: კ ა ც ს ა ვ ის -  
ზე ე ს ხ ნ ე ს ო რ ძ ე [ლ. 15,8]. მ. გ. — კ უ ა ლ ა დ წ ი ა ღ ნ ი ქ რ ის ტ ე ს ნ ი და უ ც ბ რ ო მ ე ლ -  
თ ა წ ყ ა ლ თ ა ს ი ყ უ ა რ უ ლ ის ა თ ა ა ღ მ ო ა ც ე ნ ე ბ ე ნ ... 145r—148r.

შენიშვნა: შდრ. PG 61,781. თხზულება მიჩნეულია ფსევდოქრიზოსტომისე-  
ულად (IPG II, S. 280; Aldama, Repertorium, № 386; CPG, № 4661).

17. ლ<sup>ბ</sup>. მისივე ... იო ან ე ო ქ რ ო პ ი რ ი ს ა... გ ა ნ რ ლ ე უ ლ ის ა თ ვ ს ს ა რ -  
თ უ ლ ი თ შ თ ა ტ ე ვ ე ბ უ ლ ის ა, ვ ი თ ა რ მ ე დ არ ა ი გ ი არ ს ი ო ა ნ ე ს თ ა ვ ს ა შ ი ნ ა წ ე რ ი ლ ი  
და ძისა მამისა თანა სწორებისათვის მ. გ. — მიმთხუეულთა განრღუეულისათა  
პირველად საბანელისა შორის ცხედარსა ზედა მდებარისათა მრავალი და დიდი  
საუნჯე ვპოეთ... 148v—160v.

შენიშვნა: შდრ. PG 51,57. ზოგიერთ ავტორთა მიერ მიჩნეულია ფსევდო-  
ქრიზოსტომისულად (CPG, № 4370, IPG, II, S. 321).

18. ლ<sup>გ</sup>. მისივე... იო ან ე ო ქ რ ო პ ი რ ი ს ა... ვ ი თ ა რ მ ე დ ჯ ე რ არ ს ე რ -  
ვ ა ის თ ა ც ა დ ა და ს ა მ ა რ ა დ ის ო დ მ ა რ ზ ე ბ ის ა ქ ს ე ნ ე ბ ა მ; და ვ ი თ ა რ მ ე დ არ ა ხ ო ლ ო  
მ ა რ ზ ე ბ ა თ ა მ ყ ო დ ო ბ ა მ, არ ა მ ე დ და ქ ს ე ნ ე ბ ა მ ც ა მ ა თ ი ს ა რ გ ე ბ ე ლ არ ს და ღ მ რ თ ის ა  
წ ი ნ ა გ ა ნ გ ე ბ ის ა თ ვ ს და ვ ი თ ა რ მ ე დ ს ხ უ ა თ ა ე თ ა ნ ა არ ა მ ც ი რ ე ნ ა წ ი ლ არ ს ბ უ -  
ნ გ ბ ი თ ი ი გ ი მ შ ო ბ ე ლ თ ა მ შ ო ბ ლ თ ა მ ი ე რ ი ს ი ყ უ ა რ უ ლ ი და ვ ი თ ა რ მ ე დ არ ა მ ა მ ა -  
თ ა დ ა მ ხ ო ლ ო დ, არ ა მ ე დ და დ ე დ ა თ ა ც ა გ ა ნ წ ე ს ე ბ ე ლ არ ს გ ა ნ წ უ რ თ ა დ შ ვ ი ლ თ ა  
და დასასრულსა სიტყვასა ანნაისთვის. მ. გ. — ვინაფთჳან უკუე უცხოთა ვის-  
მე, მოწვეულსა ჩუენდა მომართ, დღეთა რაოდენთამე შემწყწარებელნი სი-  
ყუარულის მზრუნველობით, სიტყუათაცა და ტაბლათა ვიზიარებთ... 161r—  
169v.

შენიშვნები: 1. შდრ. PG 54,631. CPG, № 4411.

2. მარგინალური შენიშვნები („შეისწავებები“) უმეტესად ტექსტში ნახმარი  
ამა თუ იმ სიტყვის ან ადგილის მნიშვნელობას ახსენებენ: „შეისწავე, რამეთუ  
ლომამ ვიდრემე ეწოდებოს ოქსინოზსა და ბისონისა და ძოწეულისა მიერ  
შექმნილსა საოლავსა ქუჭქუჭმომოსასა და ვითარცა ამის გამო ყოველსა ანტი-  
პასა სამოსლისას; ხოლო სფეროტირი ლუედსა ეწოდების სანდალთასა,  
ვითარცა წადმართე თუთ თარგმნის უცხადესად“ (განმარტებულია ტექსტი:  
„უკუეთუ მიველო ლომამთ ვიდრე სფეროტირადმდე ვამლთა“) 109r.  
„შეისწავე, რამეთუ სიბრძნისა სახელი დედალი ბერძულ არს; ხოლო სიბრძნე  
ღმრთისაჲ ქრისტე არს; და ვინაფთჳან დედალი არს სახელი მისი, ამისთვის დედა-

3. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა

კაცისა სახელსა უწოდს ქრისტესა მახარებელი, უფროსდა სული წმინდა მის მი-  
 ერ“ 145r.

3. ცნობები ხელნაწერის შესახებ: ა) „ქართული წიგნების სახელები ივე-  
 რის მონასტრისა შინა მდებარეთა მთაწმიდას“. კატალოგი შედგენილია ილ-  
 რიონ [ყ ა ნ ჩ ა შ ვ ი ლ ი ს] მიერ. კატალოგში მოყვანილია ამ ხელნაწერში შე-  
 ტანილი 5 თხზულების სათაური (ი<sup>თ</sup>, კ<sup>ა</sup>, კ<sup>ა</sup>, კ<sup>ა</sup>, კ<sup>ა</sup>). თხზულების სათაურს  
 ახლავს ილარიონის შენიშვნა: „და ამავე თავშიდ მეტყველებს წმიდა ევთვიმე  
 მთარგმნელი, ვითარმედ „ბერძულს ენას კეთილად მოუვალს ართრონი და ქარ-  
 თულს ენაზედ არ მოვაო“. A. Цагарели, Сведения, прил. I, с. 3. ბ) ხელნაწერ<sup>ბ</sup>  
 85-ე ნომრად შეტანილია ა. ცაგარლის კატალოგში, თარიღი ა. ცაგარლის მიხედ.  
 XIV—XVI. შედგენილობა მითითებული არ არის. A. Цагарели, Сведения, I,  
 с. 94. გ) რ. ბლეიკს მოცემული აქვს ტექნიკური აღწერილობა. შედგენილობა ხელ-  
 ნაწერისა გატანილი არ არის, ნათქვამია მხოლოდ, რომ ტექსტი შეიცავს ფრაგ-  
 მენტებს იოანე ოქროპირის თხზულებათაგან, რომელთა იდენტიფიკაცია  
 მას შეუძლებლად მიაჩნია ხელნაწერის დაზიანების გამო. სავარაუდო მთარგმნე-  
 ლად დასახელებულია ეფრემ მცირე. თარიღი, რ. ბლეიკის მიხედვით—  
 XVII ს. R. Blake, Catalogue, p. 25. დ) M. Shanidze, An ancient Georgian  
 grammatical Treatise in a Collection of Homilies attributed to John Chrysos-  
 tom. Bedi Kartlisa, XLII, Paris, 1984.

4. მთარგმნელის შესახებ ხელნაწერში ცნობები არ მოიპოვება. ხელნაწე-  
 რის ტექსტი ეფრემ მცირის ლიტერატურული სკოლის წარმომადგენლის  
 ნათარგმნი ჩანს და ახლო მისდევს ბერძნულ დედნებს. „სიტყუაა ართრონთავს“  
 დაწერილი უნდა იყოს მთარგმნელის მიერ.

მინაწერები: 1. „(XIII—XIV ს. ნუსხურით) ამისსა შემკაზმელსა კუქკა-  
 შვილსა მიქელს შნ ღწ. მამსა მისსა აზარიასა და მისსა მუღლესა.  
 მარგლიტს შნ ღწ“ (170r).

2. (იმავე ხელით) „სულსა ხუცურის ძესა და მოძღუარსა დევნუსეს  
 შნ ღწ. სულსა ყანდაურალსა შნ ღწ“.

3. (XV—XVI ს. ნუსხურით) „იოვანე ოქროპირისა მადლო, შეი-  
 წყალე გერმანე და მისსა მუღლესა გულმაის შნ ღწმწ. იოვანე  
 ოქროპირისა მადლო, ერთი ძე უტოცხუე. ამინ“ (170r).

4. (XIX ს. მხედრულით) „წმინდაო იოანე ოქროპირო, შემეწეე და  
 მეოხ მეყვე მე ცოდვილს ილარიონ ბერსა“ (170r).

5. „ქ. წმინდაო ღმერთო, წმინდაო ძლიერო, წმინდაო უკვალო, იუ ქრის-  
 ტე, შეიწყალე ფდ ცოდვილი და გლახიკი ვენედიკტონ. აწ წელთა ჩუკაჲ“  
 (=1823; 170r).

## 9(69)

### ასკეტიკურ-ჰომილეტიკური კრებული. 977 წ.

377 ფ.; თეთრი ეტრატი; ხეზე გადაკრული ტოლოს ყდა, ყუა — ყავისფერო  
 ტყავისა; ასომთავრული; შავი მელნით, სათაური და საზედაო ასოები სინგურით;  
 ტექსტი წერია ორ სვეტად, 25 სტრიქონი; ხელნაწერის ზომა — 347×280 მმ;  
 სვეტისა — 260×95 მმ. სვეტებს შუა შუალედი — 260×95 მმ; 977 წ. (377v); გა-  
 დამწერი — სტეფანე დეკანოზი (377v); დამკვეთნი — იოანე-თორნიკე და იოანე  
 ვარაზეაჲე (376v), მომგებლის ანდერძის დამწერი — დავითი, დისწული მიქაელ  
 მორდკეილისა (377v); გადაწერის ადგილი — ოჟი (377v); აქვს რვეულებრივი  
 აღრიცხვა; თავნაკლული, აკლია პირველი სტატია და მეორის დასაწყისი.

1. „[ბ]... რამეთუ ნეტარი ანა, დედაი სამოვეველ წინაწარმეტყუელისაჲ,  
 გულსა შინა თვსსა ილოცვიდა..“

დასასრული: „...რომელი მიაგებს ყოველთა საქმეთა მათთაებრ, რომლისა მხოლოდსა არს სუფევად და ძლიერებაჲ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ“ 1r—6r.

2. „გ. თქუმული წმიდისა იოვანე ოქროპირისაჲ მარხვისათჳს. — რაჲმს იმარხვიდე შენ, მკაცო, საზრდელი იგი, რომელი მოგემზადოს შენ...“

დასასრული: „...ვადიდებდეთ სახელსა წმიდასა მისა, რომლისაჲ არს დიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე, ამენ“. 6r—7r.

შენიშვნები: 1. იგივე ტექსტი შესულია: H 1662 (1040 წ.), 34v—36r; ტექსტის შესახებ იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები V, გვ. 80, 116.

2. ტექსტი გამოცემულია: ილ. აბულაძე, სწავლანი, გვ. 25—26.

3. ბერძნული ტექსტი Migne-ის გამოცემაში არ აღმოჩნდა. (იხ. PG 47—62).

3. „დ. თქუმული წმიდისა იოვანე ოქროპირისაჲ მარხვისათჳს და ძვრუკსენებელობისა. კვრილჳსონ. — ვითარცა-იგი, რომელნი ასპარეზსა ცხენითა ერთი-ერთსა უსწრობედ...“

დასასრული: „...და ღირს ვიქმნნეთ მარჯუნით მეუფისა, რომლისაჲ არს დიდებაჲ... ამენ“. 7r—25r.

შენიშვნები: 1. იგივე ტექსტი შესულია: sin. 36 (X), 1v—2v, 64r—67v; sin. 50 (X), 14r—44r, თავაკლულია: H 1662, 36r—60r; S 1339 (X), 1—17; იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები V, გვ. 80, 120;

2. ტექსტი გამოცემულია: ილ. აბულაძე, სწავლანი, გვ. 26—44.

3. ბერძნული ტექსტი Migne-ის გამოცემაში არ აღმოჩნდა (იხ. PG 47—62; შტრ. G. Caritte, Catalogue, pp. 122, 12, 168, 1; CPG, 5175(3)).

4. „ე. თქუმული წმიდისა იოვანე ოქროპირისაჲ ბადებულისათჳს და წინამთვე განჩინებულისა კაცსა ზედა ღმრთისა მიერ კეთილისა გინა ბოროტისა, ვითარმედ არარაჲ არს. კვრილჳსონ. — მრავალნი კაცთაგანნი იტყვედ, ვითარმედ წერილ არსო...“

დასასრული: „...და რაითა მოგუმადლოს ჩუენ ნებაჲ მისი და სათნოეებაჲ, რამეთუ მისი არს მეუფებაჲ და კელმწიფებაჲ და სუფევაჲ აწ... ამენ“ 25v—29r.

შენიშვნები: 1. იგივე ტექსტი შესულია: sin. 26, 67v—70v; sin. 50, 44v—53r; H 1662, 60v—65v; A 126 (1586, XVIII), 185—194; იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები V, გვ. 81, 133.

2. ტექსტი გამოცემულია: ივ. ჯავახიშვილი, Христианский Восток, том II, вып. 3, 1914, с. 270—280; ილ. აბულაძე, სწავლანი, გვ. 44—48.

3. ბერძნული ტექსტი Migne-ის გამოცემაში არ აღმოჩნდა (იხ. PG, 47—62; შტრ. G. Caritte, Catalogue pp. 123, 8, 168, 2; CPG, 5174(4), ივ. ჯავახიშვილი მიიჩნევს, რომ შესაძლოა, ეს ტექსტი რომელიმე ვრცელი ჰომილის ფრაგმენტს წარმოადგენდეს (იხ. Христианский Восток, с. 275)).

5. „ვ. სწავლაჲ წმიდისა იოვანე ოქროპირისაჲ სინანულისათჳს. კვრილჳსონ. — ფრიად ვცოდავთ, ძმანო ჩემნო საყუარელნო...“

დასასრული: „...და მის თანა ვიშუებდეთ უკუნისამდე, რამეთუ მისი არს სუფევად, ძალი და დიდებაჲ მამისა თანა სულით წმიდითურთ... ამენ“. 29r—36r.

შენიშვნები: 1. იგივე ტექსტი შესულია: sin. 36, 70v—71v, 3r—6r; sin. 50, 53r—68r; S 1139, 7—17; H 1662, 65v—75r; იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები V, 33-81, 127;

2. ტექსტი გამოცემულია: ილ. აბულაძე, სწავლანი, გვ. 49—56.

3. ბერძნული ტექსტი Migne-ის გამოცემაში არ აღმოჩნდა (იხ. PG, 47—62; შტრ. G. Garitte, Catalogue, pp. 123,4, 169,3; CPG, 5175(5)).

6. „ზ. თქმული წმიდისა იოვანე ოქროპირისაჲ სინანულისათჳს და ლოცვისა მოუწყინებელად. კვირღესონ. — ძმანო ჩემნო საყუარელნო, მოვიწრაფოთ ტირილით სინანულად...“

დასასრული: „...და შენდა დიდებასა შევსწირავთ მამისა და ძისა და წმიდისა სულისა აწ... ამენ“. 36r—42r.

შენიშვნები: 1. იგივე ტექსტი შესულია: sin. 36, 6r—10r; sin. 50, 68r—82r; S 1139, 17—23; H 1662, 75v—84r; იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 81, 128.

2. ტექსტი გამოცემულია: ილ. აბულაძე, სწავლანი, გვ. 56—63.

3. ბერძნული ტექსტი Migne-ის გამოცემაში არ აღმოჩნდა (იხ. PG, 47—62; შტრ. G. Garitte, Catalogue, pp. 124,5; 169,4; CPG, 5175(6)).

7. „შ თქმული წმიდისა იოვანე ოქროპირისაჲ მოწყალებისათჳს ღმრთისა — წყალობასა და სამართალსა დღითი-დღე გაქებდენ შენ, უფალო...“

დასასრული: „...რომელი მიიღებ მადლობასა და მისცემ წყალობასა შენსა და შეიწირავ თავყუანის-ცემასა აწ... ამენ“. 42r—44v.

შენიშვნები: 1. იგივე ტექსტი შესულია: sin. 36, 10r—12r; sin. 50, 82r—88v; H 1662, 84r—88v; იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 81, 126.

2. ტექსტი გამოცემულია: ილ. აბულაძე, სწავლანი, გვ. 63—66.

3. ბერძნული ტექსტი Migne-ის გამოცემაში არ აღმოჩნდა (იხ. PG 47—62; შტრ. G. Garitte, Catalogue, pp. 124, 6, 170,5; CPG, 5175(7)).

8. „თ. თქმული წმიდისა იოვანე ოქროპირისაჲ თარგმანებაჲ იოვანე მახარებელისაჲ და პავლესი. კვირღესონ. — ამიერი-ტგან ყოველსავე ვიქმოდით, რომელსა შემძლებელ ვიქმნეთ...“

დასასრული: „...რომლისა მიერ ღირს-მყვენ ქრისტე ერთობით ყოველნი მარჯუენეთა მათ თანა, რათა ვადიდებდეთ მამასა თანა სულით წმიდითურთ აწ ... ამენ“. 44v—50v.

შენიშვნები: 1. იგივე ტექსტი შესულია: sin. 36, 12r—16v; sin. 50, 89r—104v; S 1139, 28—37; იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 77,81;

2. ტექსტი გამოცემულია: ილ. აბულაძე, სწავლანი, გვ. 67—73.

3. ბერძნული ტექსტი Migne-ის გამოცემაში არ აღმოჩნდა (იხ. PG 47—62; შტრ. G. Garitte, Catalogue, pp. 124,7, 170,6; CPG, 5175(8)).

9. „ი. თქმული წმიდისა იოვანე ოქროპირისაჲ სინანულისათჳს — გევედრები თქუენ, ძმანო ჩემნო საყუარელნო, რათა იქცეოდით წინაშე ქრისტეს, ღმრთისა ჩუენისა...“

დასასრული: „... და მოგუცეს ჩუენ მადლი მისი საწუთროსა და საუკუნესა, რამეთუ მისა შუენის დიდებაჲ და პატივი აწ ... ამენ“. 50v—59r.

შენიშვნები: 1. იგივე ტექსტი შესულია: sin. 36, 16v—23r; sin. 50, 104v—133r; S 1139, 37—39; იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 81, 129;

2. ტექსტი გამოცემულია: ილ. აბულაძე, სწავლანი, გვ. 73—83.

3. ბერძნული ტექსტი Migne-ის გამოცემაში არ აღმოჩნდა (იხ. PG, 47—62; G. Garitte, Catalogue, pp. 125,8, 170,7; CPG, 5175(9)).

10. „ია. თქმული წმიდისა იოვანე ოქროპირისაჲ მოწყალებისათჳს მდიდრისა მისთვის და ლაზარეს გლაზაკისა. კვირღესონ. — საყუარელნო, სამოთხესა შინა მრავალფერნი ყუაეილნი არიედ...“

დასასრული: „...და მისა შუენის დიდებაჲ და პატივი მამისა და ძისა და წმიდისა სულისა აწ ... ამენ“. 59r—66r.

**შენიშვნები:** 1. იგივე ტექსტი შესულია: sin. 36, 23r—28v; sin. 50, 133r—156v; S 1136, 39—54; H 1662, 110v—120r; იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 80, 113.

2. ტექსტი გამოცემულია: ილ. აბულაძე, სწავლანი, გვ. 83—91.

3. ბერძნული ტექსტი გამოცემულია: PG 60, 707—712; Savile, 926—930; (შდრ. G. Garitte, Catalogue, pp. 125,9, 171,8; CPG 4618; BHGu 939n).

11. „იბ. თქუმული წმიდისა იოვანე ოქროპირისაჲ სოფლისა ამის წარმავალისათჳს, სიკუდილისათჳს და საშჯელისა. კვირილსონ. — იხილეთ, საყუარელნო, რომელთა დაგიტევიბიეს ზრუნვად სოფლისაჲ...“

დასასრული: „...რაჲთა ყოვლადვე მადლობასა და ქებასა შევსწირვიდეთ მისა თანა მამით და სულით წმიდითურთ აწ... ამენ“. 66r—74v.

**შენიშვნები:** 1. იგივე ტექსტი შესულია: sin. 36, 28v—34v; sin. 50, 156v—183v (ბოლონაეული); S 1139, 54—70; H 1662, 120v—131v; იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 81, 131;

2. ტექსტი გამოცემულია: ილ. აბულაძე, სწავლანი, გვ. 91—100.

3. ბერძნული ტექსტი გამოცემულია: PG 60, 735—738; Savile, 968—971; (მიეწერება იოანე თქროპირს); Assemani, C III, 308—314 (მიეწერება ეფრემ ასურს; შდრ. G. Garitte, Catalogue, pp. 126,10; 171,9; CPG, 4622; BHGa, 2103n).

12. „იგ. თქუმული წმიდისა იოვანე ოქროპირისაჲ სიტყუსა მისთჳს მოციქულისა, რომელ თქუა, ვითარმედ ქრისტემან მშუდობა ყო სისხლითა თჳსითა ცათა შინა და ქუეყანასა ზედა. კვირილსონ. ამენ. — მოვედით, ძმანო ჩემნო, და გულისხმა-ვეყოთ სიტყუაჲ იგი...“

დასასრული: „...რომლის არს დიდებაჲ და პატივი და მისა შუენის ქებით თავყუანის-ცემად მამისა და ძისა და წმიდისა სულისა აწ... ამენ“. 74v—80v.

**შენიშვნები:** 1. იგივე ტექსტი შესულია: sin. 36, 34v—38v, S 1139, 70—81; H 1662, 131v—138v; იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 81, 132.

2. ტექსტი გამოცემულია: ილ. აბულაძე, სწავლანი, გვ. 100—107.

3. ბერძნული ტექსტი Migne-ის გამოცემაში არ აღმოჩნდა (იხ. PG 47—62; შდრ. G. Garitte, Catalogue, p. 126,11; CPG, 5175 (10)).

13. „იდ. ებისტოლმე წმიდისა იოვანე ოქროპირისა, რომელი მიუწერა თევდორეს, მთავარსა პრომისასა, რომელი მონაზონობით კულად იქცა სოფლადვე. კვირილსონ. — უკუეთუმცა შესაძლებელ იყო ჩემდა ცრემლთა...“

დასასრული: „...მო-უკუე-გვწერე პასუხი წიგნისა ამის ჩუენისაჲ და ახარე სულთა ჩუენთა ღმრთისა მიერ, რომლისა არს დიდებაჲ... ამენ“. 81r—92v.

**შენიშვნები:** 1. იგივე ტექსტი შესულია: sin. 36, 38v—47v; S 1139, 82—105; იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 71, 12.

2. ტექსტი გამოცემულია: ილ. აბულაძე, სწავლანი, გვ. 107—119.

3. ბერძნული ტექსტი გამოცემულია: PG 47, 277—308; Seville 55—84 (შდრ. G. Garitte, Catalogue, p. 127, 12; CPG, 4305).

14. „იე. ებისტოლმე წმიდისა იოვანე ოქროპირისაჲ თევდორეს მიმართ, რომელმან მონაზონებაჲ დაუტევა და ცოლი შეირთო, რომელი იყო დისწული იონან პრომთა პაპისაჲ. კვირილსონ. ამენ. — იტყუს უფალი პირითა ეზვეციელ წინაწარმეტყუელისაჲთა...“

დასასრული: „...და მან მხოლომან სახიერებითა და კაცთმოყუარებითა თჳსითა მოგაქციენ კულად და შეგერთენ სამწყსოსაჲვე თჳსსა, რამეთუ მოწყალე არს და შემწყყნარებელ და მისი არს დიდებაჲ... ამენ“. 92v—101v.

**შენიშვნები:** 1. იგივე ტექსტი შესულია: sin. 36, 47v—54v; S 1139, 105—123; იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 71,13.

2. ტექსტი გამოცემულია: ილ. აბულაძე, სწავლანი, გვ. 119—128.

3. ბერძნული ტექსტი გამოცემულია: PG 47, 277—316; Savile 55—84 (შდრ. G. Garitte, Catalogue, p. 127,13; CPG, 4305).

16. „[ა]. თქუმული წმიდისა ბასილი ეპისკოპოზისაჲ სინანულსათს — ისმინეთ, საყუარელნო, სიტყუაჲ ღმერთისაჲ...“

დასასრული: „...აწ უკუე ვინაძეთგან უწყით ესე მოვიგოთ სიმდაბლმ იგი აღმამაღლებელი და ვადიდებდეთ ღმერთსა... ამენ“. 101r—110r.

**შენიშვნები:** 1. იგივე ტექსტი შესულია: sin. 36, 54v—62r; S 1139, 123—145; H 1662, 139r—149v; იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 81,130.

2. ტექსტი გამოცემულია: ილ. აბულაძე, სწავლანი, გვ. 128—138.

3. ბერძნული ტექსტი Migne-ის გამოცემაში არ აღმოჩნდა (იხ. PG 47—62, შდრ. G. Garitte, Catalogue, p. 127,14; CPG, 5175(11)).

16. „[ა]. თქუმული წმიდისა ბასილი ეპისკოპოზისაჲ სინანულსათს და სიკუდილისა — არა არს საშინელ კაცთა მბრძოლთათს...“

დასასრული: „...რამთა ვადიდებდეთ სახელსა შენსა წმიდასა, რომელსა შუენის ქებაჲ და თავყუანის-ცემაჲ აწ ... ამენ“. 110r—121v.

**შენიშვნები:** 1. იგივე ტექსტი შესულია: sin. 36, 62r—63v, 77r—78v, 72r—74v; S 1139, 145—171; H 1662, 149v—163r; იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 21,12.

2. ტექსტი გამოცემულია: ილ. აბულაძე, სწავლანი, გვ. 138—151.

3. ბერძნული ტექსტი არ დაიძებნა (შდრ. G. Garitte, Catalogue, p. 128, II, 1).

17. „ბ. თქუმული წმიდისა ბასილი ეპისკოპოზისაჲ შურისათს და სახმ სინანულისაჲ მორწმუნეთათს. კკრილმსონ. — ვითარცა-იგი რაჲ ორბი სპეტაკი იპოვების ყოვლადვე...“

დასასრული: „...რამეთუ მისა შუენის ჩუენ ყოველთა მიერ პატივი და დიდებაჲ მამისა და ძისა და წმიდისა სულისა აწ... ამენ“. 121v—130v.

**შენიშვნები:** 1. იგივე ტექსტი შესულია: Sin. 36, 74v—76v, 81r—85v; S 1139, 171—189; H 1662, 163r—173r; იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 21,13.

2. ტექსტი გამოცემულია: ილ. აბულაძე, სწავლანი, გვ. 151—161.

3. ბერძნული ტექსტი არ დაიძებნა (შდრ. G. Garitte, Catalogue, p. 128,2).

18. „ა. თქუმული მარკოზ მონოზონისაჲ მღურვამ და ყუედრებაჲ ურთიერთს თავისა თვისისაჲ, სულისა და გონებისაჲ მხილებამ. კკრილმსონ. — ისმინე, სულო ჩემო მეტყუელო, თანაზიარო ჩემო...“

შენიშვნები: ბერძნულიდან თარგმნა ეფთჳმე ათონელმა; იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 121, 32; გამოცემულია ა. ხახანაშვილს მიერ (იხ. მისი, Труды по востоковедению, вып. XIX).

2. „ცხოვრება და წამება წმიდათა მოწამეთა ევსტათისი და მეუღლისა მისისა თეოპისტისი და შეილთა მათთა ადაპისი და თეოპისტესი. კირიელესონ. — არს კაცთა თანა წინამდებარე ბუნებითი ცა სწავლათა...“

დასასრული: „...მადლითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისაა არს დიდება და სიმტკიცე თანა მამით და სულით წმიდით უკუნიით უკუნისამდე, ამენ“ 103r—115r.

შენიშვნები: ბერძნულიდან თარგმნა ეფთვიმე ათონელმა. იხ. კ. კეკელიძე, ვტოულები, V, გვ. 125, 72; BHG, 641.

3. „წამება წმიდისა თეკლაჲსი, დედათა შორის პირველ-მოწამისაჲ, სეკდებერსა კდ, კირიელესონ. — მი-რამ-ვიდოდა პავლე იკონია ქალაქად შემდგომად დევნულებისა მისისა...“

დასასრული: „...რომელსა შეუენის დიდება და პატივი თანა მამით და სულით წმიდითურთ უკუნიით უკუნისამდე, ამენ“ 115r—128r.

შენიშვნები: ტექსტი გამოცემულია. იხ.: ილ. აბულაძე, შრომები, I, 1975, გვ. 25—90; კ. კეკელიძე, ვტოულები, V, გვ. 126, 89; BHG, 1710.

4. „თუესა ოკდო[მ]ბერსა კვ., წამება წმიდისა და ყოლად ქებულისა დიმიტრესი, მოწამეთა შორის დიდებულისა. — მას ჟამსა შინა ურჩულომან მეფემან მაქსიმიანე დიომორჩილნა გუთნი და სავრომატნი...“

დასასრული: „...და იქმნებოდეს სასწაულნი მრავალნი მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლის დიდება და სიმტკიცე თანა მამით და სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნიით უკუნისამდე, ამენ!“ 128r—137r.

შენიშვნები: თარგმნა ეფთვიმე ათონელმა. იხ.: კ. კეკელიძე, ვტოულები, V, გვ. 123, 59—60; მისივე, ქართ. ლიტ. ისტ. I, გვ. 207; BHG, 499.

5. სასწაულნი წმიდისა და ღუაწლისა-მძლისა დიმიტრი მოწამისანი, აღწერილნი იოვანეს მიერ თესალონიკელ მთავარებისკობოსისაჲ. — ყოვლისა საქმისა და სიტყუსა და მოგონებისა წინამძღუარ იყავნ...“

წყდება: „...და იხილო მუნ დიდება ღმრთისაჲ, ჩემ მიერ შენ ზედა გამობრწყინებული, და ვითარ განიღუპა ეპარხოზმან...“ 137r—139v.

შენიშვნები: თარგმნა ეფთვიმე ათონელმა. იხ.: კ. კეკელიძე, ვტოულები, V, გვ. 123, 60; მისივე, ქართ. ლიტ. ისტ. I, გვ. BHG, 499.

6. „თუესა დეკემბერსა იგ, წამება წმიდისა ევსტრატისი და მისთანათაჲ: ავქსენტისი, ევგენისი, ორესტისი და მარდარისი, კირიელესონ. — მეფობასა დეოკლიტიანესსა და მაქსიმიანესსა ყოველივე მეფობაჲ ჰრომთა და ბერძენთაჲ აღესებული იყო...“

დასასრული: „...რომლისაა არს დიდება და სიმტკიცე თანა მამით და სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნიით უკუნისამდე, ამენ“. 140r—169v.

შენიშვნა: თარგმნა ეფთვიმე ათონელმა. იხ. კ. კეკელიძე, ვტოულები, V, გვ. 170, 111.

7. „თქუმული წმიდისა და ნეტარისა კლემენტოს ჰრომთა პაპისაჲ, წმიდისა მოციქულისა პეტრეს მოწაფისაჲ, თუ ვითარ სახედ დაემოწაფა იგი წმიდა პეტრეს, რომელი-ესე მიუწერა ჰრომით იერუსალემდ წმიდისა იაკობის მიმართ, ძმისა ღმრთისა, ბრძანებითა წმიდისა მოციქუ-

ლისა, პეტრესითა, კირილეისონ. — კლემენტოს, იაკობს უფალსა ჩემსა და ებისკოპოსსა და ებისკოპოსთა ებისკოპოსსა, მწყემსსა...“

დასასრული: „...ხოლო შენ ცოცხლებით იყოფებოდე. სახელითა მამისაათა და ძისაათა და სულისა წმიდისაათა, რომლისაა არს დიდებამ და სიმტკიცე უკუნით[ი] უკუნისამდე, ამენ, იყავნ“, 169r—249v.

შენიშვნები: თარგმან ეფთვიმე ათონელმა, იხ.: კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 91—92, 130; PL, 11, 469—580.

8. „თუესა ნოემბერსა კე, წამებამ წმიდისა კლემენტოს ჰრომთა პაპისა და პეტრე მოციქულისა მოწაფისა აღწერილი ფიბეოსის მიერ, მოწაფისა მისისა. — ესე წიგნი არს სავსე ზეცისა სიბრძნითა სულიერითა, რომელი აღწერა სანატრელმან კლემენტოს...“

დასასრული: „...მაღლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისაა არს დიდებამ და სიმტკიცე თანა მამით და ყოლად წმიდით სულით აწ და მარადის უკუნითი უკუნისამდე, ამენ“. 250r—261r.

შენიშვნები: 1. თარგმან ეფთვიმე ათონელმა, იხ.: კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 113, 130.

2. ზოგან სხვა ხელით, ნუსხურით გაკეთებულია ტექსტთან დაკავშირებული ჩანაწერები (53v, 55r, 70r და ა. შ.).

II. „გამოკრებულნი სადათვე სიტყუანი წმიდათა მამათანი“.

თავი პირველი. განკითხვისათვის თავისა და მოძღუართა მორჩილებისათვის და მოძღუარნი ვითარ ასწავლიდენ მოწაფეთა. — თქუა ბერმან, ვითარმედ: ყოველთა სათნოებათა...“

დასასრული: „...რამაღა კამს განცდამ ღმრთისა და კითხვად იგივე სხუასა“ 261r—267v.

„თავი მეორე. მარხვისათვის და ნაყოფანებისა ნილოსისი. — თავი ნაყოფთა არს ყუავილი...“

დასასრული: „...განგაძრიელოს შენ, ოდეს იხილოს გულსმოდგინება შენი“ 267v—269r.

„თავი მესამე. ლოცვისათვის. — თქუა მამამან კლემასი: ლოცვამ ბუნებით შეერთებამ არს...“

დასასრული: „ლოცვამ მოუკლებელი წარმტყუენველი არს სიცონლისა“ 269r—271r.

„თავი დ. ძილისა და მღუძარებისათვის. — თქუა მამამან კლემასი: ძილი ერთ არს...“

დასასრული: „...და მან ყოს ჩუენთვის უფროდს, რომლისათვის-იგი ვითხოვთ და მივსნენს“ 271r—272r.

„თავი ე. კანონისათვის წესიერისა. — ძმასა ერთსა ესე აქუნდა კანონად...“

დასასრული: „...რამეთუ იტყუს: შვილი მორჩილი ცხონდეს“ 272r.

„თავი ვ. უმეტრად მშრომელთათვის. — თქუა მამამან ანტონი, რამეთუ: არიან...“

დასასრული: „...ხოლო დაღობისაგან იქმნის სიმყრალე“ 272r-v.

„თავი ზ. მხილებისათვის სხუსა და სწავლისა და თვთ გამოუცდელ იყოს. — თქუა ბერმან: კეთილ არს შენდა მხილება...“

დასასრული: „...და საცნაურ არს, ვითარმედ მარცხენით არს და არა მარჯუენით“ 272v—274r.

„თავი **მ.** უბოგრობისათვის და ანგაპრებისა და უზრუნველობისა. — თქუა მამამან კლემასი: სიგლახაჲე განშორებაჲ არს ურვათავან...“

დასასრული: „...არამედ მისვე სასუფეველისაგან ცათამსა არიან“ 274r—276v.

„თ თავი. კელთსაქმარისათვის თქუმული. — თქუა მამამან სალავ: რაჲამს იქმოდო...“

დასასრული: „...იგი მეკობრე არს და უძრეს ავაზაკთა არს იგი“ 276v—277r.

თ თავი. მოწყალებისათვის და ქველის-საქმისა. — თქუა ბერმან: რაჲ არს სიწმიდე?...“

დასასრული: „...ნუ შეწუხდები, არა გლახაკთა მიეც იგი, არამედ მე მომეც“ 277r—279v.

„თა [თავი]. შესაწირავისა აღებისათვის. — თქუა მამამან ამონა: ეკრძალე თავსა შენსა...“

დასასრული: „...და ზაკუვით განიშორებდ და განავდებდ ეგვეითარსა მას“ 279v.

„თბ [თავი]. დაყუდებისათვის და უდაბნომსა. — თქუა მამამან ბარსანუფ: ნავი თანა-წარჰჰვდა...“

დასასრული: „...ვერ შემძლებელ არს იგი ცხორებად, ვითარ იგი სათნო არს წინაშე ღმრთისა“ 280r—282r.

„თავი **იგ.** ნათესავთა და თუსთა უცხოებისა. — თქუა მამამან კლემაქსი...“

დასასრული: „...და მუნთქუესვე გამოვედ და განვეშორე მუნით“ 282r—283r.

„თავი **იდ.** სინანულისათვის. — ჰკითხა ბერსა: რაჲ არს სინანული...“

დასასრული: „...და რომელნი იყიდდენ, ვითარცა არარაჲ აქუნდეს და შემდგომი ამისი“ 283v—289r.

„თავი **იე.** სიცოცხლისათვის ოქროპირისაჲ. — ტირილი მკსნელისა ჩუენისაჲ გვპოვნეს...“

დასასრული: — „...რამეთუ იგინი მუნ იხარებდენ“ 289r—290r.

„თავი **ივ.** სიმდაბლისათვის თქუმული წმიდისა იოვანე მახარებლისაჲ. — ვითარმედ რომელმან თქუას: მე ქრისტესი ვარ...“

დასასრული: „...რამეთუ ქებაჲ მდაბალთა არას მავნებელ ეყვის“ 290r—293v.

„თავი **იზ.** ამპარტავანებისათვის ოქროპირისაჲ. — რომლისა საქმენი კეთილ არიან და...“

დასასრული: „...ესე იგი არს ყოვლადვე, ვითარ სახედ არს ამპარტავანებაჲ“ 294r—295v.

„თავი **იჭ.** სიყუარულისათვის და სტუმართმოყუარებისა. — მამაჲ ამონა ნიტრიელი მივიდა...“

დასასრული: „...რამეთუ ფრიად კადნიერებაჲ აქუს ღმრთისა თანა“ 259v—296v.

შენიშვნა: მოსდევს: „სიყუარულისა და სიძლილისათვის წმიდისა იოვანე ოქროპირისაჲ. — მ, ჰეშმარითისა ღმრთისა მეტყუელო...“ 296v—297v.

„თავი **ით.** წიგნთა მეცნიერებისათვის სიწრფოებით. — თქუა მამამან ეფრემ: უკუეთუ ვნებავს...“

დასასრული: „...მარტოდ განალაღებს კაცსა“ 297v—298r.

„თავი კ. წიგნის კითხვისათვის, წმიდისა იოვანე ოქროპირისაჲ. მათეს სახარებისა თარგმანებაჲ. — ჯერ იყო ჩუენდა, ძმანო, რაათამცა არა გუეკმარებოდა...“

დასასრული: „...რაათა გულისკმა-ჰყო სლუგა გზასა იწროსა, რომელი მიიყვანებს სასუფეველად“ 298r—300r.

„თავი კა. სიყუარულისათვის ძმათასა. — თქუა მამამან ისაკ: ნუ მოიძულე ცოდვილსა...“

დასასრული: „სიყუარული მიზეზი არს სინანულისა და სარწმუნოებისა და სასოებისა“ 300r-v.

„თავი კბ. სტუმართმოყუარებისათვის. — თქუა მამამან ხარიტონ...“

დასასრული: „...და უჩუენო პირი განმარტებული და მხიარული...“ 300v—301r.

„თავი კგ. განკითხვისათვის ძმათასა. — თქუა მამამან პაფნოტი, ვითარმედ ვილოდე...“

დასასრული: „...განგიყრიან შენ ისარნი განკითხვისა და შესმენისანი“ 301r—303v.

„თავი კდ. შურისათვის და ძვრისკენებისა და ენოვნებისა, თქუმულისაგან ოქროპირისა. — დაუტევე ყოველი გულისწყრომა...“

დასასრული: „...არა გნებაეს მის თანა სიმდაბლისათვის“ 303v—306r.

შენიშვნა: მოსდევს: „სიყუარულისათვის. — თქუა მამამან ისაკ: დაიპატიე თავსა შენსა...“ 306r-v.

„თავი კე. გულისსიტყუათათვის გმობისათა. — თქუა მამამან ისაკ: გული განბნეული...“

დასასრული: „...და ფრიად ჰბაძავს ესე მორწმუნეთა“ 306v—307r.

„თავი კვ. გულისსიტყუათათვის არაწმიდათა“. — თქუეს ბერთა: ტაძარსა შენა ღმრთისასა...“

დასასრული: „...ვერარას შემძლებელ არიან საქმედ“ 307r—308v.

„თავი კჴ. გულისთქუმისათვის მწინკულისა. — თქუა წმიდამან ოქროპირმან: აღურ-ასხენ გულისთქუმასა...“

დასასრული: „...არამცა ვორცნი შეუდგეს საქმედ უჯეროსა“ 308v—310r.

„თავი კჭ. გულისწყრომისათვის. — თქუა წმიდამან კვპრიანე გრძნეულ ყოფილმან...“

დასასრული: „...ველური უჯმაჯური ვითარცა მკეცთაჲ“ 310r—311v.

„თავი კთ. სიძვისათვის. — თქუა კვპრიანე: ვიხილე მსგავსი სიძვია...“

დასასრული: „...გონებითისა აღძრვისაგან ვნებაჲ არარაჲ იქმნების“ 311v—314r.

„თავი ლ. განსაცდელთათვის. — თქუა მამამან მარტური: უკუეთუ გამოვიხატნეთ...“

დასასრული: „...სიხარულით იწამა ძალითა ღმრთისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა“ 314r—317r.

„თავი ლა. მოთმინებისა და სულგრძელებისათვის, წმიდისა ოქროპირისაჲ. — ცხორებაჲ ყოველთა წმიდათა და მართალთა...“

დასასრული: „...დამივიწყა მე ღმერთმან და არა მომხადა“ 317r—318v.

„თავი **ლბ.** უღბებისათვის და მოწყინებისა. — თქუა მამამან კლემაქსი: არარაათა სხუთა...“

დასასრულ ი: „...განაძლიერნა მტერნი ჩუენნი ჩუენ ზედა“ 318v—319r.

„თავი **ლგ.** ნებისა დატევებისა და მოყუსისა თანა ყოფისათვის. — ბასილისი დიდისა ნებაა...“

დასასრულ ი: „...სიტყუა მიცემად დღესა მას საშჯელისასა“ 319r—319v.

„თავი **ლდ.** დუმილისათვის ოქროპირისაჲ. — დაიცევ კარი პირისა შენისაჲ...“

დასასრულ ი: „...რამეთუ მას ენაჲ აღეს თავისა თვისისა უგრძესი“ 319v—322r.

„თავი **ლმ.** სიყუარულისათვის ღმრთისა და შიშისა. — თქუა მამამან ამონა: უკუეთუ ვინმე შეიყუაროს უფალი...“

დასასრულ ი: „...და კაცსა უკმს შეწყენად ღმრთისაჲ“ 322r—323r.

„თავი **ლვ.** შიშისათვის ეშმაკისა. — თქუა მამამან არსენი: შიშისათვის ნუ გეშინიან...“

დასასრულ ი: „...შეგრისხენინ შენ უფალმან იესუ ქრისტემან, ამენ“ 323r—324r.

„თავი **ლზ.** სიკუდილისა და სატანჯველთა ვსენებისათვის ოქროპირისაჲ. — გულსა ეტყოდე: საყუარელო, მარადის განსლვისა შენისათვის...“

დასასრულ ი: „...სირცხველულ ქმნის აზნებაჲ და აზნაურებაჲ იგი მისი“ 324r—325r.

**შენიშვნა:** მოსდევს:

ა. „ლოცვაჲ გრიგოლ ღმრთისმეტყუელისაჲ. — განსრულმცა ვართ განმზადებულნი და შემოსილნი...“ 325r.

ბ. „სწავლაჲ მამისა პახუმისი. — წარვედით საფლავებად და იხილენით...“ 325v—326r.

გ. „ოქროპირისაჲ. — თუაღნიმცა შენნი მარადის მხედველ არიან...“ 326r—330v.

„თავი **ლშ.** საშინელისა მის დღისა მეორედ მოსლვისა უფლისა. სახარებაჲ. — მაშინ წარავლინნეს ანგელოზნი თუსნი საყურითა დიდითა...“ 330r—348v.

**შენიშვნა:** ამ თემასთან დაკავშირებით თავმოყრილია: ა. იოვანე ოქროპირის მათეს XXIV თავის 31 მუხლის თარგმანება, 330r-v. მთარგმნელი ეფთვიმე ათონელი, იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 68.

ბ. „სწავლაჲ ოწ. დღისა მისთვის საშინელისა და ვითარმედ მრავალნი მცირედისა და...“ 330v—331v.

მთარგმნელი თეოფილე ხუცესმონაზონი, იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 70.

გ. „ოქროპირისაჲვე მარგალიტისაგან. — რამეთუ ესოდენ ქეშმარიტი არს ესე საქმე...“ 331v—332r.

მთარგმნელი ეფთვიმე ათონელი, იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 71.

დ. „თარგმანი წმიდისა ბასილისი. — კმამან უფლისამან განკუეთის ალი ცეცხლისაჲ...“ 332r-v.

ე. პატრიკის ტიპის მასალა. — „თქუა ბერმან: დიდად სირცხულ არს მონაზუნისათვის...“ — (ანონიმი, მამა ეფრემი, მამა დიოსკორე) 332v—334v.

ვ. „ოქროპირისაჲ. — გეშინოდენ, შ უბადრუკო, სატანჯველთაგან...“ 334v—337r.

**შენიშვნა:** ქვედა აშიაზე მინაწერია (ნუსხურით): „რაღა მჟავე სწავ-  
ლია არს“ 337r.

**ზ.** „პატერიკის“ ტიპის მასალა (მამა ეფრემ, ესაია) 336v—337v.

**ფ.** „წმიდისა ბასილისი. — უყუარს წყალობა უკუე მონანულთა ზე-  
და...“ 337v.

**თ.** „წმიდისა ოქროპირისაჲ მარგალიტისაგან. — სიმდიდრე იგი და  
შუებაჲ...“ 337v—338r.

**ი.** „წმიდისა ბასილისი, რამეთუ არავინ იყოს მამინ შემასმენელ...“  
338r.

**ია.** „ოქროპირისაჲ ვი ჩუენდა, ძმანო ჩემნო, ვითარ უკუე-მე ვი-  
ყვნეთ ჟამსა მას...“ 338v—334v.

**იბ.** „ჰკითხა უკუე ემბოლოს ბასილის: რაჲ არს საზღვარი სიბრ-  
ძნისაჲ? ხოლო ბასილი ჰრქუა მას: პირველი საზღვარი სიბრძნისაჲ წურთაჲ  
სიკუდილისაჲ არს...“ 340v.

**იგ.** „ზაქარიასი იერუსალიმელ პატრიარქისა თქუბუ-  
ლი. — ნუ სცთებით, უგუნურნო, ნუცამცა ვაცთუნებთ...“ 340v—346v.

**იდ.** „ფსალმუნთა თარგმანი ბასილისი. — მერმე მოიკსენე მოხრებლი  
იგი ღრმაჲ...“ 346v—348v.

**შენიშვნები:** 1. ხელნაწერი Ath 17 აღწერილია ნ. მარის და ა. ცაგარლის მიერ  
(იხ. Н. Марр, Материалы... с. 3—15; А. Цагарели, Сведения, с 82—83).

2. ხელნაწერის მეორე ნაწილი „გამოკრებულნი სადათვე სიტყუანი წმი-  
დათა მამათანი“ (261r—348v) წარმოადგენს სისტემატური ხასიათის ასკეტურ  
კრებულს, რომელიც სავანეებოდ აქვს შესწავლილი ბ. უტიეს, მისი აზრით, ეს  
XI საუკუნის კრებული შეიცავს აპოფთეგმების როგორც ადრინდელ, ასევე  
ელფთვიმე ათონელის თარგმანებს. იგი წარმოადგენს Sin—35 ანალოგიურ, ოღონდ  
უფრო სრულ ხელნაწერს. იხ. B. Outtier, La plus ancienne traduction géorgi-  
enne des apophtegmes: son étendue et son origine, მრავალთვი VII, გვ-  
7—17.

**ანდერძი** (გაღამწერისა): „ქრისტე, ადიდე სულითა მამა ეგნატო, ამენ.  
ქრისტეს მოყუარენო მამანო, ღმერთმან დაგაჯეროს, უკუეთუ რამმე აკლდეს,  
შენდობა ყავთ და შრომისათჳს ლოცვა ვყოთ უცბად მწერალისა და მწარედ  
ცოდვილისა ბასილისთჳს. ამენ იყავნ“ (348v).

**მინაწერები** (მხედრულით): „უფალო იესო ქრისტე, ძეო და სიტყუაო მღვ-  
თისაო, შეიწყალე სასუფეველსა შენსა ცოდვილი და გლახაკი ბერი ვენედი-  
ქტონ, ამინ, ქრონიკონს ჩუკვ“. 165r.

ამგვარივე მინაწერებია 170r-ზე, 185r-ზე, 341r-სა და 348r-ზე, იმ განსხვავე-  
ბით, რომ 341r-ზე თარიღად გატანილია ჩუკვ.

**შენიშვნა:** ტექსტისა და ანდერძ-მინაწერების ხელთან დაკავშირებით იხ.  
ტაბულა 6.

20(29)

მეტაფრასული კრებული (სექტემბერი). 1081.

189 ფ.; 27×21; ეტრათი; ყავისფერი ტვიფრული ტყავით გადაკრული ხის  
ყდა; ფურცლები ზოგან საკმაოდ დაზიანებული, ლაქებიანი; მელანი მოყავის-  
ფრო, მკრთალი; მომცრო, დახრილი, გადამხული ნუსხური; ზანდუკის სათაური,  
თხზულების დასახელება (ნაწილობრივ) და პირველი საკითხავის სათაური მთავ-  
რულით, სინგულით; საკითხავების თარიღი (თვე და რიცხვი) მითითებულია  
ფურცლის ზემო აშიაზე ასევე მთავრულით; დაწერილია ორ სვეტად; 37 სტრი-  
ქონი; პირველი საკითხავის სათაური გაფორმებულია ორნამენტით. განზრახუ-  
ლი ყოფილა ასევე გაფორმებულიყო „ზანდუკიც“. 2r-ზე დატოვებულია სათა-



ურს ზემოთ თავისუფალი ადგილი, ხოლო სიტყვა „ზანდუკი“ წარმოდგენილია დასაწყისი % ასოს გარეშე, სხვაგან გაფორმება არ გვხვდება; ხელნაწერს აქვს რვეულბრივი აღრიცხვა, შეიცავს 24 რვეულს, უკანასკნელი (24-ე) რვეული 4 ფურცლიანია. ხელნაწერში რვეულების თანამიმდევრობა არეულია: 1—5, 20—22, 19, 14—18, 13, 10—12, 6—9, 23—24; შეიცავს სექტემბრის თვის მეტაფრასული საკითხავების თარგმანებს. მთარგმნელი და გადამწერი თეოფილე ხუცესმონაზონი; შემოსველი მღვდელი საბა, მკაზმავი ხუცესი ზრისტოდულე; გადამწერის ადგილი კონსტანტინოპოლი, ტრიანდაფილვის მონასტერი; 1081 წ.

1. „თუესა სეკდენბერსა ა. ცხორება და მოქალაქობაა წმიდისა მამისა ჩუენისა სუმეონ მანდრელისაა. — სუმეონს სანატრელსა, დიდსა მას საკურველსა სოფლისასა, იქმნენს მეცნიერ ყოველნივე სამთავრონი პრომთა და ბერძენთანი...“

დასასრული: „...და ერთსა მას ბრწყინვალეებასა მიიღებს ერთარსებისაგან ღმრთეებისა ქრისტე იესუსს მიერ უფლისა ჩუენისა, რომლისაა არს...“ 4r—19v (4r—18v).

შენიშვნები: 1. 4r მარჯვენა კიდებზე ნუსხურით, განსხვავებული ხელით: „წმიდასა სუმეონს იტყუს პალაბელსა“.

2. მეტაფრასული რედაქციისა. იხ.: კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 205; BHG 1686/7.

3. პარალელური თარგმანი დაცულია ხელნაწერებში: A 70, A 179, H 1347, K 4.

2. „თუესა სეკდენბერსა ბ. წამებება და ღუაწლი წმიდისა და დიდებულისა ქრისტეს მოწამისა მამამასი. — მამას დიდსა მას მოწამესა ქრისტესსა და ბრწყინვალედ განთქმულსა აქუნდა მამულად თვსა ფებლალონიამ...“

დასასრული: „...რომელსა ღირსმცა ვართ ყოველნი მიმთხუეად მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომელსა...“ 19v—24v (18v—24v).

შენიშვნები: 1. ტექსტის ბოლოს იმავე ხელით: ა) „დიდებამ და მადლი მემრთსა და კურთხეულ არს ღმერთი, ამინ“. ბ) „ლოცვა ყავთ, წმიდანო ღმრთისანო, ცოდვილისა თეოფილქსთუს, რომელმან ესე ბერძელისაგან ვთარგმნე ქართულად. თვთ იცის ღმერთმან, რაოდენსა იწროებასა...“

2. მეტაფრასული რედაქციისა. იხ.: კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 189; BHG 1018.

3. პარალელური თარგმანი დაცულია ხელნაწერებში: K 4, Ier. 18.

3. „თუესა სეკდენბერსა გ. ღუაწლი და სიმკნე წმიდისა მამისა ჩუენისა მღვდელმოწამისა ანთიმოასი, ნიკომიდიელთა ეპისკოპოსისაა, რომელი იწამა მაქსიმიანეს ზმ. — ვინ არა იცნობს ნიკომიდიასა, რომელი-იგი შემეყულ არს სიდიდითა და სიმდიდრითა...“

დასასრული: „...ადიდებდეს მამასა და ძესა წმიდასა სულსა, ერთსა მას ღმრთეებასა და უფლებასა, რომელსა შუენის...“ 25r—29r.

შენიშვნები: 1. მეტაფრასული რედაქციისა. იხ.: კ. კეკელიძე, V, გვ. 162; BHG 135.

2. პარალელური თარგმანი დაცულია ხელნაწერში K 4.

4. „თუესა სეკდენბერსა დ. ღუაწლი წმიდისა მამისა ჩუენისა ბაბილანტიოქელ მთავარეპისკოპოსისაა, რომელი იწამა ნუმერიანოსს მიერ უშუალოდსა. — ნუმერიანოსს უკუე მძლავრმან მიიღო მამათა თვსთაგან სკიპტრამ პრომელთა მპყრობელობისა...“

დასასრული: „...ადიდებს თვსსა მას მეუფესა და... ღმრთისა და დამბადებელსა ღმერთსა, რამეთუ მისა შუენის...“ 29r—33v.

**შენიშვნები:** 1. 29r ქვემო აშიაზე იმავე ხელით: „სპარსთა მეფესა მიეცა ძე თვისი მრწემი, რომელი-იგი მოკლა უშჯულომან“.

2. ტექსტის ბოლოს იმავე ხელით: „წმიდაო ბაბილა, მეოხ ეყავ წინაშე ღმრთისა სულსა ცოდვილისა თეოფილესსა, რომელმან ესე თარგმნა ქართულად ბერძელისაგან“.

3. მეტაფრასული რედაქციისა. იხ.: კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 164; BHG 206.

4. პარალელური თარგმანი დაცულია ხელნაწერებში: K 4, Ier. 18.

5. „თუესა სეკდენბერსა ვ. წამებაჲ წმიდათა მოწამეთა: ეედოქსიოს, რომელ უ, ზინთოს და მაკარიოს. — ტრაიანოს უკუე უშჯულომან მეფემან მრავალი მოსწრაფებაჲ დადვა მსახურებისათჳს საძაგელთა მათ კერპთაჲსა...“

დასასრული: „...ესრეთ აღადგინეს ბრძოლაჲ და ძღვეაჲ ზოგადისა მის მიმართ მტერისა და ბუნებისა ჩუენისა მბრძოლისა თავადისა მიერ ქრისტეს ღმრთისა და დაუსაბამოჲსა მამისა და წმიდისა და ცხოველსმყოფელისა სულისა, რომელსა შეენის...“ 34r—38r.

**შენიშვნები:** 1. მეტაფრასული რედაქციისა. იხ.: კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 169; BHG 1604.

2. პარალელური თარგმანი დაცულია ხელნაწერში K 4.

6. „ამასვე თუესა ზ. დუაწლი წმიდისა და დიდებულისა მოწამისა სოზონისი, რომელი იწამა კილიკიას. — მაქსიმიანოს უკუე მპყრობელმან კილიკიაჲსაჲმან ყო აღორძინებაჲ და დიდად აღმალეებაჲ უკეთურებისაჲ...“

დასასრული: „...ბრწყინვალედ იქადაგებოდა ყოველთა შორის ვერგუნოსანი სოზონ სადიდებელად ღმრთისა მამისა და უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა, რომელსა შეენის...“ 38r—40r.

**შენიშვნები:** 1. 40r ქვემო აშიაზე მთავრულით: „თუესა სეკდენბერსა მ. შობაჲ ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისაჲ, საკითხავნი ორნი ჰპოვნე აღსარულსა წიგნისაჲსა კბ რეველთა“.

2. მეტაფრასული რედაქციისა. იხ.: კ. კეკელიძე, ეტიუდები, V გვ. 206; BHG 1644.

3. პარალელური თარგმანი დაცულია ხელნაწერებში: A 70, K 4.

7. „ამასვე თუესა თ. წამებაჲ წმიდისა მოწამისა სევერიანოსი. — ლიკინოს რაჲ უშჯულოჲ მეფე მეფობდა და ღვსია უღმრთოჲ დუქსობდა...“

დასასრული: „...კაცთმოყუარებით გამოუჩნდების და მოსწრაფედ და მპურვალედ შეეწევის მათ ქრისტე იესუსჲს მიერ უფლისა ჩუენისა, რომლისაჲ არს დიდებაჲ...“ 40r—45r (40r—57r).

**შენიშვნები:** 1. მეტაფრასული რედაქციისა. იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 205; BHG 1627.

2. პარალელური თარგმანი დაცულია ხელნაწერში K 4.

8. „ამასვე თუესა ი. წამებაჲ წმიდათა დედათა: მინოდორა, მინოდორა და ნუმფოდორაჲსი. — არა დედანი, არცაჲა ქალნი დაკლებულ იქმნეს ვერგუნსა მას წამებისაჲსა და ასპარეზსა ძღვევისაჲსა...“

დასასრული: „...რომელსა ღირსმცა ვართ ყოველნივე მიმთხუევად მაღლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისა თანა...“ 45r—49v (151r—155v).

5. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა

**შენიშვნები:** 1. მეტაფრასული რედაქციისა. იხ.: კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 197; BHG 1273.

2. პარალელური თარგმანი დაცულია ხელნაწერში K 4.

9. „ამასვე თუესა ია. ცხორებამ და მოქალაქობამ და ღუაწლი ღირსი-სა და ნეტარისა დედისა ჩუენისა თეოდორა აღექსანდრიელისამ. — ზინონ მეფე რამ განაგებდა საყდარსა მას მეფობისასა და მთავრობასა ბერძენთასა...“

**დასასრული:** „...ღირს ქმნულ ვართ ნაწილსა მას ცხოვნებულთასა მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისამ არს...“ 49v—59r (155v—164r).

**შენიშვნები:** 1. ტექსტის ბოლოს იმავე ხელით: „შეიწყალენ ღმერთმან ამისი თარგმანი ცოდვილი თეოდორა“.

2. მეტაფრასული რედაქციისა. იხ.: კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 175; BHG 1730.

3. პარალელური თარგმანი დაცულია ხელნაწერში K 4.

10. „ამასვე თუესა იბ. ღუაწლი წმიდისა და დიდებულისა მღვდელმონაშისა ქრისტესისა ავტონომოქსი. — სწორად უშუერებად შემირაცხიეს, სიტყუად ოდეს არა ჯერ-იყოს და კეთილისა მიცემაღ ღუმილსა...“

**დასასრული:** „...მიერ თუსთა აღირჩიეს დიდებად მისა, რამეთუ მისა შუენის...“ 59r—61v (164r—166v).

**შენიშვნები:** 1. მეტაფრასული რედაქციისა. იხ.: კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 158; BHG 198.

2. პარალელური თარგმანი დაცულია ხელნაწერში K 4.

11. „ამასვე თუესა იგ. საქმე სასწაულთამ და აღსრულე-ბამ წმიდისა და დიდებულისა კორნილიოს. ასისტავისამ. — შემდგომად მაცხოვრისა ჩუენისა სიტყუსა ღმრთისა ქუეყანად მოსლვისა...“

**დასასრული:** „...აღასრულა მოხატვამ იგი ეკლესიისამ ლოცვითავე წმიდისამთა კეთილად, მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა...“ 61v—67r (166v—172v).

**შენიშვნები:** 1. ტექსტის ბოლოს იმავე ხელით: „შეიწყალენ ღმერთმან ამისი თარგმანი ცოდვილი თეოდორა“.

2. მეტაფრასული რედაქციისა. იხ.: კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 187; BHG 371.

3. პარალელური თარგმანი დაცულია ხელნაწერში K 4.

12. „ამასვე თუესა იფ. წამებამ წმიდისა და დიდებულისა მოწამისა ნიკიტასი. — ძლევისა ღუაწლითა ნიკიტა მოწამისათა აღვასრულებთ კრებასა დღეს, არა ოდენ ამისთუს...“

**დასასრული:** „...რომელსა ღირსმცა ვართ ყოველნი მიმთხუევად მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა...“ 67r—69v (172v—174v).

**შენიშვნები:** 1. ტექსტის ბოლოს იმავე ხელით: „საყუარელნო ღმრთისანო, ვისაცა მოიწიოს და ვინცა მიმთხუნეთ წმიდასა ამას წიგნსა, ლოცვა ყავთ სანატრელისა მარიაჲ დედოფლისათუს, ბაგრატიის ასულისა, რამეთუ ამის წიგნისა ეტრატისა ფასი მ...“.

2. მეტაფრასული რედაქციისა. იხ.: კ. კეკელიძე, ეტიუდები, V გვ. 199; BHG 1340.

3. პარალელური თარგმანი დაცულია ხელნაწერებში: K 4, Ier. 18.

13. „თუესა სეკდენბერსა ივ. წამებამა წმიდისა და ყოვლად ქებულისა მოწამისა ევფიმიასი. — დიოკლიტიანოს რამ მძლავრსა ეპყრასკიპტრამ პრომაელთამ, პრისკო ანთვატი მთავრად ასიამსა იცნობებოდა...“

დასასრული: „...მიცემად ღმრთისა ნაყოფი კურთხევისამ და ყოვლისავე მსხუერბლისა უპატიოსნისი და უწმიდისი, რამეთუ მისა შუენის...“ 70r—77v (175r—184r).

**შენიშვნები:** 1. ტექსტის ბოლოს იმავე ხელით: „წმიდაო და ყოვლად ქებულო ევფიმიო ქალწულო და მოწამეო ქრისტესო, მეოხ ეყავ ცოდვილსა თეოფილეს, ამისსა თარგმან-მნუსხველსა, დღესა მას დიდსა სასჯელისასა, ოდეს მოვიდეს ღმერთი ძალთამ და შენ დიდებით მდგომარე იყო წინაშე მისა, მაშინ შეიწყალე სულიცა ჩემი, ამინ“

2. მეტაფრასული რედაქციისა. იხ.: კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 171; BHG 620.

3. პარალელური თარგმანი დაცულია ხელნაწერებში: A 70, K 4.

14. „ამასვე თუესა ივ. წამებამა წმიდათა დედათა — სოფია და ასულთა მისთა — პისტო, ელპიდი და აღაპისი. — შემდგომად ყოველსა შორის სოფელსა განფენისა ქადაგებასა მას ცხორებისასა და ყოველთა მიერ ცნობისა ღმრთისა...“

დასასრული: „...რამეთუ ჯერ-იყო ჰეშმარიტად ვითარცა სულთა, ეგრეთვე ჯორცთაცა მათთა ერთი ადგილი იქმნეს სამკურნებელ სადიდებელად“... 77v—83v (126r—132r).

**შენიშვნები:** 1. ტექსტის ბოლოს იმავე ხელით: „შეიწყალენ ღმერთმან ამისი თარგმანი ცოდვილი თეოფილსა“.

2. მეტაფრასული რედაქციისა. იხ.: კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 206; BHG 1638.

3. პარალელური თარგმანი დაცულია ხელნაწერებში: S 384, K 4.

15. „ამასვე თუესა ით. წამებამა წმიდათა მოწამეთა: ტროფიმი, სავატი და დორიმიენდოქსი. — პროვოს მეფე უშჯულოო იპყრობდა რამ კურთხისა მას პრომაელთასა...“

დასასრული: „...მოწიწებით შემურნეს და ადგილსა დაფარულსა დაპკრძალნეს, და ადიდებდეს...“ 83v—89v (132r—138r).

**შენიშვნები:** 1. ტექსტის ბოლოს იმავე ხელით: „სანატრელ-ყვენ ღმერთმან სული მიქაელ მდღელისამ, რამეთუ ორნი დრაქანნი პრთავნან აჟა მისნი. ლოცვა ყავთ ყოველთა მისთს“.

2. მეტაფრასული რედაქციისა. იხ.: კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 208; BHG 1854.

3. პარალელური თარგმანი დაცულია ხელნაწერებში: S 384, K 4.

16. „ამასვე თუესა კ. წამებამა წმიდისა და დიდებულისა დიდისა მოწამისა ევსტათი სტრატისა და თეოპისტისი და ორთა ძეთა მისთა — აღაპი და თეოპისტოქსი. — ტრაიანოს უკუე განაგებდა სკიპტრასა მას პრომაელთასა და საცთური კერპთმსახურებისამ რბიოდა ყოველსა შორის სოფელსა...“

დასასრული: „...დაშენეს კეთილად მძღეთა მათ სახლიცა სალოცველი და ტაძარი სიწმიდისამ, რომელ არს წმიდა ეკლესიამ, რომელსა შინა ადიდებდეს მამასა და ძესა...“ 89v—104v (138r—151r).

**შენიშვნები:** 1. ტექსტის ბოლოს იმავე ხელით: „შეიწყალენ ღმერთმან ამისი თარგმანი ცოდვილი თეოფილე, რეცა ხუცესმონოზონი, უღირსი, გლახა და სულითა საწყალობელი, ამინ“.



2. მეტაფრასული რედაქციისა. იხ.: კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 170; BHG 642.

3. პარალელური თარგმანი დატულია ხელნაწერებში: S 384, A 179, H 1347, K 4.

17. „ამასვე თუესა კბ. ასტერიოს ამასიელ ეპისკოპოსისა მიერ აღწერილი შესხმაჲ წმიდისა და დიდებულისა მღვდელმოწამისა ქრისტესისა ფოკაასი. — სამღვდელმან მან უკუე და საღმრთომან კრებულმან მვნეთა მათ და ახოვანთა მოწამეთამან ვნებითა ვნებულსა მას პატივცეს...“

დასასრული: „...მოჰკრძალავს ქალაქთა და სოფელთა და ყოველგან ყოველთა მიერ იქადაგების ქველისმოქმედი უფალი, რომელსა შუენის...“ 105r—108r (121v—126r).

შენიშვნები: 1. მეტაფრასული რედაქციისა. იხ.: კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 209.

2. პარალელური თარგმანი დატულია ხელნაწერებში: S 384, K 4; გამოცემულია მ. კახაძის მიერ. იხ. ენიშის მოამბე, XIV, 1944, გვ. 209—239.

18. „ამასვე თუესა კდ. ღუაწლი წმიდისა და დიდებულისა კეთილად მძლისა ქრისტეს მოწამისა თეკლა იკონიელისაჲ. — რაჟამს დიდი რგო მახარებელი და ქადაგი ქეშმარიტებისაჲ, პავლეს ვიტყვ მრავალკმონასსა მას ნესტუსა ქრისტესსა...“

დასასრული: „...ღირსმცა ქმნულ ვართ ჩუენ მიმთხუევად კეთილთა მათ საუკუნეთა ქრისტეს იესუმს მიერ, უფლისა ჩუენისა, რომლისაჲ არს...“ 108r—117r (74v—83v).

შენიშვნები: 1. მეტაფრასული რედაქციისა. იხ.: კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 174; BHG 1719.

2. პარალელური თარგმანი დატულია ხელნაწერებში: A 70, S 382, Ier. 37.

19. „თუესა სეკდენბერსა კე. ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ და მოღუაწებაჲ წმიდისა დედისა ჩუენისა ევფროსუნესი, რომელი იყო აღექსანდრიას. — რაჟამს-იგი კუერთხსა მას ბერძენთასა თეოდოსიოს, ძმ არკადისი, ღმრთისმსახურებით განაგებდა და შარავანდსა მას მეფობისასა იპყრობდა...“

დასასრული: „...მოსავსენებელად მათდა და სადიდებელად მისსა, რომელმან-ესე ესრეთ განავო ღმერთმან, რომელსა შუენის...“ 117r—123v (83v—90r).

შენიშვნები: 1. ტექსტის ბოლოს იმავე ხელით: „შიეწყალენ ღმერთმან ამის წიგნისა თარგმანი ცოდვილი თეოფილმ“.

2. მეტაფრასული რედაქციისა. იხ.: კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 171; BHG 626.

3. პარალელური თარგმანი დატულია ხელნაწერში K 4.

20. „ამასვე თუესა კვ. შესხმაჲ და ვსენებაჲ წმიდისა და დიდებულისა მოციქულისა და მახარებელისა იოვანე ღმრთისმეტყუელისაჲ, რომელი-იგი მიეყრდნა საუფლოსა მას მკერდსა ქრისტესსა. — კნიღადა არარაათ დაკლებულ არს ანგელოზთაგან კაცი და რამეთუ შესაძლებელ არს შემდგომად მათსა ამისიკა დადგომად მახლობელად მათსა...“

დასასრული: „...რომელი სხუათა განამდიდრებს და თავსა თუსსა უმეტესადლა განამრავლებს და მარადის აღმატების. მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა...“ 123v—131v (90r—98r).

**შენიშვნები:** 1. ტექსტის ბოლოს იმავე ხელით: „წმიდაო იოვანე ღმრთის-მეტყუელო, მოციქულო და მახარებელო და მეუფისა ქრისტეს სამართლად შეყუარებულო, მეოხ ვყავ წინაშე ღმრთისა გეორგი მეფესა და კესაროსსა და დიაცეე იგი ყოველთაგან საენებელთა სულიერთა და ჯორციელთა, ამინ!“

2. მეტაფრასული რედაქციისა. იხ.: კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 182; BHG 919.

3. პარალელური თარგმანი დაცულია ხელნაწერებში: H 1347, K 4, Ier. 37.

21. „ამასვე თუესა კჳ. წამებამა წმიდისა და დიდებულისა მოწამისა კალისტრატესი და მოყუასთა მისთამ, რომელთა იღუაწეს მის თანა. — მაცხოვრისა ქრისტეს სამწყსოთა ხედვიდა რამ დღითი დღე განმრავლებულთა ხენიში იგი და სახელ საძაგელი...“

დასასრული: „...რომელმან აჩუნა სიმკნე მოთმინებისა და სიმტკიცისა ვიდრე აღსასრულადმდე სადიდებელად...“ 131v—137v (98r—105r).

**შენიშვნები:** 1. მეტაფრასული რედაქციისა. იხ.: კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 186; BHG 291.

2. პარალელური თარგმანი დაცულია ხელნაწერებში: S 384, K 4.

22. „ამასვე თუესა კჳ. ცხორებამა და მოქალაქობამა წმიდისა მამისა ჩუენისა და აღმსარებელ მოღუაწისა ხარიტონისი. — ფრიად არს და მრავალ კეთილი მოძღურებისამ და დიდად სარგებელ სახე ღმრთისმოყუარებით ცხებულთამ...“

დასასრული: „...ჯორციელთა ვიტყვ და სულიერთა, და ვიდრე ჩუენ-დადმდე მოაწიეს სადიდებლად მამისა...“ 137v—144v (105r—113r).

**შენიშვნები:** 1. ტექსტის ბოლოს იმავე ხელით: „შეიწყალენ ღმერთმან ამისი თარგმანი ცოდვილი თეოფილჳ“.

2. მეტაფრასული რედაქციისა. იხ.: კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 211; BHG 301.

3. პარალელური თარგმანი დაცულია ხელნაწერებში: K 4, Ier. 37.

23. „ამასვე თუესა კთ. ცხორებამა და მოქალაქობამა და მოღუაწებამა წმიდისა მამისა ჩუენისა კურიაკოს განშორებულისამ. — მაყურთხეველნი შენნი კურთხეულ იყვენენ, — ეტყვს ღმერთი აბრაჰამს...“

დასასრული: „...ნათელსა მას მისმიერსა მდიდრად შეიწყნარებს თავადისა მიერ ქრისტეს უფლისა ჩუენისა...“ 144v—151v (113r—121r).

**შენიშვნები:** 1. მეტაფრასული რედაქციისა. იხ.: კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 186; BHG 464.

2. პარალელური თარგმანი დაცულია ხელნაწერში K 4.

24. „ამასვე თუესა ლ. ცხორებამა და მოქალაქობამა და წამებამა წმიდისა და დიდებულისა მღვდელმოწამისა გრიგოლი დიდისა სომხეთისა ეპისკოპოსისა. — რაჟამს-იგი სპარსთა მთავრობამა პართთად განიყო, ხოლო პართთა ჯელმწიფებამა ესოდენსა ძალსა აღვიდა...“

დასასრული: „...ჴეშმარტებისა მის ღმერთსა და მშველობისა მარადის აღიდებდეს ქრისტე იესუსს მიერ უფლისა ჩუენისა, რომლისა თანა...“ 151v—171r (70r—74v).

**შენიშვნები:** 1. ტექსტის ბოლოს იმავე ხელით: „სამრიცხუედსა მას, სამნათობელსა და სამგუამოვანსა ერთღმრთეზასა, ერთარსებასა და ერთუფლებასა, მხოლოსა, ცხოველსა, ძლიერსა ღმერთსა დიდებამ, სიმტკიცე, სუფევამ და ძალი, დიდებულებამ და დიდად შეუნიერებამ აჳ და მარადის და უჴუდავთა მათ საუკუნეთა უჴუნისამდე. ამინ!“

2. მეტაფრასული რედაქციისა. იხ.: კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 166; BHG 713.

3. პარალელური თარგმანი დატულია ხელნაწერებში: S 384, K 4; Sin. 91; გამოცემულია ლ. შელიძის-ბეგის მიერ: Monumenta Georgica, Scriptores ecclesiastici № 2, თბილისი, 1920 წ.

25. „თუესა სეკდენბერსა **მ**. თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ხუცესმონაზონისა იოვანე დამასკელისაჲ: შობისათჳს ყოვლად წმიდისა, უხრწნელისა, უფროსად კურთხეულისა დედოფლისა ჩუენისა ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა. — მოვედით უკუე ყოველნი ტომნი, ყოველნი თესლნი და ყოველნი ნათესაენი კაცთანი, ყოველი ენა და ყოველი ჰასაკი და ყოველივე პატივი და წესიერებაჲ...“

დასასრული: „...კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისაჲ იესუ ქრისტე ძმ ღმრთისაჲ, რომელსა შეუენის...“ 171r—177v (57r—63v).

**შენიშვნები:** 1. ტექსტის ბოლოს იმავე ხელით: ა) „დედოფალო, დედოფალო კურთხეულო, ყოვლად წმიდაო ღმრთისმშობელო, მეოხ ეყავ სულსა ცოდვილსა ამისისა თარგმანისასა დღესა მას დიდსა საშჯელისასა, ოდეს მოვიდეს ძე შენი ღმერთი და მკსნელი ჩუენი განშჯად ყოველთავე დაბადებულთა“.

ბ) „უწყებაჲ ჯერ-არს, რამეთუ ესე საკითხავი ყოვლად წმიდისაჲ არა ეწერა მას წიგნსა შინა, რომლისაგან ესე თუე დავწერეთ. ამისთჳსცა სხჳსა წიგნისაგან უკუანასკნელ აქა დაიწერა. ხოლო ვინ სწერდეთ ანუთუ იკითხვიდეთ, ჯერ-არს, რათა თავისა ადგოლსა ჰყოთ ესე: სკბ: **მ**. და ჩემ ცოდვილისათჳს ლოცვა ყავთ. გარწმუნის ღმერთმან“.

2. ამ ძეგლის კიდევ ორი თარგმანი გვაქვს ქართულად: ერთი, რომელიც დატულია S 3648-ში, მინაწერის მიხედვით, შეუსრულებია ექვთიმეს (იხ. კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტ. I, გვ. 206, მისივე, ეტიუდები, V, გვ. 66). რაც შეეხება K 4, A 182, H 1347 და Ier. 237-ში წარმოდგენილ ტექსტს, იგი მესამე თარგმანია იონანე დამასკელის თხზულებისა.

3. ტექსტის ბერძნული დედანი დაბეჭდილია PG 96-ე ტომში იონანე დამასკელის თხზულებაჲა შორის. იხ.: კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 190; BHG 1087.

26. „მასვე დღესა საკითხავი. მისივე წმიდისა მამისა ჩუენისა იოვანე დამასკელისაჲ საკითხავი შობისათჳს ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა. — ბრწყინვალედ დღესასწაულობენ დღეს დაბადებულნი და ახლად ცად ქალწულსა...“

დასასრული: „ყოვლად წმიდაო ქალწულო, მხოლოჲ იგი მხოლოდ-შობილი ძე ღმრთისაჲ, ძმ შენი, რომელსა შეუენის...“ 175v—181v (64r—70r).

**შენიშვნები:** 1. ტექსტის ბოლოს იმავე ხელით: „ლოცვა ყავთ, წმიდანო ღმრთისაჲო, ცოდვილისა თეოფილმსთჳს, რეცა თარგმანისა“.

2. პარალელური თარგმანი დატულია ხელნაწერებში: A 182, K 4, Ier. 23, სადაც თხზულების ავტორად შეცდომით დასახელებულია თეოდორე სტუდიელი. იხ.: კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 66; 190; BHG 1112.

27. „თუესა სეკდენბერსა **იდ**. თქუმული წმიდისა ბასილისიამადლებისათჳს პატიოსნისა და ცხოველსყოფელისა ჯუარისა, თარგმანებული წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთჳმესი. — ჯუარისა კრებასა აღვასრულებთ და ეკლესიისა ყოველივე საცესებია განახლდების. ჯუარისა კრებასა აღვასრულებთ და სიხარულისა ბრწყინვალეებითა ყოვლისა სოფლისა პირი განბრწყინდების...“

დასასრული: „...ადიდებდენ სახელსა შენსა, რამეთუ დიდ ხარ შენ და მოქმედი საკრველთაჲ. შენ ხარ ღმერთი...“ 182r—185v (184v—187r).

შენიშვნები: 1. მთარგმნელია ექვთიმე ათონელი.

2. თუმცა ხელნაწერში თხზულების ავტორად დასახელებულია ბასილი დიდი, სინამდვილეში ავტორია ანდრია კრიტელი. იხ.: კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 13; 211; მისივე, ქართ. ლიტ. ისტ., I, გვ. 206; BGH 443.

3. ეს ტექსტი დაცულია ხელნაწერებში: H 2251, Ath. 32, Ier. 14, K 90.

4. პარალელური თარგმანი დაცულია ხელნაწერებში: A 162, A 182, A 382, H 1347, K 4, Ier. 18, Ier. 23.

28. თ ე ო ფ ი ლ ე ხ უ ც ე ს მ ო ნ ო ზ ო ნ ი ს ო რ მ ხ რ ი ე ა კ რ ო ს ტ ი ქ ე უ ლ ი ო რ ი ლ ე ქ ს ი :

## I

„აღმაღლდი უფროჲს ცნობათა და სდეგ  
 ქებაჲ მეტყუელთა რიტორთაჲ წარჰველი  
 ეგე, უხილავ უკუდავო ღმერთო  
 ბრძანებაჲ სრულ ჰყავ, სიტყუაჲ ჰქმენ საზღვარ  
 დაჰბადენ არსნი, ძალნი ჰყვენ ქადაგ  
 ინებე ოდენ, წარმოდგეს ცანი  
 თუალნი მნათობთა უქმნენ შეუღგამ  
 ყოვლად ყოველითურთ დღჲ განაშუენენ  
 ორსა მას წესსა რჩეულად განჰყოფ  
 ვარსკულავთა მიერ ღამე შეამკვე  
 ელვარებითა სოფელსა განსწმედ  
 ლტოლვილ ჰყოფ ბნელსა, მოგუფენ ნათელსა  
 ნივთთაგან კინინთა შენ შეჰქმენ კაცი  
 იპყარ შენ სივრცე, სიბრძნე ჩუენ მოგუეც  
 აგებულებაჲ დღჲს განაცხადე  
 რაჲდა საკრველ! ყოველივე ჰყავ  
 სრულებაჲ სრულ ჰქმენ, სოფელი ქალაქ  
 ნივთი უნივთო, კორცნილა აღურ  
 იძლევის სიტყუაჲ, იქცევის წესი  
 ოუფალი ძალთაჲ აწ კუალად მოვალს  
 უფალი მკსნელი არს მამისა ხატ  
 ფრიად სულგრძელო, შენ ექმენ შემწე  
 აღმოსავალთა ქველსა მეფესა  
 ლალვა არიდე, აცოცხლე მიმდემ  
 ხული უცხოვნი, მიეც მას ძალი  
 აწ და ოდესვე მერმეცა. ამინ!

## II

არსთა ყოველთა სწორად თანა-აც  
 ცნობად ნიჭთა მათ შენთა, მაღალო  
 ხუავრიელ ხარ შენ და ნიშთა მოქმედ  
 ოჲ სახიერო, ყოველთა ჰფარავ  
 ვითარ მიგიძღუნე მაღლობაჲ ღირსი  
 ნათელთა მიერ შენ ხარ შემკობილ  
 ელვათა დღითა განსუენებულო



ღამე წყუდიადთაა იოტე ძლევიტ  
 მზე სიპართლისაა აღმოგზბრწყინე  
 ენაა ბრგუნევილი აღსძარ, მხილავო  
 რააღა ბრწყინვალედ მადლთა განუყოფ  
 თვთოეულსა შენ მიეგებვი  
 ოვფალო ღმერთო, მეც მეცა ნაწილ  
 ტირილით სულთქუმაა ჩემი ისმინე  
 კეთილთა შენთა შენვე ხარ საზღვარ  
 ბევრის ბევრთაგან ბრალთა მივსენ მე  
 იგი პირველი წყალობაა მომეც  
 ღმობიერებაა უბოძე გულსა  
 ოდეს მოხვდე ზეცით სუფევით  
 ამინე სულსა, გლახ ჭირვეულსა  
 ცათა მფლობელი გექმნა სახიერ  
 ხარებასა მას თვთ მექმენ ქადაგ  
 ოვპირატესლა ხარ თუალთშეუღდამ  
 ვითარ მიგზენდენ შანთსა მას დიდსა  
 ნივთმან ცეცხლისა მის ბნელისამან  
 ეპა უფალო, ასუ თეოფილე წყალო  
 იგი ცხოველი, უკუნისამდღე! 186r.

შენიშვნები: 1. ამ ლექსების კიდურწერილობა ასე იკითხება:

I. „აქებდით ყოველნი არსნი უფალსა“. „გეორგი მეფე დიცივე, ქრისტე, ამინ“.

II. „აცხოვენ, ღმერთო ტყბილო, აცხოვენ ცოდვილი თეოფილე, რეცა თარგმანი“.

2. ცნობას ამ ლექსების არსებობის შესახებ ვხვდებით რ. ბლეიის აღწერილობაში( იხ. გვ. 129), ხოლო თვით ტექსტები გამოაქვეყნა ივ. ლოლაშვილმა (იხ. ივ. ლოლაშვილი, სიახლენი, გვ. 46—47).

საკითხავებს წინ უძღვის „ზანდუკი“ და „შესავალი“.

„ზანდუკი რჩეული წიგნისა ამის მეტაფრასისაა, აღწერილი ბერძულად სანატრელისა მიერ სუმეონ ლოლოთეტიისა, ხოლო თარგმანებული ქართულად ცოდვილისა მიერ თეოფილე ხუცესმონოზონისა.

ა. თა სკდენბერსა: ა: ცხორებაა და მოქალაქობაა წისა მამისა ჩუენისა სუმეონ მანდრელისაა, რლ არს ჰალაბელი: რისა თავი ესე არს:

სუმეონს სანატრელსა დიდსა მას...

ბ. თა სკბრსა: ბ: წამებაა წისა და დიდებულისა მოწამისა მამასი, რისა თავი ესე არს:

მამას დიდსა მას მოწამესა ქა...

გ. თა სკ: გ: ღუაწლი წისა მღდელმოწამისა ანთიმოასი, რისა თავი ესე არს:

ვინ არა იცნობს ნიკომიდიასა...

დ. თა სკ: დ: ღუაწლი წისა მამისა ჩუენისა ბაბილა ანტიოქელ მთავარეპისკოპოსისაა, რისა თავი ესეა:

ნუმერიანოს უკუე მძღავრ...

ე. თა სკ: ვ: წამებაა წთა მოწამეთა — ედოქსიოს, რომილოს, ზინონოს და მაკარისი, რისა თავი ესე არს:

ტრადიციის უკუშეშველდობა...

ვ. თა სკ: ვ: ღუაწლი წისა და დიდებულისა მოწამისა სოზონისი, რისა თავი ესე არს:

მაქსიმიანოს უკუშეშველდობა...

ზ. თა სკ: ზ: შობაჲ ყდ წისა ღთისმშობლისაჲ. საკითხავნი ორნი ჰპოვნე ბოლოსა: კბ: რვეულთა. ზ თავები საკითხავთაჲ მათ ესე არს:

მოვედით ყნი ტომნი, ყნი თესლნი...

მ. ბრწყინვალედ დღესასწაულზნ...

თ. თა სკ: თ: წამებაჲ წისა მოწამისა სევერიანისი, რისა თავი არს: ლიკინიოს რაჲ უშველოჲ მეფე...

ი. თა სკ: ი: წამებაჲ წთა დედათა — მინოდორა, მიტროდორა და ნემფოდორაჲსი, რისა თავი ესე არს:

არა დედანი, არცაჲ ქალნი დაჲ...

ია. თა სკ: ია: ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ და მოღუაწებაჲ ღირსისა და ნეტარისა დედისა ჩუენისა თეოდორა აღექსანდრიელისაჲ, რისა თავი საკითხავისაჲ ესე არს:

ზინონ მეფე რაჲ განაგებდა...

იბ. თა სკ: იბ: ღუაწლი წისა და დიდებულისა მღღელმოწამისა ქესისა ავტონომოჲსი, რისა თავი ესე არს:

სწორად უშუერებად შემირაცხ...

იგ. თა სკ: იგ: საქმე და მიცვალებაჲ წისა კორნილიოს ასისტავისაჲ, რისა თავი ესე არს:

შდ მაცხოვრისა ჩუენისა სიტყუსა ღთისა ქყანად მოსლვისა ნეფსით...

იდ. თა სკ: იდ: ამალებაჲ ცხოველსმყოფელისა ჯ. ხოლო თავი საკითხავისაჲ ესე არს:

ჯრისა კრებასა აღვასრულებთ...

რომელი ჰპოო აღსასრულსა წიგნისასა.

იე. თა სკ: იე: წამებაჲ წისა და დიდებულისა მოწამისა ნიკიტისი, რისა თავი არს:

ძღვევისა ღუაწლთა ნიკიტა მოწამისათა აღვასრულებთ კრებასა...

ივ. თა სკ: ივ: წამებაჲ წისა და ყდ ქებულისა ევფემიაჲსი, რისა თავი: დიოკლიტიანოსს რაჲ მძღავრსა ეპყრა სკიპტრაჲ ჰრომაჲ...

იზ. თა სკ: იზ: წამებაჲ წთა დედათა სოფია და ასულთა მისთა: პისტო, ელპიდი და ალაპისი. თავი საკითხავისაჲ ესე არს.

შდ ყოველსა შს სოფელსა განფენისა ქადაგებასა მას ცხორებისასა...

იწ. თა სკ: ით: წამებაჲ წთა მოწამეთა ტროფიმე, დორიმე[ნ]დო და სავატისი, რისა თავი ესე არს:

პროვოს მეფე უშველოჲ იპყრობდა რაჲ კუერთხსა მას ჰრომ...

ით. თა სკ: კ: წამებაჲ წისა და დიდებულისა ევსტათისი მთავარმოწამისა და თეობისტი და ძეთა მისთა-ალაპი და თეობისტოჲსი, რისა თავი არს:

ტრაიანოს უკუშეშველდობა სკიპტრასა მას ჰრომაელთასა და...

კ. თა სკ: კბ: ასტერიოს ამასიელ ეპისკოპოსისა შესხმაჲ წისა და დიდებულისა მღღელმოწამისა ქესისა ფოკაჲსი, რისა თავი ესე არს:

სამღღელომან მან უკუშეშველდობა და საღმნ კრებულმან მგნეთა მათ და ახ...

კა. თა სკ: კდ: ღუაწლი წისა და დიდებულისა კეთილად მძღვისა მოწამისა ქესისა თეკლაჲსი, რისა თავი ესე არს:

რაემს დიდი იგი მახარებელი და ქადაგი ქეშმარიტებისა, პავლეს ვიტ...  
 კვ. თა სკ: კვ: ცხორება და მოქალაქობა წისა დედისა ჩუენისა ევ-  
 ფროსუნისი, რ იყო აღუქსანდრიათ. თავი სკხ...

რაემს-იგი კუერთხსა მას ბერძენთასა თეოდოსიოს ძმ არკადისი ღთის...  
 კვ. თა სკ: კვ: შესხმად წისა და დიდებულისა იე ღთისმეტყუელისა,  
 რისა თავი არს:

კნილა და არარაით დაკლებულ არს ანგელოზთაგან კაცი და რ შესად...  
 კვ. თა სკ: კვ: წამება წისა და დიდებულისა მოწამისა კალისტრატესი  
 და მოყუსთა მისთა. თავი საკითხავისა:

მაცხოვრისა ქეს სამწყოსთა ხედიდა რად დღითი დღე განმრავლებ...  
 კვ. თა სკ: კვ: ცხორება და მოქალაქობა წისა მამისა ჩუენისა და  
 აღმსარებელისა ხარიტონისი, რისა თა...

ფრიად არს და მრავალ კეთილი მოძღურებისა და დიდად სარგებელ...  
 კვ. თა სკ: კვ: ცხორება და მოქალაქობა და მოღუაწება წისა მა-  
 მისა ჩუენისა, კვრიაკოს განშორებულისა, რისა თავი არს:

მაკურთხეველნი შენი კურთხეულ იყვენ, — ეტყეს ღმერთი აბრაჰამს, —  
 და მწყევარნი შენი წყეულ იყვენ, ვინ....

კვ. თა სკ: კვ: ცხორება და მოქალაქობა და წამება წისა და დიდე-  
 ბულისა მღღელმოწამისა გრიგოლი დიდისა სომხითისა ეპისკოპოსისა. თავი  
 საკითხავისა არს:

რაემს-იგი სპარსთა მთავრობად პართთად განიყო, ხოლო პართთა კელ-  
 მწიფებად ესოდენსა ძა... 2r-v.

შენიშვნა: „ზანდუკის“ ბოლოს იმავე ხელით: „ესრეთ ჯერ-არს დაწერად,  
 ზანდუკისა, ვინ სწერლით, რამეთუ ბერძულად ესრეთ არს. თუ არა, მე სინგური  
 არა მმეტობდა“.

### [შესავალი]:

„ვინადათგან უკუშ მდიდარმან მან დიდებითა და უმრავლესმან წყალობი-  
 თა ღმერთმან მეოხებითა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისადა და მადლი-  
 თა მოძღურისა და გამზრდელისა ჩემისა გეორგი მთაწმიდელისა-  
 თა, — რამეთუ კმა არს ჯსენებად ოდენ სახელისა მისისა შესხმად მისა,  
 რომელსაცა ვამაღლად ოხრიან ყოველნი ეკლესიანი ქართველთანი, — აღაღო  
 პირუტყუთ-სახშვ<sup>1</sup> ესე პირი ჩემი და კუალად მეცა უღირსმან ამან ვყავ მრავა-  
 ლი მოსწარაებება ამისთვის და სიყუარულისათჳს ამით წიგნთა და ყოველთა  
 ქართველთა ნათესავისა, დაუტყვევ ზრუნვად სულისა ჩემისა და ტირილი ცო-  
 დვითა ჩემთა და შევჰკადრე საქმესა უზეშთავისა ძალისა ჩემისასა, რომელ  
 არს თარგმანება წიგნთა ბერძულისაგან ქართულად. ამისთვისცა უნებლიეთ  
 თანა-მაც, რამთა გაუწყო ყოველთა მიზეზი წიგნთა ამთა და თუ ვინაა აღი-  
 წერნეს ანუ ვის მიერ და თუ რა და რა ითარგმნეს ძეგლთა მიერ თარგმანთა.

უწინარეს უკუშ ქრისტეს ძისა ღმრთისა ჯორციელად ჩუენდა მოსლვისა  
 ეამთა მათ შინა პირველთა იყო წესი და ბრძანება სამეუფოად ბრძენთა მათ  
 მიერ ძეგლთა შჯულად დადებული. ხოლო უმეტესადლა იულის ვისმე მიერ  
 ჰრომაელთა კეისრისა მტკიცედ განწესებული და შეკრძალული, რომელსა-  
 იგი აქუნდა პყრობად ზღუსა და კმელისა, რამთა ყოველნივე მთავარნი, ყო-  
 ველსა შორის სოფელსა განფენილნი, წერდენ ყოველთავე საქმეთა და მშჯავრ-  
 თა მათთა კაცისა მიერ სამეუფოთა ბოროტთაცა და კეთილთა დაუკლებელად.  
 და რამთა რად წელიწად აღვიდოდიან ჰრომედ, ანუთუ წარსცემდენ წერილთა

მათ და მუნ მეფისა მიერ და მთავართა და ათორმეტთა მათ მიერ ფილოსოფოსთა ბჭეთა ქალაქისათა გამოიძიებოდის თუთოეულად ყოველივე საქმე მათი: უკუეთუ ვისმე აენეს უსამართლოდ, ანუ თუ ქრთამი მიიღეს და მოკლეს, გინა თუ შურითა ვიეთთამე მონაგები ვისიმე იავარ-ყვეს და მიიხუტვის.

ესე ყოველი რაჲ წულილად გამოიძიან, უკუეთუ კეთილ იყვის, კუალად ეგის სამთავროდ თჳსა: უკუეთუ კულა არა, მიეგადის უკუანაჲსკნელი სამჯელი. ამას იქმოდეს წარმართნი იგი ფრიადცა კეთილად, რაჲთა ამის მიერ მშედობით განეგებოდის სოფელი. ესევე წესი ეპყრა თუთ თავადთაცა კეისართა და მეფეთა, რომელი-ესე მეფესა ბერძენთასა უპყრიეს ჯერეთცა, დაღათუ არა სრულად, და წერენ ყოველსავე რას მომავალთათჳს ნათესავთა და ესე შჯული და წესი მათგან შეუნდობელ არს.

ამით უკუჲ წესითა იწერებოდეს ღუაწლნიცა წმიდათა მოწამეთანი და პალატად სამეუფოდ შეკრებოდა ყოველივე იგი სრული და ჭეშმარიტებაჲ საქმისაჲ. ხოლო რომელ-ესე ძუელად იყვნეს წამებანი წმიდათანი, აღიწერნეს ესრე სახედ.

რაჲმს-იგი დიდად ბორგდა სამაჲელ, აღშფოთებული ქრისტეს მიმართ და სამწყსოთა მისთა და ეძიებდა ღონესა განბანად მკსნელისა მიერ ჩუენისა ძლეულებისა მის თჳსისა და ვერარაჲ პოვა, მაშინ შეუტდა მეფეთა მათ უღმრთოთა და მთავართა უშჯულოთა და აღადგინა დევნულებაჲ ქრისტეანეთა ზედა ესოდენ სატიკი, ვიდრეღა რომელნიმე მოსწყყდნა და რომელნიმე ლტოლვილ-ყვნა.

ხოლო რომელნი-იგი მოსწყდებოდეს სახელისათჳს ქრისტესისა, მათგან თავიეთ წამებისა დაწერა შეუძლებელ იყო, რაჲთამცა დაპირეს ქრისტეანეთა. კუალად რომელნი-იგი შიშისათჳს ლტოლვილ იყვნეს მათა შინა, მათმცა რაჲ აღწერეს, თუ რაჲ იქმნების ქალაქთა შინა, გარნა თუ მივიდის ვინმე კაცი ქრისტეანე, უკუეთუ იპოვის ოდენ დამალულთა მათ თანა, და იგიცა მდაბიო ვინმე და ლიტონი, და აუწყოს მას, რაჲ-იგი მას ასმიოდის, ვითარმედ მას რომელსამე ადგილსა იწამა ვინმე წმიდაჲ.

რომელი-ესე ესმის რაჲ მას, ამისთჳს ოდენ რაჲთა დარჩეს მოსაჯსენებულად და არა სრულიად განქარდეს ჟამთაგან, დაწერის რაჲმე, ვითარცა ნაწშირითა ხატი გამოსახული. ხოლო ჭეშმარიტნი იგი და მთავართა მიერ აღწერილნი მიიხუნის პალატმან და საუნჯემან სამეუფომან, ვითარცა ზმორე სიტყუამან გამოაჩინა. ესრეთ უკუჲ აღიწერნეს ძუელნი იგი ცხორებანი წმიდათანი და უკუანაჲსკნელ მწვალებელთა მიერ განიხრწნეს. რომელსაცა ამას ზედა ფრიად იხარებდა ეშმაკი.

ხოლო არავინ იპოვა ესევითარი კაცი, რომელსამცა აქუნდა მადლი და სიბრძნე სულიერი და დიდებაჲ და კელმწიფებაჲ ჯორციელი, რაჲთამცა გამოეხუნეს იგინი საგანძურთაგან სამეუფოთა და შეეწყვნეს იგი და შეეკაზმნეს, და ქრისტეანეთა გელესიისადა მიეცნეს, ვიდრე ჯღეთადმდე ბასილი მეფისათა.

უკუანაჲსკნელსა სამე შემდგომად ჟამთა გამოჩნდა კაცი იგი საყრველი. სკმეონ სანატრელი, რომელი შემკობილ იყო სიბრძნითა საღმრთოთათაცა და კაცობრივითა და აქუნდა მას კელმწიფებაჲცა ფრიალი პალატსა შინა, რამეთუ იყო ლოდოთეტი.

ამან სანატრელმან აღუწერნა ქრისტეანეთა ათორმეტნი ესე წიგნი მეტაფრასნი, და მიანიჭა ეკლესიათა საბერძნეთისათა უსასყიდლოჲ ესე მარგალი-

ტი, რომლისათვისცა ყოველნი ეკლესიანი მას იკითხვენ და მითა განათლებიან, და სწორად სახარებისა პატივ-სცემენ.

ხოლო უკუეთუ ვინმე იტყოდის, თუ ვინაა მათგან ესოდენ საწადელ არიან ათორმეტნი ესე წიგნი მეტაფრასნი, რად არა თარგმნეს წმიდათა მამათა ჩუენთა: ეფთჳმი და გეორგი? მე ვაუწყო ქეშმარიტი მიზეზი: რამეთუ ვაცი რაჟამს სიყმილითა პურისადათა მომყმარ იყოს, მას ძიებად ხილთა და სანოვაგეთა არა სცალს; რამეთუ უფრო საჭიროთაგან არა სცალდა და ამისთვის დაშთეს უთარგმანოდ.

რომელთაგან მე უღირსსა ამას თეოფილეს რეცა ხუცესმონოზონსა, მოწაფესა გეორგი მთაწმიდლისასა, რომელი არა ღირს ვარ მოწაფე წოდებად მისა, ათორმეტთა მათგან ერთი ესე გამომილია. უკუეთუ გაჰმარჯოს ღმერთმან სხუათათვისცა კეთილ, და უკუეთუ არა, ამისთვის ლოცვა ყავთ. სივერაგემან ჟამთამან, შეუწვენელობამან კაცთამან და სიგლახაკემან ჯორცთამან სიძვრესა თანა ეტრატისასა დამიხრწიეს, რამეთუ ორანი ქსელანი მოვიდოდეს დრაჰკანად. თუ არა მცირეთა შინა ჟამთა მრავალი კეთილი იქმნებოდა, აწ ღმრთისათვის, უკუეთუ ვინმე სწერდით ამას, რამცა აჟა ჰპოოთ, სრულად დასწერდით და შეუცვალებელად, და აღიდებდით ღმერთსა უკუნისამდელმ. 3r-v.

**შენიშვნა:** „შესავლის“ ტექსტი გამოქვეყნებულია რ. ბლეიკისა და კ. კეკელიძის მიერ (იხ.: R. Blake, Catalogue, p. 118—121; კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 144—145).

ხელნაწერს ერთვის თეოფილეს ხუცესმონოზონის ვრცელი ანდე რძი:

„რომელი-ეგე მხოლოე ხარ მეუფე მეუფეთაჲ, უფალი დაბადებულთაჲ და მთავარი საუკუნეთაჲ, რომელი სამწმიდაარსობით იდიდები და ერთარსებით თაყუანის-იციემები, რომელი დიდებულ ხარ ყოველთა ზედა საქმეთა შენთა და საკვრველ ყოველთა ზედა ქმნულთა შენთა, რომელი დაუსაბამო ხარ და უხილავ, მიუწოდომელ და სამარადისო; რომელი ზეშთა ხარ და გარე წარსრულ ყოველთაგანვე გონებათა, ჟამთა და ცნობათა, რომელი ხარ შეუნიერებაჲ არსთაჲ და შემამკობელი ძალთაჲ, რომელი სიმრგულესა მას ცათასა იპყრობ სოფელსა თანა სიმდიდრითა, რომლისა სუფეგაჲ მოუკლებელ და მოწყალეებაჲ მიუთხრობელ.

მხოლოო წმიდაო, მხოლოო ტკბილო, მხოლოო სახიერო და კაცთმოყუარეო, ღმერთო ღმერთთაო და უფალო უფლებათაო, რომელსა გაქუს ძლიერებაჲ უბრძოლელი და კელმწიფებაჲ წინადაუდგრომელი, რომელი გამოაბრწყინებ ბნელისაგან ნათელსა და ადვილად შესცვალებ წინა-შემდგომობასა საქმეთასა. რომელმან განაშუენენ ცანი ვარსკულავითა, ხოლო გონიერნი იგი ცანი სრულ-ჰყვენ მადლითა. რომელმან შეამკვე ქუეყანაჲ ნერგთა მათ მიერ მრავალფერთა და თუთოსახეთა მიერ ყუავილთა განასურნელე იგი, ხოლო კაცსა პატივ-ეც პატივითა მით ღმერთყოფისადათა და აღამაღლე იგი საკვრველითა მით სიმაღლითა დიდებასა თანა უაღრესსა, რომელი-ეგე ღმრთიე შეუნიერად განაგებ ყოველსავე და იპყრობ რისხვასა წყალობითა. რომელი ნივთთაგან კნინთა შეჰმზადებ საქმეთა დიდებულთა. რომელსა არა გნებავს სიკუდილი ცოდვილისაჲ, არამედ მოქცევაჲ და სინანული მისი საცხორებელად.

რომელი აღადგენ ქუეყანისაგან გლახასა და ორთა მათგან სკორეთა აღადგინებ დავრომილსა და აღიყვანებ მას ზმ და აღამაღლებ, გარნა არა დაუ-

ტეკე მას ვიდრე მუნადმდე, არამედ დასუამცა მთავართა თანა ერისა შენისათა; დიდებულებაჲა ესე საქმისაჲ ვინ განიცადოს, რომელი-ესე მრავალგზის ჰქმენ მრავალთა ზედა, ხოლო უმეტესდა აღასრულე დღეს უნდობასა ჩემსა ზედა და აღსრულებითა არა ლიტონითა, არამედ საკურველითა.

რომლისა ამის ყოველისათჳს გაკურთხევ შენ და თაყუანის-გცემ და ვჰმადლობ ვრცელთა მათ და ურიცხუთა წყალობათა შენთა, რამეთუ განამრავლენ და გარდაჰმატენ ქველსმოქმედებანი სულგრძელებისა შენისანი უბადრუკებასა ზედა ჩემსა. აღვიარებ მადლსა, ვჰადაგებ წყალობასა. არა დავჰფარავ კეთილისმოქმედებასა, არამედ განვეკრდები და უსიტყუელ ვარ და ვადიდებ მღუმრიად განუვლელთა მათ განკითხვათა შენთა. ნანდღვე, ნანდღვე ჰქმნარიტად შენ ხარ უფალი მხოლოდ, ღმერთი დიდი, ღმერთი წმიდაჲ და ძჳრუკსენებელი, რომლისა ძლიერებათა ვინ შეუძლოს გამოთქუმად ანუ ვინ სასამენელ ყვნეს ყოველნი გალობანი მისნი.

რამეთუ ჩემთჳს, მ მეუფეო უფალო, უტანჯველად ოდენ ყოფაჲ სოფელსა ამას შინა დიდ იყო და ფრიადცა დიდ და ნამეტნავ და არა მოგებად აწვე აქა შემსგავსებულად ცოდვათა ჩემთა, რამეთუ ფრიად არიან და მრავალ ცოდვანი ჩემნი წინაშე ღმრთეებისა შენისა, რომლისათჳსცა გვედრები და შეგივრდები და აღვიარებ წინაშე სუფევისა შენისა ბრალთა ჩემთა. ცოდვათა სიჰაბუკისა და უმეტრებისა ჩემისათა ნუ მოიკსენებ. მიწყალე მე, უფალო, მიწყალე და ულხინე ჰირვეულსა სულსა ჩემსა. განხეთქე, მეუფეო, განხეთქე კელითწერილი ბრალთა ჩემთაჲ. დამიწერე მე, მაცხოვარ, დამიწერე კელითწერილი იგი ლხინებისა და გამოკსნისაჲ. მოიხილე, წმიდაო, მოიხილე უნდობასა ზედა ჩემსა და განანათლენ დაბნელებულნი თუალნი სულისა ჩემისანი.

მ წმიდაო წმიდათაო, მთავარო მთავართაო და სრულმყოფელო ყოველთაო, ღმერთო დიდებისაო და უფალო სუფევისაო, რომელსა გმსახურებენ დასნი იგი ბევრეულნი ზეცისა მვედრობათანი კრებულსა მას თანა და სულებსა წმიდათასა, ისმინე ვჰმად უნდობა ვედრებისა ჩემისაჲ და წმიდა-მყავ მე ყოველისაგან ბოროტისა და ბრძლისა ვნებათაჲსა. და ბრძანე, სახიერო, შეწყალებად ჩემდა აწცა აქა და მერმე სამთა მათ შინა ჟამთა საშველისათა. და ნუმცა გარდამატებულებაჲ მადლთა შენთაჲ მექმნების მე გარდამატებულება სატანჯველთა, არამედ განაგე ცხორებაჲ ჩემი უღარესად შეცვალებითა მეოხებითა ყოველად წმიდისა ღმრთისმშობელისა და ძალთა მათ წმიდათა უსხეულთაჲთა დიდებულთა მოციქულთა და მოძღუართა და ახოვანთა მოწამეთაჲთა, ხოლო უმეტესადლა. რომელნი წერილ არიან წიგნსა ამას სეკდენბერისა თჳსასა, რომელი-ესე შეჰმზადა თარგმანებით უნდობისაგან ჩემისა ყოველად ძლიერმან წამისყოფამან შენმან, ვითარცა ეკლისაგან ვარდი, სულნელებაჲ იგი მთავართაჲ, და მატლისაგან აბრეშუმნი, სამოსელი იგი მეფეთაჲ, და ფუტკრისაგან უნდობასა სიტკობებაჲ და სინათლე, სასურველი იგი და საწადელი ყოველთა კაცთაჲ.

ნათელო ნათელთაო და დიდებაო წმიდათაო და სიმდიდრეო არსთაო, მე-უფეო დიდებისაო და უფესკრულო წყალობისაო იესუ ქრისტე, ძეო და სიტყუაო ღმრთისა ცხოველისაო, რომელი არა მართალთა მოხუედ წოდებად, არამედ ჩემებრთა ცოდვილთა სინანულად, რომელმან ყოველივე შემსგავსებულად დიდებისა შენისა აღასრულე, რამეთუ ესე პირველითაგანვე წეს არს შენდა, რაჲთა ნივთთაგან კინითა და უნდობთა შეჰმზადნე საქმენი დიდებულნი, რაჲთა ყოველივე იყოს ღმრთეებისა შენისა მიერ აღსრულებულ და რაჲთა შენ თავადისა ძისა მამითურთ და სულით მოდრკეს ყოველი მუტლი: ზეც-

სათა, ქუეყანისათა. და ქუესკნელთაჲ, და ყოველმან ენამან აღგარონ ყოველად წმიდასა სამებასა ღმერთსა ჩუენსა.

მოიგსენენ, უფალო, მოიგსენენ პირველ დაძინებულნი მონანი შენნი, მშობელნი სანატრელისა და წმიდისა მამისა გეორგი მთაწმიდელი-სანი — მარიაჲ და იაკობ, რომლისა მადლითა და ლოცვითა იქმნა, რაჲ ესე იქმნა; და კუალად უნდონიკა იგი მშობელნი უღირსებისა ჩემისანი — მარიაჲ და იოვანე ცოდვილსა თანა სულსა ჩემსა, რომელმან აღვეწერე ესე.

ეგრეთვე ყოველნივე, რომელნიცა შემწე მექმნეს ყოფად ამას საქმით ანუ სიტყვით, მიეც მათ მადლი და კურთხევაჲ და ჭსნაჲ ცოდვათაგან. და ყოველნი, რომელნი იკითხვიდენ და ისმენდენ გულსმოდგინედ და სურვილით, დაიცვენ და დაიფარენ და იჯსნენ ივინი საუკუნოამსაგან საშჯელისა.

კუალადცა და მრავალგზის შევივრდები შენ, უფალო, და გვეედრები, წარჰმართენ სლვანი სულისა ჩემისანი ალაგთა მიმართ წმიდათა მცნებათა შენთა-მსა. და მომეც მე, მჯსნელო, ძალი იგი ორკეცი და შეჰრთენ ერთსა ამას თანა ათერთმეტნი იგი, რაჲთა სრულ იქმნეს ჩემ ზედა მოწყალეებაჲ შენი და სრულისაჲ სრულსა შინა სრულიად იდიდებოდის სრული იგი სახელი შენ წმიდისა სამებისაჲ.

რამეთუ შენ ხარ ღმერთი მხოლოჲ, სრული, მადალი, დაუსაბამოჲ, გამოუსახველი, განუტდეელი და უსაზღვროჲ, მოუკლებელი, უკუდავი, გამოუთქუმელი, უხილავი, მიუწდომელი, უხრწნელი და სამარადისოჲ. და შენი არს ყოველივე დიდებაჲ, პატივი, სიმტკიცე და სუფევაჲ აწ და მარადის და უკუდავთა მათ საუკუნეთა უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

ლოცვა ყავთ, წმიდანო ღმერთისანო, ცოდვილისა თეოფილესთჳს, რეცა თარგმნისა, რამეთუ მე არარამსათჳს სხჳსა, არამედ ლოცვათათჳს თქუენთა წმიდათა თავს-მიც შრომაჲ ამისი.

ხოლო ვევედრები და ვამცნებ ყოველთა ეკლესიათა, რომელსაცა მიიწიოს წიგნი ესე, რაჲთა უკუეთუ ვინმე წერდეს ამიერ, ვითა აქა პოოს, ეგრეთ წერდინ შეუცვალებელად, რაჲთა არა ბრალეულ იქმნას საშჯელთაგან საღმრთოთა; და ნუცა სიტყუასა სცვალებნ, ნუცა თავსა და ნუცა წერტილსა, რამეთუ მე თავით ჩემით არარაჲ დამიწერია, არცა ჩამირთავს და არცა დამიკლია, რაოდენ ჩემგან ეგებოდა და ქართული ენაჲ თავს-იდებდა, არამედ ვითარცა ბერძულად მიბოვნია წიგნთა შინა მართალთა და ფრიადცა წარჩინებულთა, ესრეთვე ქართულად დამიწერია. ხოლო უკუეთუ ვინმე ამას ურწმუნო იყოს, შეაწამენ და მიერ ისწავენ ჰეშმარიტებაჲ სიტყუსაჲ.

ესრეთვე კუალად ვევედრები წინამძღუართა და დეკანოზთა, რაჲთა არცა ტანსა ზედა, არცა წუერთა ზედა და არცა ყბათა ზედა განჰყოფდენ საეკლესიოდ კითხვასა, არამედ მეცნიერთა ზედა და ღმერთისმოშიშთა. და ესე წესი იზყარნ მანცა, რომელი უპყრიეს ეკლესიათა საბერძნეთისათა, რაჲთა პირველსა დღესა მიეცემოდის წიგნი და დღე ყოველ დაიწუართოს მკითხველმან ცისკრად წარსაკითხავი იგი საკითხავი.

რამეთუ თვთღა თქუენ განბჭეთ და განიკითხეთ, თუ არა სირცხულ არსა ესე ჩუენდა, უკუეთუ ბერძენნი ესოდნსა მას სიბრძნესა ზედა და წურთილებასა და წერილთა მათთა სიკეთესა და აღნიშნვასა კუალად დაიწურთიდენ და წარინახვიდენ, რომელთა თვთ ენაჲ მას ზედა ამოუდგამს. და ჩუენ ჩუენსა უსწავლელობასა ზედა არა ვიქმოდით ამას.

ითარგმნა უკუც წიგნი ესე მეტაფრასი ქალაქსა შინა სამეფუფოსა კოსტანტინეპოლეს მონასტერსა შინა ყოვლადშუენიერსა ტრიანდაფილვის დედისა ღმრთისასა.

უღირსისა მიერ თეოფილეს რეცა ხუცესმონოზონისა და მათვე კელთა მიერ დაინუსხა დასაბამითგანთა წელთა ექუს ათას ხუთას ოთხმეოცდამეცხრესა, ინდიკტიონსა ოთხსა ბერძულად,

მეფობასა აღმოსავალეთს გეორგი კესაროსისა, ბაგრატიონისასა, რომლისა ბრძანებითა და მოღუაწებითა ვიწყე თარგმნად წიგნთა საღმრთოთა ელენურისაგან ქართულად. მიეცინ ღმერთმან სრულებაჲ კეთილთა აქაცა და საუკუნოდ.

ხოლო საბერძნეთს დედოფლობასა მართა მისევე გეორგის დისასა და მეფობასა ნიკიფორე ბოტანიოტიისა და ალექსი კომნიანოსისასა, მას ჟამსა, ოდეს ბაგრატის ასული მარიაჲ დედოფალი აღმოსავლეთით კონსტანტინოპოლეს შემოვიდა.

და ჩუენ ზედა მეუფებასა იესუ ქრისტეს, ძისა ღმრთისასა, რომელი-იგი სუფევსმცა საუკუნოდ სულთა ზედა და კორცთა ჩუენთა აწ და ყოველთა მობართ საუკუნეთა უკუნისამდღ, ამინ!“ (186v—188v).

**შენიშვნა:** „ანდერძის“ ტექსტის ნაწილები გამოქვეყნებულია რ. ბლეიკის, კ. კეკელიძისა და ივ. ლოლაშვილის მიერ. (იხ. R. Blake, Catalogue, pp. 129—130. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 146; ივ. ლოლაშვილი, სიახლენი, გვ. 48—50). იხ. აგრეთვე, ნ. გოგუაძე, სექტემბრის თვის მეტაფრასების ათონური ნუსხა, მრავალთაფი, XII. „ანდერძის“ მთლიანი ტექსტი ქვეყნდება პირველად.

**ანდერძ-მინაწერები:** 1. 186r ანდერძის წინ ტექსტის ხელით: „ვინცა ესე ჩემი წიგნი დასწეროთ, ყათ სიყუარული და ამას ჩემსა ანდერძსა ნუ დაადებთ, რამეთუ თქუენთვის მადლი არს და წიგნისათჳს უმტკიცეს არს, ეგრეცა შესაეცალსა მას თავისასა. ხოლო ამას წიგნსა შინა ქართულთაგან ანუ პირველთა თარგმანთა თარგმანებულისა ყოვლადვე არაჲ წეროლ არს, თუნიერ ჟუარისა საკითხვისა, სხუად ყოველივე ახალი არს“.

2. 188v ანდერძის ბოლოს იმავე ხელით: ა) „ღმერთმან აკურთხენ პატიოსანი მღვდელი საბა ცოდვილსა თანა სულსა ჩემსა, რომელმან შემიმოსა ესე წიგნი“.

ბ) „შეიწყალენ ღმერთმან ჩემი ხუცესი ხრისტოდულე ებრაელყოფილი უღირსსა თანა სულსა ჩემსა, რამეთუ ამის წიგნისა ეტრადი ყოველი მას უკაზმავს“.

**მინაწერები:** 1. XIX საუკ. მხედრულით: „ვინცა მომიხსენო მე, ცოდვილი ილარიონ, მოგიხსენოს შენცა ქრისტემან სასუფეველსა“. 1v.

2. ამავე გვერდზე ბერძნული წარწერებია.

3. „აქრძალე, ძმაო, უკრძალეღად გმარებასა წმიდისა ამის წიგნისასა, რათა არა სასჯელი მიიღო საუკუნოდ და უფროსლა, კანდეაკი“ (ნუსხურით, განსხვავებული ხელით). 5v.

4. „რაჟამს დაჰნიშნვიდე საკითხავად, აკრძალე კელი და ცვლი ნაწერსა“ (ნუსხურით, განსხვავებული ხელით). 6r.

5. „უფალო იესო ქრისტე, შეიწყალე ცოდვილი და გლახაკი ბერი ვენედიკტონ მშობლით და მოყვასითურთ. ამინ. ჩყლვ (=1836) წელთა“. (მხედრულით). 189v.

6. „მოიხსენე, მოწყალე ქრისტე იესო, ილარიონ მშობლით და მოყვასითურთ. ამინ“. (XIX საუკ. მხედრულით). 198v.

**შენიშვნა:** ტექსტის ხელთან დაკავშირებით იხ. ტაბულა 7,8.



## 21(54)

## ჰომილეტიკურ-აგიოგრაფიული კრებული, 1030 წ.

330ფ.; 26,5×21; ეტრატი; წითელ ტყავის ყდაში ჩასმული; ათონური ტიპის ნუსხური; სათურები და საზედაო ასოები სინგურით; 1030 წ. (237v); გადაწერილი — ისაყ (237v, 329r), დამკვეთი — მამა გრიგოლ (237v; 329r). გადაწერის ადგილი: ბიზონიის ოლიმპი, ქვაბი, საყოფელი ქართველთა, წმ. ლმობისმშობლის ეკლესია. აქვს რვეულბრივი აღრიცხვა, თავნაკლულია.

1. [ეპისტოლენი წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა მ ა კ ა რ ი ს ნ ი, თავი პირველი] — „...თვისსათა, რამეთუ მრავალ არიან საფრკენი ეშმაკისანი...“

დასასრული: „...გიკითხავ თქუენ ყოველთა საყუარელთა ჩემთა უფლისა მიერ. უფალმან დაგიცვენინ თქუენ ყოველნი მშუდობით. ამენ“.  
1r—17r.

შენიშვნები: 1. თავნაკლულია. სათაური აღდგენილია Sin. 35-ის მიხედვით.

2. შედის Sin 25 (X ს.); Sin. 35 (907 წ.); Ier. 73 (XI—XII სს.); ქუთ. 181 (XI ს.); ნაწყვეტები შედის Sin 34 (X ს.).

2. „ეპისტოლენი წმიდისა მამისა ჩუენისა მ ა კ ა რ ი ს ი ბ. — მშუდობა თქუენდა, შვილნო ჩემნო საყუარელნო, გიკითხავ თქუენ სიხარულითა სული-სადათა...“

დასასრული: „...და ღირს იქმნეთ დაუსრულებელთა მათ კეთილთა ქრისტეს იესუს მიერ რომელსა შუენის...“ 17r—30r.

შენიშვნები: 1. შესატყვისი უცხოენოვანი ტექსტი დაცულია XV—XVIII სს. ეთიოპურ ხელნაწერებში. ეთიოპური ტექსტი და მისი ლათინური თარგმანი იხილეთ: Collectio Monastica, Interpretatus est Victor Arras, Louvain, 1963, გვ. 6—19.

2. შესულა: Sin 25, Sin 35, Ier 73, ქუთ. 181.

3. „სწავლანი წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა მ ა კ ა რ ი ს ნ ი. თავი გ — ყოველთა მეუფე კაცთმოყუარე ღმერთი ჩუენი მარადის ისწრაფის ცხო-რებისათჳს კაცთადას...“

დასასრული: „...და მის თანა გამოუთქუმელსა მას განსუენებასა განვისუენოთ დაუსრულებელთა მათ საუკუნეთა უკუნისამდე. ამენ“.  
30r—59v.

შენიშვნა: ბერძნული: Two rediscovered work of ancient christian literature: Gregory of Nyssa and Macarius by Weraer Jaeger, Leiden; 232—301.

4. „მისივე, წმიდისა მ ა კ ა რ ი ს ი კითხვა-მიგებად, დ. — რომელნი ის-მენდენ სიტყუათა ღმრთისათა და იქმოდინ ნაყოფსა კეთილსა...“

დასასრული: „...ცხორებამ საუკუნომ დაემკვდროთ ქრისტეს იესუს მიერ უფლისა ჩუენისა...“ 59v—78r.

შენიშვნა: ბერძნული: Makarios/Symson, Reden und Briefe... 13—26.

5. „მისივე, წმიდისა მამისა ჩუენისა მ ა კ ა რ ი ს ი, თავი ე — სული კა-ცისამ ურჩებისათჳს შორს განდგა ღმრთისაგან...“

დასასრული: „...ეკა ფრთენი იგი განმარტებულნი, ეკა მოწყალეობა იგი დიდი დედისა. ამენ“ 78r—89v.

შენიშვნა: ბერძნული: Makarios/Symeon, Reden und Rriefe..., I, 27—41.

6. „მისივე, წმიდისა მამისა ჩუენისა მ ა კ ა რ ი ს ი, თავი ვ — ქრისტეანე-თა სოფელი სხუაჲ არს და წესი და გონებაჲ...“

დასასრული: „... და მარადის უფლისა თანა იყვნენ და მის თანა სუ-ფევდენ დაუსრულებელთა მათ საუკუნეთა უკუნისამდე. ამენ“. 89v—101r.

შენიშვნა: ბერძნული: Makarios/Symeon, Reden und Briefe..., II, 90—106.

7. „მისივე, წმიდისა მამისა ჩუენისა მ ა კ ა რ ი ს ი, თავი ზ — რომელთა ჰნებაჲს, რაჲთა ცხობებაჲ ქრისტეანობისაჲ ჰეშმარიტებით წარჰმართონ...“

დასასრული: „...ვითარცა თანამოზიარე შრომათა მათთაჲ და მსგავსად მათსა ყოფილი სოფელსა შინა. დიდებაჲ სახიერებათა უფლისათა და აურაცხელთა წყალობათა...“ 101r—111r.

შენიშვნა: ბერძნული: Makarios/Symeon, Reden und Briefe..., II, 107—122.

8. მისივე, წმიდისა მამისა ჩუენისა მ ა კ ა რ ი ს ი, თავი ც — ნეტარმან წინაწარმეტყუელმან ეზეკიელ იხილა ჩუენებაჲ...“

დასასრული: „...ჰე, გეტყჳ თქუენ, ყოს სასჯელი მათი ადრე, რამეთუ...“ 111r—117v.

შენიშვნა: ბერძნული: Makarios/Symeon, Reden und Briefe..., I, 124—133.

9. მისივე, წმიდისა მამისა ჩუენისა მ ა კ ა რ ი ს ი, თავი თ — ...სრულნი ქრისტეანენი, რომელნი მიწევნულ არიან საზომსა სისრულისასა...“

დასასრული: „...და გაქუნდინ თავნი თჳსნი უცოდვილეს უფროჲს ყოველთა მკვდრთა ქუეყანისათა“. 118r—123v.

შენიშვნა: ბერძნული: Makarios/Symeon, Reden und Briefe..., I, 178—187.

10. „მისივე, წმიდისა მამისა ჩუენისა მ ა კ ა რ ი ს ი, თავი ი — ვითარცა კაცი მდიდარი სოფელსა შინა, რომელსა აქუნ სიმდიდრე...“

დასასრული: „...და მკვდრ მყვენეს სასუფეველსა მას საუკუნესა ყო-ველთა წმიდათა მისთა თანა, რამეთუ მათი არს...“ 123v—127r.

შენიშვნა: ბერძნული: Makarios/Symeon, Reden und Briefe..., I, 155—160

11. „მისივე, წმიდისა მამისა ჩუენისა მ ა კ ა რ ი ს ი, თავი ია — შეეალს ვინმე მოდრეკად მუკლთა და გული მისი აღივსების ძალითა საღმრთოთათა...“

დასასრული: „...არა ვარ ყოვლითურთ თავისუფალ“. 127r—130v.

შენიშვნები: I. ბერძნული: Makarios/Symeon, Reden und Briefe..., I, 50—53.

2. გვხვდება მარკოზ განშორებულის სახელითაც: P. G., 65; Marc. Erem. 1064 D—1069 A.

12. „მისივე, წმიდისა მამისა ჩუენისა მ ა კ ა რ ი ს ი, თავი იბ — სიტყუაჲ იგი სასუფეველისაჲ, რომელი-იგი იქადაგების ქადაგთა მიერ...“

დასასრული: „...და ესრეთ ღირს-მყვენეს საუკუნოჲსა ცხობებისა მის თანა მიღებად...“ 130v—137r.

შენიშვნა: ბერძნული: Makarios/Symeon, Reden und Briefe... II, 207—216.

13. „მისივე, წმიდისა მამისა ჩუენისა მ ა კ ა რ ი ს ი, თავი ივ. — კაცობრივი ბუნებაჲ ვინაჲთვან შეეარდა ბრძანებასა შინა რისხვისა ღმრთისასა...“

დასასრული: „...რაჲთა ესრეთ მოგუჲანიჭოს ჩუენ ქრისტემან გვრგვნი სიმაართლისაჲ და ღირს ვიქმნეთ მის თანა დაუსრულებელთა საუკუნეთა...“ 137r—145v.

შენიშვნა: ბერძნული: Makarios/Symeon, Reden und Briefe..., II, 123—134.

6. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა

14. „თქუმული მისივე, წმიდისა მამისა ჩუენისა მ ა კ ა რ ი ს ი — ვითარმედ აჩრდილი აქუნდა რჩულსა მერმეთა მათ კეთილთა და არა თვთ იგი ხატი საქმეთა — დიდება იგი მოსცის, რომელი აქუნდა პირსა ზედა თუსსა...“

დასასრული: „რომელთა ქადაგეს ყოველსა სოფელსა სახარებად სასუფეველისა ქრისტესი, რომელსა...“ 146r—153r.

შენიშვნები: I ბერძნული: Makarios/Symeon, Reden und Briefe..., I, 141—150.

2. ერთადერთი თხზულება ამ ავტორისა, რომელსაც სათაურის შემდეგ აქვს ერთწინადადებიათ რეზიუმე: „ვითარმედ აჩრდილი... ხატი საქმეთა“.

3. 146r იწყება ორნამენტური თავსაყალით, ზემოდან ჯვრის გამოსახულებით.

15. „მისივე, წმიდისა მამისა ჩუენისა მ ა კ ა რ ი ს ი, თავი იე — კაცი ქეშმარიტების მოყუარე და ღმრთისმოყუარე...“

დასასრული: „...რათა საუკუნოვანსა სასუფეველისა ღირსად გამოვჩნდეთ და ქრისტეს თანა ვიშუებდეთ...“ 153r—156r.

შენიშვნა: ბერძნული: Makarios/Symeon, Reden und Briefe..., I, 173—177.

16. „თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა მ ა კ ა რ ი ს ი, თავი ივ — სულნი იგი ღმრთისმოყუარენი, რომელთა სურის, რათამცა სრულიად ღმერთი შეიმოსეს...“

დასასრული: „...და ესრეთ ღირს იქმნას პატივთა დიდთა და ნიჭთა მრავალთა მკვდრობასა სასუფეველსა ცაათასა...“ 156r—157r.

შენიშვნა: ბერძნული: Makarios/Symeon, Reden und Briefe..., II, 135—137.

17. „მისივე, წმიდისა მამისა ჩუენისა მ ა კ ა რ ი ს ი, თავი იზ — ყოველივე ხილული ეკლესიისა ღმრთისა განგებულებად იქმნა საცნაურისა მის და ცხოველისა არსებისა...“

დასასრული: „...რომელი კეთილსა შინა გამოაჩინა და დაიმკვდროს უფლისა თანა...“ 157v—161r.

შენიშვნა: ბერძნული: Makarios/Symeon, Reden und Briefe..., II, 138—142.

18. „თქმული წმიდისა მამისა ჩუენისა მ ა კ ა რ ი ს ი, იმ — კეთილ არს მარხვად, მღვდარებად და უცხოებად...“

დასასრული: „...ჰხედავა, რამეთუ უფალსა ჰნებავს და თვთ კაცსა არა ჰნებავს მიახლებად უფლისა...“ 161r—164v.

შენიშვნები: I. ბერძნული: Makarios/Symeon, Reden und Briefe..., I, 118—123.

2. ტექსტი გვხვდება მარკოზ განწობებულის სახელთაც: P. G., 65; Marc. Erem. 1069 A.

19. „თქმული წმიდისა მამისა ჩუენისა მ ა კ ა რ ი ს ი, თავი ით — ცეცხლი იგი ზეცისა ღმრთეებისა მიერი, რომელსა აქავე ქრისტეანენი გულთა შინა მათთა მიიღებენ...“

დასასრული: „...უკუეთუ ოდენ აღსასრულადმდე ვეძიებდეთ მათ. დიდებად სახერებასა მისსა...“ 164v—170v.

შენიშვნა: ბერძნული: Makarios/Symeon, Reden und Briefe..., II, 143—150.

20. „თქმული წმიდისა მამისა ჩუენისა მ ა კ ა რ ი ს ი, თავი კ — რად-მე ვპრჭუათ საყუარელთა მათ ძმათა ჩუენთა...“

დასასრული: „...ეპისახუროთ უბიწოდ და მის თანა დავიმკვდროთ უკუნისამდე ცხორებაჲ იგი საუკუნოჲ...“ 170v—180r.

შენიშვნა: ბერძნული: Makarios/Symeon, Reden und Briefe..., II, 151—163.

21. „თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა მაკარიისი, თავი კა — უფალი ჩუენი იესუ ქრისტე ლოცვასა ასწავებდა მოწაფეთა თჳსთა...“

დასასრული: „...ღირსად გამოვჩნდეთ მკვდრობისა მის ზეცათაჲსა...“ 180r—186r.

შენიშვნა: ბერძნული: Makarios/Symeon, Reden und Briefe..., I, 221—228.

22. „თქუმული მისივე, წმიდისა მაკარიისი, თავი კვ — რომელსა ჰნებავს სათნო-ყოფად ღმრთისა და ჰრწმენეს თანამკვდრად ქრისტესა ყოფაჲ...“

დასასრული: „...ვიპოვნეთ გამოცდილ და ღირს მისა და ესრეთ ცხორებასა საუკუნესა მივემთხვენეთ...“ 186r—192r.

შენიშვნები: I. ბერძნული: Makarios/Symeon, Reden und Briefe..., II, 164—172.

2. ემთხვევა ეგრემ ასურის ერთი თხზულების ერთ მონაკვეთს მთლიანად (იხ. Assemani, II, 326C—333B) და ერთს — ნაწილობრივ (იხ. Assemani, II, 366E—368D).

23. „თქმული წმიდისა მამისა ჩუენისა მაკარიისი, თავი კგ — რომელსა ენებოს მოსლგაჲ უფლისა და ცხორებისა საუკუნოჲსა პოვნაჲ...“

დასასრული: „...და ძმად თჳსად გვწოდნა დიდებაჲ მამისა და ძესა და წმიდასა სულსა...“ 192r—195v.

შენიშვნა: ბერძნული: Makarios/Symeon, Beden und Briefe..., II, 173—178.

24. „თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა მაკარიისი, თავი კდ — ...ჰემ-მარიტნი იგი მოყუარენი ღმრთისანი, რომელთა უყუარს იგი...“

დასასრული: „...და გულნი ჩუენნი მადლითა მისითა აღივსნენ და ესრეთ დავიმკვდროთ სასუფეველი ცათაჲ და ქრისტეს თანა ვიშუებდეთ...“ 195v—197r.

შენიშვნა: ბერძნული: Makarios/Symeon, Reden und Briefe..., II, 178—181.

25. „თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა მაკარიისი, თავი კე — ნეტარი მოციქული პავლე, ხუროთმოძღუარი იგი ეკლესიისაჲ...“

დასასრული: „...და შეიმოსონ სამოსელი ზეცისაჲ და ესრეთ ქრისტეს თანა ვსუფევედეთ განსუენებითა საუკუნოჲთა და გამოუთქუმელითა...“ 197r—200r.

შენიშვნა: ბერძნული: Makarios/Symeon, Reden und Briefe..., II, 182—186.

26. „თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა მაკარიისი, თავი კვ — რომელნი-იგი განწორებულ არიან სოფლისაგან და ისმენენ კეთილად სიტყუასა ღმრთისასა...“

დასასრული: „...და სძლის რაჲ ბრძოლასა მას წინააღმდეგომთასა ძალითა წმიდისა სულისაჲთა და თჳსითა მოსწრაფებითა ყოველსავე სათნობასა შინა და ესრეთ პოვის ცხორებაჲ საუკუნოჲ დაუსრულებელი...“ 200r—203v.

შენიშვნა: ბერძნული: Makarios/Symeon, Reden und Briefe..., II, 187—191.

27. „თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა მაკარიისი, თავი კზ — რომელთა ენებოს თავისა თჳსისა მიცემია ჰემმარიტებით უფლისა...“

დასასრული: „...და ვიქმნეთ მკვდრ ქრისტესა სიტყვსაებრ მოციქულისა...“ 203v—206v.

შენიშვნა: ბერძნული: Makarios/Symeon, Reden und Briefe..., II, 192—197.

28. „თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა მაკარისი, თავი კმ — რამე არს განგებულბა იგი ქრისტეს მოსლვისა...“

დასასრული: „მათ პოვეს აღთქუმამ იგი მეორედ შობისა. დიდებამ სახიერსა მას დედასა და ზეცისა ქალაქსა წმიდასა, ამნ“. 206v—210v.

შენიშვნები: 1. ბერძნული: Makarios/Symeon, Reden und Briefe..., II, 198—203.

2. მაკარის 26 სწავლა (30r—210v) თარგმნილია ექვთიმე მოაწმიდის მიერ.

3. ორი ეპისტოლე (1r—30r) და 26 სწავლა ერთად შესულია: Ier. 73, ქუთ. 181.

4. მაკარის ორი ეპისტოლე და 26 სწავლა გამოქვეყნებულია: „ფსევდო-მაკარის თხზულებათა ქართული ვერსია“, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო გ. ნინუამ, თბილისი, 1982 წ.

29. „თქუმული მისივე, თავი კთ — გვთხრობდა ჩუენ მამამ ესაია, ვითარმედ: „ეჯედ ოდესმე მამისა მაკარის თანა...“

დასასრული: „...რამეთუ სიტყუსათუსცა ცუდისა სიტყუამ გვნა მიცემად დღესა მას განკითხვისასა ოდეს წარვდგეთ წინაშე უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა...“ 210r—215r.

შენიშვნები: 1. ბერძნული: Cod Sin Gr 448. გამოქვეყნებულია ბერძნულის ფრანგული თარგმანი: Les sentences des pères du désert par Dom Lucien Regnaud, troisième recueil, Solesmes, 1976, 58—63.

შესულია Ier 73, ქუთ. 181.

3. ქართული ტექსტი გამოქვეყნებულია: გ. ნინუა, ფსევდომაკარის თხზულებათა ქართული თარგმანების კრებულის შედგენილობა, მრავალთავი, X, თბილისი; 1983, 129—138.

30. „გამოცხადებამ წმიდისა მამისა მაკარისი, თხრობამ საკვრველი და ბრწყინვალე — გვთხრობდა მოწაფე წმიდისა მამისა მაკარისი ალექსანდრიელისა...“

დასასრული: „...და ვკმადლობდით ღმერთსა და მამასა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა, რომლისა...“ 215v—218v.

შენიშვნები: 1. ბერძნული: P. G. 34, 385—392; BHG, 999w.

2. შესულია: Ier. 73 (ფრაგმენტი).

31. „თუესა ნომებერსა გ: წამებამ წმიდათა და ყოვლად ქებულთა მოწამეთამ აკეფსიმა, იოსებ და აითალასი — წელსა მეათშუდმეტესა დევნულებისა ქრისტეანეთასა, მეუფებასა სპარსეთს ურჩულომსა და უკეთურისა საბურისსა...“

დასასრული: „...და სერობამ აღასრულეს და სარწმუნობამ დაიმკვდრეს...“ 218v—237v.

შენიშვნები: 1. BHG, IB 15/19.

2. კ. კეკელიძეს მიაჩნია ძველი სირიულიდან მომდინარედ. ეტიუდები, V, 135.

3. თარგმნილია ეფთვიმე ათონელის მიერ.

4. შესულია: Sin 71.

32. „ცხობებამ და მოქალაქობამ წმიდისა მამისა ჩუენისა და მოციქულთა სწორისა ბაგრატი მღდელმოძღვარისა ტავრომენელთა ქალაქი-

სა, ჭალაკისა სილიკიისა, რომელი აღწერა ევაგრე ებისკოპოსმან, მოწაფემან მისმან — მოწვეულ არს ჟამი, საყუარელნო, კელ-ყოფად ამას კეთილსა და სულთა სარგებელსა...“

დასასრული: „...არამედ ესე მცირედი აღმოწერიეს სადიდებელად მამისა და ძისა და წმიდისა სულისა...“ 238r—329v.

- შენიშვნები: 1. BHG, II, 1408—1412.
- 2. თარგმნილია ეფთვიმე მთაწმიდლის მიერ.
- 3. შესულია: A 134; A 382.

4. გამოცემულია ალ. ხახნაშვილის მიერ: Труды по востоковедению, изд. Лазаревского Института, вып. XIX.

- 5. არსებობს მეტაფრასული რედაქცია: ქთ. 3.

**I გადამწერის ანდერძები:**

1) „ესე ოცდაშვიდი (!) თავი თარგმნილ არს ღმერთშემოსილისა მამისა ეფთვიმესი თვნიერ ორთა ებისტოლეთა თავისათა და ერთისა ამის, რომელ წინამდებარე არს. მსახურნო ქრისტეს ღმრთისანო, ვინ სწერდეთ ამის წიგნისაგან, ღმერთმან გარწმუნოს, სიტყუასა ნუ გამოსცვალებთ, ნუცა შეჰმატებთ, რამეთუ ვჰგონებ, თუ არავინ არს ამას ჟამსა უბრძნეს მის ნეტარისა ქართველი, თუმცა თარგმნილსა მისსა უბიწოსა ჰკაზმვიდა საკითხავსა. ზემოთა კულა თავისათა ორთა და ერთსა დასასრულისასა ჰკაზმვედინ, ნებაჲ აქუს. და მე შემინდვეთ, ფრიად მწუხარებით ვწერდი და ხარკებით ძალისაებრ ჩემისა შეეაწამე“. 215r.

2) „დიდებამ ღმერთსა, დიწერნეს ებისტოლენი ესე წი მაკარის თქუმული, თავი ლ (!) კელითა უღირსისა და ფრიად ცოდვილისა და საწუნელისა ისაკისითა. კლარჩად ჩხრეკისათუს შემინდვეთ და შრომისათუს ნუ მწყევთ“. 218v.

3) „დიდებამ ღმერთსა (მთავრულით). ქრისტე, ადიდე წმიდაჲ მამაჲ ეფთვიმე, ამის წიგნისა მთარგმნელი, და მამაჲ გრიგოლ — მომგებელი შვილითურთ სულიერით და ვისცა შრომაჲ თავს-უც, ამენ. 237v.

4) „ხოლო დაიწერა მთასა წმიდასა ოლიმპოს საბერძნეთისასა, ქუაბსა საყოფელსა ქართველთასა, ეკლესიასა წმიდისა ღმრთისმშობლისასა, ბრძანებითა მამისა გრიგოლისითა, კელითა გლახაკისა და ფრიად ცოდვილისა ისაკისითა მანკანელისაითა, მეფობასა ჰრომანოსისა, ოდეს საკაინოზეთს წარვიდა წარმოტყუენავად, ღმერთმან განუმარჯუნე! ქორონიკონი იყო სწ. ამენ იყავინ!“

ღმერთმან გარწმუნოს, წმიდანო მამანო, პირველად მოიკენეთ მამა გრიგოლ წმიდათა ლოცვათა თქუენთა, და მე უცბად ჩხრეკისათუს შემინდვეთ და შრომისათუს ნუ მწყევთ, ღმერთმან დაგაჯეროს, ესრე ვჰგონებ, თუ ეტრადი ცუდად არა წარმივია“. 237v.

5) „წმიდანო ღმრთისანო, ვინ აღმოიკითხვიდეთ სახარულევანსა ამას წიგნსა და სავესა ღმრთისა მადლითა, ლოცვასა წმიდასა მოიკენეთ მამა ეფთვიმე, რომელმან ათარგმნა ცხოვრებაჲ ესე წმიდისა და ღმერთშემოსილისა ბაგრატ მოციქულთა სწორისაჲ და საყრველთმო... და მამაჲ გრიგოლ, რომელმან დიდიტა მოსწრაფებითა დააწერია. ქრისტემან აჰმარენ დღეთა მრავალთა.

წმიდანო ღმერთშემოსილნო და ნეტარნო მამანო ბაგრატ, მარკიანე, მაქსიმიანე, სტეფანე, ონისიფორე და შენცა, სანატრულო ევაგრე, მეხო-ეყვენით მამასა გრიგოლს და სულიერთა შვილთა მისთა წინაშე სამებისა წმიდისა დღესა მას დიდსა სჯლისასა.

დაიწერა გლახაკისა ისაკის ჯელითა“. 329v.

6) „ვინცა ვინ წმიდაჲ ესე წიგნი — მაკარის ებისტოლენი და ბაგრატ და წმიდათა აკეფსიმეათ წამებამ ამას წმიდასა ეკლესიასა მთაწმიდისასა გამოაუჟას, შე-მცა-აჩუენებს სამებაჲ წმიდაჲ და მოსაულომცა არს სულისა მისისაჲ წმიდაჲ ღმრთისმშობელი დღესა მას საშველისასა“. 330r.

**II მინაწერები ნუსხური ტექსტის ხელით:**

- 1) „ლოცვა ყავთ, წმიდანო“. 18r.
- 2) „ლოცვა ყავთ, ღმერთმა გარწმუნოს“. 30r.
- 3) „ქრისტე, შეიწყალე გლაზაკი ისაკი“. 30r.
- 4) „ლოცვა ყავთ, ღმერთმან დაგაჯეროს“. 89r.
- 5) „ლოცვა ყავთ, წმიდანო ღმრთისანო“. 123v.
- 6) „ვამ, მე, ხელსა“. 137r.
- 7) „ლოცვა ყავთ გლაზაკისა და უძღურისა ისაკისთვის“. 145v.
- 8) „ლოცვა ყავთ, ღმერთმან გარწმუნოს“. 157v.
- 9) „ქრისტე, შეიწყალე გრიგოლ“. 161r.
- 10) „წმიდაო მაკარი, მეოხ გუეყავ“. 170v.
- 11) „ქრისტე, შეიწყალე მამა გრიგოლ“. 180r.
- 12) „ლოცვა ყავთ“. 192r.
- 13) „წმიდაო მამაო მაკარი, მეოხ-გუეყავ“. 197r.
- 14) აშიაზე — „მსუქანი არს და თუ აივოცოს, ჩემი ბრალი არა არს, მაგრა სხუებრ დიად ბრალეულ ვარ“. 200r.
- 15) „ლოცვა ყავთ უბუროდ“. 215r.

**III XI ს. ნუსხური სხვა ხელით**

1. აშიაზე — „ნუ მსმენ, სახიერო ღმერთო, ხმასა ბორტსა...“ (115v-ზე გრძელდება, არ იკითხება, ხელი იგივეა 150r-ზეც). 115r.
- 2) აშიაზე — „ოც გონია (ხელი შდრ. 115r-v-ზე მინაწერს). 150v.
- 3) „უფალო ღმერთო... ყოველნი ცოდვანი მათნი. დიდებულმცა არს სული მამისა... და მამისა ეფთჳმესი. 330v.

**IV XIV ს. ნუსხური:**

1. აშიაზე — „ქრისტე, მეუფეო დიდებისაო, შეიწყალე სული ჩემი ფრიად საწყალობელი“. 140v.
- 2) „სულსა ხუცურის ძესა მოძღრსა დევნოსეს შეუნდვენ ღმერთმან. სულსა ყანდურალს შეუნდვენ ღმერთმან“. 330v.
- 3) „ამისა შემკაზმავსა კუქაშვილსა მიქაელსა და შშობელთა მისთა შეუნდვენ ღმერთმან“. 330r.

**V მინაწერები მხედრულით:**

- 1) აშიაზე — „უფალო იესო ქრისტე, შეიწყალე ილარიონ ბერი... ამინ“. 1r.
- 2) აშიაზე — „ქრისტე, შეიწყალე ცოდვილი და გლაზაკი ბერი ვენე-დიქტონ მარელისელი. ამინ. ქ. წელთა [1824]“ (თარიღი კადრში არ ჩანს, აღდგენილია რ. ბლეიკის აღწერილობის მიხედვით). 30r.
- 3) აშიაზე — „ნუ მიმცემ მტერსა შენსა, უფალო იესო ქრისტე, ღმერთო ჩემო“. 167v.
- 4) აშიაზე — „უფალო იესო ქრისტე ღმერთო, შეიწყალე ცოდვილი ბერი ვენედიქტონ. ამინ“ 168r.  
 იქვე. „ამა ღირსისა ეჟასა მოველ აქა მთაწმიდას, 4 მაისს, 1849 წ. ჰლ. იოსელიანი“.
- 5) აშიაზე — „ღმრთისშობელო, მაცხოვე მე, მოსრული სამყოფოსა შინა მთაწმიდას ცოდვილი და უღირსი მონა შენი ჰლატონ იოსელიანი, 6 მაისს, 1849 წ.“ 329v.

**VI ბერძნული მინაწერები:**

1. ში.ზე—*Bioi arivan kai doion marturia...* 1r.
2. ს.ზ.ზ.—*მოავრლეთ. ME...ΓΜΑ(?)* 145r.
3. *† ἐπιστολήριον εἰς ἀβᾶ Μακαρίου* 330v. აღწერილი აქვს: ა. ცაგარელს (№ 54) დ რ. ბლ.კს (№ 21).

## გორგი ათონელის „დიდი ხუნაქსარი“. 1071 წ.

428 ფ. 25,3×18,9. ეტრატი ნუსხური. სათაურები და მთავრული ასოები სინგურით. ყდა გვიანდელი. ხელნაწერს ფურცლობრივი პაგინაცია არა აქვს. ფურცლობრივი პაგინაცია გაკეთებულია ჩვენს მიერ ფოტოპირის მიხედვით. რ. ბლეიკის დროს ხელნაწერში ყოფილა 439 ფურცელი. ხელნაწერს აქვს რვეულბრივ სათვალავი: ა—5ე (1—55) რვეულები. 5გ (53) რვეული გამოტოვებულია: 5ბ (52) რვეულს მოსდევს 5დ (54) რვეული, თუმცა ტექსტს არ აკლია. პირველი რვეული შვიდფურცლიანია. ბოლო (5ე) რვეული შვიცავს მხოლოდ ხუთ ფურცელს. დანარჩენი რვეულები (ბ—5დ) სრულია. ორი ხელი: I ხელი (წერილი ნუსხური) — 2r—7v. II ხელი (მსხვილი, ათონური ნუსხური) — 1r—428v. I გადამწერი უცნობია, II გადამწერია ევსტრათი დეკანოზი (428r—v). გადამწერის ადგილი: ათონი (428v). მომგებელია გორგი ოლთისარი (428r). 1071 წ.

„ხუნაქსარი, რომელ არიან კრებანი და წესნი და განგებანი, დაწესებულნი წმიდათა მღვდელთმოდღუართა მიერ, რომელსა შინა წერილ არს ეკლესიისა საწელიწდომ განგებად ფსალმუნებისათს და გალობისა და წიგნის კითხვისა, და თუ რომელსა დღესა მოვიცლით საქმისაგან, ანუ თუ რომელთა წმიდათა კსენებასა დავაცადებთ ჟამთა ლოცვასა და მუკლთ-დრეკასა.

და კუალად წერილ არიან ცხორებანი და წამებანი დღითი-დღედთა წმიდათანი სულმცირედ და შემოკლებულად, რათა არა ფრიადი სიმრავლე წერილისა იქმნას.“

1. 1. „თუესა სეკდენბერსა აქუს დღე ლ, დღეთა აქუს ჟამი იბ და ლამეთა ჟამი იბ. თუესა სეკდენბერსა ა: გურგუნი წელიწადისაჲ, დაწყებამ ინდიკტიონისაჲ, და კსენებამ წმიდისა ღმრთისმშობელისაჲ მისინეს შინა, და წამებამ წმიდათა მ დღეთა მოწესეთა და მოწამეთაჲ...“ 2v—31r.

2. „თუესა ოკდონბერსა აქუს დღე ლა, დღეთა აქუს ჟამი ია და ლამეთა ჟამი იგ. თუესა ოკდონბერსა ა: წმიდისა მოციქულისა ანანიასი, დამასკელ ეპისკოპოსისაჲ...“ 31r—58r.

3. „თუესა ნონებერსა აქუს დღე ლ, დღეთა აქუს ჟამი ი და ლამეთა ჟამი იდ. თუესა ნონებერსა ა: წმიდათა და დიდებულთა სასწაულთა მოქმედთა უქრთამოთა მკურნალთა კოზმან და დამიანესი...“ 58r—85r.

4. „თუესა დეკენბერსა აქუს დღე ლა, დღეთა აქუს ჟამი თ და ლამეთა ჟამი იე. თუესა დეკენბერსა ა: წმიდისა წინააღმართეყუელისა ნაომისი...“ 85r—131r.

5. „თუესა იანვარსა აქუს დღე ლა, დღეთა აქუს ჟამი ი და ლამეთა ჟამი იდ. თუესა იანვარსა ა: უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი მერვისა დღისა წინადაცუეთაჲ...“ 131r—169v.

6. „თუესა ფებერვალსა აქუს დღე კმ, დღეთა აქუს ჟამი ია და ლამეთა ჟამი იგ. თუესა ფებერვალსა ა: წმიდისა ტრუფონ მოწამისაჲ...“ 169v—181v.

7. „თუესა მარტსა აქუს დღე ლა, დღეთა აქუს ჟამი იბ და ლამეთა ჟამი იბ. თუესა მარტსა ა: წმიდისა მოწამისა ევდოკიასი...“ 181v—203v.

8. „თუესა აპრილსა აქუს დღე ლ, დღეთა აქუს ჟამი იგ და ლამეთა ჟამი ია. თუესა აპრილსა ა: წმიდისა მარიამ მეგუბტელისაჲ...“ 203v—223r.

9. „თუესა მაისსა აქუს დღე ლა, დღეთა აქუს ჟამი იდ და ლამეთა ჟამი ი. თუესა მაისსა ა: წმიდისა იერემია წინააღმართეყუელისაჲ...“ 223r—259r.



10. „თუესა იენისსა აქუს დღჳ ლ, დღეთა აქუს ქამი იე და ლამეთა ქამი თ. თუესა იენისსა ა: წმიდათა მოწამეთაჲ, რომელნი რიცხვთ იყვნეს ბევრ...“ 259r—287v.
11. „თუესა ივლისსა აქუს დღჳ ლა, დღეთა აქუს ქამი იდ და ლამეთა ქამი თ. თუესა ივლისსა ა: ჳენებჲაჲ წმიდათა და საკურველმოქმედთა უქრთამოდ მკურნალთა კო[ზ]მან და დამიანესი...“ 288r—315r.
12. „თუესა აგვსტოსსა აქუს დღჳ ლა, დღეთა აქუს ქამი იგ და ლამეთა ქამი ია. თუესა აგვსტოსსა ა: ღუაწლი წმიდათა მაკაბელთა მოწამეთაჲ: ელვაზარ მღღელისაჲ და შუღთა ძმათაჲ და სოლომონისი, დედისა მათისაჲ...“ 315v—344v.
- II. „განგებჲაჲ წმიდათა მარხვათაჲ კურიაკითგან მეზუერისა და ფარისეველისაჲთ ვიდრე კურიაკედმდე ყოველთა წმიდათა...“ 345v—372v.
- III. „წმიდასა და დიდსა და ბრწყინვალესა კურიაკესა აღვებისასა [სა-აღდგომო მსახურება ბრწყინვალე კურიაკიდან მერვე კვირამდე]...“ 372v—385r.
- IV. „თავნი და დასასრულნი საკითხავ-სახარებათანი მარტულიისა შემდგომით შაბათითგან, რომელ არს ყოველთა წმიდათა კურიაკისა შემდგომად...“ 385r—388r.
- V. „სახარებანი აღდგომისანი საცისკრონი...“ 388r.
- VI. „განგებჲაჲ სატფურებისაჲ რომლისაჲცა წმიდისაჲ იყოს...“ 388r—v.
- VII. „წარდგომანი ქამისწირვისანი აღდგომისანი...“ 388v—389r.
- VIII. „აღილუა-ფსალმუნნი თითოეულისა ქმისანი Ⴚ კმათა ზედა...“ 389r—v.
- IX. „წარდგომანი, რომელნი მწუხრისათა ზედა ითქუმიან...“ 389v.
- X. „უწყებჲაჲ ჳერ-არს, რამეთუ ახალკურიაკითგან ვიდრე სეკდენბერისა კვ ყოველთა ცისკართა ერთსა კანონსა ვიტყვთ [შენიშვნები ფსალმუნური კანონის კითხვის წესისა, მუკლთა დრეკისა, ცისკრის ლოცვებისა და სხვ. შესახებ]...“ 389v—390v.
- XI. [პატრიაქთათჳს]:
- ა. „პატრიაქნი ჰრომთანი 390v—391r.
- ბ. პატრიაქნი იერუსალემისანი 391r.
- გ. პატრიაქნი ალექსანდრიისანი 391r—v.
- დ. პატრიაქნი ანტიოქიისანი 391v.
- ე. პატრიაქნი კოსტანტინეპოლისანი“ 391v—392v.
- XII. „მეფეთათჳს ყოვლისა სოფლისა:
- ა. მეფენი ჰურიათანი“ 392v.
- ბ. „აქამომდე იყო მეფობაჲ ჰურიათაჲ და დაიქსნა და ყოველნი ტყუე იქმნნეს ბაბილონს. ხოლო შემდგომად განყოფისა ათთა მათ ტომთაჲსა, რომელნი მათ ზედა დასხდეს მეფენი სამარიას, ესენი არიან...“ 392v—393r.
- გ. „მეფენი ასურასტანელთანი“ 393r.
- დ. „მეფენი მაკედონელთანი“ 393r.
- ე. „მეფენი ჰრომთანი“ 393r—v.
- ვ. „მეფენი ქრისტეანენი კოსტანტინეპოვლელნი“ 393v—394r.
- XIII. [დისციპლინარული ნაწილი]:
- ა. „საჰმელთათჳს და სასუმელთა და ვითარობისა და რავდენობისა და სატრაპეზოჲსა წესიერებისა“ 394r—395v.
- ბ. „წმიდათა დიდთა მარხვათათჳს“ 395v—396r.

გ. „საზომისათვის მორჩილებასა შინა მყოფთა საქმისა და ჭამისა“ 396r—397r.

დ. „ხარებისათვის“ 397r—397v.

ე. „შესამოსელისათვის“ 397v—398r.

XIV. „სახელები და რიცხვ დღესასწაულთაჲ და თუ რომელსა დღესა შინა დაცადების საქმე თვთოეულისა თვისაჲ ესრეთ“ 398r.

XV. „აღწერილი საეკლესიოჲ ო მათთვის მოწაფეთა უფლისათა დოროთეოჲს მიერ ეპისკოპოსისა, პირველისა მის კაცისა მოხუცებულისა და სულითა შემოსილისა, რომელი იწამა ჟამთა ივლიანე მეფისათა“ 399r—401v.

XVI. „გამოავლინენი წელიწდისა საუფლოთა დღესასწაულთანი და საჩინოთა წმიდათანი“ 402r—418r.

XVII. „გამოავლინენი მარხვათანი“ 418r—421v.

XVIII. „გამოავლინენი უსახელოთა წმიდათათვის“ 421v—422r.

XIX. „ღმრთისმშობლისანი თვთოეულისა ძლისპირისანი მიწყებით“ 422r—424r.

XX. „გამოავლინენი ია სახარებათანი შემსგავსებულად თვთოეულისა სახარებისა“ 424r—425v.

XXI. „გამოავლინენი სამარადისონი რვათავე ჳმათა ზედა“ 425v—426r.

XXII. „ლიტანიისანი და ღმერთი უფალსა ზედა და ოხითანი აღდგომისანი რვათა ჳმათა ზედა“ 426r—427v.

**შენიშვნები:** 1. ხელნაწერი აღწერილია A. Сагарели, Сведения, I, с. 79, R. Blake, Catalogue, p. 148.

2. ხელნაწერი გადაწერილია ევსტრათი დეკანოზისა და ხუცესმონაზონის მიერ ათონის ღვთისმშობლის მონასტერში გიორგი ოლთისარის შამასახლისობისა (1065—1077 წწ.) და ბაგრატ დიდის მეფობის (1027—1072 წწ.) პერიოდში, ე. ი. 1065—1072 წლებში. ევსტრათი გადაწერის ანდერძში მითითებულია ხელნაწერის გადაწერის თარიღი — **ხვო**. თარიღის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა: ალ. ცაგარელის აზრით, ხელნაწერი გადაწერილია 1062 წ., ვინაიდან იგი კითხულობს დასაბამითანთა წელთა **ხვო** (6570—5508=1062 წ.).

თ. ჟორდანიას აზრით, ხელნაწერის გადაწერის თარიღი არის 1071 წ., ვინაიდან დასაბამითანთა წელთა ის კითხულობს **ხვოთ** (6579—5508=1071 წ.) და არა **ხვო**, როგორც ეს არის ხელნაწერში (თ. ჟორდანიას, ქრონიკები, I, გვ. 213). კ. კეკელიძე იზიარებდა თ. ჟორდანიას აზრს (1071 წ.), რაც იქიდან ჩანს, რომ მას ალ. ცაგარელის შემოდასახელებული წიგნის მისეულ ცალში კიდევ მეღწივით მიწერილი აქვს 1071 წ. და მითითებული აქვს თ. ჟორდანიას „ქრონიკები“-ს I ტომი.

რ. ბლიკის აზრით, ხელნაწერის გადაწერის დროს დასაბამითანნი წელნი იყო **ხვ** (=6500). მას მიაჩნია, რომ ხელნაწერი გადაწერილია გიორგი ათონელის სიცოცხლეში 1062 წ. (R. Blake, Catalogue, p. 148).

ხელნაწერში დასაბამითანნი წელნი მითითებულია **ხვო**. როგორც თ. ჟორდანიას და კ. კეკელიძე აღნიშნავენ, გამორჩენილია ო. დასაბამითანნი წელნი უნდა ყოფილიყო **ხვოთ**, ე. ი. 6579 წ. ბერძნული სათვალავი (5508) გვაძლევს მართლად 1071 წ. (6579—5508=1071 წ.). ქორონიკონი, რომლისთვისაც ხელნაწერში ადგილია დატოვებული, უნდა ყოფილიყო, როგორც თ. ჟორდანიას აღნიშნავს, **ხვა** (291). ამ თარიღს ამართლებს ხელნაწერში (428v) მითითებული ინდიკტიონი **თ(9)** — 6579:15=438, ნაშთი გვაძლევს სწორედ 9-ს.

3. „დიდი სვანქსრის“ პირველი, სათვეო ნაწილი, ე. ი. 12 თვის კალენდარზე გაწყობილი მასალა კონსტანტინოპოლის დიდი ეკლესიის (აია-სოფიის) ტიპიკონის თარგმანს წარმოადგენს (იხ. К. Кекелидзе, Литургические грузинские памятники в отечественных книгохранилищах и их научное значение. Тифлис, 1908, с. 498).

4. ქართულ სვინაქსარში (ათონ. 30) შეტანილია ქართველ წმინდანთა ხე-ნებები, მაგ.: იოანე ათონელის (14.VI) და ექვთიმე ათონელის ცხოვრება (13.V). დიდი სვინაქსრის XI ს. ნუსხები ქართული მასალის მხრივ ერთგვაროვან სურათს არ გვიჩვენებენ: იოანე და ექვთიმე ათონელების ხსენებები შეტანილია XI ს. ექვსივე ნუსხაში (ათონ. 30, H 2211, A 97, A 193, sin. 4, Ier. 24—25). წმინდა ნინოს ცხოვრება (14.I) შეტანილია მხოლოდ sin. 4 და Ier. 24—25 ნუსხებში. ილარიონ ქართველის ხსენება (19.XI) შეტანილია მხოლოდ A 193 ნუსხაში. პროხოტრე ქართველის ცხოვრება (12. II) — მხოლოდ Ier. 24—25 ნუსხაში.
5. სვინაქსრის მეორე, ტრიოდული (მარხვან-ზატეის) ნაწილის წყაროდ სამეცნიერო ლიტერატურაში (იხ. კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრომი) მიჩნეულია სტუდენტის რედაქციის ტიპონები: ათანასე ათონელის დიატოპოსი (Ал. Дмитриевский, Описание литургических рукописей, хранящихся в библиотеке православного Востока. Т. I. Ч. I. Памятники патриарших уставов и кноторские монастырские тчпиконы. Киев, 1895, с. 224—256) და თეოდორე სტუდიელის იპოტოპოსი (Ал. Дмитриевский, Описание... Т. I. Ч. I, с. 224—238).
6. სვინაქსრის მესამე, დისციპლინარული ნაწილი, რომელიც შედგება ხუთი სტატიისაგან, სტატიების რიგით, ნაწილობრივ შინაარსითაც და სათაურებოთაც სხვაობს ბერძნული დიატოპოსისა და იპოტოპოსისაგან. მაგრამ, მიუხედავად არა-არსებითი განსხვავებებისა, სვინაქსრის ეს ნაწილიც სტუდიური ტიპონების საფუძველზე ჩანს შედგენილი (იხ. კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 487—488).
- დიდი სვინაქსრის ბერძნულ ტიპონებთან ტექსტობრივმა შედარებამ დაადსტურა სამეცნიერო ლიტერატურაში ვამოთქმული დებულებებიც (იხ. კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრომი) და გიორგი ათონელის ანდერძის სიტყვები, რომ „არცა მათ თანა [ე. ი. ბერძნებთან] დიად იპოვების ესევითარი სუნიქსარი, თვნიერ სოფია წმიდისა და სტუდიისა“ (A 97,290r).
7. ხელნაწერის მინაწერებში მოხსენიებული მაკრინე მარია-ყოფილი გურიელის ასული უნდა იყოს Ier. 24—25 სვინაქსრის (235v) აღაპების მაკრინე მარია-ყოფილი გურიელის ასული, რომელსაც ჯერის მონასტრისათვის შეუწირავს 1000 თეთრი მანდატურთუხუცესისა და ერისთავთ-ერისთავის ცოტნე დადიანის აღაპისათვის (XIV—XV სს.). სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია ვარაუდი, რომ იგი ცოტნე დადიანის ცოლყოფილია (იხ. ელ. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI—XVII სს., თბ., 1962, გვ. 170).
8. ხელნაწერის მინაწერებში მოხსენიებული მეორე პიროვნება ნიკოლოზ მუსხელაშვილი უნდა იყოს კათალიკოს იოვანე დიასამიძის მიერ გარეჯის წმინდა დავითის კრებულისათვის მიცემული ზერის შეწირულობის წიგნში (1690 წ.) მოხსენიებული მოწმე (ცენტრარქიეის ფონდი 1449, პირ. საბუთი № 1833). მინაწერიდან (427v) ირკვევა, რომ იგი ბერად აღკვეცილა ათონის ქართველთა მონასტერში.
9. 22 დეკემბრის ბოლოს მიწერილ აღაპში იხსენიება თამარ მეფის გამზრდელი დოფი, რომელსაც ათონის ივერთა მონასტრისათვის სალაპედ შეუწირავს 100 დუკატი. ზემოხსენებულ აღაპში იხსენიება მამა მაკარი, რომელიც „ივერის“ წინამძღვრად ყოფილა XII ს. ბოლოს (იხ. კ. კეკელიძე, ათონის ლიტერატურული სკოლის ისტორიიდან. — ეტიუდები, II, თბ., 1945, გვ. 235).
10. Ath. 30 ხელნაწერი 1918 წ. ათონიდან ჩამოტანილი ჰქონია ერთ ათონელ ბერს. კ. კეკელიძეს უნახავს იგი, გადაუსინჯავს და ბერს ხელნაწერი ისევ დაუბრუნებია ათონზე (იხ. კ. კეკელიძის მინაწერი აღ. ცაგარლის ზემოხსენებულ წიგნში, რომელიც იწახება ხელნაწერთა ინსტიტუტში, კ. კეკელიძის კაბინეტში).
11. Ath. 30 ნუსხის შემადგენელი სტატიების რიგი განსხვავებულია XI ს. სხვა ნუსხებისაგან (H 2211, A 97, Ier. 24—25). მაგ.: Ath. 30 ნუსხაში სათვეო ნაწილს მოსდევს „განგებამ მარხვათამ“, ხოლო სხვა ნუსხებში „გამოავლინენი“ და ა. შ.
12. სვინაქსრის სათაურიანი ტექსტი ამ ნუსხაში იწყება verso-ზე, ხოლო ამავე ფურცლის recto-ზე, ე. ი. წინა გვერდზე უადგილოდ ჩანს მოთავსებული

ტექსტი, რომელიც იწყება ასე: „უწყებაჲ ჭერ-არს, რამეთუ საუფლოთა დღესასწაულთა, რომელ არიან ქრისტეშობაჲ, განცხადებაჲ, მზობაჲ, ამაღლებაჲ, სულისა წმიდისა მოსვლაჲ, ფერისცვალებაჲ, ჭუართა აპყრობაჲ და თუ სხუაჲ რომელიმე სენაქსარმან არუენოს, წინააღლი მწუხრსა ამათ დღესასწაულთა რომელსაცა დღესა შუდელისასა დახუდენ, გინათუ შაბათსა, გინათუ კრაიყესა, ნეტარაჲს (ნეტარ არს) კაცისა კანონსა ვიტყვით სამსავე ფსალმუნსა მეოთხის გუერდსა...“ და ა. შ. დღეს ამ „უწყებას“ არ შეიცავს XI ს. არც ერთი ნუსხა. „უწყება“ დასტურდება XI—XII ს. სენაქსარში (Ier. 77), დასაწყისშივე (1r) და XII ს. სენაქსარებში (A 222, A 839, და სხვ.), ტექსტის ბოლოს, ღორთეთოზ ეპისკოპოსის „აღწერილი“-ს შემდეგ. სწორედ ეს ადგილი აკლია XI ს. სენაქსარებს, ვინაიდან ხუთივე ნუსხა (H 2211, A 97, A 193, sin. 4, Ier. 24—25) ბოლონაქვულია.

13. თხზულების ბერძნულ წყარო იხ. Synaxarium ecclesiae constantinopolitanae. Opera et studio Hippolyti Delehaye.—Propitaeum ad Acta Sanctorum Novembris. Bruxelles, 1902; Le Typicon de la Grande église, Ms. Saint-Croix n° 40, X<sup>e</sup> siècle. Introduction, texte critique, traduction et notes par Juan Mateos, Roma, 1862.

14. Ath. 30 ნუსხა A 97 სენაქსარის ედენტურია. ამიტომ დაწერილებითი აღწერილობა იხ. A 97.

**ანდერძები:** 1. (გიორგი ათონელი): „დიდება ღმერთსა, მიზნესა ყოვლისა კეთილისასა, დაესრულა განგებაჲ თქმთა წელწინისათაჲ მოსაკვენებლითურთ თუთოელისა წმიდისათ. ღმრთისათჲს, ლოცვა ყავთ გლახაჲსა გიორგისთჲს, რომელნიცა იკითხვიდეთ, გინა სწერდეთ, რამეთუ ღმერთმან იცის, ფრიადი ღუაწლი მინახავს ამისსა თარგმნასა საღონებელად ცოდვითა ჩემთა და მოსაკვენებელად მოძღუართა და მშობელთა და ყოველთა თუსთა და მეცნიერთა ჩემთა, და თქუენცა ღმერთმან მოგცეს წყალობაჲ დღესა მას დღესა განკითხვისასა, ამინ. წმიდაო მამაო, მეოხ მეყავ წინაშე უფლისა“ (345r).

2 (ეგვიპტე დეკანოზისა, გადამწერისა): „სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ძალითა პატრონისა და ცხოველმყოფელისა საუფლომასა ჭუარისათა, მეოხებითა ყოვლად უზრწნელისა და უმეტეს კურთხეულისა დედოფლისა ჩუენისა ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიაშისათა, წმიდათა ზეცისა ძალითაჲ, წმიდისა და დიდებულისა წინამორბედისა და ნათლისმცემელისა იოვანესითა, წმიდათა და ყოვლად ქებულთა მოციქულთა. წინამწარმეტყუელთა, მღვდელთმოძღუართა, მოწამეთა და მამათა და ყოველთა წმიდათათა, რომელნი წმიდასა ამას და სულთა განმანათლებელსა წიგნსა წერელ არიან, მათ ყოველთა მადლითა და შეწყვენითა და წმიდათა მამათა ჩუენთა, მამისა ევთემისითა და გეორგისითა განსრულდა სენაქსარი ესე ახლად თარგმნისაგან წმიდისა მამისა ჩუენისა გეორგისა, კელითა ჩემ გლახაჲსა და ფრიად ცოდვილისა ეგვიპტე დეკანოზისათა, ბრძანებითა მამისა გეორგი ოლთისარისათა, რამეთუ მან დამაწერია მამასახლისობასა მისსა, სალოცველად სულისა მისისა და სულისა მშობელთა მისთასა და ძმისა მისისა მიქაელისსა, რათა უფალმან განუსუენოს სულსა მათსა, რომლისაჲ არს დიდებამ უკუნიითი უკუნისამდე, ამენ.“

აწ უკუე გვევდრებო ყოველთა, ღმრთისმოყუარეო მამანო, რომელნიცა მიმითხენთ წმიდასა ამას წიგნსა, რათა ლოცვა ჰყოთ პირველად მამისა გეორგისთჲს, რომელმან ამის წმიდისა წიგნისა დაწერად მაძულა გლახასა ამას და ყოვლისა ბრალისა თანამდებსა, და მერმე ყოველთა ძმთა ქართველთათჲს, რომელნი უდაბნოსა ამას მკვდრ არიან და ჩემთესცა უღირსისა, რომელმან-ესე დაწერე, რამეთუ უფალმან უწყის, თუ რაჲმომი ჰირი მინახავს ამისსა წერასა. დაღაცათ ნაწერი უნდოჲ არს, გარნა სიმართლისთჲს და შეწამებისა მიზნესა ვერვინ დასდებს, რამეთუ თუთ წმიდისა მამისა გეორგის კელთა წუსისაგან დამაწერია. რაჲ დედასა მიმოვნიო, არცა დამოვლია და არცა რაჲ შემამატებო.

და ვინცა ვინ ამის წიგნისადა თანაშეწეულა სიტყუთ და საქმით, ყოველთა შეუნდვენ ღმერთმან.



დაიწერა წმიდა ეს წიგნი მთასა წმიდასა ათონას, საყოფელსა წმიდისა ღმრთისმშობელისასა და შესავედრებელსა და ნათესაყუდელსა ჩუენ ყოველთა ქართველთასა, მეფობასა დეოგენისასა და აღმოსავლეთს ბაგრატიისა და ძისა მისისა გიორგისასა, მამასახლისობასა მამისა გიორგი ოლთისარისასა, კელითა ჩემ გლახაკისა და უღირსისა ევსტრატო ზუცეს-ნონაზონისათა.

ქრონიკონი იყო..., ინდიკტიონი თ და დასაბამითგანნი წელნი ხეთ.

იყოს ჯამი, ოდეს ეს იკითხებოდის და მე მცონარი ამისი მწერალი მიქასა შინა დაყროლებულ ვიყო და დამპალ, გარნა ლოცვა ყავთ... და ვინ ეს სულთა განმანათლებელი წიგნი ამას...“ (428r—v).

**მინაწერები** (ძირითადად სულთა მოსახსენებლები):

1. *Ἀναλοθίαι καὶ λόγοι τῶν... ᾠδῶν* (თაფურცელზე).

2 (ნუსხური): „სულსა გურიელისა ასულისა მარია-ყოფილისა მაკრინესსა შეუენდოს ღმერთმან 2 (2v, 32r, 58v, 85v, 131v, 170v, 204v, 224v, 259v, 288v, 317r).

3 (ნუსხური): „ნიკოლოზა მუსხელაშვილი მოიკენეთა ცოდვილი. თქუენცა მოგიკენოსა ღმერთმანა, ძმანო“ (2v, 31r, 58v, 260v); „მოველა მვე ცოდვილი მუსხელაშვილი ნიკოლოზა აქა. მომსელელმანა ქართველმან მომიკენეთა, თქუენცა მოგიკენოსა ღმერთმან. ამა მონასტერში ბევრი ავიკაცი არისა, გაუფრთხილდითა, ლოცვისა გულსაყური დაყვითა, ღმერთი შეგინახავასა“ (427v).

4 (22 დეკემბრის ბოლოს, აშიაზე, ნუსხურით, აღაბი): „ამასვე დღესა აღაბი დოფისაჲ, თამარ დედოფლისა გამზრდელისაჲ. ამან კრთხელმან დედაკაცმან დიდსა დაპირებასა და უღონობასა ასი დუკატი შემოსწირა ამას მონასტერსა და ეგრე მოეწერა, ვითა: „სრული აღაბი დამიწერეთ და რააცაღა აკლდეს ამას ოქროსა, მიბრძანეთ და ზედა გავასრულებო“. ამისთვის მე, მამამან მაკარი თანაჯერჩინებითა ყოველთავე ძმათათა დაუწესე პანაშუდი ესე, რაათა სასოებისა მისისაებრ გარდაეკვდებოდეს ყოველითურთ სრულიად და უნაკულოდ, ვითა წესი არს ამის მონასტრისაჲ, გალობითა და ლოცვითა, და ღმერთმან არწმუნოს, მემსგავსემან ჟამი უწიროს და ყოველთა ძმათა ულოცონ და ღმერთმან შეუენდუნეს და აყურთხოს იგი და ყოველნი კეთილისყოფელნი მონასტრისა ჩუქმნისანი, ამინ“ (112r).

5 (მხედრულით): „ეს სვიანქსარ[ი] შეემოს[ე] მე ბო[ლ]ნისელმა შიხიძომ(?) ასონილიმ(?) კვენმ(?)“. ჩემი შშობელნი მოგიხსენეთ მადლობით“ (428v).

**შენიშვნა:** ტექსტის ხელთან დაკავშირებით იხ. ტაბულა 9.

### 32(49)

#### ზომილექტიკური კრებული. 977 წ.

314 ფ.; მაღალი ხარისხის ეტრატე; 29×21,4; ტექსტის ზომა 20,2×14; ხის ყდა, შავ ტყავადაკრული, ყდა ტევირინია; ნუსხური; სათაურები და საზედაო ასოები სინგურით; რამდენიმე სათაური (119r, 263r) და საზედაო ასოები მთავრულით; საზედაო ასოები ზოგან ორნამენტირებულია; ხელნაწერს აქვს რვეულგებრივი აღრიცხვა, შეიცავს 39(ლოთ) რვეულს (აქედან პირველი რვეული — 6 ფ.; მე-20 — 7 ფ., ხელნაწერის ბოლო ხუთ ფურცელს კი რვეულგებრივი სათვალავი არა აქვს); ხელნაწერი იწყება ზანდუკით (1r). ტექსტი ნაწერია გაბმულად ლამაზი, წვრილი ათონური ხელით, საკითხავები დანომრილია მთავრული ასოებით, ყოველი საკითხავის სათაურთან დასმულია ერთი ან რამდენიმე ამგვარი ნიშანი ✕. მთარგმნელი: ეფთვიმე (47v, 58r, 313r), მომგებელი: იოვანე, ეფთვიმეს მამა (313r), გადამწერი: საბა უცხად მწერალი (313r), 977 წ. გადწერის ადგილი: ათონი, იოანე მახარებლის ეკლესია.

1. „ცხორებამ და შესხმამ წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა დიდისა ბასილისი, კესარია-კაპადუკიელ მთავარეპისკოპოსისა, რომელი აღწერა წმიდამან და ნეტარმან მამამან ჩუენმან გრიგოლ ღმერთის-მეტყუელმან, ევლოგისონ, პატერ. — ფრიად მაიძულებდა მე დიდი და ღმერთშემოსილი ბასილი აღწერად სიტყუათა სწავლისათა და შესხმად ღუაწლსა და ცხორებასა წმიდათასა...“ 1v.

დასასრული: „...რამედ კეთილადმცა და სურვიელად მიწევნულ ვართ საუკუნისა მაგის სანატრელსა და დაუსრულებელსა ცხორებასა ქრისტე იესუმს მიერ... ამენ“. 47v.

კ. კეკელიძე, ვტიულები, V, გვ. 31; BHG, 245. PG, 36, 493—606.

2. „წმიდისა მამისა ჩუენისა გრიგოლ ეპისკოპოსისა ნოსელისაა შესხმამ წმიდისა და დიდისა ბასილისთუს, ძმისა თვისისა. — კეთილი წესიერებამ დადვა ღმერთმან ჩუენთა ამათ ღღესასწაულთა ზედა, რომელნი-ესე შემდგომითი-შემდგომად აღვასრულენით ღღეთა ამათ და აღვასრულებთ...“ 48r.

დასასრული: „...რამათა მოვიგოთ საქმე იგი, რომელმან ყო იგი სახელოვან წინაშე ღმრთისა და კაცთა ქრისტე იესუმს მიერ... ამენ“. 58r.

კ. კეკელიძე, ვტიულები, V, გვ. 26; BHG, 244. PG, 46, 787—818.

3. „თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ბასილისი მარხვისათუს. — დაპბერეთ ნესოტსა (!) ახალსა თავსა თუეთასა, ღღესასწაულსა უქმნელებისა თქუენისასა...“ 58r.

დასასრული: „...რამათა მივიწინეთ გვრგვინოსანსა მას ღღესა, უფალსა მას ღღეთასა, აწ საჯსენებელსა ცხოველსმყოფელისა გნებისასა, ხოლო მერმესა მას საუკუნესა, მოსაგებელსა საქმეთა ჩუენთასა, მართლმსაჯულობასა ქრისტეს მისისა, რამეთუ მისა შუენის... ამენ“. 68r.

კ. კეკელიძე, ვტიულები, V, გვ. 18. PG, 31, 164—184.

4. „მარხვისათუსვე, თავი მეორე. — ნუგეშინის-სცემლით მღღელნი ერსა, ეტყოდეთ ყურთა შინა იერუსალემისათა...“ 68r.

დასასრული: „...რომლისა-იგი ღირსმცა ვართ მდიდრად მიღებად და ღირს ყოფად სიხარულსა მას სასძლომასა ზეცისასა ქრისტეს იესუმს მიერ... ამენ“. 74v.

კ. კეკელიძე, ვტიულები, V, გვ. 18. PG, 31, 185—197.

5. „თქუმული ნეტარისა მამისა ჩუენისა ბასილისი სიტყუსა მისთუს მოსე წინადასწარმეტყუელისა, რომელსა იტყუს, ვითარმედ: ეკრძაღე თავსა შენსა. — ძალი სიტყუსა კმარებისადა მოგუტა ჩუენ დამბადებელმან ჩუენმან ღმერთმან. რამათა ზრახვათა გულისათა ურთიერთას გამოუტყხადებდეთ...“ 75r.

დასასრული: „...გულისკმა-ყავ უკუე თავი შენი, რამათა გულისკმა-ჰყო ღმერთი, რომლისადა არს დიდებამ... ამენ“. 84v.

კ. კეკელიძე, ვტიულები, V, გვ. 18; PG, 31, 197—217.

6. თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ბასილისი მადლობისათუს. — აჰა ესერა გესმნეს სიტყუანი იგი მოციქულისანი, ვითარ ეტყოდა თესალონიკელთა...“ 85r.

დასასრული: „...რომელთა ჳსენებად ოდენ კმა არს სულისა სიხარულთა ადვსებად და ანგელოზებრივისა მის მხიარულებისა სულთა შინა ჩუენთა დამკვდრებად ქრისტე იესუმს მიერ... ამენ.“ 94v.

ბ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 18; PG, 31, 217—237.

7. „თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა ბასილისი იელიტა მოწამისათვს და ნაკლულევიანებისათვს პირველ თქუმულისა მის თავისა და მადლოზისათვს. — კრებად ესე ეკლესიისაჲ არს ქადაგებისა მისთვს, რომელი წმიდასა ნას მოწამესა ზედა იქმნა...“ 94v.

დასასრული: „...რამათა ყოვლით კერძო სრულ იყო და დამტკიცებულ შეწევისთა წმიდისა სულისაჲთა და მოსლვითა მადლისა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა... ამენ.“ 107r.

ბ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 18; PG, 31, 237—261.

8. „თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა ბასილისი, ვითარმედ: „არა არს ღმერთი მიზეზი ბოროტთაჲ“. — მრავალ არიან სახენი იგი სწავლისანი, რომელნი მგალობელისა დავითის მიერ...“ 107r.

დასასრული: „...რომელი-იგი წარვლოთ ჩუენ დაუყენებლად და შინაგან შევიდეთ საშუებელთა მათ კეთილთა ქრისტე იესუმს მიერ... ამენ.“ 119r.

ბ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 18; PG, 31, 329—353.

9. თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა ბასილისი მრისხანეთათვს. — ვითარცა სწავლანი იგი მკურნალთანი რაქამს კეთილად და ჳელოვნებით იქმნებოდნ...“ 119r.

დასასრული: „...რომელი აღუთქუა უფალმან მშვდთა, რამეთუ: ნეტარ იყვენენ მშვდნი, რამეთუ მათ დამკვდრონ ქუეყანაჲ ქრისტე იესუმს მიერ... ამენ.“ 128r.

ბ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 18; PG, 31, 353—372.

10. „თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა ბასილისი შურისათვს. — სახიერ არს ღმერთი და სახიერებისა სახიერთა მიმნიქებელ...“ 128r.

დასასრული: „...ვითარცა-იგი ღმერთმან მომმადლა ჩუენ ქრისტე იესუმს მიერ უფლისა ჩუენისა... ამენ.“ 135r.

ბ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 18; PG, 31, 372—385.

11. „თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა ბასილისი სიტყუსა მისთვს ლუკასა სახარებისა, რომელი იტყვს მდიდრისა მისთვს, ვითარმედ: „დავარღუნე საუნჯენი ჩემნი და უდიდესნი აღვაშენე“ და ანვაჳრებისათვს. — ორკერძო არს სახჳ განსაცდელთაჲ, რამეთუ ანუ ჳირნი იგი მოიწევიან გამოსაცდელად გულისა...“ 135r.

დასასრული: „...რომელმან-იგი ყოველთა მიუწოდა სასუფეველად მისა, რომლისაჲ არს დიდებაჲ... ამენ.“ 143r.

ბ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 19; PG, 31, 261—277.

12. „თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა ბასილისი მდიდართა მიმართ. — თქუმულ არს პირველცა სხუასა ჟამსა ჩუენ მიერ ამის ჳაბუკისათვს...“ 143r.

დასასრული: „რამათა დავიმკვდროთ ცხორებაჲ საუკუნომ მისვე ქრისტეს მიერ, რომლისაჲ არს დიდებაჲ... ამენ.“ 155r.

ბ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 19; PG, 31, 277—304.

13. სწავლამ ნეტარისა მამისა ჩუენისა ბასილი კესარიელიისაჲ, რომელი თქუა ჟამსა სიყმილისა და უწვმროებისასა. — ლომმან იყურნის და ვინ არა შეშინდეს?... 155r.

დასასრული: „...და თითოეულსა ღირსებისაებრ მართლისა მის მიერ მსაჯულისა მიეცეს, რამეთუ მისა შუენის დიდებამა... ამენ.“ 165 v.

ქ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 19; PG, 31, 304—328.

14. „თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა ბასილისი დაწყებისათს სოლომონის იგავთაჲსა. — კეთილ არს ნაყოფი იგი მორჩილებისაჲ...“ 165v.

დასასრული: „...ვიდრემდის მიიწიო უღელგოსა მას ნავთსაყუდელსა ცხორებისა და ნებისა ღმრთისასა, რომლისაჲ არს დიდებამა... ამენ.“ 182r.

ქ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 19; PG, 31, 385—424.

შენიშვნა: ეს ტექსტი H 2251 ხელნაწერის მიხედვით გამოქვეყნა თ. ჭყონიამ: „იოანე პეტრიწის „განმარტების“ ბოლოსიტყვაობის ახალი წყაროს შესწავლისათვის: ძველი ქართული მწერლობის ოთხი ძეგლი, თბ., 1965, გვ. 88—116.

15. „თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ბასილი მთავარებისკობოსისა კესარია-კაბადუკიელისაჲ წმიდისა ნათლისღებისათს მათდა მიმართ, რომელნი-იგი გვანად ნათელ-იღებდეს, რამეთუ წესი იყო მაშინ, რამთა ოცდაათისა (!) წლისანი ნათელს-იღებდენ, ხოლო რომელნიმე ორმოც და სამოც წლადმდე არა ნათელ-იღიან, ხოლო ჩუენ, რომელთა მოვიღეთ წმიდა ნათლისღებამ სიჩჩოსა და კუალად ცოდვითა ჩუენითა შევაგინეთ, აწ გულისკმა-ვყოთ ესე სინანულისათს. — ბრძენი სოლომონ, რაჟამს-იგი სოფლისა ამის საქმეთა ჟამისა განყოფილებასა იქმოდა...“. 182r.

დასასრული: „...რაჟამს განიბანო და განსწმდე ნიჭითა მით ქრისტესითა, რომლისა არს დიდებამა... ამენ.“ 192v.

ქ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 17; PG, 31, 424—444.

16. „თქუმული მისივე, წმიდისა მამისა ჩუენისა ბასილისი, სარწმუნოებისათს წმიდისა სამებისა. — მარადის კსენებამ ღმრთისაჲ კეთილ არს და განუძღომელ სულისა მის ღმრთისმოყუარისა...“ 192v.

დასასრული: „...რამთა არცა ერთსა ჟამსა მოგუაკლდეს მადლითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისაჲ არს დიდებამა... ამენ.“ 198r.

ქ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 17; PG, 31, 464—472.

შენიშვნა: „სარწმუნოებისათს წმიდისა სამებისა“ ტექსტის შუა ნაწილში ჩართულია მოზრდილი პასაჟი გრიგოლ ღმრთისმეტყველის თხზულებიდან „ძისათს, პირველ საუქუნეთა მამისაგან შობილისა, თავი ა“ (იხ. ც. ქურციკიძე, ისევ ექვთიმე ათონელის მთარგმნელობითი მეთოდის შესახებ: მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, VI, თბ., 1978, გვ. 24—34).

17. „მისივე, წმიდისა მამისა ჩუენისა ბასილისი, თქუმული დაწყებისათს იოვანეს სახარებისა, ვითარმდე: „პირველითგან იყო სიტყუაჲ“. — ყოველნივე იგი სიტყუანი ოთხთა მათ სახარებათანი უზეშთაეს არიან...“ 198r.

დასასრული: „...მე ვდგა განმზადებული მსახურებისა მიმართ ნაკულუევანთა მათ თქუმულთაჲსა ქრისტე იესუმს მიერ უფლისა ჩუენისა, რომლისაჲ არს დიდებამა... ამენ.“ 203r.

ქ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 17; PG, 31, 472—482.

18. „თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა ბასილისი სულისა წმიდისათს. — რომელი ნათელ-იღებდეს სახელსა ზედა წმიდისა სამებისაჲ...“ 203r.

დასასრული: „...რამთა სხუათაცა ყოველთა უქადაგებდე თაყუანისცემად მამისა და ძისა და სულისა წმიდისა, ერთისა მის ღმრთეებისა და ერთისა ძალისა, რამეთუ მისი არს ყოველივე დიდებამა... ამენ.“ 208v.



ქ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 17; PG, 31, 1429—1437.

**შენიშვნა:** „სულისა წმიდისათჳს“ საკითხავში ორ ადგილას (თავსა და ბოლოში) ჩართული პასაჟები გრიგოლ ღმრთისმეტყველის იმავე სახელწოდების („სულისა წმიდისათჳს“) საკითხავიდან (იხ. ბასილი კესარიელის „სწავლათა“ ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ც. ქურციკიძემ, თბ., 1983, გვ. 070—072).

19. „წმიდისა მამისა ჩუენისა ბასილი მთავარეპისკოპოსისა კესარი-კაპადუკიელისაა შესხმამ წმიდათა ორმოცთა მოწამეთაჲ. — მარტულთა კსენებითა ოდესმცა იქმნა განძლომად მოყუასისა მათისაჲ?...“ 208v.

**დასასრული:** „...სწორითა გვრგვინთა სიმართლისაათა შეიმკვნეს ქრისტე იესუს მიერ, უფლისა ჩუენისა, რომლისაჲ არს დიდებაჲ... ამენ“. 217v.

ქ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 17; PG, 31, 508—525.

20. „თქუმული წმიდისა ბასილისი მომთრვალეთათჳს, რომელ თქუა შემდგომად აღვსებისა დღითა ერთითა. — აღმძრვენ მე სიტყუად საქმენი იგი მწუხრისა ამის გარდასრულისანი...“ 217v.

**დასასრული:** „...ხოლო თქუენ შურისა მის ფინეზის სასყიდელი მიიღოთ მართლმსაჯულობითა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისაჲ არს დიდებაჲ... ამენ“. 226v.

ქ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 19; PG, 31, 444—464.

21. „სწავლაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა ბასილისი, რომელი თქუა ლაკიზეს შინა ქალაქსა. — ისწრაფის მტერი ჩუენი, რაათამცა თჳსითა ამბოხებითა დაფარა სიტყუად ჩუენი...“ 227r.

**დასასრული:** „...ვითარმედ ცოდვამ იქმნების წინამძღუარ განშიშულებისა შენისა მადლისა მისგან, რომელი მოგცა უფალმან კაცთმოყუარებითა თჳსითა, რომლისაჲ არს დიდებაჲ... ამენ“. 234r.

ქ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 19; PG, 31, 1437—1457.

22. „თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა ბასილისი სიმდაბლისათჳს. — უკმდა კაცსა, რაათამცა დადგრომილ იყო დიდებასა მას შინა, ღმრთისა მიერ მოცემულსა...“ 234r.

**დასასრული:** „...ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მშუდ ვარ და მდაბალ გულითა და ჰპოოთ განსუენებაჲ სულთა თქუენთაჲ, რამეთუ მისი არს დიდებაჲ... ამენ“. 241v.

ქ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 19; PG, 31, 525—540.

23. „თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა ბასილი კესარიელ მთავარეპისკოპოზისაჲ, არაშექცევისათჳს საქმეთა სოფლისათა და ცეცხლისა მისთჳს, რომელი შეედვა მაშინ კესარიელთა ქალაქსა. — მე ვჰგონებდი, საყუარელნო, ვინაათგან ესრეთ მარადის საწერტელითა მით სიტყუსჲ ჩემისათა გიწერტ...“ 241v.

**დასასრული:** „...ვითარცა იტყუს წერილი, ვითარმედ: „მოუტევე გულისსიტყუად შენი უფალსა და მან გამოგზარდოს შენ, რამეთუ მისა შეუენის... ამენ“. 253r.

ქ. კეკელიძე, „ეტიუდები“, V, გვ. 19; PG, 31, 540—564.

**შენიშვნა:** 3—23 თხზულებები ბასილი კესარიელის „სწავლათა“ სახელწოდებით Ath. 32, H 2251 და Ier. 14 ხელნაწერების მიხედვით გამოქვეყნებულია (იხ. ბასილი კესარიელის „სწავლათა“ ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი, გამო-

1. [თუესა იენისსა კდ. წამებაა წმიდისა ფე ბ რ ო ნ ი ა მ ს ი]. — „...ტანჯვად ქრისტიანეთა, რომელნიმე ცეცხლად მისცნის, რომელნიმე მახულითა მოსრნის...“

წყდება: „...პრქუა მას სელინოს: „მე მცირედ-მცირედ მახულითა და...“  
1r ა—7v.

შენიშვნები: 1. ტექსტი არ ემთხვევა ქართულ კიმენტურ (Sin. 6, A 95, S 134) და მეტაფრასულ (ქუთ. 3) რედაქციებს. მისი სახით გვაქვს ოსზულების დღემდე უცნობი მესამე რედაქცია, თარგმნილი ექვთიმე ათონელის მიერ (ვ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტ., გვ. 207).

2. ტექსტი ძალზე ნაკლებია. სათაური აღდგენილია Sin. 6 ხელნაწერის მიხედვით.

2. [ცხოვრებამ წმიდისა მამისა ჩუენისა ანტონისი, ათანასესგან ეპისკოპოსისა ალექსანდრიელისა]. — „...ვიდეს ძმანი და უთხრეს, ვითარმედ მას ღღესა და ეამსა გარდაიცვალა...“

წყდება: „...ვინმცა შეემთხვა მას დავრდომილი და სიგლახაკისაგან...“ 4  
 9r—24v.

**შენიშვნები:** 1. ტექსტი განსხვავდება ცხოვრების კიმენური (A 19, A 1109. გამოქვეყნებულია ორჯერ ვ. იმნაიშვილის მიერ: 1. ცხოვრებამ წმიდისა ანტონისი. თბ., 1970. 2. მამათა ცხოვრებანი. თბ., 1975) და მეტაფრასული (A 79) რედაქციებისაგან. მისი სახით გვჩვენებს თხზულების დღემდე უცნობი მესამე რედაქცია, თარგმნილი ექვთიმე ათონელის მიერ (ვ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 162. ექვთიმე ათონელის თარგმნილად მიაჩნია მეტაფრასული რედაქცია).

2. ტექსტი თავ-ბოლონაკლებია. სათაური და ავტორი აღდგენილია A 19 ხელნაწერის მიხედვით.

3. [ბასილი კესარია-კაბადუციელი. თქუმული ჭუარის ამოღებისათვის.— ჭუარისა კრებასა აღვასრულებთ...]. — „...ძისა კაცისამ, რაათა ყოველსა, რომელსა ჰრწმენეს მისი, აქუნდეს ცხოვრებამ საუკუნო...“

დასასრული: „...შენ ხარ ღმერთი მხოლოდ და შენი არს დიდებამ, პატივი და თაყუანისცემამ თანა მამით და სულით წმიდითურთ აწ და მარადი და უკუნითი უკუნისამდე, ამენ“. 25r—29r.

**შენიშვნები:** 1. თარგმნილია ექვთიმე ათონელის მიერ (ვ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 19).

2. ტექსტი ნაკლებია, აკლია 24v-სა და 26v-ს შემდეგ. თხზულების ავტორი, სათაური და დასაწყისი აღდგენილია Ath. 32 ხელნაწერის მიხედვით.

3. თხზულება ეკუთვნის ანდრია კრიტელს. იგი მოღწეულია ორი თარგმანით: ექვთიმე ათონელისა და უცნობი მთარგმნელისა. ექვთიმე ათონელის თარგმანის შემცველი ქართული ნუსხები თხზულების ავტორად ასახელებენ ბასილი დიდს (Ath. 32, Ath. 20, H 2251), ხოლო უცნობი მთარგმნელისეული ტექსტის შემცველი ნუსხები — ანდრია კრიტელს (Ier. 23, ქუთ. 4). PG 97, 1017—1036.

4. „თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ბასილისი მთავარეპისკოპოსისა კესარია-კაბადუციელისა მიცვალებისათვის ყოვლად წმიდისა დედოფლისა ჩუენისა ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისი. — საიდუმლოდ არს დიდებული ღღესისა ესე კრებამ...“

დასასრული: „...უფლისა თანა მამასა შეუენის დიდებამ, პატივი და თაყუანისცემამ ყოვლად წმიდით სახიერით და ცხოველსმყოფელით სულითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ. 29r—58v.“

**შენიშვნები:** 1. თარგმნილია ექვთიმე ათონელის მიერ (ვ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 19).

2. თხზულება ეკუთვნის ანდრია კრიტელს, BHG 111, 115; PG 97, 1071—1089.

3. ტექსტი ნაკლებია, აკლია 56v-ს შემდეგ.

4. თხზულება შესულია ბასილი დიდის „ითიკა“-ში (A 100). იგი ეკუთვნის ანდრია კრიტელს. PG 97, გვ. 1072—1089 (ბასილი კესარიელის „სწავლათა“ ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი. გამოსაცემად მოამზადა ვ. ქურციკიძემ. თბ., 1983, გვ. 011).

5. „თუესა ნოენბერსა ით. წმიდისა მამისა ჩუენისა ილარიონ ქართველისა ცსენებამ, ცხოვრებამ და მოქალაქობამ მისი. — ესე წმიდამ და ნეტარი მამამ ჩუენი ილარიონ იყო ნათესავით ქართველი...“

დასასრული: „...გამოთქუა ენკომი, რომელ არს შესხმად წმიდისა ილა-რიონისთვის ბასილი ასკირტიმან მონაზონმან სადიდებელად და საქებელად მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, რომლისა არს დიდებამა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.“ 58v—68v.

**შენიშვნები:** 1. ტექსტი წარმოადგენს თხზულების მოკლე რედაქციას. იგი გამოცემულია: (ბ. კილანავა, ქართული ჰაგიოგრაფიის ისტორიიდან. — ივირონი — 1000. თბ., 1983, გვ. 154—165. ეს რედაქცია სხვა ხელნაწერის (Q 762) მიხედვით გამოაქვეყნა ს. ყუბანიევილმა — ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია. ტ. I. თბ., 1946, გვ. 170—177). იხ. ივ. ლოლაშვილი, სიახლენი, გვ. 79—80.

2. ტექსტს აკლია 60v-სა და 61r-ს შორის.

3. ერთვის **ბოლოთქმა**: „ღმერთმან დაგაჯეროს, შეგვნდეთ, საწყლისა დიდისაგან დავწერეთ, უკეთესი არა გუქონდა“.

6. „სწავლამა წმიდისა მამისა ჩუენისა ზოსიმესი. — ნეტარმან მამამან ზოსიმე გამოისახა სასწაული ჭუარისამ პირსა თუსსა...“

დასასრული: „...შენ ხარ ღმერთი მწყალობელი სულთა მათ მონა-ნულთა და შენი არს დიდებამა თანა მამით და სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ“. 68v—86v ა.

**შენიშვნები:** 1. თხზულება თარგმნილია ექვთიმე ათონელის მიერ (კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 54). PG 78, 1679—1702.

2. დასასრული ბოლოთქმითურთ აღადგინა A 1769 ფრაგმენტის ფურცელ-მა (86r-v ა). ხარვეზები დადგენილია ჰაგიოგრაფიულ-ასკეტიურ კრებულთან (A 1104, XI ს.) შედარების გზით. აკლია 68v-ს, 76v-ს, 82v-ს, 83v-ს და 86v-ს შემდეგ.

**ანდერძი-ბოლოთქმა** (ექვთიმე ათონელისა): „ლოცვა ყავთ, წმიდანო ღმრთისანო, გლახაკისა ეფთჳმისთვის, რომელმან წმიდამ ესე წიგნი ვთარგმნე“ (86v ა).

**მინაწერი:** „ზოსიმეს და ეფრემის სწავლათა თავთავი წითლითა ეწერა დედასა და მე არა მაქუნდა... ვინ სწერდეთ და...“ (68v). მინაწერს ბოლო აკლია.

7. „სწავლანი წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ეფრემისნი, მიწერილნი იოვანეს მიმართ მონაზონისა და მამასახლისისა. — უფალმან ჩუენმან იესუ ქრისტემან, რომელი მოვიდა სოფლად ცხორებისათვის კაცთა-სა, გუამცნო ურთიერთას სიყუარული...“

**წყდება:** „...არამედ ისმინენ ესევეითარმან მან, ვითარმედ მრავალთა...“ 86v ა—92v.

**შენიშვნები:** 1. თხზულება თარგმნილია ექვთიმე ათონელის მიერ (კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 49).

2. ტექსტის სათაური და დასაწყისი აღადგინა A 1769 ფრაგმენტის ფურცელ-მა (86v ა).

3. ტექსტი ნაკლულია, აკლია 87v-ს შემდეგ. შეიცავს მხოლოდ პირველ და მეორე სწავლას ნაკვალად ათი სწავლისა. ხარვეზები დადგენილია A 1104 ნუსხასთან შედარების გზით.

8. „მიქაელ სუნიკელისა იერუსალიმელისამ მართლისა სარწმუნოებისა წარმოთქუამა. — მრწამს ერთი ღმერთი, მამამ უშობელი და ერთი იმ შობილი და ერთი სული წმიდამ მამისაგან გამომავალი...“ 93r97v.

დასასრული: „...რომელნიცა შეაჩუენნეს, შევაჩუენებ და მე მართლისა სარწმუნოებისაგან შეურყეველ ვარ მადლითა მამისა და ძისა და სულისა

წმიდისადათა, რომელსა შუენის დიდებამ, პატივი და თაყუანისცემამ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.“ 93r—97v.

**შენიშვნები:** 1. თხზულება თარგმნილია ექვთიმე ათონელის მიერ (ქ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 101).

2. თხზულება (სხვა რედაქცია), როგორც მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრების ნაწილი, გამოქვეყნებულია (ქ. კეკელიძე, კიმენი, 1, გვ. 87—90).

3. ტექსტი სრულად არის მოღწეული.

4. ბერძნული ტექსტი იხ. Montfaucon, Bibliotheca Coisliniana, Paris, 1715.

**ანდერძები.** 1 (ექვთიმე ათონელისა): „სახელითა მამისადათა და ძისადათა და სულისა წმიდისადათა, ძლიერებითა ცხოველსმოფელისა პატიოსნისა ჯუარისადათა, მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისადათა, წმიდისა იოვანე ნათლისმცემელისადათა და წმიდისა იოვანე მახარებელისადათა და ყოველთა წმიდათადათა მე, გლახაკმან და ნარჩემან ყოველთა კაცთამან და ყოვლისა ბრალისა თანამდებმან ეფთიმე ვთარგმანე წმიდად ესე წიგნი ბერძნულისაგან ქართულად ბრძანებითა წმიდისა მამისა ჩემისა იოვანესითა.“

აწ გვედრები, ვინცა იკითხვიდეთ, ლოცვასა მოგვეკუნენით, პირველად მამა ჩემი იოვანე და მე, უღირსი ესე ეფთიმე, რაათა თქუენცა ღმერთმან სასყიდელი შრომისა მოგანიჭოს, ამენ.

დაიწერა წმიდად ესე წიგნი მთასა წმიდასა ათონას, საყოფელსა წმიდისა ღმრთისმშობელისასა, და გასრულდა გლახაკისა ეფთიმეს მიერ მეღობასა ბასილისსა და კოსტანტინესსა, პატრიარქობასა ნიკოლოზისსა, ინდიკტიონსა დ, დასაბამითგანთა წელთა ხვ უთ“ (991 წ.) (97r-v).

ანდერძის ნაწყვეტები გამოქვეყნებულია: H. Mapp, Материалы, с. 85—86; R. Blake, Catalogue, p. 253; ივ. ლოლაშვილი, სი ზღენი, გვ. 78—79.

2. (იოანესი, ერთ-ერთი გადამწერისა): „ესე რიცხუ უცთომელად არს, წმიდანო ღმრთისანო. უბადოდ წერისათვის ღმერთმან დაგაჯეროს, შემინდევით(!) და ლოცვასა მომიკუნენეთ ფრიად ცოდვილი იოვანე, რომელმან ესე წიგნი დაეჩხრიკე უცებით. დარბაზული ასომ ჰასთენ შეუძლე შეცვალვად, ებისტოლედ მასწავლელი არა მყვა, მაგრა ვესავ ღმერთსა, რომელ სიტყუად მართლია, ამით რომელ თუთ გიორგი დეკანოზსა დიდითა ხარკებითა შეუწამებია მთაწმიდას. დაიწერა ესე წიგნი კოსტანტი მეფისა ზე მონომახისა. შემინდევით, წმიდანო მამანო“ (97v).

ანდერძი გამოქვეყნებულია: ივ. ლოლაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 79.

9. „წამებამ და შესხმამ წმიდისა და დიდებულისა ქრისტეს მოწამისა გიორგისი, აღწერილი სცემეონ ლოლოთეტიისა მიერ, რომელი იკითხვების საბერძნეთისა უმრაველესთა ეკლესიათა შინა დიდებულთა, რამეთუ სიღრმისათვის იმხიებენ (ივ. ჯემეგენ) ამას. გუაკურთხენ, უფალო. — ოდესიგი კერპთმასახურებისა წყუდიადსა მოეცვა სოფელი ესე...“

დასასრული: „...ურციხუნი სულნი ლუაწლითა თვისითა გვრგვონსან ყვნა და მიზეზ ცხოვრებისა ექმნა და აწ იშუებს ნათელსა მას შინა, მიუაჩრდილებელსა დიდებითა მით გამოუთქუმელითა ქრისტე იესუმს მიერ უფლისა ჩუენისა, რომლისადა არს დიდებამ და ძლიერებამ თანა დაუსაბამოთ მამით და ცხოველსმოფელით სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ“. 98r—112r.

**შენიშვნები:** 1. თხზულება თარგმნილია ექვთიმე ათონელის მიერ (ქ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 166).

2. თხზულება მეტაფრასული რედაქციისაა. BHG, 677; PG 115, 141—161.

3. ტექსტი ნაკლულია, A 50 ნუსხასთან შედარებით გამოვლინდა ხარვეზი 104v-ს შემდეგ.

10. „შესხმაა წმიდისა და დიდებულისა მოწამისა გიორგისი, რომელი თქუა წმიდამან ბასილი დღესა მას ლუაწლისა მისისასა. — მარადის ბრწყინვალე და ყოვლად ქებულ არიან წმიდათა მოწამეთა საჯენებელნი...“

დასასრული: „...დაწესეთ ხატსა მას შინა ლუაწლთა მათ სასყიდლის მიმნიჭებელი და მისი გვრვეროსანყოფელი ქრისტეცა, რომლისა მიერ და რომელსა თანა შეუენის მამასა ყოვლად წმიდით სახიერით და ცხოველსყოფელით სულითურთ. დიდებამ, პატივი და თაყუანისცემაჲ აწ და მარადის და დაუსრულებელთა მათ საუკუნეთა უკუნითი უკუნისამდე, ამენ“. 112r—128v.

**შენიშვნები:** 1. თარგმნილია ექვთიმე ათონელის მიერ (კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 166).

2. თხზულება მეტადრასული რედაქციისაა. PG 97, 1169—1192; BHG 681.

3. თხზულება შესულია ბასილი დიდის „ითიკა“-ში 50-ე თავად (A 100, A 394). ზოგიერთ ბერძნულ ნუსხაში ავტორად დასახელებულია ანდრია კრიტიელი-იერუსალიმელი. BHG 681 (იხ. ბასილი კესარიელის „სწავლათა“ ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი. ც. ქურციკიძის გამოცემა. გვ. 026).

4. ტექსტი ნაკლულია, აკლია 118v-სა და 126v-ს შენდევ.

II. „წიგნი, რომელი მამამან ეფთვიმე მიუწერა მთაწმიდით თეოდორეს ხუცესსა მრეკალსა პასუხად. — კირილესონ, ღმერთშემოსილო და სულიერო ძმაო თეოდორე, ამათ პირთათჳს, რომელ გექითხნეს ჩემისა უღირსებისადა...“

**წყდება:** „...და ცუდად დაიჭირებენ დიდსა კეთილსა ერისკაცნი...“ 128v—131r.

**შენიშვნები:** 1. ეს არის ერთადერთი ორიგინალური თხზულება (თუ არ ჩავთვლით ილარიონ ქართველის ცხოვრებას), რომელიც შესულია ამ კრებულში. თხზულება წარმოადგენს ექვთიმე ათონელის ცნობილ პასუხს, რომელიც მას მიუწერია ათონიდან თეოდორე საბაწმიდელი ზუცესისაჲ.

2. დოკუმენტი სხვა ხელნაწერების მიხედვით რამდენჯერმეა გამოცემული: მ. საბინინი. საქართველოს სამოთხე, პეტროუპოლი, 1882, გვ. 424; თ. ჟორდანიანი, ქრონიკები..., II, გვ. 82; ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, III, თბ., 1970, გვ. 5—18.

3. დოკუმენტი ორი რედაქციით არსებობს (იხ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1960, გვ. 431—434). მ. საბინინის რედაქციით ადრესატია თეოდორე საბაწმიდელი ზუცესი, ხოლო თ. ჟორდანიანისთან (ეს რედაქცია დოკუმენტისა, XIII ს., პირველად ხელთ ჰქონია დ. ბაქრაძეს. გამოსცა იგი თ. ჟორდანიანი. იხ. დ. ბაქრაძე, ისტორია, გვ. 134—135, შენ. I) — დიდი ბერი გიორგი [ყონდიდელი]. მ. საბინინის რედაქციაში დოკუმენტი მოყვანილია კითხვა-მიჯვების სახით, ხოლო ჟორდანიანისთან არის მხოლოდ ექვთიმე ათონელის საპასუხო წერილი. ი. დოლიძის გამოცემაში დოკუმენტის ორივე რედაქცია არის წარმოდგენილი. Ath. 79 ნუსხისეულ დოკუმენტში მ. საბინინის რედაქციის მსგავსად ადრესატია თეოდორე საბაწმიდელი ზუცესი, ხოლო თ. ჟორდანიანის რედაქციის მსგავსად თხზულება დაწერილია პასუხის ფორმით (იხ. დანიართი). ტექსტი ნაკლულია და ამის გამო რედაქციის მოცულობის შესახებ რაიმეს თქმა ძნელია. გამოქვეყნებულ რედაქციებთან შედარებით ტექსტი ზოგ ადგილას შემოკლებულია.

12. „სიტყუაჲ მცირე წმიდისა მამისა ეფთვიმეს თჳს და საბაძეს თჳს. — კურთხეულ არს ღმერთი და მამაჲ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი...“

**წყდება:** „...ხოლო მან განიშორნა იგინი და პრქუა: მე მკედარქმნილ ვარ ყოველთა ღმრთისა[და] და ვერ შემძლებელ ვარ დატევებად მისა. უკუეთუ ვინ განმაშორებდეს...“ 131v—132v.



**შენიშვნები:** 1. „სიტყუა მცირე...“ წარმოადგენს კირილე სკვიტოპოლელის თხზულების („ცხოვრება ნეტარისა მამისა ჩუენისა საბაისი“), ე. წ. ძველი რედაქციის შემოკლებულ ვარიანტს. იგი იწყება ისევე, როგორც საბას ცხოვრების ძველი რედაქცია (გამოქვეყნებულია ორჯერ: ა) კ. კეკელიძე, კიმენი, II, გვ. 117—219. ბ) მამათა ცხოვრებანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ე. იმნაი-შვილმა. თბ., 1975, გვ. 56—125) — „ეკრთხეულ არს ღმერთი...“ მაგრამ რამდენადმე განსხვავებულია მისგან. ხელნაწერში თავიდანვე შეტანილი უნდა ყოფილიყო არა სრული ცხოვრება, არამედ შემოკლებული ვარიანტი მისი. ამაზე უნდა მიუთითებდეს თხზულების სათაურიც („სიტყუა მცირე...“).

2. თხზულების ძველი რედაქციის ბერძნული ტექსტი იხ. B. Cotelierius, *Ecclesiae graecae monumenta*, III, 220—376.

**ზოგადი შენიშვნები:** 1. ხელნაწერი აღწერილია. იხ. A. Цагарели, *Сведениия*, I, с. 92; R. Blake, *Catalogue*, p. 253.

2. ხელნაწერი აქამდე ითვლებოდა ექვთიმე ათონელის ავტოგრაფად. ნუსხაში მოთავსებული (97v) ექვთიმე ათონელის ანდერძის საფუძველზე რ. ბლეიკის მიერ იგი დათარიღებულია 990 წლით. ა. ცაგარელი მას ათარიღებს X საუკუნით. ექვთიმე ათონელისა და იოანე გადამწერის ანდერძებისა და 131r-ზე მოთავსებული მინაწერის შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ ხელნაწერი ორი დამოუკიდებელი ნაწილისაგან შედგება: I—1r—97v და II—98r—132v. ორივე ნაწილი გადაწერილია ათონის ივერთა მონასტერში.

იოანე გადამწერის ანდერძიდან (97v) ირკვევა, რომ ნუსხის პირველი ნაწილი (1r—97v) გადაწერილია ექვთიმე ათონელის 990 წლის ავტოგრაფიდან გიორგი ათონელის დეკანოზობის დროს (1042—1044 წწ.), მისი უშუალო ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით, ათონის ივერთა მონასტრის ბერის იოანეს მიერ (იხ. ივ. ლოლაშვილი, სიახლენი, გვ. 77—80; მ. დოლაქიძე, ათონური № 79 ხელნაწერის შედგენილობის შესახებ. — იხ. მრავალთავი, № 12, 1985 წ.).

131r-ზე მოთავსებულია **მინაწერი**: „ესე წიგნი წმიდისა ნათლისმცემელისა იოანეს [მონასტრისა ეკლესიისაჲ არს. გან-რამ-ილოს, ღმერთმან და ნათლისმცემელმან ჰკითხოს. ქრისტე, შეიწყალე, ამენ“. როგორც ზემოთ ითქვა, ნუსხის II ნაწილიც (98r—132v) გადაწერილია ათონზე, ივერთა მონასტერში, იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაში.

ეს ორი დამოუკიდებელი ხელნაწერი (ორივე გადაწერილი ათონის ივერთა მონასტერში) შემდეგ გაუერთიანებიათ (შეერთების დრო უცნობია). მოგვიანებით (XIX ს.) მისთვის მიუციათ ერთიანი პაგინაცია (დაწერილებით იხ. მ. დოლაქიძე, დასახ. წერილი).

3. ხელნაწერის დასაწყისი ფურცლები (1r—8v) არეულია და გადაბრუნებული ისე, რომ პაგინაციის აღმნიშვნელი ციფრები მოხვედრილია verso-ზე და ახლანდელ ქვედა აშიაზე. მე-9 ფურცელს ორივე აშიაზე აქვს პაგინაცია. აქედან პაგინაცია ნორმალურად გრძელდება. რიგის დარღვევით და გადაბრუნებულად დანომრილი ეს ფურცლები რ. ბლეიკს ტექსტის თანმიმდევრობით დაულაგებია და დღეს ხელნაწერში ფურცელთა ასეთი თანმიმდევრობა გვაქვს: 6, 5, 3, 2, 1, 7, 8.

4. ხელნაწერის ტექსტობრივი შესწავლა მოითხოვს ორ პატარა კორექტივის ფურცელთა განლაგებაში: ა) 7-ით პაგინირებული ფურცელი უნდა გადაიდგეს ხელნაწერის თავში, მან უნდა დაიკავოს ფებრონიას წამების ნაკლები ტექსტის მეორე ფურცლის ადგილი, A 1769 ფრაგმენტის ფურცლის (1r—va) მომდევნოდ. ბ) 8-ით პაგინირებული ფურცელი უნდა მოთავსდეს 112v-სა და 113r-ს შორის. ზემოაღნიშნულის გამო ხელნაწერში ფურცელთა ასეთი თანმიმდევრობა უნდა გვექონდეს: 1r-v, 7r-v, 6r-v, 5r-v, 3r-v, 2r-v, 1r-v (4r-v დაკარგულია).

5. ტექსტის ხელთან დაკავშირებით იხ. ტაბულა 14, 15.

წიგნი, რომელი მაგამან ეფთხვი მიუწიდა მთაწმიდით თეოდორეს ზუცვისა  
მრბალსა კასუხად

კირილეისონ, ღმერთშემოსილო და სულიერო ძმაო თეოდორე! ამათ პირ-  
თათს, რომელ გეკითხნეს ჩემისა უღირსებისადა და განმარტებად ჭეშმარიტი  
უფალმან გამოგიცხადოს და თქუენისა სიმდაბლით კითხვისათს მეცა მათ-  
წყოს ჯეროვანი პასუხი.

წიგნი, რომელთა ეკლესიაა არა შეიწყნარებს, არიან ყოველნი, რომელნი  
მწვალებელთა მიერ დაიწერნეს: ო რ ო გ ი ნ ე ს მწვალებელსა მრავალი წიგნი  
დაუწერია და არა შეიწყნარებს ეკლესია. და ე ვ ს ე ვ ი პ ა მ ფ ი ლ ი ე ლ ი ს ა  
წიგნი არს, მრავალთა საქმეთა წარმოიტყვს და თბრობათა თითო-სახეთა, მრავალთა  
ფილოსოფოსობითა დაწერილი, გარნა წვალებანი მრავალნი ჩაუტოვან  
და არა შეიწყნარებს ეკლესია, მაგრა კარგნიცა საქმენი სწერიან და ღუარძლი-  
ცა და მით უკმარ არს. და ე გ ე ა ნ ტ ი ო ქ ი ი ს ა მოქცევაა/არა შესაწყნარე-  
ბელ არს. და პ ა ვ ლ ე ს ც ა თ ა მ ო ხ ი ლ ვ ა მ ნატყუვარი არს. და სხუად  
რამე არს. სწერია, თუ თ ო მ ა მ ს ს ა ხ ა რ ე ბ ა მ, იგიცა უცხოა არს. და იგი  
წიგნი, რომელ ა ბ უ კ უ რ ო ფ ა მ პ რ ქ ვ ა ნ, უცხოთა რათმე საქმეთა მოიტყვს და  
ეკლესიაა საბერძნეთისა არა შეიწყნარებს. და სხუად არს ა ღ ა მ ი ს ც ხ ო -  
რ ე ბ ა მ, არცა მას მიითუალვენ. და სხუად არს წიგნი ს ი ყ რ მ ე უ ფ ლ ი -  
ს ა მ, არცა იგი შესაწყნარებელ არს. და მ ო ც ი ქ უ ლ თ ა ც ხ ო რ ე ბ ა ნ ი  
ზოგნი განწყუნილნი არიან მწვალებელთაგან: წმიდისა მათე მ ა ხ ა რ ე ბ -  
ლ ი ს ა მ და სხუად რამე არს წმიდისა ა ნ დ რ ე ა მ ს ი, იგმა იგი. და წმიდი-  
სა გ ი ო რ გ ი ს ი არს წ ა მ ე ბ ა მ ჭეშმარიტი, რომელ ეკლესიათა შინა იკი-  
თხვის, და სხუად არს, უცხონი საქმენი სწერიან, არა შესაწყნარებელ არს. და  
წმიდისა კ ვ რ ი კ ე ს წ ა მ ე ბ ა ს ა სწერია, ვითარმედ სხუად ვიეთმე დაწე-  
რესო და არს უცხოა ქრისტეანეთა წესისაგან. და სხუანი ნატყუვარი არიან,  
სახელები ზოგისა არა ვიცი და ესევითარნი, რომელნი სხუათა მწვალებელ-  
თა დაუწერიან, თვთ საცნაურ არიან. ესე კულა მოციქულთა და მოწამეთა მას  
დაწყულსა ივლიანეს განზრახვით გაურყუნიან, რათამცა ყოველი ნაცილად  
შეპრაცხეს.

ხოლო ს ა უ ფ ლ ო თ ა დ ღ ე ს ა ს წ ა უ ლ თ ა არცა მუჯლთა მოდრეკაა  
ჯერ-არს და არცა მარხვაა, არამედ სამხრად პირი ივსნას, რაჟამს ფსალმუნნი  
წართქუნეს. საბერძნეთისა დაყუდებულნი ქრისტეს შობისა და განცხადებისა  
მსგეფსამდე მუჯლთა<sup>1</sup> არა იდრეკენ და ახუსებითგან მარტულიადმდე მუჯლთა  
დრეკაა არა არს. საზრდელისათს კულა: ახუსებითგან ახალ კვრიაკემდე არა  
ჯერ-არს მარხვაა, არამედ სამხრად პირისა ვსნაა. მიერთგან სენაკსა შინა მჯდო-  
მი, უკუეთუ მწუხრამდე იმარხვიდეს, არარაა არს დაკლებად თვნიერ შაბათისა  
და კვრიაკისა და ამაღლებისა და შუაზატიკისა და წმიდისა ღმრთისმშობლისა-  
თა და ნათლისმცემლისათა და წმიდათა მოციქულთასა და მახარებელთა და  
სხუათა მათ დიდებულთა წმიდათა, რომელთა დღესასწაულნი იდიდებიან: გი-  
ორგისი, თეოდორესი, ნიკოლოზისი, ფილიპესი, თომასი, ანდრეასი. ესე  
დღესასწაულნი ვსნილნია.

<sup>1</sup> მუჯლთა.

არაჯვრობა ჩუენ განვკვნით, წუელასა ვივმარებთ მწვალებელთათჳს და ეგრეთვე ყველიერისა ოთხშაფათ-პარასკევთა. საბერძნეთსა ვინ ყოლა წუელასა არა ჭამდეს, მაშინ მიიღებს მათ მწვალებელთათჳს, რომელთა ყველიერი მარხვათა შეჰრთეს.

ხოლო წმიდისა იაკობის ჯამის წირვაჲ იყო პირველ და სიმოკლისათა ერმან ბასილისი და ოქროპირისათა ირჩიეს.

დიდთა მარხვათა შაბათ-კურიაკეთა იწირვის ჟამი და ხარებად და დიდსა ხუთშაბათსა. სხუათა დღეთა განახლებენ, ჟამისწირვასა არა აღასრულებენ.

ძილსა შინა უცნებისათჳს — მას დღესა არა ეზიაროს, არცა საკურთხეველსა შევიდეს, არცა სახარებასა შეემთხვოს, არცა ხატთა, თუ კულა რამე იყოს საჭიროდ, ანუ უცხოთაგან სირცხულ უჩნდეს, ესეზომი ბრალი არარაჲ არს, თუ შეემთხვოს.

მოდღეთა, რომელთა მოწაფენი აკურთხენ, უკუეთუ წვალებასა, ანუ კაცისკვასა, ანუ გრძნებასა, ანუ სიძვასა და სხუასა რასმე ბილწებასა აწუევიდეს და მოწაფე უკუეთუ ურჩ ექმნას, არა აქუს ბრალი. ამათ საქმეთაგან კიდე თანა-აც მორჩილებაჲ მოწაფესა. რომელი ეკურთხოს, წარსლვად თვნიერ წამებისა მოძღურისა არა კელ-ეწიფების. უკუეთუ კულა ადგილსა ესევითარსა ჯდეს მოძღუარი, სადა ვნებანი იყვნენ და მოძღუარი იგი უვნებელი იყოს და არა ევნებოდის, და მოწაფე დაცემასა შთავარდებოდის და ჰრქუას მოძღუარსა და მან არა იზრუნოს, ამის პირისათჳს თუ განეშოროს, უბრალო არს, სხუაჲ კულა არარაჲ არს მიზეზი ურჩებისაჲ. და თუ თავკედლობით განეშოროს და ურჩ ექმნას, სულსა თჳსსა წარსწყმედს.

კრულობაჲ, უკუეთუ წინამძღურისაგან დაედვას საქმესა ზედა სამართალსა, ვერცინ აჰვდის თვნიერ მისა. უკუეთუ კულა უჯეროსა აწუევიდეს სულისა მავნებელსა და მისთვის დაკრულოს, ცუდ არს კრულობაჲ იგი.

სქემის კურთხევისა შემდგომად თუ სხუაჲ ბრალი არა შეემთხვოს, ეზიარებოდენ. თუ კულა შეემთხვოს, კულად კანონი დაიმარხენ, ვითარცა შეჰგვანდეს. სქემის კურთხევაჲ მარხვათა შაბათ-კურიაკეთა კეთილად იქმნების. თუ კულა სნეული ვინმე იყოს, რომელსა უნდეს დღესა, იკურთხენ.

თეოფილე მწვალებელი არა იყო. ოქროპირისა მტერობითა დიდნი ცთომანი ქმნა. ამას ქუეყანასა არცა ვინ შეაჩუენებს, არცა ვინ ავსენებს მოსაჯენებელთა.

ხოლო კვრილე დიდი მნათობი არს ეკლესიისაჲ და ვსენებულ არს ყოველთა კრებათა. და იგი ხუაიშნებაჲ წმიდისა ღმრთისმშობელისაჲ ჰეშმარტი არს და მიერთვან დიდნი შესხმანი დაწერნა ოქროპირისათჳს წმიდამან კვრილე.

დიდსა შაბათსა ვინაჲთგან ჟამი წირონ, წუელაჲ განიგნენების საპატრიარქოს და ამისთვის ერიდებიან, რომელ უჟამო არს და ზვალისა<sup>2</sup> ზიარებისათჳს სტომაქითა უსუსურნი ეკრძალვიან, თუ არა ვსნილ არს, ვინაჲთგან ეზიარნენ. ხოლო აღდგომაჲ უფლისაჲ შუალამეს იქმნა და ღამესა ბნელსა ჯერ-არს ჟამისწირვაჲ იგი. კულა რომელ აღრე ეზიარებიან და წუელასა გაჰვსნიან, არა ჯერ-არს მცირედისა ჟამისათჳს, მარხვასა უწესოდ გაჰვსნიან. ჟამისწირვაჲ ბნელთა ჯამს უჟამოდ. მაშინ თუ ვინ ჭამოს, ბრალი არა არს წუელისათჳს და თუ უჟამობისათჳს დააცადოს, აუგი არა არს.

ხოლო თევეზისა ჭამაჲ კურიაკეთა არა ბრალი არს და იგი გარდაკუეთილი, წუელასა თანა შერაცხვაჲ ბრალი არს და აუგი, და თუ ვითა ქმნილ

არს ჩუენსა ქუეყანასა, მიკვრს. ჯერ-არს წესიერად ვმარებად ხარებად, დას-ტურად არა ვმარებად ბრალი არს. გარდაკუეთით სომხური არს წუელასა თა-ნა შერაცხვად და რჩულისა კანონსაცა სწერია ჭამად.

ცოცხალთა უამისწირვად კეთილ არს] და წმიდათა მოციქულთა და წმიდათა მამათა დადე]ბულ და ცუდად დაიჭირებენ დიდსა კეთილსა ერის-კაცნი (129r—131r).

## 85 (47)

## ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი. X—XI

167 ფ.; ეტრათი (ალაგ-ალაგ გაყვილებული), 14,5X11; ნაწ. 11,1=8,3; უყლო, თავბოლონაკლული (აკლია I ხმის უგალობდითსა და მოიხილესა „უცხო-თა“ ფენამდე და VIII ხმა მთლიანად); დახრილი ნუსხური, სათაურები ყოველი ხმისა, გალობათა სახელწოდებები და ძლისპირთა დასაწყისი ასოები მოაერუ-ლით, ნეგები სინგურით, ხმების დასაწყისში მარტივი გრაფიკული ორნამენტები; ზოგან საზედაო ასოები (6v, 8r, 9v); ალაგ-ალაგ მელანი გაფერმკრთალებული; ზოგი გვერდი ძნელად იკითხება (1r, 2v, 3v); ფურც. 44 კიდემოხეულია; აქვს რვეულებრივი სათვალავი, (ა—კგ), ა რვეულიდან შემორჩენილია 4 ფურ-ცელი, კგ-დან — 4, კგ-დან — 1 (ეს უკანასკნელი უადგილოდ არის ჩაყინძული), ასოებრივი აღრიცხვა რვეულის თავსა და ბოლოში; [X—XI] გადამწერები უნდა იყვნენ ივანე და გიორგი (22r, 53v, 71v...).

[ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი. კვამ ა... განძლიერდასა] „...წინა საუ-კუნეთა მამისაგან შობილსა ძესა მხოლოსა და ქალწულისაგან განჯორციელე-ბულსა ქრისტესა, ღმერთსა ჩუენსა, უღალადებდეთ...“ 1r—2r.

შენიშვნა: განძლიერდასა შეიცავს 6 ძლისპირს. აკლია დასაწყისი ძლისპირი და მისი ღმრთისმშობლისა. მისდევს A 603-ს (იხ. ნეგმ. ძლისპ., №№ 24—30).

„უფალო მესმასა. პირველ აუწყა წინააღმარებტყუელებით ცხოვრება კაც-თა...“ 2r—3r.

შენიშვნა: უფალო მესმასა ნაკლულია. შეიცავს ორ ძლისპირს (იხ. ძლისპ., №№ 36—37).

„ღამითგანსა. საცთურთა ბნელთა ღამისათა შენდობად მოხუედი...“ 3v—4v.

შენიშვნა: შეიცავს 7 ძლისპირს. პირველი 6 მისდევს A 603-ს (ნეგმ. ძლისპ., №№ 50—56). მეშვიდე ძლისპ. „ღამითგან აღვიმსოთბო ჩუენ... და გალობით გი-გალობთ შენ...“ არ არის A 603-ში.

„ღალატყავსა. შთაჯდა იონა სიღრმეთა მათ ზღუისათა...“ 4v—7v.

შენიშვნა: შეიცავს 8 ძლისპირს (იხ. ნეგმ. ძლისპ., №№ 63—70).

„კურთხეულარსა. სიყოარულითა ყოველთა მკსნელისადათა არად შეპრა-ცხეს ყრმათა რისხვად...“ 7r—9r.

შენიშვნა: შეიცავს 7 ძლისპირს, განსხვავდება A 603-ისაგან ბოლო ძლის-პირით „შენ, რომელმან იყენ...“ (იხ. ნეგმ. ძლისპ., №№ 75—81).

„აკურთხევიდითსა. ყრმანი ბაბილონს შეუწუეელნი პირველად სახე გექმნ-ნეს შენ...“ 9r—11r.

**შენიშვნა:** შეიცავს 8 ძლისპირს. აქედან II ხმის „ო“ მესმასა—მდე A 603-ს აკლია, ამიტომ უღარდება Sin 3-ს, რომელიც დამატების სახით ერთვის ამ გამოცემას (იხ. ნევმ. ძლისპ., დამატ., გვ. 880—882).

„ადიდებდითსა. ჯერ-არს ღუმილი...“ 11v—14v.

**შენიშვნა:** შეიცავს 9 ძლისპირს, აქედან 8 რიგის სხვაობით ემთხვევა Sin. 3-ს (იხ. ნევმ. ძლისპ., გვ. 882—885, №№ 9—16). სხვაობს ბოლო ძლისპირით: „შენ, რომელი დედა იქმენ...“ (14v).

„ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი. უცხონი. უგალობდითსა ჳა ა. მონებისა მისგან მწა. — აზღუდნეს წყალნი სიღრმეთანი...“ 14v—16r.

**შენიშვნები:** 1. ხელნაწერი ა ხმაში ირმოლოგიონის სხვა ხელნაწერებისაგან განსხვავებული აღნაგობისაა. „უცხო“ ფენის ძლისპირები უშუალოდ კი არ მისდევს თითოეული გალობის ძირითად ფენას, არამედ გადატანილია ბოლოში IX გალობის შემდეგ და იქ არის დალაგებული გალობების მიხედვით.

2. უგალობდითსა ეს ფენა შეიცავს 7 ძლისპირს (იხ. ნევმ. ძლისპ., №№ 8—11, 13—14). A 603-ისაგან სხვაობს ძლისპირით „დღესა მას აღდგომისასა“, რომელსაც ერთვის 3 ღმრთისმშობლისა (15r).

„მოიხილესა. თავსა წიგნთასა დაწერა პირველ მოსევ...“ 16r—v.

**შენიშვნა:** შეიცავს სამ ძლისპირს (იხ. ნევმ. ძლისპ., №№ 19, 22, 23), აქედან ორს არ ახლავს ღმრთისმშობლისები.

„განძლიერდასა. ლოდი, რომელ შეუტაცხ-ყვეს მაშენებელთა...“ 17r—18r.

**შენიშვნა:** შეიცავს 5 ძლისპირს, რიგით და ერთი ძლისპირით: „მოვედით და ესუთა...“ (დასაწყისის სახით) სხვაობს A 603-საგან (იხ. ნევმ. ძლისპ., №№ 31—32, 34).

„უფალო მესმასა. საიდუმლოა მესმა, უფალო, ცხებულთა შენთა...“ 18r—19r.

**შენიშვნა:** შეიცავს 7 ძლისპირს (იხ. ნევმ. ძლისპ., №№ 43—44, 46, 47, 49, 50), მეშვიდე ძლისპირი „საღმრთოსა საპყრობილესა ზედა“ მხოლოდ დასაწყისითაა.

„ღამითგანსა. შენი მშუიღობაა მომეც ჩუენ, ძეო ღმრთისაო...“ 19v—21r.

**შენიშვნა:** შეიცავს 5 ძლისპირს, აქედან 4 საერთოა A 603-ის უცხო ფენასთან (იხ. ნევმ. ძლისპ., №№ 57—59, 61), მეხუთე „აღვიმსობით ჩუენ ცისკარს“ დასაწყისის სახითაა.

„ღალატყავსა. წინააღწარმეტყუელისა იონაჲს მიმსგავსებულე ეკმობ...“ 21v—22r.

**შენიშვნა:** ღალატყავსას ამ ფენაში შედის 5 ძლისპირი (იხ. ნევმ. ძლისპ., №№ 71, 72, 74), A 603-ისაგან განსხვავდება ძლისპირით „ღალატ-ყო წინააღწარმეტყუელმან“ (22r) და „შოაკდა რაჲ“ (21v), რომელიც დასაწყისის სახითაა და ახლავს 2 ღმრთისმშობლისა.

„კურთხეულარსა. სიყურულითა ყოველთა. მას ზა. — საჯუმილსა შინა ყრმათა შენთა, მაცხოვარ, არა შეეხებოდა ცეცხლი იგი...“ 22r—24r.

**შენიშვნები:** 1. შეიცავს 7 ძლისპირს. (A 603-ის შესაბამისი ნაწილი დაკარგულია. ეს ფენა განსხვავებული რიგით დასტურდება S 425-ში (4r).

2. ძლისპირის დასაწყისის შემდეგ ასომთავრულით: „ქე შწყაღ გი“ (22r).

„აკურთხევდითსა. საჯუმილი შეცურეული. — მოვედით, მორწმუნეთა კრებულნო, გალობით ესრეთ ღმრთისემეტყუელებდეთ...“ 24v—26v.

**შენიშვნა:** შეიცავს 7 ძლისპირს, რომელთა ერთი ნაწილი ირმოლოგიონის სხვა ხელნაწერებში არ დასტურდება (S 425 და A 603 ამ ნაწილში შემონახული არ არის).

„ადიდებდითსა. დაუკურდა საიდუმლოჲ. — მუცლად-ილე სიტყუაჲ ღმრთისაჲ...“ 26v—31v.

**შენიშვნები:** 1. შეიცავს 13 ძლისპირს, აქედან 5 დასაწყისის სახითა (სრულად დასტურდება ძირითად ფენაში) და თითოეული ღმრთისმშობლისას, დანარჩენი 6 ფიქსირებულია S 425-ში განსხვავებული თანმიმდევრობით (Sin. 3-ში ამ ფენაში სხვა ძლისპირებია).

2. ა ხმის „უცხოთა“ ფენაში დასტურდება იოანე მონაზონის საპასეჟო კონონის ძლისპირთა თარგმანები დასაწყისების სახით (*Εἰρμολόγιον ἐκδιότμενον ὑπο Μητροπολίτου Λεοντοπολεως Σαφροπίου Ἐδσπρατιάδου*, Chennevières sur-Marne 1932, p. 4—5).

„ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი. უგალობდითსა ჳაბ. ზღუისა ღელვათა მძუნვარეთა წიად-ვდეს დაულტობელად...“ 31v—34v.

**შენიშვნა:** შეიცავს 10 ძლისპირს, მათგან პირველი ცხრა განსხვავებული თანმიმდევრობით Sin 3-ის თანმხედრია. (იხ. ნევმ. ძლისპ., დამატ. გვ. 886—889). A 603-ის შესაბამისი ნაწილი დაკარგულია). დასტურდება ორი განსხვავებული ღმრთისმშობლისაც.

„მოიხილესა. ცაჲ და ქუეყანაჲ გულისკმის-ყოფით ქრისტესა ადიდებდით...“ 34v—35r.

**შენიშვნა:** შეიცავს 6 ძლისპირს, მათგან Sin 3-ში დასტურდება მხოლოდ 2 (იხ. ნევმ. ძლისპ., დამატ., გვ. 889, №№ 31—32).

„განძლიერდასა. განჯსნილნი ძუელთა კრულებათაგან დაჯსნილნი მკეცთა შუეა მძუნვარეთაგან... სიტყუასა ღმერთსა სიტყუთა კმიანითა სარწმუნოებით და ქებით ვადიდებდით...“ 35v—38r.

**შენიშვნა:** შეიცავს 8 ძლისპირს, მისდევს Sin 3-ს, სხვაობს უკანასკნელი ძლისპირით „შენ, ქრისტე, სიბრძნეო და სიტყუაო...“ (იხ. ნევმ. ძლისპ., დამატ., გვ. 889—891).

„უფალო მესმასა. საქმენი შენნი ვითარცა განიცადნა, ღალატ-ყო კმითა წინაწარმეტყუელმან...“ 38r—41r.

**შენიშვნა:** შეიცავს 12 ძლისპირს, რომლებიც A 603-ისაგან სხვაობს ძლისპირთა რიგით. გამოყოფილია, უცხოთა“ ფენა (იხ. ნევმ. ძლისპ., №№ 82—93).

„ღამითგანსა. განვიბანენით ვორცითა სულთა თანა...“ 41r—43r.

**შენიშვნა:** შეიცავს 11 ძლისპირს (იხ. ნევმ. ძლისპ., №№ 94—104).

„ღალატყავსა. წინააწარმეტყუელმან მუცლისა სიმკურვალე ზღუისა მკეცისაჲ სამ ღლე თავს-იღვა...“ 43r—45v.

**შენიშვნები:** 1. შეიცავს 10 ძლისპირს, აქედან 9 დასტურდება A 603-ში (იხ. ნევმ. ძლისპ., №№ 106—112; 114, 116). სხვაობს A 603-ისაგან მეთაე ძლისპირით: „სიღრმენი ცოდვითანი...“ (45r) და ზოგიერთი ღმრთისმშობლისათ.

„კურთხეულარსა. რომელმან პირველ აღი საკუმილისაჲ მის მძლავრი და-შრიტა...“ 45v—48r.

**შენიშვნა:** შეიცავს 10 ძლისპირს (იხ. ნევმ. ძლისპ., №№ 117—124), A 603-ისაგან სხვაობს ძლისპირით „მეტყუელად გამოჩნდეს...“ (47v) და ირმოსთა თანმიმდევრობით.

„აკურთხევდითსა. დაბადებულნი გამოჩნდეს თავისუფლად...“ 48r—54r.

**შენიშვნები:** 1. შეიცავს 20 ძლისპირს, ემთხვევა (ოღონდ ძლისპირთა სხვა თანმიმდევრობით) A 603-ის პირველ ძლისპირებს (იხ. ნევმ. ძლისპ., №№ 127—144), სხვაობს ძლისპირით „ყრმანი ებრაელნი...“ (51v) და ცალკეული ღმრთის მშობლისებით.

2. ძლისპირებს შორის ასომთავრულით: „ქე აღიდე ივწე“ (53v).

„აღიდებდითსა. უზეშთაეს არს გონებასა კაცთასა, სძალო წმიდაო და დე-  
დაო უსძლოო დიდებაჲ შენი...“ 54r—61v.

**შენიშვნები:** 1. შეიცავს 19 ძლისპირს. ისინი განსხვავებული რიგით დასტურ-  
დებიან A 603-ში (იხ. ნევმ. ძლისპ., №№ 145—159; 824—825).

2. A 603-ისაგან განსხვავებით ძლისპირებს ახლავთ ღმრთისმშობლისათა დი-  
დი რაოდენობა. დასტურდება ირმოლოგიონის სხვა ხელნაწერებისათვის უცნობი  
40-მდე ღმრთისმშობლისა.

3. ბოლო ღმრთისმშობლისას მომდევნოდ ასომთავრულით: „ქე შწყლე  
იონე“ (61v).

„ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი. უგალობდითსა ჳაგ. უქმი ქუეყა-  
ნაჲ სამკუიდრებელი ზღუათაჲ იხილა მზემან პირველ...“ 62r—63v.

**შენიშვნები:** 1. შეიცავს 11 ძლისპირს, ემთხვევა რიგის სხვაობით A 603-ს  
№ 178-ის გამოკლებით (იხ. ნევმ. ძლისპ., №№ 170—178; 827—828).

2. სათაურის მომდევნოდ ასომთავრულით: „ქე აღიდე ჳჳიკ ე რის-  
თავთა ე რისთავი აწ და ოწე აწ“ (62r).

„მოიხილესა. იხილეთ, იხილეთ, რამეთუ მე ვარ მაცხოვარი...“ 64r—65r.

**შენიშვნა:** შეიცავს 5 ძლისპირს (იხ. ნევმ. ძლისპ., №№ 180—184). რიგით  
და რაოდენობით სხვაობს A 603-ისაგან.

„განძლიერდასა. მოსავთა შენთა დამამტკიცებლო ღმერთო, დამამტკიცე  
ეკლესიაჲ შენი...“ 65v—67r.

**შენიშვნები:** 1. შეიცავს 11 ძლისპირს (იხ. ნევმ. ძლისპ., №№ 186—192).

2. ძლისპირის მომდევნოდ ასომთავრულით: „ქე შწყლე კბრშ“ (66r).

„უფალო მესმასა. ქრისტე ღმერთო, ცანი კეთილთა შენთა დაფარეს...“  
67r—69r.

**შენიშვნა:** შეიცავს 9 ძლისპირს. რიგის სხვაობით ემთხვევა A 603-ს № 202  
და № 835-ის გამოკლებით (იხ. ნევმ. ძლისპ., №№ 194—202; 834—835).

„ლამითგანსა. ჩუენებით ესაია იხილა...“ 69r—70v.

**შენიშვნა:** მისდევს A 603-ს № 211-ის გამოკლებით (იხ. ნევმ. ძლისპ.,  
№№ 203—211, 836).

„ღალატყავსა. კმა-ვყავ შენდამი დამძიმებულმან ტუირითთა ცოდვთა  
ჩემთაჲთა...“ 70v—72v.

**შენიშვნები:** 1. მისდევს A 603-ს № 220-ის გამოკლებით (იხ. ნევმ. ძლისპ.,  
№№ 212—220, 837).

2. ძლისპირს და ღმრთისმშობლისას შორის ასომთავრულით: „ქე შწყლე  
ივწე მეახლე“ (72r).

„კურთხეულარსა. ღმრთისა სიტყუასა, რომელმანცა ცეცხლსა შინა შეა-  
ცურინა სამნი ყრმანი ღმრთისმეტყუელნი...“ 72v—74r.

**შენიშვნა:** შეიცავს 7 ძლისპირს. ერთი ძლისპირით „რომელმან საკუმლისა  
ალი...“ (73v) სხვაობს A 603-ისაგან (იხ. ნევმ. ძლისპ., №№ 221—227).

„აკურთხევდითსა. მონებად ღმრთისა აღდგომილნი ყრმანი შეითხინეს ცე-  
ცხლსა შინა...“ 74r—77v.

**შენიშვნები:** 1. შეიცავს 14 ძლისპირს, აქედან სამი: „დაუსაბამოსგან მისგან მამისა...“ (75r), „ალსა შინა...“ (75v) და „სამებისა წმიდისა...“ (77v) სხვაობს A 603-საგან (შდრ. ნევმ. ძლისპ., №№ 238, 239, 839), დანარჩენები კი ემთხვევა მას, ოღონდ განსხვავებული თანამიმდევრობით (იხ. იქვე, №№ 228—239, 828—829).

2. „უტხონი“ ცალკე სათაურით გამოყოფილი არ არის.

3. გალობის ბოლოს ტექსტის ხელით მსხვილი ასომთავრულით: „ქე ადიდე გი მეახლე მიოკე და ღირს ყვე მრჯენით შენსა დღესა მას დაულამებელსა: ან ონ“. (77v).

„ადიდებდითსა. წერილთა მიერ შჯულისათა მოგუესწავა ჩუენ, მორწმუნეთა...“ 77v—83r.

**შენიშვნები:** 1. შეიცავს 9 ძლისპირს, რიგის ოდნავი სხვაობით ემთხვევა A 603-ის პირველ ძლისპირებს № 244-ის გამოკლებით (იხ. ნევმ. ძლისპ., №№ 240—260; 840—841).

2. არ შეიცავს „ადიდენის“ ფენას, სახელწოდება „უტხო“ ძლისპირთა ფენის გამოსაყოფად გამოყენებული არ არის.

3. შეიცავს A 603-ისთვის უცნობ 30 ღმრთისმშობლისას.

4. გვერდების ბოლოს ასომთავრულით: „ქე შწყულე იო“ (81r); „...ულნი ქე შწყულე“ (81v).

„ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი. უგალობდითსა ჯა დ. ზღუსა მის მუწამულსა დღვათა ვიდოდა პირველად...“ 83v—86v.

**შენიშვნები:** 1. შეიცავს 16 ძლისპირს, რიგის სხვაობით ემთხვევა A 603-ის შესაბამის ნაწილს №№ 273 და 276 ძლისპირების გამოკლებით (იხ. ნევმ. ძლისპ., №№ 261—276), დასტურდება A 603-ისათვის უცნობი 2 ძლისპირი: „ფარაოას ეტლები...“ და „გალობამან ისრაელისამან...“ (86v).

2. სათაურის მომდევნოდ ასომთავრულით: „ქე შწყულე ივ“ (83v).

„მოიხილესა. გალობაჲ სულიერი ადვილოთ, ერნო...“ 86v—88r.

**შენიშვნა:** შეიცავს 6 ძლისპირს (იხ. ნევმ. ძლისპ., №№ 277, 280, 282—284). რიგით და რაოდენობით სხვაობს A 603-ისაგან. შეიცავს A 603-ისათვის უცნობ ძლისპირს. „მომცე, უფალო მადლი შენი...“ (87v). არის ორი უცნობი ღმრთისმშობლისაც.

„განძლიერდასა. იხარებს ეკლესიაჲ შენდამი...“ 88v—90v.

**შენიშვნები:** 1. შეიცავს 14 ძლისპირს, შედგენილობით ემთხვევა A 603-ს №№ 308—309-ის გამოკლებით, სხვაობაა ძლისპირთა თანამიმდევრობაში (იხ. ნევმ. ძლისპ., №№ 294—309).

2. ძლისპ. „უფალო, რომელმან მიხუენე...“ (90v) სხვა ხელითა მიწერილი ქვემო კიდეზე, ხოლო ძლისპ. „ქენებით ღმობიერნი...“ (90r) იმავე ხელით შესრულებულია გვერდის მარცხენა კიდეზე.

„უფალო მესმასა. სიყუარული წყალობისაჲ ძეთა კაცთაჲსაჲ ჯუარსა ზედა აჰმალდი და. — სიტყუამან ჯორცნი შეისხნა...“ 91r—93r.

**შენიშვნები:** 1. შეიცავს 13 ძლისპირს. რიგის სხვაობით ემთხვევა A 603-ის სათანადო გალობას „უტხო“ ფენამდე (იხ. ნევმ. ძლისპ., №№ 310—323).

2. ძლისპ. „სიყუარული წყალობისაჲ ძეთა კაცთაჲსა ჯუარსა ზედა აჰმალდი და“ წარმოდგენილია დასაწყისის სახით (სრულად იხ. ძლისპ. და ღმრთისმშობ., № 170; იგი უძველეს ძლისპირს „სიტყუამან ჯორცნი შეისხნა...“ (91r).

3. ღმრთისმშობლისებში: „რაჲამს წარდგა გაბრიელი...“ და „მითთ სამხრით...“ შესრულებულია წვრილი ხელით გვერდის ქვემო და მარჯვენა კიდეებზე (93r).

4. არ შეიცავს „უტხო“ ფენის ძლისპირებს (შდრ. ნევმ. ძლისპ., №№ 323—326).

„ღამითგანსა. შენ, უფალო, ნათელი ხარ მომავალი...“ 93v—96r.



**შენიშვნა:** შეიცავს 13 ძლისპირს, რიგით და რაოდენობით განსხვავებულს A 603-ისაგან. არ შეიცავს A 603-ის „უცხო“ ფენის ძლისპირებს (იხ. ნევმ. ძლისპ., №№ 327—343).

„ღალატყავსა. გალობით, კმითა სიხარულისადათა ვაქებს შენ ეკლესიაჲ შენი...“ 96r—98r.

**შენიშვნები:** 1. შეიცავს 13 ძლისპირს, რიგით და რაოდენობით სხვაობს A 603-ისაგან (იხ. ნევმ. ძლისპ., №№ 344, 353, 355—357).

2. ღმრთისმშობლისა „კითარცა მკეცისა მის...“ ჩამატებულია გვერდის ქვემო კიდეზე წვრილი ნუსხურით (97v).

„კურთხეულარსა. საკუმილსა შინა აბრამეანნი ყრმანი, მოგუთა მიერ კრუნი, საღმრთოთა შჯულთათჳს შეითხინეს...“ 98r—100v.

**შენიშვნები:** 1. განსხვავებული თანამიმდევრობით ემთხვევა A 603-ის პირველ 17 ძლისპირს (იხ. ნევმ. ძლისპ., №№ 360—376).

2. განსხვავებით A 603-ისაგან „უცხო“ ძლისპირები ცალკე სათაურით გამოყოფილი არ არის. ამ ძლისპირთა უმრავლესობას არ ახლავს ღმრთისმშობლისები.

„აკურთხევედითსა. კელთა განპყრობითა დანიელ მღუიშესა მას შინა მკეცნი მოამდგრნა...“ 101r—104v.

**შენიშვნები:** 1. შეიცავს 18 ძლისპირს. შედგენილობით ემთხვევა A 603-ს №№ 399—400-ის გამოკლებით (იხ. ნევმ. ძლისპ., №№ 381—400). სხვაობა ძლისპირთა რიგში.

2. ზოგ ძლისპირს არ ახლავს ღმრთისმშობლისა (104r), დასტურდება A 603-ისაგან განსხვავებული ღმრთისმშობლისებიც. (103v, 104r).

3. ღმრთისმშობლისას მომდევნოდ სტრიქონის თავისუფალ ნაწილში ასომთავრულით: „ო<sup>რ</sup> ა<sup>ვ</sup> შ<sup>მ</sup>წყ<sup>ლ</sup>ე“ (101r).

4. ძლისპირის მომდევნოდ ასომთავრულით: „ო<sup>რ</sup> შ<sup>მ</sup>წყ<sup>ლ</sup>ე კ<sup>ო</sup>ნ<sup>ნ</sup>“ (102v).

„ადიდებდითსა. ლოდი საკიდური უწელოდ გამოეკუთეთა შენგან...“ 104v—112v.

**შენიშვნა:** შეიცავს 20 ძლისპირს, განსხვავდება A 603-ისაგან ძლისპირთა რიგით და ღმრთისმშობლისათა რაოდენობით.

„ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი. უგალობდითსა კ<sup>ა</sup> ა გ<sup>ი</sup>. ეტლთა სიმრავლე მკედრებითურთ ზღუასა მეწამულსა სიღრმესა შთათხინეს...“ 113r—114r.

**შენიშვნა:** შეიცავს 7 ძლისპირს, რიგით და რაოდენობით ემთხვევა A 603-ს (იხ. ნევმ. ძლისპ., №№ 428—434).

„მოიხილესა. იხარებდით წარმართნი ერთა თანა ზეცისათა...“ 114v—116r.

**შენიშვნები:** 1. შეიცავს 5 ძლისპირს, ემთხვევა (განსხვავებული რიგით) A 603-ს № 438 ძლისპირის გამოკლებით (იხ. ნევმ. ძლისპ., №№ 435—439).

2. დასტურდება A 603-ისაგან განსხვავებული ირმოსი „იხილეთ, იხილეთ, რამეთუ მე ვარ უფალი ღმერთი, რომელმან კორცნი შევიმოსენ...“ (115r).

„განძლიერდასა, რომელმან დააფუძნე ქუეყანაჲ წყალთა თანა ზეცისათა...“ 116r—117v.

**შენიშვნები:** 1. შეიცავს 7 ძლისპირს, თანამიმდევრობით ოდნავ განსხვავებულს A 603-ისაგან (იხ. ნევმ. ძლისპ., №№ 440—446).

2. განსხვავებით A 603-ისაგან „უცხონი“ ცალკე სათაურით გამოყოფილი არ არის.

3. ღმრთისმშობლისას მომდევნოდ ასომთავრულით: ქე შწყყლე იო ვნე“ (116v).

„უფალო მესმასა. ესმა მოსლგაჲ შენი დიდებული...“ 117v—119r.

**შენიშვნები:** 1. შეიცავს 7 ძლისპირს, ემთხვევა A 603-ს ძლისპირთა რიგის ოდნავი სხვაობით (იხ. ნევმ. ძლისპ., №№ 447—453).

2. „უცხო“ ძლისპირები განსხვავებით A 603-ისაგან ცალკე სათაურით გამოყოფილი არ არის.

„ლამითგანსა. რომელმან შეიმოსე ნათელი სამოსლად...“ 119r—120r.

**შენიშვნა:** შეიცავს 6 ძლისპირს, შედგენილობით ემთხვევა A 603-ს № 459 ძლისპირის გამოკლებით (იხ. ნევმ. ძლისპ., №№ 454—460).

„ღაღატყავსა. ზღუაჲ აღძრული, ღელვითა წარმწყმედელი, დააცხრვე...“ 120r—122r.

**შენიშვნები:** 1. შეიცავს 9 ძლისპირს, რომელიც რიგის ოდნავი სხვაობით ემთხვევა A 603-ს (იხ. ნევმ. ძლისპ., №№ 461—469).

2. ორ ძლისპირს: („გარემომიცივეს...“, „ივსენი წინაჲსწარმეტყუელი...“ (121r—122v) ახლავს ორ-ორი ღმრთისმშობლისა.

„კურთხეულარსა. უფროსად ამაღლებულმან ღმერთმან მამათა ჩუენთა-მან საკუმილი მოტყინარე ყრმათა მათ განუქარვა...“ 122r—123v.

**შენიშვნები:** 1. შეიცავს 7 ძლისპირს (იხ. ნევმ. ძლისპ., №№ 770—476).

2. ძლისპ. „უფროსად ამაღლებულმან... (122r) და „კურთხეულ ხარ შენ, უფალო...“ (123r) A 603-ისაგან განსხვავებით ახლავთ 3-3 ღმრთისმშობლისა.

„აკურთხედიტსა. შენ, მხოლოსა, დამბადებელსა ყოველთასა, გალობაჲ სულიერი გიღაღადეს ყრმათა...“ 123r—125r.

**შენიშვნები:** 1. შეიცავს 8 ძლისპირს, რომელიც რიგით ოდნავ სხვაობს A 603-ისაგან (იხ. ნევმ. ძლისპ. №№ 477—484).

2. „უცხო“ ძლისპირები ცალკე გამოყოფილი არ არის.

3. ძლისპ. „შენ მხოლოსა...“ A 603-ისაგან განსხვავებით ერთვის 4 ღმრთისმშობლისა (123v—124r).

„ადიდებდიტსა. ესაია, მხიარულ იყავ...“ 125r—131r.

**შენიშვნები:** 1. შეიცავს 12 ძლისპირს, რიგით ძლიერ სხვაობს A 603-ისაგან (იხ. ნევმ. ძლისპ., №№ 485—496).

2. არ შეიცავს A 603-ის „ადიდენის“ ფენას (იხ. ნევმ. ძლისპ., № 497—504).

3. ძლისპირებს ახლავს ღმრთისმშობლისათა დიდი რაოდენობა. დასტურდება A 603-ისათვის უცნობი 29 ღმრთისმშობლისა. აქვე ჩართულია VI, 9-ის ორი ძლისპ. (იხ. ნევმ. ძლისპ., №№ 569, 571).

4. ტექსტის ბოლოს განსხვავებული ხელით ნემატორის მინწერი: „ქმშ შშ ამის წიგნისა მნიშნეელი: აწ“ (131r).

„ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი. უგალობდიტსა კი ბ გი. უკუღელ-ველად ზღუაჲ წიაღ-ვლო ისრაელმან...“ 131v—133r.

**შენიშვნები:** 1. შეიცავს 7 ძლისპირს, სხვაობს A 603-ისაგან ძლისპირთა რიგით და ღმრთისმშობლისათა რაოდენობით (იხ. ნევმ. ძლისპ., №№ 505—511).

2. სათაურის მომდევნოდ ასომთავრულით: „ოწ შე ივე“ (131v).

„მოიხილესა. ოხრაჲ შესაძრწონებელი ოდესმე სინას იხილევბოდა...“ 133r—134v.

**შენიშვნები:** 1. შეიცავს 5 ძლისპირს, ემთხვევა A 603-ის ძლისპირებს № 512-ის გამოკლებით, სხვაობს ძლისპირთა თანმიმდევრობით და ღმრთისმშობლისათა რაოდენობით (იხ. ნევმ. ძლისპ., №№ 512—516).

9. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა

2. ძლისპ. „უხილავედ ზრახვიდა...“ კიდევ ახლავს შენიშვნა: „ჯა ბ“ (134v).

3. ძლისპირები „ოხრაა...“ (133r) და „ნისლსა მას...“ (134r) შესრულებულია სხვა ხელით.

„განძლიერდასა. არავინ არს წმიდაჲ შენებრ“... 134v—135v.

**შენიშვნები:** 1. განსხვავებული თანმიმდევრობით ემთხვევა A 603-ის პირველ 6 ძლისპირს (იხ. ნეგმ. ძლისპ., №№ 517—523), შეიცავს A 603-ისაგან განსხვავებულ 1 ძლისპირს: „კლდესა მას შეუძრავსა...“ (135v).

2. გვერდის ქვემო კიდევ მინაწერი ნუსხურით: „ქმ შეწყლევ სულითა და ვით ან იყავნ“ (135v).

„უფალო მესმასა. ქრისტე — ღმერთი ჩემი, უფალი — ძალ ჩემდა...“ 136r—137v.

**შენიშვნა:** შეიცავს 7 ძლისპირს, რიგით სხვაობს A 603-ისაგან (ნეგმ. ძლისპ., №№ 524—530).

„ღამითგანსა. ნათლითა შენითა საღმრთოთა დიდებულთა, სულნი, რომელთა აღიმსთვეს შენდამი, განანათლენ...“ 138r—139r.

**შენიშვნა:** შეიცავს 7 ძლისპირს, 6 ძლისპირით ემთხვევა A 603-ს (იხ. ნეგმ. ძლისპ., №№ 531—536), მეშვიდე ძლისპ. „ღამე ზნელი ცოდვითა ჩუენთა...“ (138v) უცნობია A 603-ისათვის.

„ღალატყავსა. სოფლისა ზღუაჲ აღძრულ არს...“ 139r—141r.

**შენიშვნა:** შეიცავს 7 ძლისპირს, ძლისპირთა რიგით სხვაობს A 603-ისგან (იხ. ნეგმ. ძლისპ., №№ 538—544).

„კუთხეულარსა. ყრმათა მათ წმიდათა საჯუმილი შეაცურია ანგელოზმან...“ 141r—142v.

**შენიშვნა:** შეიცავს 8 ძლისპირს, ერთი ძლისპირით „ალი იგი ქალდეველთა...“ (142v) სხვაობს A 603-ისაგან (იხ. ნეგმ. ძლისპ. №№ 545—551).

2. A 603-ისაგან განსხვავებით ძლისპირები სახელწოდებით „უცხონი“ ცალკე გამოყოფილი არ არის.

„აკუთხევედითსა. საჯუმილით სამთა ყრმათა ცუარსა ასხურებდი...“ 143r—145r.

**შენიშვნები:** 1. შეიცავს 9 ძლისპირს. ემთხვევა (ოღონდ განსხვავებული რიგით) A 603-ის ძლისპირებს № 561-ის გამოკლებით (იხ. ნეგმ. ძლისპ., №№ 552—561).

2. „უცხო“ ძლისპირები ცალკე სათაურით გამოყოფილი არ არის, ამ ფენის ძლისპირთა ღმრთისმშობლისები სხვაობს A 603-ისაგან.

„ადიდებდითსა. ღმერთი შეუძლებელი ხილვად კაცთაგან გამოუჩნდა შენ მიერ კაცთა...“ 145v—149v.

**შენიშვნა:** შეიცავს 8 ძლისპირს, შედგენილობით, რიგით და ღმრთისმშობლისათა რაოდენობით სხვაობს A 603-ისაგან (იხ. ნეგმ. ძლისპ., №№ 562—567, 568, 571).

„ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი. უვალობდითსა ჯა გ გი. უფსკრულთა ზღუისათა დაანთქა ეტლებითურთ ფარაო...“ 149v—151v.

**შენიშვნები:** 1. შეიცავს 9 ძლისპირს, ემთხვევა A 603-ს № 582-ის გამოკლებით, სხვაობაა რიგში (იხ. ნეგმ. ძლისპ., №№ 572—582).

2. ღმრთისმშობ. „უფალო ღმერთო...“ (151v) შესრულებულია სხვა ხელით.

3. სათაურის მომდევნოდ ასომთავრულით: „ქე შეწყლევ იწე“ (149v).

„მოიხილესა. მოიხილე მაღლით წმიდით ჩუენ ზედა...“ 152r-v.

**შენიშვნა:** შეიცავს 4 ძლისპირს, რიგის სხვაობით ემთხვევა A 603-ის პირველ სამ ძლისპირს (იხ. ნევმ. ძლისპ., №№ 583—588), მეოთხე ძლისპირით „რაქამს მოხუედ...“ (152v) სხვაობს A 603-ისაგან.

„განძლიერდასა. შენ, ქრისტე, ღმრთისა ძალო, მივსენ მე კელთაგან მტერ-თაისა...“ 153r—154v.

**შენიშვნები:** 1. შეიცავს 10 ძლისპირს, რიგით განსხვავებულს A 603-ისაგან (იხ. ნევმ. ძლისპ., 589—598).

2. A 603-ისაგან განსხვავებით ზოგ ძლისპირს (154r-v) არ ახლავს ღმრთის-მშობლისები.

3. ძლისპირსა და ღმრთისმშობლისას შორის ასომთავრულით: „ქე აღიდე ივანე“ (153v).

„უფალო მესმასა. რაქამს ესმა მოსლვაჲ შენი წინააღწარმეტყუელსა...“ 154v—156v.

**შენიშვნები:** 1. შეიცავს 9 ძლისპირს, რომელიც განსხვავებული რიგით ემთხვევა A 603-ს № 607-ის გამოკლებით (იხ. ნევმ. ძლისპ., №№ 599—608).

2. A 603-ისაგან განსხვავებით ზოგ ძლისპირს არ ახლავს ღმრთისმშობლისა და ნევმები (155v—156r).

„ღამითგანსა. სული მაცხოვარებისაჲ, უფალო, რომელი-იგი მიუღდა გულსა შინა...“ 156v—158v.

**შენიშვნა:** შეიცავს 9 ძლისპირს, რიგით განსხვავებულს A 603-ისაგან (იხ. ნევმ. ძლისპ., №№ 609—617).

„ღაღატყავსა. დანთქმული ღელვათა სოფლისა ამის განსაცდელთა გილა-ღადებ...“ 158v—160r.

**შენიშვნა:** შეიცავს 8 ძლისპირს, რიგით განსხვავებულს A 603-ისაგან (იხ. ნევმ. ძლისპ., №№ 618—625).

„კურთხეულარსა. საკუმილსა რაჲ ცეცხლისასა შეითხინეს სამნი იგი ყრმა-ნი...“ 160r—162r.

**შენიშვნა:** შეიცავს 8 ძლისპირს, რომელიც განსხვავებული რიგით ემთხვევა A 603-ს, №634-ის გამოკლებით (იხ. ნევმ. ძლისპ., №№ 626—634).

„აკურთხევედითსა. შეუწუველმან მაყუალმან სინას აუწყა ღმერთი მოსეს...“ 162r—164r.

**შენიშვნა:** შეიცავს 7 ძლისპირს რიგით ოდნავ განსხვავებულს A 603-ისაგან (იხ. ნევმ. ძლისპ., №№ 635—641).

„აღიდებდითსა. მტუირთველმან გამოუცდელად უხრწნელებისამან სიტყუ-სა და მბადებელსა ავასხა ბუნებაჲ...“ 164r—166v.

**შენიშვნები:** 1. შეიცავს 9 ძლისპირს. ძლისპირთა რაოდენობით ემთხვევა A 603-ს № 650-ის გამოკლებით (იხ. ნევმ. ძლისპ., №№ 642—651), მაგრამ განსხვავდება ძლისპირთა რიგით და ღმრთისმშობლისათა სიქარბით.

2. ამ ვალობის ფრაგმენტი შეედომით ჩაყინებულია V ხმის ღაღატყავსასთან (მიკროფილმის მიხედვით). ფოტოებში ეს შეუსაბამობა გასწორებულია.

3. ა. ცაგარელისა და რ. ბლეიკის აღწერილობის მიხედვით ფურცელთა სთვალავი უდრის 165-ს.

4. ირმოლოგონი II რედაქციისა. სანოტო ნიშნები ახლავს როგორც ძლისპირებს, ისე ღმრთისმშობლისათა უდიდეს უმრავლესობას.

5. აღიდებდითსას ცალკეულ ძლისპირებს ახლავს ღმრთისმშობლისათა დიდ რაოდენობა, აქედან ნევმები ახლავს პირველ ღმრთისმშობლისებს.

6. ხელნაწერში არ გვხვდება „აღიდენი“.

7. ტერმინი „მორთული“ ძლისპირთა გარკვეული ჯგუფის აღსანიშნავად გამოყენებული არ არის.

8. ძლისპირთა კრებულებისა და მათი რედაქციების შესახებ იხ. პ. ინგოროყვა, თხზულებანი, III, გვ. 79—92. ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი, ორი ძველი რედაქცია X—XI სს. ხელნაწერების მიხედვით გამოსცა და გამოკვლევა დაუროთ ვლენე მეტრეველმა, თბ., 1971; მისივე, ჰიმნოგრაფიული ტერმინი „მნიშვნელი“, საქ. სრ. მენციერებათა აკადემიის „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 2, 1983; მიქაელ მოდრეკილის ჰიმნები, X საუკუნე, წიგნ. I, II, III, თბ., 1978, (ფაქსიმილე გამოსაცემად მოამზადა ვაჟა გვახარიაშ); ნევიმირებული ძლისპირნი (ხელნაწერი A 603) გამოსცა, გამოკვლევა და სამიუბლები დაუროთ გ. კიკნაძემ, თბ., 1982.

9. ტექსტის ხელთან დაკავშირებით იხ. ტაბულა 16.

## 86 (45)

### ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი. XIV—XV

185 ფ.; ეტრათი, უხეში, დაზიანებული; 13,7×9,9; ნაწ. 11×7,8; ტეფრული ხის ყდა თასმებით; დახრილი ნუსხური, მელანი რუხი ყავისფერი, დასაწყისი ასოები და ზმების ნუმერაცია მთავრულით, საზედაო ასოები (IV, 72v); დასაწყისში მარტივი გრაფიკული ორნამენტები, არ აქვს ნეუმები; [XIV—XV]; რეეულების ასოებრაჟი აღრიცხვა ძველისაგან განსხვავებული სისტემით (γ=11, ლ=12). მიკროფილმის მიხედვით ეს აღრიცხვა ბოლოსკენ აღარ ჩანს; საცისკრო ძლისპირებს საერთოსთან ერთად აქვს საკუთარი რეეულბრაჟი აღრიცხვაც (87r...). რეეულების თანმიმდევრობა ძლიერ არეულია; ზოგი ფურცელი ძნელად იკითხება (1r, 170r, 183v).

I. „ძლისპირნი. უფალო ღალადყავსა კმაჲ პირველი. შენ, სიტყოაჲ დაოსაბამოჲ, ზეცისა მეოფე...“ 1v—14v.

შენიშვნა: ლთ. „გახაროდენ, წყაროო ცხოვრებისაო...“ სხვა ხელით (14v).

„ძლისპირნი. უფალო ღალადყავსა კმაჲ ბ. ღმერთი იშვა მამისაგან წინასწარ საოკონეთა...“ 15r—24r.

„ძლისპირნი ოო ღალადყავისანი კმაჲ გ. ჯუართა შენითა, ქრისტე...“ 24r—29r.

„[ძლისპირნი] უფალო ღალადყავისანი კმაჲ დ. „...ოხოსა ამას გალობასა... შენდა, ქრისტე, შევსწირავთ...“ 29v—36v.

„ძლისპირნი, უფალო ღალადყავნი კმაჲ ა გ. ი. სუფევს ღმერთი წარმართთა ზედა...“ 36v—39v.

„ძლისპირნი, უფალო ღალადყავსა კმაჲ ბ გ. ი. რომელმან სიბრძნით მოსდრიკენ ცანი...“ 39v—45v.

„ძლისპირნი, უფალო ღალადყავსა კმაჲ გ გ. ი. დღე ვნებისაჲ შესცვალე...“ 45v—50r.

„ძლისპირნი, უფალო ღალადყავსა კმაჲ დ გ. ი. უფალო, პირველ საუკუნეთა...“ 50r—63v.

„ათორმეტნი დიდისა პარასკევისანი, ა. დღეს ტაძრისა კრეტსაბმელი სა. მხილებელად განიპო...“ (64r—67r).

„ათორმეტნი სახარებათანი, ა. წარვიდის რაჲ მთად მოწაფენი...“ 67r—72r.

II. „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი. უფალობდითსა კმაჲ ა. სასწაულითა იგნა ერი უფალმან...“ 72v—75v.

**შენიშვნა:** უგალობდითსა შეიცავს 7 ძლისპირს. პირველი 6 მისდევს A 603-ს (იხ. ნეგმ. ძლისპ., №№ 1—6), სხვაობს № 7 ძლისპირით „დღესა მას აღდგომისასა...“ (75v).

„მოიხილესა. მოელოდა, ვითარცა ცოარსა...“ 76r—v.

**შენიშვნა:** შეიცავს მხოლოდ 2 ძლისპირს (ნეგმ. ძლისპ., № 18; № 20).

„განძლიერდასა. ღმერთო, მოხედენ მონათა გალობასა...“ 75r—77v.

**შენიშვნა:** ემთხვევა A 603-ის ამავე გალობის პირველ 6 ძლისპირს (იხ. ნეგმ. ძლისპ., № 24—30), სხვაობს ძლისპირით „მოვედით და ვსუათ“ (78v).

„უფალო მესმასა. პირველ აუწყა წინასწარმეტყუელებით...“ 78r—81r.

**შენიშვნა:** ემთხვევა A 603-ის ამ გალობის პირველ რვა ძლისპირს (იხ. ნეგმ. ძლისპ., №№ 36—44). სხვაობს IX ძლისპირით „საიდუმლოსა საყრობილესა...“ (82r) და ღმრთისმშ. „ვადიდებთ...“ (82r).

83v. „ღამითგანსა. საცთურთა ბნელთა ღამისათა შენდობად მოხუდი...“ 81r—

**შენიშვნა:** შეიცავს 6 ძლისპირს. პირველი 5 მისდევს A 603-ს (იხ. ნეგმ. ძლისპ., №№ 51—56), სხვაობს ძლისპირით „ადეიმსთობთ ჩუენ ცისკარს...“ (83v).

„ღალადყავსა: შთაჯდა იონა სიღრმესა მას ზღოისასა...“ 83v—86r.

**შენიშვნა:** ემთხვევა A 603-ის ძლისპირებს „უცხოთა“ ფენამდე № 69-ის გამოკლებით (იხ. ნეგმ. ძლისპ., №№ 63—70), სხვაობს ძლისპირით „შთაჯედ შენ...“ (86r).

„კურთხეულარსა. სიყოაროლითა ყოველთა მკსნელისადათა არა შეპრაცხეს ყრმათა...“ 86r—88r.

**შენიშვნა:** მისდევს A 603-ის „უცხოთა“ ფენამდე (იხ. ნეგმ. ძლისპ., №№ 75—78), სხვაობს ძლისპ. „შენ ცეცხლად საცნაურად...“ (88r).

„აკურთხევედითსა. ყრმანი ბაბილონს შეოწოელნი პირველად სახე გექმნეს შენ...“ 88r—91r.

**შენიშვნა:** I ხმის აკურთხევედითსა და II ხმის განძლიერდასას ჩათვლით A 603-ს აკლია, უდარდება Sin 3-ს, რომელიც დამატების სახით ერთვის A 603-ის გამოკემას (იხ. ნეგმ. ძლისპ., გვ. 880—882).

„ადიდებდითსა. ჯერ-არს დუმილი...“ 91v—94r.

**შენიშვნა:** ადიდებდითსა ამ ხმაში ნაკლებია ფურცლის დაქარგვის გამო. რიგის ოდნავი სხვაობით და ზ ღმრთისმშობლისების გამოკლებით მისდევს Sin. 3 (იხ. ნეგმ. ძლისპ. გვ. 882—886), სხვაობს ძლისპირით „ნათელ-ილე...“ (94r).

„ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი [უგალობდითსა] კმაი ზ. ზღოსა ღელ-ვათა მძუნვარეთა წიაღ-ჰედეს დაუღტუღველად იმლნი...“ 94r—96r.

**შენიშვნა:** 1. ემთხვევა Sin. 3-ს (იხ. ნეგმ. ძლისპ., დამატ. გვ. 886—888). ძლისპ. „უგალობდეთ უფალსა...“ და „ბუნებამ წყლისას...“ გამოკლებით.

„მოიხილესა. ვიხილეთ ჩუენ ქრისტე ხატიითა...“ 96r—v.

**შენიშვნა:** შეიცავს მხოლოდ ერთ ძლისპ. (მდრ. ნეგმ. ძლისპ., დამატ. გვ. 889).

